მლ. ორიანი

ალ. ონიანი

# ქართული იდიომები

„ნაკადული"
თბილისი
1966

4 Г
499. 962. 1—318
თ 472

ვუძღვნი ძვირფასი
მ ა მ ი ს ხსოვნას

ავტორი

7—1—5

# ავტორისაგან

იდიომატიკა ლექსიკის ორგანული და ამავე დროს თავისებური ნაწილია. მის შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა, განსაკუთრებით ბოლო ხანებში. არსებობს სხვადასხვა ენათა იდიომების როგორც განმარტებითი, ისე თარგმნითი კრებულები. ჩვენში, მართალია, გამოიცა რამდენიმე ენის იდიომთა თარგმნითი ლექსიკონი, მაგრამ თვით ქართული იდიომების კრებული დღემდე არ გაგვაჩნია. ასეთი ნაშრომის შექმნისა და გამოქვეყნების საჭიროება დიდი ხანია იგრძნობა. მას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ქართული ლექსიკა-ფრაზეოლოგიით დაინტერესებულ ყველა პირს, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობას.

ტერმინი „იდიომი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან idiôma, რაც „თავისებურებას“ ნიშნავს. ამჟამად ამ ტერმინით აღინიშნება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ტიპი.

იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს იდიომის შესახებ, შევეცდებით მოკლედ ვუპასუხოთ ორ კითხვაზე: 1) რა არის იდიომი? და 2) როგორია მისი მიმართება სიტყვასთან და თავისუფალ შესიტყვებასთან?

იდიომი შეიცავს ორ კომპონენტს მაინც. ამდენად, ცალკე აღებული სიტყვა, მარტივი თუ კომპოზიტი, იდიომად არ მიიჩნევა. ეს იმას ნიშნავს, რომ აგებულების მიხედვით იდიომი მკვეთრად განსხვავდება სიტყვისაგან,

მაგრამ ემთხვევა ჩვეულებრივ თავისუფალ შესიტყვებას. მართლაც, იდიომის კომპონენტები მეტწილად ცოცხალი სიტყვებია, რომლებიც დაუბრკოლებლად იხმარებიან მეტყველებაში იდიომთა გარეშეც, თავისუფალ შესიტყვებაში მათ აქვთ საკუთარი მნიშვნელობა. იდიომის კომპონენტებს შორის გრამატიკული შეკავშირებაც, ჩვეულებრივ, ემთხვევა თანამედროვე ენის ნორმებს. ამიტომ არის, რომ იდიომის გვერდით შეიძლება არსებობდეს მისი ომონიმური თავისუფალი შესიტყვება, რომელიც აგებულების მიხედვით არაფრით განსხვავდება იდიომისაგან; მაგ., „კოვზის ნაცარში ჩავარდნა“ შეიძლება ვიხმაროთ როგორც თავისუფალი შესიტყვება (როდესაც გვინდა აღვნიშნოთ კოვზის ნაცარში ჩავარდნის რეალური ფაქტი), ან როგორც იდიომი — მნიშვნელობით: მარცხის განცდა, წამოწყებული საქმის ჩაშლა, იმედის გაცრუება.

მაშასადამე, იდიომი თავისუფალი შესიტყვებისაგან აგებულების მიხედვით არ განსხვავდება.

ცნობილია, რომ თავისუფალ შესიტყვებაში (ან წინადადებაში) შემავალ სიტყვებს აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რომელთა ჯამი, გრამატიკულად შეკავშირებული, გვაძლევს შესიტყვების (ან წინადადების) საერთო შინაარსს; მაგ., „მოწაფე სწავლობს გაკვეთილს“, „მოწაფე სწავლობს“, ან „გაკვეთილს სწავლობს“. ამის დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება დასტურდება იდიომებში. იდიომის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს მისი კომპონენტების (ე. ი. შემადგენელი სიტყვების) მნიშვნელობათა ჯამიდან. გამოთქმებში: „გველის ხვრელში გაძრომა“, „თავზე ხელის აღება“, „გულის გაწყალება“... კომპონენტთა მნიშვნელობა შთანთქმულია იდიომის საერთო შინაარსით, ცალკეულ სიტყვას დაკარგული აქვს სემანტიკური თავისთავადობა და განუყოფელი ლექსიკური ერთეულის როლში გვევლინება მთელი გამოთქმა; მაგ.,

იდიომში „კუდით ქვა ასროლინა“ კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამი არაფერს გვეუბნება იმ მნიშვნელობის შესახებ, რაც ამ იდიომს აქვს: სასტიკად დაამარცხა, შავი დღე აყარა, სამარცხვინოდ გააქცია.

ეს არის ერთი — ყველაზე არსებითი — განსხვავება იდიომსა და თავისუფალ შესიტყვებას შორის. საყურადღებოა აგრეთვე მეორე განსხვავებაც: თავისუფალი შესიტყვების აგება სხვადასხვაგვარად ხდება მეტყველების დროს, იდიომები კი მზა ფორმით არსებობენ ენაში, ისინი მეტწილად ერთნაირად მეორდებიან მეტყველებაში, ე. ი. შემადგენელი სიტყვების (ანუ კომპონენტების) მონაცვლეობა იდიომებში, ჩვეულებრივ, არ ხდება. მაშასადამე, თავისუფალი შესიტყვებისაგან განსხვავებით, იდიომების შედგენილობა ხასიათდება დაუშლელობით ანუ მყარობით.

მაშასადამე, იდიომს აქვს საერთო ნიშნები როგორც სიტყვასთან, ისე თავისუფალ შესიტყვებასთან. ამავე დროს სიტყვისაგან ის განსხვავდება აგებულებით, მაგრამ უახლოვდება მნიშვნელობის მიხედვით. თავისუფალ შესიტყვებასთან აერთიანებს აგებულება, მაგრამ განასხვავებს მნიშვნელობა; ე. ი. იდიომი ფორმით შესიტყვებაა — შედგება ორი ან მეტი გრამატიკულად გაფორმებული ელემენტისაგან, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით ეს შესიტყვება ერთ სიტყვას უტოლდება — სემანტიკურად ის სიტყვის ეკვივალენტია.

ამრიგად, **იდიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან.**

წინამდებარე ლექსიკონის შედგენის დროს იდიომის ამ განსაზღვრიდან ამოვდიოდით. მნიშვნელობათა განმარტე-

ზისას ვითვალისწინებდით ან ვეყრდნობოდით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მონაცემებს. საილუსტრაციო მასალის უდიდესი ნაწილი ამოღებულია XIX — XX საუკუნეთა ქართველი მწერლების თხზულებებიდან. ცალკეულ შემთხვევებში საილუსტრაციო მასალა აღებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ ან თედო სახოკიას ნაშრომიდან „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. ხალხის ზეპირი მეტყველებიდან აღებული ზოგი იდიომი ილუსტრაციის გარეშე დარჩა.

წინამდებარე კრებული არ არის ისტორიული ხასიათისა, ე. ი. ის მოიცავს მხოლოდ თანამედროვე ქართულ იდიომებს, ამიტომ ძველი ქართული მწერლობის ნიმუშები საილუსტრაციოდ არაა მოტანილი.

იდიომები ქართულ ანბანზეა დალაგებული. ვეცადეთ, ზმნური იდიომები მასდარის სახით ყოფილიყო წარმოდგენილი. ამის გამო კრებულში, შესაძლოა, ერთგვარად ხელოვნური ფორმებიც იყოს ფიქსირებული. როდესაც მასდარი მთლიანად ხელოვნურ სახეს იღებდა, მაშინ იდიომები იმ პირისა და დროის ფორმით წარმოვადგინეთ, რომელიც ყველაზე ბუნებრივად მივიჩნიეთ.

ზოგჯერ იდიომის განმარტების ნაცვლად მითითებულია სხვა იდიომზე (ნიშნით — იხ.), რაც მათი მნიშვნელობის ერთნაირობას აღნიშნავს. სიმოკლისათვის იგივე ნიშანია ნახმარი (ნაცვლად ფორმულისა „იგივეა, რაც“) აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ცალ-ცალკეა ფიქსირებული ერთი და იმავე იდიომის სხვადასხვა ფორმა; მაგ., „ჯვარზე აცვა“ იხ. „ჯვარს აცვა“.

მართალია, წინამდებარე კრებულის მიზანი არ არის იდიომთა ეტიმოლოგიის გარკვევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოცემულია გარკვეულ ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებული ზოგიერთი იდიომის წარმოშობის ახსნის ცდა, ამასთანავე გათვალისწინებულია ლიტერატურაში

გამოთქმული სათანადო მოსაზრებანი. ზოგი ამ სახის იდიომი, საკმარისი არგუმენტაციის უქონლობის გამო, წარმოშობის ახსნის გარეშე დარჩა (მაგ., აბელას ფეხების გაკეთება, ენუქასანდერძი...). განმარტებულია აგრეთვე იდიომთა ისეთი კომპონენტების მნიშვნელობა, რომლებიც დამოუკიდებლად იშვიათად იხმარებიან, ან მხოლოდ იდიომების შემადგენლობაში არიან დადასტურებული.

კრებულში მოიპოვება როგორც დიალექტური იდიომები, ისე სხვა ენებიდან მომდინარე გამოთქმები (ე. წ. კალკები), მაგრამ ამის შესახებ სათანადო მითითებები არ არის მოცემული.

წინამდებარე ლექსიკონი, ცხადია, ვერ ამოწურავს ქართული იდიომების მთელ მარაგს. მას, როგორც ამგვარი კრებულის შექმნის პირველ ცდას, რა თქმა უნდა, ექნება სხვა ნაკლიც. ამიტომ ყოველ საქმიან შენიშვნას მადლობით მივიღებთ.

# შემოკლებათა ახსნა

ა. აბაშ. — ალექსანდრე აბაშელი
გ. აბაშ. — გრიგოლ აბაშიძე
ი. აბაშ. — ირაკლი აბაშიძე
აკაკი — აკაკი წერეთელი
არაბ. — არაბული ენა
შ. არაგვ. — შიო არაგვისპირელი
ლ. არდაზ. — ლავრენტი არდაზიანი
ლ. ასათ. — ლადო ასათიანი
ბან. — ბანოვანი
ვ. ბარნ. — ვასილ ბარნოვი
ბაჩ. — ბაჩანა
ა. ბელ. — აკაკი ბელიაშვილი
ხ. ბერ. — ხუტა ბერულავა
ბერძნ. — ბერძნული ენა
ე. გაბ. — ეკატერინე გაბაშვილი
კ. გამს. — კონსტანტინე გამსახურდია
განმ. ლექს. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
მ. გარიყ. — მარიამ გარიყული
რ. გვეტ. — რაჟდენ გვეტაძე
ი. გოგებ. — იაკობ გოგებაშვილი
ი. გრიშ. — იოსებ გრიშაშვილი
ი. გულის. — იერემია გულისაშვილი
შ. დად. — შალვა დადიანი
ი. დავით. — იოსებ დავითაშვილი
ი. ევდ. — იროდიონ ევდოშვილი
ი. ეკალ. — ია ეკალაძე
ი. ელეფთ. — ილია ელეფთერიძე
გ. ერისთ. — გიორგი ერისთავი
რ. ერისთ. — რაფიელ ერისთავი
ა. ერ.-ხოშტ. — ანასტასია ერისთავ-ხოშტარია
ვაჟა — ვაჟა-ფშაველა
ე. ზედგ. — ელიზბარ ზედგინიძე
თურქ. — თურქული ენა
პ. იაშვ. — პაოლო იაშვილი
ილია — ილია ჭავჭავაძე
დ. კლდ. — დავით კლდიაშვილი
ს. კლდ. — სერგო კლდიაშვილი
გ. ლეონ. — გიორგი ლეონიძე
ნ. ლომ. — ნიკო ლომოური
ჭ. ლომთ. — ჭოლა ლომთათიძე
კ. ლორთქ. — კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნ. ლორთქ. — ნიკო ლორთქიფანიძე
რ. მარგ. — რევაზ მარგიანი
კ. მაყ. — კოტე მაყაშვილი
ი. მაჩაბ. — ივანე მაჩაბელი
დ. მაჩხ. — დიმიტრი მაჩხანელი
ს. მგალობ. — სოფრომ მგალობლიშვილი
მელან. — მელანია
მ. მრევლ. — მიხეილ მრევლიშვილი
შ. მღვიმ. — შიო მღვიმელი
გ. ნახუცრ. — გიორგი ნახუცრიშვილი
ე. ნინოშ. — ეგნატე ნინოშვილი
ი. ნონეშ. — იოსებ ნონეშვილი
თ. რაზიკ. — თედო რაზიკაშვილი
საბა — სულხან-საბა ორბელიანი
თ. სახ. — თედო სახოკია

სპარს. — სპარსული ენა
გ. ტაბ. — გალაკტიონ ტაბიძე
უიარ. — უიარაღო
ა. ფურც. — ანტონ ფურცელაძე
ლ. ქიაჩ. — ლეო ქიაჩელი
ა. ყაზბ. — ალექსანდრე ყაზბეგი
ს. შანშ. — სანდრო შანშიაშვილი
შდრ. — შეადარე
გ. შარაშ. — გიგო შარაშიძე

ბ. ჩხ. — ბორის ჩხეიძე
ო. ჩხ. — ოთარ ჩხეიძე
ა. ცაგარ. — ავქსენტი ცაგარელი
გ. წერეთ. — გიორგი წერეთელი
დ. ჭონქ. — დანიელ ჭონქაძე
ა. ჭუმბ. — არისტო ჭუმბაძე
ხალხ. — ხალხური
მ. ჯავახ. — მიხეილ ჯავახიშვილი

# ქართული ანბანი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ან | მ | მან | ღ | ღან |
| ბ | ბან | ნ | ნარ | ყ | ყარ |
| გ | გან | ო | ონ | შ | შინ |
| დ | დონ | პ | პარ | ჩ | ჩინ |
| ე | ენ | ჟ | ჟან | ც | ცან |
| ვ | ვინ | რ | რაე | ძ | ძილ |
| ზ | ზენ | ს | სან | წ | წილ |
| თ | თან | ტ | ტარ | ჭ | ჭარ |
| ი | ინ | უ | უნ | ხ | ხან |
| კ | კან | ფ | ფარ | ჯ | ჯან |
| ლ | ლას | ქ | ქან | ჰ | ჰაე |

# ა

**აბელას ფეხების გაკეთება** თავის დიდად მოჩვენების, თავის გამოჩენის ცდა (ყალბი საშუალებებით). ცრუპენტელა კაცი ყველგან ასეთია, რაკი საფანელი შემოაკლდება..., მაშინ ... ყალყზედ შედგება, აბელას ფეხებს გაიკეთებს, გაჰფუვდება, გადიდგულდება და უკვირს, რატომ ვერა მხედვენ, რა სიმაღლეზე ვდგევარო?! (ი ლ ი ა).

**აბრუს არ იტეხს** გულს არ იტეხს, არ ეპუება, იხტიბარს არ იტეხს (შდრ. აბრუს გატეხა). გოგრას არაყი ემწარება, მაგრამ აბრუს არ იტეხს, რადგანაც მეცხვარეა (ვ ა ჟ ა).

**აბრუს გატეხა** სახელის გატეხა; ნდობის დაკარგვა. (სპარს. აბ-რუ პირის წყალი, პატიოსნება). რაკი ერთხელ და ერთხელ შენს თვალში აბრუ გამიტყდა, რაღას დამიჯერებ. შენა გგონია გატყუებ? აბა მაგას როგორ გაგიბედავდი (ი ლ ი ა). ჰაი გიდი, მართალნო,... მე აბრუ მაქვს გატეხილი, ჩემი ცოდვა ცოდვადა ჩანს და თქვენი მადლად (ვ ა ჟ ა). როცა ადგილი მოიჭმებოდა, ანდა ტრიკიან ადვოკატს, რომელიც ორსავე მხარეზე ჰკერავდა, აბრუ გაუტყდებოდა და არავინ მიეკარებოდა, იგი ადგილს მოინაცვლებდა (დ. კ ლ დ.).

**აბურაგანის ამოკვრა** გაძევება. შვილო ... აბურაგანი ამოგიკრეს და დღეს მშივრები ვართ! (ი. ე კ ა ლ.).

**აბუჩად აგდება** არაფრად ჩაგდება, ანგარიშის გაუწევლობა, დამცირება. (**აბუჩი** უხამსი სტუმარი — საბა). თინათინს გულში ეწყინა ეს რჩევა: როგორ, ჩემი შვილობილის საცოლო სხვამ უნდა გამოარჩიოს და მე „აბუჩად" ამიგდონო... (ე. ნ ი ნ ო შ.). ეს... ხომ მისი გალანძღვა და აბუჩად აგდებაა? (მ. ჯ ა ვ ა ხ).

**ადამის ჟამიდან** უხსოვარი დროიდან. ... ჯვართვაკეს რომ სამოვარია, თემმაც იცის და ხალხმაცა, რომ ადამის ჟამიდგან ჩვენი სოფლის ყოფილა (ა. ყ ა ზ ბ.).

**ადამის ჟამის** ძველის-ძველი (შდრ. ადამის ჟამიდან). ძმობა, თავისუფლება, თანასწორობა ადამის ჟამის ჭეშმარიტებანი არიან (ი ლ ი ა). დედა და

შვილო მოვიდნენ დანგრეულ... ადამის ჟამის' გაკეთებულ დილიჟანთან და ჩასხდნენ შიგ (ე. გ ა ბ.).

**ადამის შვილი** ადამიანი, ძე ხორციელი. ნათქვამია ადამის შვილი გაჩნდება თუ არა ქვეყნად, მისი ბედის ვარსკვლავიც მაშინვე ცაზე იჭედებაო (ა კ ა კ ი). ან ვითომ რა კაი სამართალია აგი, ადამის შვილი აწვალოს (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ადამის ძე** იხ. ადამის შვილი. ... ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძღების, სატკივარს რაი ეყვის? (ი ლ ი ა).

**ადამის ხნის** დიდი ხნის, ძალზე მოხუცი; ძველებური (შდრ. ადამის ჟამის). ... რომ მნახე, შემოვედი ერთი უსწავლელი, ადამის ხნის კაცი, აგეხსნა ჩემთვის, რასაც ახალი კანონები გვეუბნებიან (ა კ ა კ ი). ... ცა და ქვეყანა ამის კითხვაშია: რა თილისმა აქვს ამ ადამის ხნის კაცს ასეთი, გვასწავლეთ და ფასს გავიღებთო (ბ ა ნ.).

**ავ თვალს არ ენახვება** ძალიან კარგია, ლამაზია, მშვენიერია. ყანა წამიხდა, რა ყანა! ავ თვალს არ ენახვებოდა! (რ. ე რ ი ს თ.).

**ავი თვალით არ ინახვება** იხ. ავ თვალს არ ენახვება. ჩემი ლამაზი გოგონა როგორ გაზრდილა! ავი თვალით არ ინახება (გ. წ ე რ ე თ.). სამოცი დღის ყანა მედგა ისეთი, ავის თვალით არ ინახვებოდა (ვ ა ჟ ა).

**ავი ქარის დაცემა** გაგიჟება. რასა რეგვნობ, ძმაო? ავი ქარი ხომ არ დაგცემია? (ა. ც ა გ ა რ.).

**აზრზე არ არის** არ იცის (რამე), წარმოდგენა არა აქვს (რისამე შესახებ). ...აქ რაღაც სხვაშია საქმე..., მაგრამ აზრზე არა ვარ (ა. ბ ე ლ.).

**აინუნშიც არ იტარებს** იხ. **აინუნშიც არ მოსდის.** კიდევ კარგია, მობეზრებულმა კრებამ აინუნშიაც არ გაიტარა... გაეგება რამე თუ არა (ი ლ ი ა).

**აინუნშიც არ მოსდის** ფიქრადაც არ მოსდის, ყურადღებას არ აქცევს, არაფრად აგდებს. (არაბ. **აჲნუ** თვალი). ის ყიზილბაში კი ათამაშებდა მოედანზედ ცხენს, თითქო ყაბახობაზე გამოსულაო და ამოდენა ქართველობა აინუნშიაც არ მოსდისო (ი ლ ი ა). ამ ყოფაში კარგა ხანმა გაიარა, პეტრეს დაგვიანება აინუნშიაც არ მოსდიოდა და იმ ბიჭის ცქერაში ისე ნელა იღოღნებოდა, რომ საღამომდისაც თავის საუზმეს ვერ გაათავებდა (ი ლ ი ა).

**აინუნშიც არ (ჩა)იგდებს** იხ. აინუნშიც არ მოსდის. (ბალღი) ჯერ ოხუნჯობდა, ვითომც აინუნშიც არ ჩაიგდო, მაგრამ მალე დადარდიანდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მათ არაფერი ესმოდათ, აინუნშიც არ აგდებდნენ (ო. ჩ ხ.).

**აირია მონასტერი** არეულობა და უთავბოლობა გამეფდა, უწესრიგობა დაიწყო. ...ეს რომ მოხდეს, ხომ აირია მონასტერი თ. გ. თუმანოვის

ამქრისა, ხომ დაეფანტათ დავთრები და ძაღლმა პატრონი ვეღარ იცნო (ილია). მაშ ასე, ბატონო... — აირია მონასტერი, აღარ ვიცი, რა ვიხმარო, — ბატონო, მოქალაქე თუ ამხანაგო... (მ. ჯავახ.).

**აკვნის დარწევა (რისამე)** წარმოშობა, ჩასახვა, აღმოცენება (რისამე).

**ალალმა დაუქროლა** უცებ რაღაც მოუვიდა, რაღაც დაემართა, რაღაც შეემთხვა. (**ალალი** ქორის მსგავსი, მაგრამ უფრო პატარა, მტაცებელი ფრინველი). მეოთხე კლასამდის ტოლი არ ჰყოლია, მაგრამ აქ-კი რაღაც ალალმა დაუქროლა (აკაკი). რა ალალმა დაჰქროლა ამისთანამ, რომ, რაც სიმღერები იცოდა, სულ დაავიწყდა? (ილია).

**ალილო და ხვალაო** ამასაც მალე ვნახავთ, ესეც მალე გამოჩნდება. (**ალილო** ძველისძველი სიმღერაა, რომელსაც შობის წინა ღამეს მისალოცად კარდაკარ სიარულის დროს ასრულებდნენ). — მაშინ სხვა რიგად დაუშტვენ! — დაუშტვენ, რა, ბულბული ვარ? — ...აი, ალილო და ხვალაო, — მაინც არ იშლიდა თავისას პეპია, მე კი მიყივლია და... (ილია). ხვალე მარიამობაა ბოდბისხევში, დღეობას უნდა წავიდეთ ყველანი... და ქუდი ჰერსა ვკრათ. ალილო და ხვალაო, ღმერთო შეგვიწყალეო (დ. მაჩხ.).

**ალიყურის ჭმევა** სილის გაწვნა. თავი დამანებე, ბალღო, თორემ... ისეთ ალიყურს გაჭმევ ამ გაჯავრებულ გუნებაზე, რომ... (შ. არაგვ.).

**ალმაცერად ყურება** უნდობლად, ეჭვით მოკიდება. ხომ იცი ჩემი მდგომარეობა... ალმაცერად მიყურებს ყველა (ნ. ლორთქ.).

**ალმაცერად ცქერა** იხ. ალმაცერად ყურება. ...პეტრე თავიდანვე ალმაცერად უცქეროდა თეიმურაზს და ჩუმ-ჩუმად ყორანივით დასჩხაოდა იმის მომავალს (მ. ჯავახ.).

**ალმურის აკვრა (სახეზე)** იხ. ალმურის ასვლა (სახეზე). მარინე აენთო, სახეზე ალმურმა აჰკრა, თმა აებურძგლა, ყალყს შეუდგა (ს. მგალობ.).

**ალმურის ასვლა (სახეზე)** გაწითლება, ალეწვა. თვით ბახვა იდგა ლოყებ-აწითლებული და ალმური ასდიოდა (გ. წერეთ.). ცოლქმრობის გაგონებაზე ქრისტინე შეკრთა... სახეზე ალმური აუვიდა... (ე. ნინოშ.).

**ალღოს ართმევა** იხ. ალღოს აღება. (ფეფენამ) ალღო აართო ამ დომხალივით არეულ ხალხს და მიჰყო ხელი ამღვრეულ წყალში თევზის ჭერას (ვ. ბარნ.). თოლიამ ალღო აართვა ნადირის სიახლოვეს (ი. ელეფთ.).

**ალღოს აღება** წინასწარ მიხვედრა, გაგება, შეტყობა; შეგუება, თავის გართმევა. ...ვითომ მარტო ლეკების დასასჯელად წავიდა ვახტანგი, რომ სპარსელებს ალღო არ აეღოთ და არ მომზადებულიყვნენ (ილია). პეტრემ და

სიკომ ალბათ ალღო აიღეს და ერთი ღამით აქა-იქ დარაჯები დააყენეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მან ვერ შესძლო ვერც სიკვდილი ამ ცხოვრებისათვის, ვეღარც ეპოქის მდინარების ალღოს აღება (კ. გ ა მ ს.). ... ეს რკინის ხელი გურისაც ემუქრებოდა, ძირს უთხრიდა მის უზრუნველ ცხოვრებას და თვით არსებობასაც, თუ იგი ალღოს არ აუღებდა ახალ დროს... (გ. ნ ა ხ უ ც რ .).

**ალჩუს დაჯდომა** საქმის კარგად წასვლა, გამარჯვება, წარმატების მიღწევა, ბედის გაღიმება. **(ალჩუ** სათამაშო კოჭის ოდნავ ამოღარულ მხარეს ჰქვია. თამაშის დროს კოჭის ამ მხარის ზემოთ მოქცევა გამარჯვებას ნიშნავს. ამ თამაშის საფუძველზეა იდიომი მიღებული). ბ-ნ მესროფს... ალჩუ დასჯდომია, მაგრამ იმის გამო კი არა, რის იმედიცა ჰქონია (ი ლ ი ა). მოდი და ნუ გაეცინება სიხარულისაგან ამისთანა ოსტატს, რომ ამ შემთხვევაში ალჩუ დაუჯდა (ი ლ ი ა).

**ამ სოფელს აღარ არის** უგრძნობლადაა. ... ლუკაიას სადღეგრძელოს გათავებისას თამადა უკვე ამ სოფელს აღარ იყო (კ. გ ა მ ს.).

**ამ ქვეყანას დაბრუნება** რაიმე მძიმე სენისაგან გადარჩენა. იმ დღიდან მარაბდელი და ხოსიტა გურგენიძე სწრაფად უბრუნდებოდნენ ამ ქვეყანას (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ამ ქვეყნისა აღარ არის** მომაკვდავია. ... ბაბალე ქვეშაგებად არის ჩავარდნილი. არ იქნა, ვერ მორჩა და ვერა... არც არა იმედია მორჩენისა. კაცმა რომ ჰნახოს, იტყოდა: ეს ამ ქვეყნისა აღარ არის, პირი იმ ქვეყნისაკენ აქვს მიბრუნებულიო (ი ლ ი ა).

**ამერიკის აღმოჩენა** რაიმე ისეთის თქმა ან მტკიცება, რაც საყოველთაოდ ცნობილია. ამ რიგად უკვე აღმოჩენილი ამერიკა აღმოაჩინა და დოინჯი შემოიყარა თავმოწონებისა (ი ლ ი ა).

**ამინ და კირიე-ელეისონ!** მორჩა და გათავდა! მეტი რაღა გინდათ?! (ბერძნ. **კირიე-ელეისონ** უფალო შეგვიწყალე). ...ვინუგეშოთ ამით თავი და მინისტრების ჩვენში ყოფნა ღვთის წყალობად ჩავთვალოთ! ამინ და კირიე-ელეისონ! (ი ლ ი ა). ავიღოთ ხელში საცეცხლურები და საკმელი ვუკმიოთ, მინამ საქმე არ გამოგვიჩნდება, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია. ამინ და კირიე-ელეისონ. მორჩა და გათავდა (ი ლ ი ა).

**ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა** არეულობის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის. (ფეფენამ) ალღო აართო ამ დომხალივით არეულ ხალხს და მიჰყო ხელი ამღვრეულ წყალში თევზის ჭერას (ვ. ბ ა რ ნ.).

**ანგარიშის გასწორება** სამაგიეროს გადახდა, მიზღვა, შურისძიება. შვილო, თუ რამ ანგარიში გაქვთ, სხვა დროისათვის გადადევი!.. ანგარიშის გასწორება, შვილო, ვაჟკაცურად ვიცოდით ჩვენს დროში! (დ. კ ლ დ .). მოსისხლე მტერი კარზე მოგვადგა და ჩვენ კი ბატონებს უნდა გავუსწოროთ ანგარიში? არ გვინდა! დრო არ არის! (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ანგარიშის გაწევა** გათვალისწინება, მხედველობაში მიღება, ყურადღების მიქცევა. მარუშიძენი სრულიადაც არ უწევდნენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ ჯორ-ზაქარა ჯიღაურის ოჯახს ის მამული ჰქონია მიკუთვნილი ძველად საეკლესიო უწყებისაგან (ს. მ გ ა ლ ო ბ.). მოხუცებული მამა სანამ ცოცხალი იყო, იგი (არზაყანი) იძულებული ხდებოდა მისი ჭირვეულობისათვის ანგარიში გაეწია (კ. გ ა მ ს.).

**ანგარიშის მიცემა** იხ. ანგარიშის გაწევა... ლოთობა ჩეჩნებში დიდ სირცხვილად ითვლებოდა და კანონისაგანაც ჰქონდათ აკრძალული... აფიცრები კი ყოველს ჟამს ლოთობდნენ, ანგარიში ვეღარ მიეცათ თავიანთ მოქმედებაში (ა. ყ ა ზ ბ.).

**ანგელოზების დაფრთხობა** შეშინება, დაფრთხობა. გაგიხარიან, მიხას ჯერ კომბლის ხმარება არ დავიწყებიყოს! ასე დავუფრთხობდი ანგელოზებსა, რო ჰქმნას კი არა და მეტიც მოუვიდეს (ს. მ გ ა ლ ო ბ.). თუ ჩემი სიკეთე გსურს, დაუფრთხე ანგელოზები მაგ უსინდისოს! (დ. კ ლ დ.).

**ანგელოზმა ჩამოიარა** სიჩუმე ჩამოვარდა. დარბაზში გაისმა: „შშშ" და წამს ისევ სიჩუმე ჩამოვარდა — ანგელოზებმა ჩამოიარა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ანდერძის აგება** იხ. წესის აგება. ოსმალეთს ანდერძი უკვე აგებული აქვს ევროპაში (ი ლ ი ა). ხომ არ გინდათ, ხელად ანდერძი აგიგოთ ბიჭიანბატონიანად (ა. ც ა გ ა რ.).

**ანკესზე წამოგება** მოტყუება, ვისიმე ხრიკების მსხვერპლად გახდომა, მახეში გაბმა. გერაც ტყვილა ფიქრობს, რომ გოჩა ასე ადვილად წამოეგება მის მიერ გადმოსროლილ ანკესს (ლ ქ ი ა ჩ .).

**ანძაზე აცმული** გატანჯული, გაწამებული, ჯვარცმული, გაჭირვებაში მყოფი. მეც არა ვარ კარგ მდგომარეობაში, ანძაზე ვარ აცმული, მაგრამ არ ვტირი! (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**ანწუხზე აგება** გატანჯვა, გაწამება. (**ანწუხი** წვეტიანი სარი). აძაღლებული ფიდუა... ჩვენის ხელით ანწუხზეა ასაგები!.. (ს. მ გ ა ლ ო ბ.). . ეს ღმერთმა იმ ძმა-კაცს გაუმარჯოს, რომელიც ძმა-ბიჭისათვის შემწვარ ხოხობს კი არ შესჭამს, ანწუხზედ ეგება (ა. ც ა გ ა რ.).

**არამკითხე მოამბე** მეტიჩარა, ის ვინც სხვის საქმეში თვითნებურად ერევა. ...არამკითხე მოამბესავით მეტიჩრობენ (ი ლ ი ა). არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო (ხ ა ლ ხ.).

**არაფერ შუაშია** იხ. რა შუაშია! „ვინ მოგცემთ"... გაიკვირვა მოიჯარადრემ, ვითომც ის არაფერ შუაში ყოფილიყოს (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**არც აცივა, არც აცხელა** სწრაფად, ანაზდად, დაუყოვნებლად ჩაიდინა (რამე). ამ წუთში, აღარც აცივო, აღარც აცხელო, წაიყვანე ჩაფრები

და ზაჰარა ჯიღაური და ყველა ისინი, ვინც სოფელს რევენ, აქ მომგვარე (**ს. მ გ ა ლ ო ბ.**). ყაშა ლაზარემ არც აცივა, არც აცხელა: **რუსული თოფი** ათი-ოდეჯერ დასცალა, ირგვლივ ქოთი ასტეხა და საომარი ცეცხლი დაანთო (**მ. ჯ ა-ვ ა ხ.**).

**არც მწვადი დაწვა, არც შამფური** ისე მოხერხებულად (ეშმა-კურად) გააკეთა საქმე, რომ არც ერთ მხარეს ავნო, არც მეორეს, არავის აწყენინა. მაგას ვინ ამბობს, ჩემო ძმაო, მაგრამ ის კი სჯობს, რომ არც მწვადი დასწვო და არც შამფური (ი ლ ი ა). გეგონა, არც შამფურს დასწვავ-დი და არც მწვადსა? მგელსაც გააძღობდი და ბატკანსაც გადაარჩენდი? (**მ. ჯ ა ვ ა ხ.**).

**არც ღვინო, არც წყალი** უხეირო, უგერგილო. ...უმცროსი რძლები ხომ არც წყალი იყვნენ და არც ღვინო, ვერც ავს იგებდნენ და ვერც კარგს, რასაც მათი ქმარ-მამამთილი იმოქმედებდნენ, ყველაფერი კარგი და პატიოსანი ეგონათ (ბ ა ნ.).

**ასე გასინჯეთ!** თქვენ წარმოიდგინეთ! ...შეიქმნა ერთი საზოგადო მხი-არულება, ასე გასინჯეთ, დედაჩემიც კი მეორე ოთახში იჯდა და ცდილობდა სიცილი შეეკავებია (ა კ ა კ ი). მთელი სოფელი თავს დაედო ამ უბედურთა. ასე გასინჯეთ, ბავშვებიც კი დასტიროდნენ კეთილ, ჭკვიან მოხუცებულ სოლომონას (**ნ. ლ ო მ.**).

**აუტკივარი თავის ატკივება** არასახათაბალო საქმის სახათაბა-ლოდ გახდა, (თავისი) თავის ცუდ მდგომარეობაში ჩაყენება. დიდე-ბულმა... მიბრძანა: „რათ იტკინე აუტკივარი თავი და ან ჩვენ რათ შეგვაწუხე-თო“ (ა კ ა კ ი). რა გინდა, ძმავ, აუტკივარ თავს რაზე იტკივებ ძალათი? (ა. ც ა გ ა რ.).

**აფრის აშვება** დაურიდებლად მოქცევა, აწყვეტა. — მე ჩემთვის არა ვლოცულობ... და თქვენთვის სად ვილოცებდი! — უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქერივმა... — ჰა, აფრა არ აუშვა შენებურად,—უთხრა ღიმილით ქალმა (**ი ლ ი ა.**).

**აქილევსის ქუსლი** ვისიმე (ან რისამე) სუსტი მხარე, სუსტი ად-გილი. (ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, უდიდესი გმირის — აქილევსის — ერთადერთი სუსტი ადგილი იყო ქუსლი, ხოლო მისი სხეულის სხვა ნაწილები ყოველგვარი მახვილისათვის უძლეველი იყო).

**ალგვა პირისაგან მიწისა** იხ. მიწის პირიდან ალგვა.

**ალდგომის გათენება** იხ. ალდგომის დღის მოსვლა. გამობრუნდება თალიკოს ბედი და ჩვენც აღდგომა გაგვითენდება (ა კ ა კ ი). იმ **ხანებში მამაჩე-მი** კახეთს წავიდა ერთის კვირით. ეფრემს აღდგომა გაუთენდა: **დრო დარჩა**, **მამაჩემის** თოფი ეტარებინა თან, საქონელში (**ვ ა ჟ ა**).

**აღდგომის დღის მოსვლა** ძლიერ გახარება, აღფრთოვანება, შვების გრძნობა (რაიმე შეთხვევის გამო). (ძველად აღდგომის რელიგიური დღესასწაულის მოსვლა მრავალმხრივ სასიხარულო იყო: მთავრდებოდა დიდმარხვა, დგებოდა ზეიმის დღე, მოდიოდა გაზაფხული). ...მინამ მწყერია, ანადირებენ, როცა მოილევა, იმასაც აღდგომის დღე მოუვა ხოლმე (ი ლ ი ა).

**აღვირის ამოღება** შეზღუდვა, დამორჩილება. (არსენა) შეტოკდა კიდევაც, მაგრამ უმალვე აღვირი ამოიდო, ღრმად ამოიხვნეშა, რამდენჯერმე მოინაცვლა ფეხი და კედელს ისევ კედელივით მიეყრდნო (მ. ჯ ა ვ ა ხ.). იმ თავგასულ კაცს აღვირი ამოსდეს და დაიმორჩილეს (თ. ს ა ხ .).

**აღვირის აშვება** თვითნებურად მოქმედების დაწყება, გათავხედება, თავის აშვება.

**აღვირის მიშვება** თავისუფლად, შეუზღუდველად მოქმედების უფლების მიცემა. ...აქ აღვირის მიშვება და სადავეს მიგდება — კარის გაღება იმ ერთგვარი უწმინდურებისათვის, რომელსაც „შანტაჟს“ ეძახიან... (ი ლ ი ა). ლუარსაბიც დათვრა, მიუშვა აღვირი ღვინისაგან მოდუნებულს ენასა და მოჰყვა უგზო-უკვლო ტიტინს (ი ლ ი ა).

**აღვირის წამოყრა** იხ. თავის აშვება. აგე, ბატონებო, წამოიყარა აღვირი და ახლა შენი მტერი (ი ლ ი ა).

**აღვირის წახსნა** იხ. თავის აშვება. როცა იერემია მათ ოჯახში შევიდა, სულ აღვირი წაიხსნეს დედა-შვილმა (გ. წ ე რ ე თ .).

**აშას კვრა** ცივი უარის თქმა, ხელაღებით უარყოფა. **(აშა, ჰაშა** უარი).ამ ბატონს ჰგონია, ვითომც კრიტიკა მარტო აშას კვრაა ანუ სალდათური „ატკაზი“ (ი ლ ი ა). ...ახლა შენ იანგარიშე! ერთმა გიჟმა კნიაზმა აშა მკრას ას თუმანზე!... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ახალი ამერიკის აღმოჩენა** იხ. ამერიკის აღმოჩენა.

**ახლად დაბადება** იხ. მეორედ დაბადება. კაჭკაჭი შორიახლოდან სეირს უყურებდა. სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა... ახლად დაიბადა (ვ ა ჟ ა).

# ბ

**ბაბილონის გოდოლის აშენება** ღრიანცელი, უაზრო ხმაური, არევ-დარევა, უთავბოლობა. (ბიბლიური ლეგენდის მიხედვით, ბაბილონის ძლიერი სამეფოს შემქმნელმა ვინმე ნიმროდმა, **მთელ** ქვე-

ყანაზე გაბატონების მიზნით, დაიწყო გოდოლის ანუ მაღალი კოშკის აშენება, რომელიც ცას უნდა მიბჯენოდა. ნიმროდის თავხედობით განრისხებულმა ღმერთმა გოდოლის უამრავ მშენებელს აურია საერთო ენა — თითოეული მათგანი სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა და, ამდენად, მოუსპო ურთიერთგაგებინების საშუალება. ამან გამოიწვია უთავბოლობა, არევ-დარევა და მშენებლობის ჩაშლა. ამ ლეგენდას უკავშირდება აღნიშნული იდიომი). ...ერთსა და იმავე დროს ბავშვმა უნდა გაიკვეთოს ქართული ასოები, რუსული ასოები; ისწავლოს მათი გამოხატვა, მათგან მარცვლების, სიტყვების და ფრაზების შედგენა... საწყალო ბავშვებო! თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის აშენებაში სრული გონება კიდევ შეგრჩათ, ბარაქალა თქვენის ბუნების ძლიერებას (ი ლ ი ა).

**ბაგის გახლეჩა** გაცინება, გაღიმება. რა უხდება სიცილი ჩემ თინანოს! ...ის რომ ბაგეს გახლეჩდა, ისე მინათდებოდა გული, თითქო ზინეთით სავსე ზანდუკი ავხადე-მეთქი (ვ. ბ ა რ ნ.).

**ბადეში გაბმა** გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნა, ვისიმე ხრიკების მსხვერპლად გახდომა, მახეში გაბმა. კაი ბადე დაუგეს ლუარსაბსა და კარგადაც გააბეს (ი ლ ი ა).

**ბადეში გახვევა** იხ. ბადეში გაბმა. არა თუ გლეხი, ძნელად გადარჩა მებატონეცა, რომ ჩემი მოვალე არ ყოფილიყო; ჩემს ბადეში გაეხვივნენ ფრიად მრავალნი (ლ. ა რ დ ა ზ.).

**ბადის გაბმა** იხ. მახის დაგება. ამ-გვარის დამქაშების შემწეობით ბნ-ს კატკოვს დიდი ბადე აქვს გაბმული რუსეთის სანაპირო ქვეყნებში (ი ლ ი ა).

**ბადის დაგება** იხ. მახის დაგება. კაი ბადე დაუგეს ლუარსაბსა და კარგადაც გააბეს (ი ლ ი ა).

**ბაი-ბუად არ იგდებს** იხ. ბაი-ბურად არ აგდებს. ყველა შეუშინებია... სუსხსა, მხოლოდ ბაი-ბუადაც არ იგდებს ფითრი (თ. რ ა ზ ი კ.).

**ბაი-ბუად არ ივლებს** იხ. ბაი-ბურად არ აგდებს. გოგა ბაი-ბუად არ ივლებდა მშობლების დარიგებას და მუქარას (ვ ა ჟ ა).

**ბაი-ბურად არ აგდებს** არაფრად აგდებს, ყურსაც არ იბერტყავს, ყურადღებას არ აქცევს. (ხარს ქვეყანა) ცალ რქაზე ჰქონდა დაყრდნობილი და ბაი-ბურადაც არ აგდებდაო (ხ ა ლ ხ.).

**ბალის დაკვრა** დადასტურება, კვერის დაკვრა. ყეინმა „ბალი“ დაუკრა (ვ ა ჟ ა).

**ბალნის აშვება** გაბრაზება, გულის მოსვლა, აგრესიულად განწყობა. საფრანგეთმა თუმცა მაშინ ბალანი აუშვა, მაგრამ ბისმარკმა მოატყუა (ი ლ ი ა).

**ბანის მიცემა** აყოლა, გამოხმაურება; დადასტურება, დათანხმება. მჭევრმეტყველებამ გაიტაცა, გადაიყოლა ზოგიერთები სხვებიც და დირექტორმაც ბანი მისცა (ა კ ა კ ი). დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვიღაც კორესპონდენტმა ... კატკოვმაც ბანი მისცა (ი ლ ი ა).

**ბარგის აკვრა** წასვლა, აყრა, სამყოფი ადგილის დატოვება. ბახვა ფულავას მფარველმა ინჟინერმა ბარგი აიკრა და ცოლ-შვილიანად ქ. თფილისს გადაესახლა (გ. წ ე რ ე თ.). თუ ასე კარგა წავიდა ჩემი საქმე, ნაჩალიკი ბრუსულოვი ადრე აიკრებს ბარგს და გეიპარვის ... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ბდღვირის ადენა** განადგურება, გაცამტვერება; ცემა, ზურგზე ბოლის ადენა. ... (ქორი) მუქარას უთვლიდა მამალს: „მოიცა, მამალო, თუ შენი ჯავრი არ ამოვიყარო და ჩემებურად, ქორულად, ნაბუერი და ბდღვირი არ ავადინო, თუ შენი დეზები აქ, ამ ვერხვის ტოტზე არ ჩამოვკიდო!“ (ვ ა ჟ ა). ცის კამარა რისხვით და ქუშით უბღვერს მას: ან ბდღვირს ადენს გატიტვლებულ, უმწეო, უმცენარეო ეზოს, ან ნიაღვრით, ტალახ-თოვლ-ჭყაპით სულს უხუთავს და თავს აბეზრებს ადამიანს (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**ბედის გაღიმება** მოულოდნელად კარგი რამის შემთხვევა, ბედის წევა. ძმებო, ჩვენ, გლეხებს, აქამდე ერთი დიდებული კაციც არ გვყოლია, ახლა კი ბედმა გაგვიღიმა და გვარგუნა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). თავიდანვე სწამდა, რომ, რადგან დავითი ასე გაგიჟებით უყვარდა, სწორედ ამისათვის ბედი არ გაუღიმებდა (ა. ბ ე ლ.).

**ბედის გაშავება** გაუბედურება. საქართველოს განმტკიცებული ხმა ამ სასახლეში იჭედება მუდამ ... მუდამ? ჰოი, საყვარელო საქართველოვ! რამდენჯერ გაგშავებია აქვე შენი ბედი (შ. დ ა დ.).

**ბედის ვარსკვლავი** საყვარელი არსება; საქმრო, საცოლე. თუნდა ეპოვნა ის ნანგრევებში და გონების თვალით განეჭვრიტა, მაინც ვეღარ დაინახავდა იქ თავის ბედის ვარსკვლავს... (ვ. ბ ა რ ნ.).

**ბედის კარზე მოდგომა** ბედნიერი შემთხვევის მოსვლა. ... ბევრი აღება-დაღება აქ აღარაა საჭირო ... ბედი კარზედაა მომდგარი! ... კაცს, შენ არ მომიკვდე, სწორედ ვერ დამიწუნებ (დ. კ ლ დ.). ... ახლა ბედი კარს მოსდგომია, ორივე ხელით უნდა ჩაეკიდოს და გაეკიდოს!.. (ო. ჩ ხ.).

**ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული** ბედნიერი, ცხოვრებაში ხელმომართული. სწორედ ბედნიერ ვარსკვლავზე იქნება დაბადებული ის ქალი, რომელიც ამ ვაჟკაცს შეხვდება (ვ. ბ ა რ ნ.).

**ბევრმა წყალმა ჩაიარა (რისამე შემდეგ)** დიდი დრო გავიდა (რისამე შემდეგ). მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ კარგი წაგვართვა და თან წაიყოლა (ი ლ ი ა). ახალგაზრდობის დროს ... სამსონი ჯირკთან რომ მიგეყვანათ, იმასაც კი ეტყოდა სიტყვას, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა (ა. ბ ე ლ.).

**ბერაში გატარება** დამარცხება, დაშინება; შერცხვენა. (**ბერა** ხალხის მიერ ამართული და გადაჯვარედინებული საბრძოლო იარაღი (ხმალი, შუბი ...), რომლის ქვეშაც დამარცხებულ, ტყვედ ჩაგდებულ მტერს ატარებდნენ ხოლმე). ყველა ჩვენს მჭამელ-მცარცველსა ბერაში გაატარებენ (ბ ა ჩ.).

**ბეწვზე ჰკიდია** საფრთხეშია, განსაცდელშია. ისეთი ფერი და სისუსტე ეტყობოდა, თითქოს იმისი სიცოცხლე ბეწვზედა ჰკიდიაო (ი ლ ი ა). ჩვენ ორის სიცოცხლე წუხელ ბეწვზე ეკიდა და სხვაი შენ იცი ... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ბეწვის ხიდზე გავლა** საფრთხის, განსაცდელის გამოვლა. ძნელი დასაწყისი სწავლა-წვრთნისა ერთს დღეს მომიხერხდა: მე და ბავშვი დავმეგობრდით. ბეწვის ხიდი გავიარე (ი ლ ი ა).

**ბეჭდის დასმა** კვალის დაჩნევა, დაღის დასმა. მაგრამ ნამეტან გულკეთილობასთან შეერთებულ გულფიცხობას სულ სხვა ბეჭედი დაესვა (მამაჩემისთვის) და, თუ დედაჩემი არ ყოფილიყო; ოჯახში ყველაფერი არეულ-დარეული იქნებოდა (ა კ ა კ ი).

**ბიაბრუდ გახდა** შერცხვენა, შეურაცხყოფა, გაბიაბრუება. (სპარს. **ბ ī პ ბ რ ū** უპირისწყლო, უსინდისო). გზაზე ლაშქარს ბევრი **მ**ეომარი ემატებოდა. გუშინ რომ ბიაბრუდ გახადა კაჭკაჭი, ის ძერაც აქ მოაფრატუნებდა მხრებსა, ფეხის ხმას აჰყვა ისიც (ვ ა ჟ ა).

**ბიძაშვილების მოსვლა** ძილის მოკიდება.

**ბნელეთის მოციქული** რეაქციული, შავბნელი პიროვნება.

**ბნელეთის ქურუმი** იხ. ბნელეთის მოციქული. ბნელეთის ქურუმო, განვედ! (ვ ა ჟ ა).

**ბოლთის კვრა** იხ. ბოლთის ცემა. ჩიბუხის წევით ბოლთასა ჰკრავდა (ი ლ ი ა).

**ბოლთის ცემა** მცირე მანძილზე წინ და უკან სიარული (მეტწილად დაფიქრებული ან გაბრაზებული). დავიწყეთ უკან ხელები და მოვყევით ბოლთის ცემას, თან ცხვირში უსიამოვნოდ ვფრუტუნებდით (ვ ა ჟ ა). დიამბეგმა, რომელიც ბოლთასა სცემდა და რაღაცა მღელვარებით მოელოდა ქალის მოყვანას, ერთბაშად გაიღიმა... (ა. ყ ა ზ ბ.).

**ბოლოს მოღება** მოსპობა, განადგურება; მოკვლა; დამთავრება, დასრულება; შეწყვეტა. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო (ი ლ ი ა). მტრის მიმოფანტულ ნაწილებს ადვილად მოუღეს ბოლო (ა. ბ ე ლ.). სპირიდონმა მიაგება მეორე ტყვია, მიაყოლა მესამეც და მოუღო ბოლო (ე. ნ ი ნ ო შ.). (შუამავალი) ბლომად იღებდა ფეხის ქირასა, მაგრამ ეს იყო კარგი, რომ რაკი იკისრებდა საქმეს, ბოლოსაც მოუღებდა (ი ლ ი ა). მე და შენს პირადულ კინკლაობას ჯერჯერობით ბოლო უნდა მოეღოს, გაიგე? (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ბრის (გ)ადენა** მოსპობა, აწიოკება, შავი დღის დაყრა. **(ბრე მტვერი ბზე-ნარევი — საბა).** ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ — (მან) კაი საქმე იმათ დააწია. მიჰყო პირი და ბრე გაადინა (ი ლ ი ა).

**ბრმა იარაღი** ვისიმე ნებასურვილის (ჩვეულებრივ, არაკეთილსინდისიერისა) შეუგნებლად აღმსრულებელი. მელქისედეკი ამჯერად ბრმა იარაღი იყო მეფისა და სპასალარის ხელში (კ. გ ა მ ს.).

**ბუზანკლის შეძრომა** ახირებულად მოქცევა, მოულოდნელად წყენა, გულის მოსვლა; აწრიალება. ...მე ისევ თქვენკენ გამოვიწიე, მაგრამ არ გამომიშვა, ახლა პოლიტიკაში უნდა ჩავება და ძალიან დამჭირდება შენისთანა კაციო... ერთის სიტყვით, რაღაც ბუზანკალი შეუძვრა და მეც ამიყოლია ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ბუზების თვლა (ჭერში)** უსაქმურობა, უქნარობა, გულხელდაკრეფილი ყოფნა. ... როცა შვილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს..., ხელსაც არ გავძრავთ, თუნდა მთელი დღე იმოდენად მოცლილი ვიყვნეთ, რომ გულაღმა ვიწვეთ და ჭერში ბუზებსა ვთვლიდეთ (ი ლ ი ა).

**ბუზიც არ აფრენია** ცუდი არაფერი მოსვლია, დამშვიდებულად არის. დავმშვიდდით, დავწყნარდით, თითქოს ბუზიც არ აგვფრენოდა (ვ ა ჟ ა). დედოფალს ხომ არაფერი შეამჩნევიე? — აჰ, ისე მეჭირა თავი, თითქო ბუზიც არ ამფრენოდეს (ბ ა ნ.).

**ბუზსაც ვერ აუფრენს** ვერას უზამს, ვერაფერს დააკლებს, თითსაც ვერ დააკარებს. მე თქვენი ლაპარაკისა არა ვიცი რა... — სთქვა ამაყად სოსიკა ბიჭმა. — ჩემი ძროხა აი ბოსელშია და, აბა, ვინც კაცი ხართ და ერთ ბუზს აუფრენთ იმასა (ნ. ლ ო მ.). ვერც გაგვანიორწყლებენ და ვერც ბუზს აგვიფრენენ... მთელ სოფელს რას გვიზამენ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ბურთის გატანა** იხ. ლელოს გატანა. ეს პირველი შემთხვევაა ჩვენში ქალების მხრივ თავისის საკუთარის ძალღონით ბურთის გატანისა ცხოვრების მოედნიდან (ი ლ ი ა).

**ბურთისა და მოედნის დარჩენა** გამარჯვება, მდგომარეობის სრულ ბატონ-პატრონად გახდომა, სამოქმედო ასპარეზის დარჩენა.

(ლუარსაბი) თრთის ცალკე შიშისაგან, ცალკე ჯავრისაგან, რომ დავითსა რჩება ბურთი და მოედანი (ი ლ ი ა). ... ძველ დროში ... ბურთი და მოედანი იმას რჩებოდა, ვინც უფრო ხელღონიერი იყო ... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ბუქსირზე აყვანა** ჩამორჩენილის დახმარება. მერე ამ გოგოებს გინდა ატრაბახებინო, რეზო ჩვენ ავიყვანეთ „ბუქსირზეო?" (ა. ბ ე ლ.). ის ჭიათურელია და ეს საქმე კარგად იცის. თქვენ ესენი აიყვანეთ ბუქსირზე (ა. ბ ე ლ.).

# გ

**გამოსავლის მონახვა** მდგომარეობაში გარკვევა, მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა. — მაშ რა უნდა ქნათ? გამოსავალი ხომ უნდა ნახოთ ... ხომ უნდა გამონახოთ ეპოქასთან საერთო ენა (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**განკითხვის დღის დადგომა** შავი დღის, დანაშაულზე პასუხისგების დროის დადგომა. ჩვენი კლასიდანაც, განკითხვის დღე რომ დადგა (ასე ვეძახოდით საზოგადოდ მაქსიმოვიჩის ეგზამენებს), სამი მოწაფე აიყვანეს და ჩაასვენეს თორნეში (ა კ ა კ ი).

**განკითხვის დღის მოსვლა** იხ. განკითხვის დღის დადგომა. ვარსკვლავთ გუნდს ვერ მოსძებნი; ძირს მიწაც მიჩუმებულია, თითქოს უცდის მოწყენილი, როდის მოვა განკითხვის დღე და ფიქრობს, როგორ მოვიქცეო (ნ. ლ ო რ თ ქ.). — მოვიდა განკითხვის დღე, ზაალის წიწილო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**განკითხვის ჟამის მოსვლა** იხ. განკითხვის დღის დადგომა. მოვიდა ჟამი განკითხვისა და მშველელი კი არსად იყო ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გველის ქერქში გაძრომა** იხ. გველის ხვრელში გაძრომა. ათასი თავი ქვას ახალე, გველის ქერქში გაძვერი, თუ უბედური ხარ, უბედურად ჩაძაღლდები! (ა. ც ა გ ა რ.).

**გველის ხვრელში გაძრომა** მიზნის (უმთავრესად სამარცხვინოს, ბოროტის) მისაღწევად ყოველი ღონის ხმარება. რაც უნდა ძნელი საშოვარი იყოს, გველის ხვრელში გაძვრება და იშოვნის (იერემია) ... ძალადობა ფარად არ მიაჩნია (გ. წ ე რ ე თ.).

**გვერდებში გაჯდომა (რისამე)** რისამე (აზრის, გრძნობის...) შეჩვევა, შეგუება, მოწონება, გატკბობა. აუფართხალდა ლუარსაბს გული, გაუჯდა გვერდებში და დღე-მუდამ საამურად ულიტნებდა, მაგრამ არ იცოდა — როგორ მოეხდინა საქმე (ი ლ ი ა).

**გვერდის ავლა** უყურადღებოდ დატოვება, ანგარიშის გაუწევლობა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ჯერ კიდევ ამ ორგანიზაციას რევოლუციური ავტორიტეტი ჰქონდა შერჩენილი და მისი გვერდის ავლა არ შეიძლებოდა (ლ. ქ ი ა ჩ.). ამ საკითხს კაცი გვერდს ვერ აუვლის (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**გვერდის აქცევა** იხ. გვერდის ავლა. თუ (სკოლებმა) თავის დანიშნულებას გვერდი არ აუქციეს ..., გამრავლდება... მუშაკი ლიტერატურისა (ი ლ ი ა). უმრავლესობა ჩვეულებრივი გულცივობით უქცევდა გვერდს, მაგრამ გამოერეოდა ხანდახან ისეთიც, რომ ერთ ან ორ კაპეიკს აძლევდა ამ მათხოვარს (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გვერდის ახვევა** იხ. გვერდის ავლა. ამ საკითხს ვერავინ გვერდს ვერ აუხვევს (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.). სათქმელს გვერდი ავუხვიე (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გვერდის დამშვენება** იხ. მხარის დამშვენება. (დესპინე) მოდი აქ, გენაცვალე, გვერდი დაუმშვენე ამ ჩემს მეგობარს! (შ. დ ა დ.).

**გვერდში (გვერდით) ამოდგომა** იხ. მხარში ამოდგომა. ვინც გვერდით ამომიდგება, გინდა მტერი იყოს, გინდ მოყვარე, ჩემიანად მიმაჩნია (ა კ ა კ ი).

**გვერდში (გვერდით) ამოყენება (ვისიმე)** მუდმივ დამხმარედ, თანამებრძოლად გახდა (ვისიმე). ვეღარ შეძლო ამ დროულმა კაცმა მძიმე უღლის წევა და უფროსი შვილი ამოიყენა გვერდში (ე. ნ ი ნ ო შ.). ... არლოვმა უამისობას ვეღარ გაუძლო და ისევ გვერდით ამოიყენა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გზაზე დადგომა** გარკვეული გეზის აღება ამა თუ იმ საქმის შესასრულებლად. ნეტავი ამ საქებურ გზას დასდგომოდა აქამდინაც და მოკლედ მოეჭრა, რაც სათქმელი ჰქონდა (ი ლ ი ა).

**გზაზე დაყენება (ვისიმე)** გზის გაკაფვა, გეზის მიცემა, დახმარების გაწევა. ... მაშინ მოდი ჩემთან, მე დაგაყენებ გზაზედ ... (ა კ ა კ ი). რამდენჯერ გავაპირე შენთან მოსვლა ... რჩევა მეკითხა შენთვის ... გზაზე დაგეყენებიე ... (დ. კ ლ დ.).

**გზა-კვალის აბნევა** დაბნევა, სწორი გზიდან აცდენა, თავგზის აბნევა. ... მაიორისა და სუმბათაშვილის აქ ყოფნა ეწყინა (ბერს), ხოლო ჯარის ამოსვლამ სულ დააფრთხო და გზა-კვალი აუბნია (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გზა-კვალის არევა** იხ. გზა-კვალის აბნევა. ... შეთქმულებაში ურევია ელიზბარ ერისთავის სიძე პოლიცმეისტერი მელნიკოვი, რომელიც საქალაქო პოლიციას გადმოიბირებს, ან გზა-კვალს აურევს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გზას გადაცდენა** სწორი გზიდან აცდენა; მოტყუება. რაკი ერთი გზას გადასცდა, ცუდად წაუვიდა საქმე (თ. ს ა ხ .).

**გზ(ებ)ის მოჭრა** შებოჭვა, თავისუფლად მოქმედების საშუალების შეზღუდვა. მაშ რა უნდა მექნა, რა? არაფერი. დავა გათავებული იყო. გზები მოჭრილი მქონდა. ბრძოლა წავაგე (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გზიდან ჩამოცილება (ვისიმე)** თავიდან მოცილება, ჩამოშორება (ვისიმე). ფიალა მოთმინებისა აივსო, — უთხრა ერთხელ ზაქარამ **თავის მოაზრეებსა**, — უნდა გზიდან ჩამოვიცილოთ ბატონი ესტატე და მოურავი სოსიკა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**გზის გაკაფვა** დაბრკოლებათა გადალახვა, წინსვლის პირობების შექმნა, გზის გაკვლევა. ... არ მინდა ხელში ჩავუვარდე მტერს იმ დრომდე, მინამ არ შევასრულებ ჩემი გულის წადილსა, მინამ სრულიად არ **გავუკაფავ** სოფელს გზასა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**გზის გაკვლევა** იხ. გზის გაკაფვა. ის ბიძა დამეკარგა, როსტომმა კი გზა გაიკვლია და დიდ კაცად გადაიქცა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გზის გამრუდება** სწორი გზიდან აცდენა, ცუდ გზაზე დაყენება. შენთვის მომიბარებია ჩემი უცოდველი თამრო ... ნუ **გაუმრუდებ გზას**! (ი ლ ი ა).

**გზის განათება** გეზის, მიმართულების მიცემა, გზის გაკვლევა. საცა უნდა წავსულიყავი, ყოველთვის იმის ტკბილი ღიმილი მინათებდა გზას (ე. გ ა ბ.).

**გზის გაწალდვა** იხ. გზის გაკაფვა. ... დღეს ჩემთვის თავი უნდა გადასდო და შენებურად გზა გამიწალდო (გ. ა ბ ა შ.).

**გზის გახსნა** გასაქანის მიცემა, რისამე (მოქმედების, წინსვლა-განვითარების...) შესაძლებლობის შექმნა. უბედურება რომელიმე ერისა ... ისიც არის, როცა ერთგვარს ბეზღობას ... ფართო გზა გაეხსნება და აღებ-მიცემობის საგნად გახდება (ი ლ ი ა). ნამსახურს ჯილდო მიეცეს, მაშინ მეფის გზა **ხსნილია** (რ. ე რ ი ს თ.).

**გზის დახლართვა** გზა-კვალის არევა, დაბნევა. და როგორც ერთ დროს ბედის მადლიერს, გზა დამიხლართა ბედისწერამ! (ი ლ ი ა).

**გზის დახშობა** დაბრკოლებათა შექმნა, მოქმედების (განვითარების...) საშუალების მოსპობა. ...ჩემი გულისათვის შვილს **გზას** არ **დავუხშავ**, როგორც ჰსურს..., ისე წაიყვანოს თავისი ცხოვრება (ე. ნ ი ნ ო შ.). ყოველივე ეს... ჩუსტუზიანს გზას უხშობდა (შ. დ ა დ.).

**გზის მანათობელი ვარსკვლავი** დამხმარე, გზის მაჩვენებელი, გეზის მიმცემი, კეთილისმყოფელი.

**გზის შეკვრა** იხ. გზის დახშობა. ... ერს რომ გზა შეუკრან წარმატებისა..., არავისთვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი (ი ლ ი ა).

**გლეჯა მოადინა (სადმე)** უცებ თავი ამოყო (სადმე). ბომბდამშენით გლეჯა მოვადინე თბილისში (ა. ბ ე ლ.).

**გოლგოთას შედგომა** ტანჯვა-წამების, მძიმე ცხოვრების გზის დაწყება. (**გოლგოთა** მთა პალესტინაში, რომელზედაც, სახარების მიხედვით, თითქოს ჯვარს აცვეს იესო ქრისტე). წიგნების გაყიდვის ჯერი რომ მოვიდა, თეიმურაზმა მხოლოდ მაშინ იგრძნო და გაიგო, რომ იგი კარგა ხანია შეუდგა თავის გოლგოთას, რომლის მწვერვალი, შავი ნისლით დაბურული, ჯერ არც კი მოჩანდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გონების ამღვრევა** აღელვება, აღშფოთება, შავ ფიქრებში გახვევა. ... ამისთანა ფიქრებისაგან თანდათან უფრო შეეჭმუხნა სახე ბახვა ფულავას; მისი გონება აიმღვრა, შავი სისხლი თვალებში ჩამოაწვა და ახლო რომ შეეხედა ბახვასათვის კაცს, ასე იტყოდა, ან ვინმე მახლობელი უნდა მოკვდომოდეს, ან დიდი რამ ბოროტება უნდა ექნასო (გ. წ ე რ ე თ.).

**გონების დაკარგვა** დაბნევა, არევა, თავგზის აბნევა. წინდაწინვე დამფრთხალ ყმაწვილებს გონება ეკარგებოდათ (ა კ ა კ ი).

**გონს მოგება** იხ. გონს მოსვლა. ეტყობოდა გონს მოეგო (ლ. ქ ი ა ჩ.).

**გონს მოსვლა** ჭკუაზე მოსვლა, მიხვედრა (რისამე), გამორკვევა; გრძნობაზე მოსვლა, ცნობიერების დაბრუნება. ამასობაში ტარიელის ამხანაგთაგანი მოვიდა გონს და ამშვიდებდნენ ამხანაგს (ე. ნ ი ნ ო შ.). ... სანამ აქამდე დაფეთებული მცხოვრებლები გონს მოვიდოდნენ, მთელი ქუჩა გაივსო მანქანებით (ა. ბ ე ლ.).

**გრძელი დღე არა აქვს** დიდხანს ვერ იცოცხლებს, მალე მოკვდება. დაიმახსოვრეთ, ნოშრევან ფარჯანიანს გრძელი დღე არა აქვს (კ. გ ა მ ს.).

**გრძელი ენა აქვს** ზედმეტი ლაპარაკი იცის, ყბედია, ენატარტალაა. — გრძელი ენა გაქვს, არსენ, გირჩევ დაიმოკლო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გუდა-ნაბადის აკვრა** აბარგება, სამყოფელი ადგილის დატოვება, სხვაგან წასვლა. არა სჯობს, ავიკრათ გუდა-ნაბადი და წავიდეთ აქედან? (ა. ბ ე ლ.). იგი ტაიგას ხმამაღლა ამცნობს, მალე აიკრას გუდა-ნაბადი, ტაიგა ჰკითხავს: „კეთილო კაცო, საით წავიდე?“ (ხ. ბ ე რ.).

**გუდა-ნაბადის აკრეფა** იხ. გუდა-ნაბადის აკვრა. რაც გითხარით, დაიხსომეთ და გუდა-ნაბაში აიკრიფეთ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გუდას პირი მოხსნა** გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა დაიწყო. ავი საქციელის მდევნელი, ზრდილობიანი ... კაცი რისთვის აღიძვრის ხოლმე დევნად? იმისთვის ხომ არა, რომ, ზოგიერთებსავით, სიხარულით ქუდი ჰერს ჰკრას, აცა, ჩემ საქმეს ძლივს ცუდი ვუპოვნეო და ძლივს ჩემს ლანძღვით სავსე გუდას პირს მოვუხსნიო (ი ლ ი ა).

**გუდის მოშვება** გაუთავებელი ლაპარაკის, ყბედობის დაწყება. გაბომ მოუშვა გუდას და პახტასავით დააყარა, უამბო თავგადასავალი (ს. შ ა ნ შ.).

**გულზე არ ახატია (ვინმე)** არ უყვარს, არ მოსწონს (ვინმე). თავადიშვილს მე არასოდეს გულზე არ ვეხატე, მამის შვილი არაა? (უ ი ა რ.).

**გულზე გადაგდება (რისამე)** დავიწყება (რისამე). ...არ იქნა, ვერ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა (ა კ ა კ ი).

**გულზე გადაყრა** დავიწყება (რაიმე ცუდი განცდისა), დამშვიდება, გართობა (რაიმე ცუდი განცდის შემდეგ). — გაიოზ, ღვინო დავლიოთ, — წამოიძახა მან უცებ, — იქნებ გულზე გადამეყაროს, ან იქნებ ნებისყოფა მომემატოს (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**გულზე გასკდომა** ძალიან გაჯავრება, გაბრაზება, გამწარება ... რავა გულზე არ გავსკდე: დილას აქეთ ამ სიცხეში აქ ვუცდი და ჯერ სამართალი არ გვეღირსა (ა კ ა კ ი). — ვინ იყო და ძაან კაი ბიჭი! ოქრომჭედელია ... ბებიამ მითხრა, იმას მიგცემო ... იი, გასკდი გულზე! (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**გულზე გახეთქა (ვისიმე)** ძალიან გაჯავრება, გაბრაზება, გამწარება, შეშინება (ვისიმე). ... ხან კიდევ ასეთს თავხედ მოციქულებს უგზავნის და აბრაზებს, გულზე ხეთქავს თავის სისხლხორცს (შ. დ ა დ.). ... სხვა რომ არაფერი, სახლიკაცების ცოლები უნდა დახეთქო გულზე, ტოლად არ უნდა იკადრო არც ერთი (ბ ა ნ .).

**გულზე გველმა უკბინა** გამწარდა, უცებ რისამე გამო შეშფოთდა. იგი თანდათან ჩამოშორდა მეუღლეს, სიყვარული გახუნდა მათ შორის და მიჭკნა. დედოფალს გველმა უკბინა გულზე (ვ. ბ ა რ ნ.).

**გულზე დაჭდევა (რისამე)** კარგად, საფუძვლიანად დახსომება, გულში ჩაჭედვა (რისამე). იმას წყლული, გვიან გაუმთელდება, თუ გაუმთელდება, წყლულისაგან ტკივილები ისევ ახსოვს, გულზე აქვს დაჭდეული (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ჩემი ნათქვამი გულზე კარგად დაიჭდიე! (თ. ს ა ხ.).

**გულზე ვარდის გადაფენა** გახარება, აღფრთოვანება, სიამოვნების განცდა. ეთერსაც იმის დანახვაზე გულს ვარდი გადაეფინა და ისეთის სიამოვნებით მიიღო ახალგაზრდა, თითქო სწორედ იმას ელოდაო (ვ. ბ ა რ ნ.).

**გულზე კბენა** გულის ტკენა, შეწუხება, წყენა. მაშინ მე ეს არ მესმოდა, რასაკვირველია, მაგრამ გულზე-კი რაღაც უნებურად მკბენდა და მეჯავრებოდა „ქორობია“ (ა კ ა კ ი). ლიზა... ურიგობად თვლიდა ხმის ამოღებას, თუმცაღა კი გულზე კბენდა ეს მწარე დაცინვა (ე. ნ ი ნ ო შ.). დატრიალდა ბატონი, დაპროწიალდა სოსიკა. ჯორ-ზაქარას გულზე რაღაცამ უკბინა: აშოდენა ზღვა სტუმრებს ... მთელი სოფლის ხბო-გოჭები და ქათამ-ინდაურები მოუნდებაო (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**გულზე ლოდის დაწოლა** დადარდიანება, დაღონება, შეწუხება, სულის შეხუთვა. მას აქეთ დააწვა რაღაც ლოდი გულზედ და ვეღარ აუხსნია (ი ლ ი ა). აწ აღარ მაწევს გულზე ლოდიო! (ა კ ა კ ი),

**გულზე მალამოს მოცხება** დამშვიდება, სიამოვნების განცდა. ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, მალამო მოსცხეს მის გაფხცხებულ გულს... (გ. წ ე რ ე თ.).

**გულზე მოსვლა** გაჯავრება, გაბრაზება, გულის მოსვლა. მოდით და გულზე ნუ მოხვალთ ამისთანა თავგასულ და შეუნანებელ საქციელისაგან! (ი ლ ი ა). — ნუ შვრები, მოურავო, თორემ სისხლი დაიქცევა! — შეჰკივლა ახლა კი გულზე მოსულმა მარინემ (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**გულზე მოშვება** იხ. გულს მოშვება. ციოყს სახე გაუნათლდა. გულზე მოეშვა. თან გაუკვირდა — საიდან ახსოვს ჩემი დის სახელიო ... (შ. დ ა დ.). ჯურიმ ამოიოხრა, თითქო გულზე მოეშვაო და ღიმილითვე მიუბრუნდა ძმას ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**გულზე მოხვედრა (რისამე)** მკვეთრად განცდა, გულთან ახლოს მიტანა (რისამე). მართლაც, დრამა „სამშობლო“ მეტად მოხვდა გულზე ჩვენს ხალხს (ა კ ა კ ი). ეს სიტყვები მამა ონოფრეს გულზე მოხვდა (ბ ა ნ.).

**გულზე მძიმე ლოდად დაწოლა** იხ. გულზე ლოდის დაწოლა. ეს მარტოობა და ობლობა გულზე მძიმე ლოდად დააწვა: სულს უხუთავდა, გულს უღრღნიდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულზე მძიმე ლოდის დაწოლა** იხ. გულზე ლოდის დაწოლა. აშკარად ჩანდა, რომ (მზაღვეს) რაღაცა მძიმე ლოდი აწვა გულზე (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულზე ნისლის (შე)მოწოლა** დადარდიანება, დანაღვლიანება, შეწუხება. დაუკარ, ჩემო ჩონგურო, გულს ნისლი შემომწოლია (ხ ა ლ ხ.).

**გულზე სისხლის მონთხევა** აღელვება, აღშფოთება, გაჯავრება. ერისთავს გულზე სისხლი მოენთხა და ჰკითხა: — მიცნობ, მე ვინცა ვარ? (ა კ ა კ ი).

**გულზე შემონთება** შეწუხება, აღელვება, გაბრაზება. ...თამარის დარდი გულზე შემონთებოდა არზაყანს... (კ. გ ა მ ს.). არზაყანს **გულზე** შემოენთო ამ სიტყვების გამგონეს (კ. გ ა მ ს.).

**გულზე შემოყრა** იხ. გულს შემოყრა. ბაბუა ტარიელს გულზე შემოეყარა, „ჩემმა თვალმა არ დაგინახოსო“, მიაძახა და იქვე წაიქცა მღვდელი (კ. გ ა მ ს.).

**გულზე ჩქმეტა** შეწუხება, გულზე კბენა. ...ეჭვებმა ძალიან დამაბნია, ბევრს უმართებულოდაც ვფიქრობ, ალბათ, მაგრამ დასწყევლოს ღმერთმა, რაღაც გულს მაინც ჩქმეტავს (ბ ა ნ.).

**გულზე ცეცხლის მოკიდება** გაბრაზება, გამწარება, დატანჯვა. ისე გველსავით გარისინდება და ჩაიწყვეტს ენას, რომ გულზე ცეცხლი მოგეკიდება კაცს ... (ე. ნ ი ნ ო შ.). თინას პირდაპირმა და გულუბრყვილო თხოვნამ მამის გულს ცეცხლი მოუკიდა და კვლავ აუშალა მინელებული დარდი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულზე ცეცხლის მოსვლა** იხ. გულზე ცეცხლის მოკიდება. დესპინეს სიკვდილის შემდეგ, მართლა ბევრჯერ მოსვლია სპირიდონს ცეცხლი გულზე და უთქვამს: „წავალ, მოვნახავ და მოვსთხოვ პასუხს ჩემს დამღუპველსო“ (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულზე ჭიის გადავლა** გულის მობრუნება, გუნება-განწყობილების შეცვლა (ცუდისა კარგად).

**გულზე ხატად დასვენება (ვისიმე, რისამე)** მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების საგნად გახდა, შეყვარება, დაფასება (ვისიმე, რისამე). ...საქართველოს ისტორია სახარებად გაიხადა, „სამშობლოს განთავისუფლების“ კულტი გულზე ხატად დაისვენა (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**გულზე ხელ(ებ)ის დაკრეფა** უსაქმოდ ყოფნა, უმოქმედობა, სიზარმაცე. არც ქართველობამ დაიკრიფა გულზე ხელი. ქართველობის მოყვარულნიც ამასვე ცდილობენ (ი ლ ი ა). — ამდენი ხანია აქ ჩამოველით ხამივენი, სხვები საქმეს აკეთებენ და ჩვენ კი გულზე ხელი დაგვიკრეფია (შ. დ ა დ.).

**გულზე ხელის დადება** სიმართლის თქმა, მართლის აღიარება. აბა გულზე თავისი პატიოსანი ხელი დაიდოს და პასუხი ისე გვითხრას (ი ლ ი ა). არა, გულზე ხელი დაიდევი და მართალი თქვი (ა. ბ ე ლ.).

**გულზე ხელის კვრა** მიტოვება, გაგდება, უარის თქმა; დაწუნება. კაცი თვითონ პირიქით მოვიდა თავის ნებით, საქმე მოახთინა და ახლა გულზე ხელის კვრას მიპირობს (ე. ნ ი ნ ო შ).

**გულთან ახლოს მიტანა (რისამე)** განცდა (რისამე), თანაგრძნობის გაწევა, გულთბილად მოკიდება. კოლა ხესიაშვილს გულთან ახლოს სრულიადაც არ მიუტანია არც უფროსი შვილის მოკვლა და არც უმცროსის შეშლილობა (გ. ნ ა ხ უ ც რ).

**გულთან ახლოს მოშვება (რისამე)** იხ. გულთან ახლოს მიტანა (რისამე). ...თანაც ფიქრობდა: გულთან ახლოს მოეშვა თუ არა თარაშის სიტყვები? (კ. გ ა მ ს.).

**გული არ მისდის (ვინმეზე, რამეზე)** არ უნდა (რამე); არ მოსწონს, არ იზიდავს (ვინმე, რამე). ის დღეა და ის დღე, სხვა აღარავინ უნდომებია, გული აღარავისზედ მისვლია (ი ლ ი ა).

**გული არა აქვს** გულქვაა, უგულოა; გულგატეხილია, გული აქვს აცრუებული, ხალისი არა აქვს. ...იმათ რომ ცოტა კეთილი გული და მოაზრება ჰქონდესთ — მთელს ქვეყანას ხელში დაიჭერდნენ — კიდეც ეგ არის, რომ გული არა აქვსთ, — უპასუხა ერთმა ნაიბმა (ა. ყ ა ზ ბ.).

**გული ეთანაღრება** გულს აკლია, უკმაყოფილოა, გულნაკლულადაა. როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული დამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალყზედ შემიდგა, მაგრამ ხმა არ გავე, არ დავუშალე (ი ლ ი ა). — მეც გაგიტან, ძმაო არსენ, — მიუგო კახელმა, — ოღონდ გული მეთანაღრება, რომ ახლავე ვერ მოგდევ (მ. ჯ ა ვ ა ხ.). „ეს კიდევ რაღას ნიშნავსო?“ — ფიქრობდა რატი და გული ეთანაღრებოდა (შ. დ ა დ .).

**გული ემუნათება** სწყინს, უკმაყოფილოა. ... ლეჩხუმმა რაც იბრძოლა და რაც სისხლი დაღვარა, ჯერ იმის სამგლოვი ცრემლის დენა არ დაგვისრულებია და ახალ შებრძოლებას ვიფიქრებთ, ან გავბედავთ, ან შევკადრებთ? არა, ბატონო, მაგრამ ხალხს რომ ცოტა გული ემუნათება, ამას ვერ დაგიმალავ. — ჰო, რაო? რისთვის? რა ვაწყენიეთ?! (ბ ა ნ.).

**გული ერჩის** ძლიერია, გულადია, საბრძოლო განწყობილებაზეა. ალბათ თქვენც გეყოლებათ ბატონები და მდივანბეგები, და თუ გული გერჩით და ხმალიც გიჭრით, თქვენი ვაჟკაცობა ისევ იმათზე გამოიჩინეთ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.). „აბა აქ მოდით, თქვე ლაჩრებო, გული თუ გერჩით“, ფიქრობდა არზაყან (კ. გ ა მ ს.).

**გული ეუბნება** გრძნობს, წინათგრძნობა უკარნახებს. (ოქრუას) სოფონას მოსვლამდისაც გული თითქოს ეუბნებოდა, რომ იმ მოწმობის საქმეზე იქნება რამეო (ე. ნ ი ნ ო შ .).

**გული მისდის** გული უწუხს, გულზე ეყრება, გრძნობა ეკარგება. მამლებმა პირველად რომ იყივლეს, სული მიგუბდებოდა. მეორედ რომ დაიძახეს, გული მიმდიოდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). გინდა ხაზი გაუსვა, რომ ჩემისთანა განაზებული ინტელიგენტი მშიშარაა და სისხლის დანახვაზე გული მისდის? (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**გული მიუწევს (ვისკენმე, საითკენმე)** (ვინმესთან) ყოფნა სურს; (სადმე) წასვლა უნდა. ...თქვენ მაშინვე შემიყვარდით, თქვენკენ მაშინვე გული უფრო მომიწევდა (ი ლ ი ა).

**გული საგულეს აქვს** არ ეშინია, დამშვიდებულია, დაიმედებულია, თავი ქუდში აქვს. ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს გული საგულეს მქონდა და უშიშარიც ვიყავი... (ა კ ა კ ი). თამარს გული საგულეს აღარ ჰქონდა ჯვარის დაკარგვის შემდეგ... (კ. გ ა მ ს.).

**გული უთქვამს (ვისთვისმე)** ეტრფის, უყვარს (ვინმე). საამი ალტაცებაში მოეყვანა თინანოს და ისე ძლიერ უთქვამდა მისთვის გული, რომ თავის შემაგრება უძნელდებოდა (ვ. ბ ა რ ნ.).

**გული უთხრობს** იხ. გული ეუბნება. —მეც დიდი ხანია გული მითხრობდა, თურმე ეს ამბავი იყო (ი ლ ი ა).

**გული უკვდება** ძლიერ სწყინს, განიცდის, აწუხებს (რამე) (შდრ. გულის მოკვლა). სხვაგან არ ვიცი რავაა და სახლში რომ ვუყურებ — გული მიკვდება და უფრო ის მკლავს, რომ არ ვიცი, რა ვქნა, რა გზას დავადგე (დ. კ ლ დ .). არზაყანს გული უკვდებოდა ასეთ მცირე სურვილსაც რომ ვერ უსრულებდა დედას... (კ. გ ა მ ს.).

**გული უტირის** შეწუხებულია, განიცდის, გული უკვდება. მე მინახავს, რომ იმათში ბევრი იცინოდა და ზოგიერთს კი ამ საცოდავის დედაკაცის მაგ ყოფაზედ გული უტიროდა (ი ლ ი ა).

**გული უცემს (ვისთვისმე)** ეტრფის, უყვარს, მოსწონს (ვინმე); გული უთქვამს (ვისთვისმე). იასონს კარგა ხანია უცემდა გული ამ ლამაზი მეზობლისთვის (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გული ყელში სჩრია** ნერვიულია, ფიცხია, ადვილად ბრაზდება (შდრ. გულის ყელში გაჩრა). ...შეჰხედეთ უხეირო მოხელესა ან გზირს, როგორ გული ყელში ჰჩრიათ და დიდობენ (დ. მ ა ჩ ხ.).

**გული შეექმნა (ვინმეზე, რამეზე)** მოუნდა, მოეწონა (ვინმე, რამე). მაშინვე გულმა მითხრა ... ჩემი ჯერანის ბეჲი სწორეთ აგი უნდა იყოსმეთქინ. სხომის რამდონი უთქვამთ, მარა არც ერთზე გული არ შემქნია (ე. ნ ინ ო შ.).

**გული შესტკივა (ვისთვისმე)** ებრალება, თანაუგრძნობს, მზრუნველობას უწევს (ვისმე). ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის (ი ლ ი ა). აბა, ვინც ვარგა და ვისაც ქალაქისათვის გული შესტკივა, ახლა გამოჩნდება (ლ. ქ ი ა ჩ .).

**გული ხელთ არა აქვს** ღელავს, დამშვიდებული არ არის, რაღაც აწუხებს, გული საგულეს არა აქვს. ...არ ვიცი, რა ვქნა? გული ხელთ აღარა მაქვს იმის მაყურებელსა (ი ლ ი ა).

**გულიდან ამოგდება (რისამე, ვისიმე)** დავიწყება, გულიდან ამორეცხვა (რისამე, ვისიმე). ...ამიტომ სჯობია ის ქალი გულიდან ამოიგდო და დაივიწყო, .. — რაო, რა სთქვა? თამრო გულიდან ამოიგდოს?! დაივიწყოს?! ეხე-ხე! როგორც ეტყობა, კოტეს სიყვარულისა არაფერი არ გაეგება (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულიდან ამოგლეჯა (რისამე, ვისიმე)** დავიწყება, შეძულება, გულიდან ამოგდება (რისამე, ვისიმე). ცოლის მოკვლამ ბახვა ფულავა მიწასთან გაასწორა. ცხოვრების კავშირი გულიდან ამოგლიჯეს (გ. წ ე რ ე თ.). განშორდა მაყვალას დარწმუნებული, რომ გულიდან ამოიგლეჯდა ამ ქალის სახეს (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულიდან ამორეცხვა (ვისიმე, რისამე)** დავიწყება, შეძულება, გულიდან ამოგდება (ვისიმე, რისამე). არა, თუ გიყვარდე, პერანგოვი გულიდან ამოირეცხე, თუ ჩემი თავი გინდა (ი ლ ი ა). ყმაწვილ კაცებს არაფრად იამათ დედ-მამების გულცივობა. ზოგმა იმათგანმა გულიდან ამოირეცხა მამაშვილური გრძნობა (გ. წ ე რ ე თ.).

**გულიდან ამოფხეკა (ვისიმე, რისამე)** იხ. გულიდან ამორეცხვა (ვისიმე, რისამე). ამოიფხიკე გულიდან მაგ აზრი და ვიცხოვროთ, როგორც აქამდე ვყოფილვართ! (რ. გ ვ ე ტ.).

**გულიდან ამოღება (ვისიმე, რისამე)** იხ. გულიდან ამოგდება (ვისიმე, რისამე). იმას ეგონა, რომ ონისეს დიდი ხანი იყო, რაც გულიდან ამოეღო და დაეგდო, დაევიწყებინა (ა. ყ ა ზ ბ .).

**გულიდან ამოყრა (ვისიმე, რისამე)** იხ. გულიდან ამოგდება (ვისიმე, რისამე). შემდეგ ორიოდე სხვა ვინმეც მომეწონა, მაგრამ ისინიც გულიდან ამოვიყარე ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულიდან ამოხდომა (რისამე)** გრძნობით წარმოთქმა (რისამე). „...სიკვდილი ჯობია ჩემ სიცოცხლესო", — ამოხდებოდა მას ხშირად გულიდან ოხვრასთან ერთად (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულიდან ამოხოცვა (ვისიმე, რისამე)** იხ. გულიდან ამორეცხვა (ვისიმე, რისამე). არ შემიძლიან ერთის მათგანის გაწირვა, იმათი გულიდან ამოხოცვა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**გულიდან გადაგდება (რისამე, ვისიმე)** იხ. გულიდან ამოგდება (რისამე, ვისიმე). ...მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები ... (ა კ ა კ ი).

**გულიდან გადავარდნა (რისამე)** გადავიწყება, დავიწყება (რისამე). კოდალა ნაირ-ნაირ ამბებით შეაქცევდა, მაგრამ ქათმები კი მაინც არ გადაუვარდა მამალს გულიდან, იმათი ხსოვნა ისე ჰქონდა შენახული გულში, როგორც ნაცარწაყრილი ნაკვერჩხალი (ვ ა ჟ ა).

**გულიდან გადაყრა (რისამე)** დავიწყება (რისამე). ზაქარას თუმცა გულიდან გადაყრილი არა ჰქონდა სოსიკას ჯავრი, მაგრამ მაინც თავის საქმეს დამშვიდებით შეუდგა (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ცაცას წუთიერი უგუნებობის ღრუბელი გადაეყარა გულიდან და იმედიანი ნაპერწკლები აუციმციმდა თვალებში (გ. ნ ა-ხ უ ც რ.).

**გულიდან ლოდის აცლა** რაიმე სადარდელის მოშორება, გულზე მოშვება. აბა, რომ იტყვიან კარგად საქმის მოყვანას, ამას იტყვიან. იფ, მოსევ, ძლივს გულიდამ ლოდი არ აიცალე? არც ჩხუბი, არც დავიდარაბა (ი ლ ი ა).

**გულიდან ლოდის ახსნა** იხ. გულიდან ლოდის აცლა. მოვისმინე ყოველი ის, რაც დღეს აქ იყო თქმული . . . და გულზედ მომეშვა, ლოდი ამეხსნა გულიდან (ი ლ ი ა).

**გულის აგდება (ვინმეზე, რამეზე)** იხ. გულის აცრუება (ვინმეზე, რამეზე). ამისთანა „დღე-ხვალიობით" ყმაწვილებმა სრულებით აუგდეს გული სწავლას (გ. წ ე რ ე თ.).

**გულის აგორება (ვინმეზე)** შეძულება, გულის აცრუება (ვინმე-ზე). . . . რა ვქნა! რატომ ეიგორა გული მასზე (ცოლზე) ჩემმა შვილმა, აღარ ვიცი . . . რასაკვირველია, ქმარს უფრო ეცოდინება ცოლის ამბავი . . . შეიძლება რამე მიზეზიც ქე მიეცეს მაგ უბედურს ჩემი აბესალოსთვის . . . აბა ისე ტყუილ-უბრალოდ! . . . (დ. კ ლ დ .). შენი ბრალია . . . მე თავიდანვე ვიცოდი, რომ შენ მალე აგიგორდებოდა გული მაგ უბედურზე და როდამაშვილის მოგონება უკმა-ყოფილობას გამოიწვევდა შენის მხრით . . . (დ. კ ლ დ.).

**გულის ადუღება** სიბრალულით ავსება, გულის აჩუყება; გაჯავ-რება, გაბრაზება, გულის მოსვლა.—მაშ ნუნუ დანიშნეს?—უწებურად და მწუხარებით წამოიძახა იმან, და გული ხელახლად აუდუღდა (ა. ყ ა ზ ბ.). ეს ისეთი უწყინარი და გრძნობიერი კილოთი თქვა ოტიამ, რომ სონიას უფრო აუდუღდა გული (დ. კ ლ დ.). გალოთებულნი, უზნეონი ყოველს უსამართლობას ჩადიოდნენ, და ეს უფრო აჯავრებდა, ხალხს უფრო გულს უდუღებდა და უფრო უღვიძებდა გადახდის სურვილს (ა. ყ ა ზ ბ .).

**გულის ავარდნა (რამეზე)** გულის აყრა, გულის აცრუება (რამე-ზე), შეძულება (რისამე). . . . საქმეზე რომ გული სრულიად ამივარდა? (ი გ უ ლ ი ს.).

**გულის ათამაშება** მოხიბვლა, მოწონება; სიამოვნების შეგრძნე-ბა, გულის აფანცქალება. — მაშინ მე ჩვენებურს გოგოებს გულს ავუთამა-შებდი! — სიცილით უპასუხა ილიკომ. — ბუზიკის დაკვრა-კი არა, გინდა დაი-რის დაკვრა ისწავლო, მაინც ჩვენებურს გოგოებს გულს ვერ აუთამაშებ (შ. ა რ ა გ ვ.). ბევრს აუთამაშა გული მთავრის ასულის აღთქმამ, ბევრს აფიქრე-ბინა: ღმერთო, მზიასათვის მაპირველეო (ბ ა ნ.).

**გულის ამოსკვნა** ბევრი ტირილი, ქვითინი, გულის ამოჯდომა. (გიორგიმ) მაშინ კი მწვავედ იგრძნო სრული მარტოობა და გული ამოესკვნა, მთელის ტანით ქვითინად იქცა (შ. დ ა დ.).

**გულის ამოჭმა** გაწამება, გატანჯვა; თავის მობეზრება, შეწუხება. . . . თავისიც და გარეშეც, ყველა შეწუხებული ჰყავს თურმე , . . თვარა რა უჭირდა საწყალ ლევანს?! კაცური კაცი იყო, მაგრამ მაგან აღარ გეიტანა, გული ამოაჭამა, გონება დოუბნია... (დ. კ ლ დ.).

**გულის ამოჯდომა** აქვითინება, ატირება, გულის ამოსკვნა. ეს რომ ბრძანა... გული ამოუჯდა. მეც ღაპა-ღუპით წამომივიდა ცრემლები, ბევრი ვიტირეთ (ი ლ ი ა). ბალღივით გული ამოუჯდა ლუკაიას ...დაბალი, დიაცური ხმით მოსთქვამდა . . . (კ. გ ა მ ს.).

**გულის ამრევი** საზიზღარი, საძაგელი, თავის მომაბეზრებელი; ცუდი, უვარგისი. ქაღალდის ისეთი ნიაღვარი მოდის, პირდაპირ გულის ამრევია (კ. გ ა მ ს.). . . . რეზოსათვის არაფერი არ იყო ისე გულის ამრევი, მგონი საჭმელიც კი, როგორც სახელმძღვანელოს დანახვა (ა. ბ ე ლ.).

**გულის ამღერება** გახარება, სიამოვნების შეგრძნება, გულის ათამაშება. ამ მოწერილობამ გული აუმღერა ხუცესს. . . (ვ. ბ ა რ ნ.).

**გულის ამღვრევა** გაბრაზება, გულის მოსვლა; აფორიაქება, ხასიათის გაფუჭება. თამარს გული უფრო აემღვრა და სიბრალულით გადახედა ზანქანს . . . (შ. დ ა დ.). — ჰო, მართალი თქმაა. ჩადენილი საშინელებანი მერე აუმღვრევს გულს კაცს (ვ. ბ ა რ ნ.).

**გულის ანთება** გაბრაზება, გულის მოსვლა. „ჩაძაღლდი განა?“ — უყვირიან ზემოდამ. ეხლა კი გული აენთო (ი ლ ი ა).

**გულის არევა** პირის ღებინება, გულის ზიდილის მოგვრა. ვესტიბიულში ცუდი სუნი იდგა. რეზოს გული ერეოდა (ა. ბ ე ლ.). იქნება მიშველოთ რამე, ზღვაზე პირველად ვარ და გული მერევა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის ატოკება** რაიმე (უმთავრესად სასიამოვნო) გრძნობის გამოწვევა (მოწონება, შეყვარება), გულის აჩქროლება. აბა ვინ იფიქრებდა. რომ ეს დედაკაცი ქრისტინე იყო, ის ლამაზი, მორცხვი ქრისტინე, რომელიც ერთ დროს ისე უტოკებდა გულს და ანატრებდა თავს ნიგვზიანის ყმაწვილკაცობას (ე. ნ ი ნ ო შ.). ვისაც ზღვის სენი არა სჭირს, უთუოდ გულს აუტოკებს ზღვის სუნი და გემის შეხედვა... (კ. გ ა მ ს.).

**გულის აფანცქალება** აღელვება (მოუთმენლობის ან სიხარულისაგან), გულის აჩქროლება. არჩილმა აცადა; გული კი აუფანცქალდა, ვინ იცის, რა უფრო ენატრებოდა: ჰო თუ არა (ი ლ ი ა). (თომას) გული მძლავრად აუფანცქალდა და თვალებზე ბინდმა გადაჰკრა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის აღრენა** აღელვება, აღშფოთება, გაბრაზება, განრისხება. ოქრუას სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლება რომ შეიტყო ბაგრატამ, მეტად აუღრინდა გული (ე. ნინოშ.). ... იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს, რადგანაც წარმოუთქმელად გული ეღრინებოდა გირგოლაზედ, რომელმაც ისე უკაცურად გააბა ხათაბალაში ... (ა. ყაზბ.).

**გულის აყრა (ვინმეზე, რამეზე)** შეძულება (ვისიმე, რისამე), გულის აცრუება (ვინმეზე, რამეზე). ვიხა თქვა, — გლეხმა ჩვენზედ გული აიყარაო ... კაი კაცი ყოველთვის კარგი იქნება (ილია). (სონია) სთხოვდა (ნინოს), მასზე გული არ აეყარა, არ შეეძულებია მისი თავი, რომ ბრალი მისთვის არ დაედვა (დ. კლდ.).

**გულის აჩვილება** იხ. გულის აჩუყება. სონიას გული აუჩვილა ამ უცნაური ქალის ნაამბობმა (დ. კლდ.). ეს ლექსი სიმონამ თავის თავზე მიიღო: „შავო ქალო“ ჩემ ცოლზე ლექსობენო, იფიქრა და ისე აუჩვილდა გული, რომ კინაღამ ტირილი დაიწყო (ე. ნინოშ.).

**გულის აჩუყება** გრძნობათა მორევა, ტირილის ხასიათზე მოსვლა, გულის აჩვილება. თეიმურაზს გული აუჩუყდა და ცრემლი მოერია (მ. ჯავახ.). გული აუჩუყდა ბერიკაცს, რაკი შენიშნა ექიმის დაა გულმოწყალედ შეეგება მის გაჭირვებას (კ. გამს.).

**გულის აჩქროლება** რაიმე გრძნობის (გახარება, წყენა...) განცდა, გულის ატოკება. თომას გული აუჩქროლდა. თინას პირდაპირმა და გულუბრყვილო თხოვნამ მამის გულს ცეცხლი მოუკიდა და კვლავ აუშალა მიძინებული დარდი (მ. ჯავახ.). ... როგორც კი ტელეფონში მისი ხმა გაიგონა, მაშინვე მუხლებში სისუსტე იგრძნო და გული აუჩქროლდა (ა. ბელ.).

**გულის აცრუება (ვინმეზე, რამეზე)** რისამე ან ვისიმე მიმართ ინტერესის დაკარგვა, გულის გატეხა, გულის აყრა. — ეხლა ის ხახლები დაქცეულები არიან, არ ვიცი რათა. პატარები ყურს აღარ უგდებენ, გული აუცრუვდათ იმათზედ, მაგრამ მაგათაცა ჰქონდათ თავისი დრო (დ. ჭონქ.). ...მალე მან ერთნაირად აიცრუა გული ამ ახალგაზრდა ქალზედაც და სწავლაზედაც (ა. ბელ.).

**გულის აცუნცრუკება** იხ. გულის ათამაშება. რას ჩმახავ, ქალო! ოცი წლის ჭაბუკი ხომ არა ვარ, სიყვარულით გული ამიცუნცრუკდეს! (ი. გულის.).

**გულის აძგერება** აღელვება, გულის ატოკება. თუ რა ტანჯვა გამოიარეს იმათ, იმას ნუღარ მოვიგონებთ, რადგანაც მოგონებაც კი კმარა გულის ასაძგერებლად (აკაკი). ალბათ ვაჟსაც ამ უსიტყვო ცქერამ გული აუძგერა (გ. ტაბ.).

**გულის ბუდიდან ამოვარდნა** აღელვება. — რა დროს ეგ არის! ერთი წაიკითხე-მეთქი, რა სწერია, ლამის გული ბუდიდამ ამომივარდეს, ვეღარ მომითმენია (ილია).

**გულის ბუხრის ამოყრა** ჯავრის ამოყრა; გულის მოჯერება. გზაზე გადაველაპარაკე ჩემს ბატონს ესტატესა, ერთი ისეთი გადმომიბღვირა, რომ ენა მუცელში ჩამივარდა; ვიფიქრე, ამ ბატონყმობის გადავარდნისას გულის ბუხარი ჩემზე არ იყაროს-მეთქი (ს. მ გ ა ლ ო ბ.) ... ჰა, ჰა! ისეთი კი გაუჯოხავთ უბედური, რომ ჯერ კიდევ წელი ხეირიანად ვერ გაუმართავს... არაფერია, ვანუგეშე... აი, ნადირობას მოვიმიზეზებ, დიდი ამალით წავალ და გულის ბუხარს ამოვყრი-მეთქი (შ. დ ა დ.).

**გულის გაგმირვა** მწვავე ტანჯვის, ტკივილის მიყენება, გულის მოკვლა. (მაყვალას) გული მწუხარებამ გაუგმირა (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულის გაგრილება** გაგულგრილება, გულის გაცივება, გულის აყრა; დამშვიდება. ამ ათი წლის განმავლობაში ქალებს ყოველწლივ შეჰქონდათ პარლამენტში ერთი და იგივე თხოვნა და პარლამენტი ყოველწლივ ერთსა და იმავე უარს ეუბნებოდა. აბა ვის არ გაუგრილდებოდა გული და ვინ არ დაჰკარგავდა სასოებას?! (ი ლ ი ა). ... დამენახვენით ... გამიგრილეთ დამწვარი გული! (ლ. ა რ დ ა ზ.).

**გულის გადაბრუნება** შეშინება, შეძრწუნება, გულის გახეთქა, ელდის დაცემა. ეს სიტყვები ისეთი ათრთოლებული ხმით მითხრა და ისე საცოდავად შემომხედა, რომ გული უნებურად გადამიბრუნდა და რაღაც წავილუღლუღე (ა კ ა კ ი).

**გულის გადალევა** დასუსტება, შეწუხება. მოლოდინით გული გადამელია (ვ ა ჟ ა).

**გულის გადატრიალება** შეშინება, შეწუხება, გულის გახეთქა, ელდის დაცემა, გულის გადაბრუნება. ...ერთი უეცრად წამოიძახა: „მჭვალო! მჭვალიო!" და წამოვარდა ზეზე. მე გული გადამიტრიალდა... (ა კ ა კ ი). იმისი ზარიანი ხმა რომ გულს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა სიხარულით (ი ლ ი ა).

**გულის გადაქანება** იხ. გულის გადატრიალება. (თიკოს) გული გადაუქანდა და ნაზი... სახე ჯერ შეეფერფლა და შუბლზე მარგალიტისებრ წვრილი ცივი ოფლის წვეთები ამოასხდა (შ. ა რ ა გ ვ.). გურის გული გადაუქანდა (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**გულის გადაყოლება** გართობა, თავის შექცევა. იმათ საუბარი ეწადათ მშვიდობიანს, წყნარს ფრინველებთან, ამბის გამოკითხვა და ამით გულის გადაყოლება (ვ ა ჟ ა). — წაიყვანე, წაიყვანე, შვილო, ...გულს გადააყოლებს, გეიხედავს-გამეიხედავს, გადაავიწყდება! (დ. კ ლ დ.).

**გულის გადაშლა** გულის ნადების გამჟღავნება, საიდუმლოს თქმა, გამხელა. არ ვიცი რად და ჩემი გული კი იწევდა, რომ შენ წინ გადაშლილიყო

(ი ლ ი ა). ორი კაციც რომ განაპირებულიყო, ოძელაშვილიც იქ გაჩნდებოდა, თავის გულს გადაუშლიდა, იმათაც გადააშლევინებდა და ეჭვიანობის მწერს უპოვიდა ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის გადახსნა** იხ. გულის გადაშლა. უამისოდ (ცოდნის გარეშე) დედამიწა თავის უხვ გულს არ გადაგვიხსნის (ი ლ ი ა).

**გულის გადმობრუნება** იხ. გულის გადაბრუნება. (მტრედი) ღორისაგან ამოღრუტნულს ადგილას ჩაიმალა. აქ ღორი დაუხვდა და წაეტანა დასაჭერად. მტრედს გული გადმოუბრუნდა, გზა-კვალი აერია ... (ვ ა ჟ ა).

**გულის გადმოტრიალება** იხ. გულის გადატრიალება. ხმამაღლა ლაპარაკი და სიარული უწამლავდა გულ-გონებას. დაავადებდა, გულს გადმოუტრიალებდა, ტანში გააჟრჟოლებდა (ვ ა ჟ ა).

**გულის გაკაწვრა** წყენა, გულის ტკენა. ჰაკიმ არ იცოდა, ეს დუმილიანი საზეიმო დარაზმულობა ასე ცილა-ადრიან რას მოასწავებდა და საშინელი ეჭვი გულს უკაწრავდა (ლ. ქ ი ა ჩ.).

**გულის გაკეთება** გამხნევება, დაიმედება, წახალისება, გულის გამაგრება. ეს ორი ოჯახი იყო, რომ მამხნევებდა, ხელს მიწყობდა და გულს მიკეთებდა ... (ა კ ა კ ი). მუცელას გულს უკეთებდა კიდევ ის, რომ საცაა, მეფე მოვა თავის ჯარით და გამომიხსნის დევების ტყვეობიდანო... (ვ ა ჟ ა).

**გულის გამაგრება** გამხნევება, დაიმედება, ნუგეშისცემა, დამშვიდება, გულის გაკეთება. ... ამის (ლუარსაბის) სულს ღონე მოემატა, გული გაუმაგრდა, დაავიწყა სირცხვილიც, დამარცხებაც (ი ლ ი ა). ცოტა არ იყოს, ესტატე დიაკვანი ამხნევებდა (მუცელას), გულს უმაგრებდა: გამოელაპარაკებოდა ხოლმე შორიდან (ვ ა ჟ ა).

**გულის გამთელება** მწუხარების, სევდის გაქარვება, გულგატეხილობისაგან განთავისუფლება. კაცის გულს რაღა გაამთელებს, ქალი რომ ამისთანა ძეურაცხყოფას მიაყენებს (გ. წ ე რ ე თ.). გულს იმით ვიმთელებდით, რომ ჩვენ ჯერ ბალღები ვართ და, როცა გავიზრდებით, მაგათზე უკეთესად ვინადირებთ (ვ ა ჟ ა).

**გულის გამონასკვა** იხ. გულის ამოჯდომა. (მახარეს) გული გამოენასკვა და თვალთ წამოჟონა (შ. ა რ ა გ ვ.).

**გულის გამოცვლა (ვინმეზე)** ვისიმე მიმართ განწყობილების, დამოკიდებულების შეცვლა (კარგისა ცუდად, ცუდისა კარგად). —შენი რა ბრალია, ჩემო სონია, შენი რა ბრალია? შენ რად უნდა შეგიძულო?... შენზე გული რად უნდა გამოვიცვალო?! ალბათ, ასეთი ბედის ვყოფილვარ!.. შენ რა?.. (დ. კ ლ დ.).—დღეს ბატონმა ჩემზე გული გამოიცვალა. დამპირდა, რაც გინდა მთხოვე და შეგისრულებო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის განათება** იხ. გულის განათლება. რა უხდება სიცილი ჩემ თინანოს! ოხაი! ის რომ ბაგეს გახლეჩდა, ისე მინათდებოდა გული, თითქო ზინეთით სავსე ზანდუკი ავხადე-მეთქი (ვ. ბ ა რ ნ.).

**გულის განათლება** გახარება, აღფრთოვანება, გამხიარულება, სიამოვნების განცდა. (ბახვას) ახალმა ოჯახმა გული გაუნათლა. გზაზე მას იგონებდა და მხიარულებდა (გ. წ ე რ ე თ.). არსენს გული გაუნათლდა და სიხარულით ჩასწერა სიგელში ეს ბრძანება საშვილიშვილო შესასრულებლად (შ. დ ა დ.).

**გულის განელება** ჯავრის, სიბრაზის შემცირება, გულის დაცხრომა, დაოკება. ბახვა ფულავა ამაღამ ჩემი მსხვერპლი უნდა გახდეს. რაკი ჩამოვიშორებ, მერე ესმას გულიც მოლბება, მერე მეც გამინელდება გული, გავცოცხლდები, გავიხარებ (გ. წ ე რ ე თ.).

**გულის გაპარვა** გულის შეწუხება, გულზე შემოყრა. ეს სამწუხარო ამბავი რომ მითხრეს, გული გამეპარა (თ. ს ა ხ.).

**გულის გაპობა** მწარედ დანაღვლიანება, გულის მოკვლა.

**გულის გასივება** ძლიერ გაბრაზება, შეწუხება. მე გულს მისივებს უმეცრების სითამამე (ი ლ ი ა). (ყმაწვილების) ურიგო ქცევამ გული გამისივა ჯავრით (ლ. ა რ დ ა ზ.).

**გულის გასკდომა** შეშინება, შეძრწუნება. ... შიშით გული უსკდებოდათ, — თუ ლიზა არ შეირთო, ზალიკაი მოკლავს ჯერანსო (ე. ნ ი ნ ო შ.). გუშინ სონიასთან ვიყავი და, სანამ სახლში მოვიდოდი, კინაღამ გული გამისკდა. ისე შეუძლიათ მოგიტაცონ, რომ კაცი ვერ გაიგებს (ა. ბ ე ლ.).

**გულის გასუფთავება** ეჭვისაგან ან სხვა არასასურველი, ბოროტი აზრებისაგან განთავისუფლება. — სევასტი ... მე იმიტომ გალაპარაკებ, რომ სათქმელი უნდა ითქვას და ყველამ უნდა გაისუფთაოს გული. თუ ვინმეს ნემსის ოდენა ხინჯი დარჩება, იგი ისევ გაიზრდების ... და ყველას მოსწამლავს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის გასწორება** შეგუება, შეთვისება. პატარძალმა ვერ შეითვისა საქმარეულო; თავიდანვე აითვალწუნა ცალყურაანთ კერა; გული ვერ გაუსწორა ვერც კაცებს, ვერც ქალებს, ვერც ჭმაწვილებს (ვ. ბ ა რ ნ.).

**გულის გატეხა** იმედის, რწმენის დაკარგვა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა. ნუ შეჰშინდებით, ნუ გაიტეხთ გულს, ვიხსნი ბოროტებისაგან ... თავს და ისევ მთელსა და ცოცხალს იხილავთ მრავალტანჯულ მუცელას ... (ვ ა ჟ ა). ერთობ მწუხარებაშია ქალიშვილების შემყურე მათათიც, მაგრამ მაინც ვითომ გულს არ იტეხს, გულმაგრად არის და ჩვეულებისამებრ მუდამ თავის სახელოვან ნათესავებზე ლაპარაკობს (დ. კ ლ დ.).

**გულის გაქვავება** გულქვა, შეუბრალებელი გახდომა. ახლა გული გამიქვავდა და ადამიანებიც შემძაგდა (კ. გ ა მ ს.). ამას წინათ რომ შევხვდი, ჩვენი შეხვედრა რა ცივი იყო, რა გულის გარე ... ან რა გაბოროტებულა, გული როგორ გაქვავებია, რა საშინელის სიძულვილით მქსინვარებს თამარისადმი (შ. დ ა დ .).

**გულის გაღება** იხ. გულის კარ(ებ)ის გაღება. დავიწყოთ ძმურად ლხინი, ღრეობა, შუბლს ნუ შევიჭრავთ, გავაღოთ გული (ვ ა ჟ ა).

**გულის გაშლა** იხ. გულის გადაშლა. მითხარ ყოველიფერი, გაუშალე შენს მშობელს შენი გული, ხომ იცი, რომ იმას მზე და მთვარე შენზედ ამოსდის (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულის გაწვრილება** შეწუხება, გულის გაწყალება. ... დიდი გაბედვა ყოფილა თქვენგან, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, (პუბლიკისაკენ) გული გამიწვრილა (ი ლ ი ა). იმდენის ღირსი აღარ არის ის პირშავი, რომ მუდამ მისი გახსენებით შენც გაგიწვრილო გული და სიცოცხლე გაგიმწარო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის გაწყალება** შეწუხება, თავის მობეზრება, უსიამოვნების მიყენება, გულის გაწვრილება. ეს სიმშვიდე, ეს გულში შეკავებული, გამოუჩენელი მწუხარება ნინოსი უფრო გულს უწყალებდა სონიას (დ. კ ლ დ.). — ბებოსა ვკითხე, მაგრამ არაფერიც არ იცის, კიდევაც გამიჯავრდა, გული ნუ გამიწყალეო, მამასა ჰკითხეო ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**გულის გახევება** იხ. გულის გაქვავება. მამაკაცი ნადირობს, ლაშქრობს, გული უხევდება, სიბრალული შორდება მის შეგნებას (შ. დ ა დ .).

**გულის გახეთქა** შეშინება, შეძრწუნება (ვისიმე); გაბრაზება, გაჯავრება (ვისიმე). ... ერთბაშად მოისმა რამდენიმე თოფის ხმა, და გირგოლას კაცებთაგანი შვიდნი დაეცნენ ძირს, დანარჩენები კი შეცვივდნენ ტყეში, რადგანაც ამ მოულოდნელობამ გულები დაუხეთქათ (ა. ყ ა ზ ბ.). შვილო, გულს ნუ მიხეთქავ, ...სხვეზის აყოლა შენ არ გამოგადგება (შ. ა რ ა გ ვ.). ...კმარა, კმარა რა ცეცხლშიც ვტრიალებ, თქვენ მაინც ნუღარ მიხეთქავთ უფრო გულს! (დ. კ ლ დ .).

**გულის გახსნა** გულის ნადების, საიდუმლოს გამხელა, გულის გადაშლა; გამხიარულება, კარგ გუნებაზე დადგომა. თემობა, ის თემობა, რომელსაც სულით და გულით ემორჩილებოდა, ითხოვდა, რომ გული გაეხსნა, — და წადილს ვერ უსრულებდა (ა. ყ ა ზ ბ .). კარგა ხანს იდგა ასე სონია, მაგრამ ვერც იმ სურათმა, მის თვალწინ რომ იშლებოდა, თავის სილამაზით გული ვერ გაუხსნა და სევდა ვერ გადაუყარა (დ. კ ლ დ .). ღვინომ ნელ-ნელა შუბლი გაგვიშალა, გული გაგვიხსნა და ერთმანეთის „იოლდაშ“ „ყარდაშ“-ებად გადაგვაქცია (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის დადაგვა** შეწუხება, მწარედ განცდა რისამე, გულის დათუთქვა, გულის დაწვა. უმანკოება შენი ნუმც შეიბღალება რაიმე ცოდვით, რომ არ მატირო მწარედ, გული არ დამიდაგო (ვაჟა).

**გულის დადება** გულმოდგინედ, მუყაითად მოპყრობა, შეგუება (რისამე). მართლაც ყველაფერი დაივიწყა სონიამ ამ გახიახებული საქმის გამო; სხვას ვეღარაფერს უდებდა გულს, სხვაზე არაფერზე აღარ ფიქრობდა ... (დ. კლდ.). თეჲმურაზი ბუხართან ზის და სამჯერ წაკითხულ ძველ წიგნებს მეოთხეჯერ ათვალიერებს. მაგრამ კითხვას გულს ვერ უდებს (მ. ჯავახ.).

**გულის დათუთქვა** დადარდიანება, დანაღვლიანება, შეწუხება, განცდა რისამე, გულის ტკენა, გულის დადაგვა. (გორაზე) ოდესმე ბრწყინავდა მშვენიერი ეკლესია; ეხლა ნანგრევი, უპატრონო, გაოხრებული, ათას ადგილას დაბზარულის კედლებით მწარედ გულს უთუთქავდა მნახველს (ა. ყაზბ.). ... მეტადრე გულს უთუთქავდა ბეჟანს ის გარემოება, რომ ტყეებში ... ირემი სრულიად მოისპო (ე. ნინოშ.).

**გულის დაკაწვრა** იხ. გულის გაკაწვრა. გული სრულიად დამიკაწრა (ვაჟა).

**გულის დაკოდვა** შეწუხება, გულის დაწყვეტა, გულის ტკენა. ისინიც, როგორც მე, ბედკრული, შესტრფიან პირიმზეს. ლამაზო პირიმზევ, როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ მიკოდავ გულსა! (ვაჟა). ...რამდენ ყმაწვილკაცთა გული დაიკოდა ახლა მოლოდინის გაწბილებით (ბ ა ნ.).

**გულის დალევა** შეწუხება, მოთმინების დაკარგვა. ... იმ ცხენის სურვილმა გული დამილია, ძალიან ცხენია (ბან.).

**გულის დამძიმება** შეწუხება, გულის ტკენა. ამას ზედ დაერთო დედის გახსენება, რამაც (სონიას) კიდევ უფრო დაუმძიმა გული (დ. კლდ.).

**გულის დარდი** სატრფო, გულის ვარდი. — ნათლიდედ, გენაცვალოს არსენაი, ურიები რომ მოვლენ, იყიდე რამე და ჩემს მაგიერ ჩემი გულის დარდს მიართვი (მ. ჯავახ.).

**გულის დარჩენა (სადმე)** გულის დაწყვეტა (საიდანმე) წასვლის გამო. ელგუჯა მიდიოდა ლაშქრად, მაგრამ გული-კი შინ დარჩენოდა (ა. ყაზბ.).

**გულის დასერვა** წყენა, გულის ტკენა, გულის დაკოდვა. ყოველ სიტყვაზე წამოძახილი „ღმერთი მოგვცემს“-ო, მისი გულმხიარულება და ხალისიანობა, რომელსაც ეს მოხუცებული ქალი არა ჰკარგავდა ამ სისაწყლეში და ღარიბულ ცხოვრებაში, გულს უსერავდა ყმაწვილ ქალს და თითქმის აძულებდა მის თავს (დ. კლდ.). განშორება მისერავს გულსა (ნ. ლორთქ.).

**გულის დასეტყვა** შეწუხება, გულის დაწყვეტა, გულის დაკოდვა. მრავალი წლის მოუსვენრად ხეტიალმა მთელს ევროპაში ... ჰიპოხონდრიით სნეული მამის პატრონობამ და დარდმა, ახალგაზრდა თარაშის გულიც დასეტყვა (კ. გამს.).

**გულის დაღრღნა** შეწუხება, მოსვენების მოსპობა. ეს მარტოობა და ობლობა გულზე მძიმე ლოდად დააწვა, სულს უხუთავდა, გულს უღრღნიდა (მ. ჯავახ.).

**გულის დაცხრომა** დამშვიდება. გული მაინც არ დაგვიცხრა, რაღაცას ლამობდა, საითღაც იწევდა. ვერ დავაამეთ და ვერა (ილია). მეორე დღეს დილით ბიჭი ვაფრინე შენს კანტორაში და მომივიდა ამბავი, რომ ახალს ნასყიდს მამულში წასულიყავი. მარტო მაშინ დამიცხრა გული (გ. წერეთ.).

**გულის დაწვა** წყენა, გულის ტკენა, გულის დაწყვეტა; გულის დათუთქვა. ... საცა კი ლაპარაკი იყო, ყველგან სულგანაბული ვუგდებდი ყურსა, მაგრამ მამულისა ვერა გავიგე-რა. სწორედ ეგა მწვამს გულსა; ყველაფერი თქვეს და ე მამულისა კი კრინტი არ იყო (ს. მგალობ.). ყველას გული გვეწოდა იმისი ცუდი მდგომარეობის გამო, ყველას გვეწადა რამე შველა მიგვეცა (ე. ნინოშ.). ... რაც იმ გოგომ იტირა, ნადიამ, გული დამეწვა (ა. ბელ.).

**გულის დაწყვეტა** წყენა, შეწუხება, გულის ტკენა. ... ვაი თუ მეც ისე უგულოდ და აგდებით მიპასუხო რამ, როგორც სხვებს, და მით გული დამწყვიტო (აკაკი). ... თუკი ძვირფასი ლალი იაფ ფასად იშოვება და მაინც კი ვერ ახერხებ ჩაგდებას, გული დაგწყდება (ე. ნინოშ.). გაფრინდი, გარიელ! მე ძალიან გული დამწყდება, შენ რომ არ მეყოლები, მაგრამ ღმერთმა გაბედნიეროს, თავისუფლებას ვერ წაგართმევ (შ. დად.).

**გულის დახურვა** განცდათა და გრძნობათა გაუმჟღავნებლობა. ოთარაანთ ქვრივი ... ჰხედავდა, რომ შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანაღვლიანდა (ილია).

**გულის დედოფალი** სატრფო, საყვარელი არსება. როცა მადამ კილოსანია ქალაქს მიდიოდა, შარდინი უთუოდ მივლინებას გაიკრავდა, ყვავილებით, ხილით და საუზმით დატვირთული ეახლებოდა თავის გულის დედოფალს (კ. გამს.).

**გულის დუღილი** გამწარება, წუხილი, დარდი, ბოღმის მოწოლა. მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის, ჩემის კაცობის გულის დუღილის სიტყვანი გულში მებადებიან, მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან. (ილია). იმას უდუღდა გული და უდუღდა იმისთვის, რომ თავის ახლეულები არც კი ჰკითხავდნენ იმას, მოსწონდა ნინა თუ არა (ა. ყაზბ.).

**გულის ვარდი** სატრფო, საყვარელი არსება. გულის ვარდსაც მაღალ წყებაში ვეძებდი. ზვიადად მეჭირა თავი ... (ვ. ბარნ.).

**გულის იარა** იხ. გულის ჭრილობა. თავდგირიძეს გული განუკრთა, გულის იარას არ მიმიგნოსო და პასუხი ჰკადრა (ბ ა ნ.).

**გულის კარ(ებ)ის გაღება** საიდუმლოს გამჟღავნება, გულის გაღება, გულის გადაშლა; გამხიარულება. (მახარემ) მხოლოდ ახლა გააღო გულის კარი, როცა ოქრომჭედელთან ერთად მიდიოდა სავახშმოდ (შ. ა რ ა გ ვ.). მე უნდა თავის მშობლებსა გულისა კარი გაგიღოთ, ვინც მიყვარს, გითხრათ ... (ბ ა ჩ.).

**გულის მილევა** დასუსტება, გულის შეწუხება. (მას) ნიადაგ შენი სახელი აკერია პირზე და გზაზე ცქერით გული მიელია და თვალებიც ამიტომ ჩაექცა (მ. ჯ ა ვ ა ხ). — რა ცუდადა ვარ ... გული მელევა, მამა (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**გულის მიცემა** იხ. გულის მოცემა. ბაყაყებს გული მიეცათ, თანდათან ენა ამოიდგეს, დაიწყეს კუტკუტი ... (ვ ა ჟ ა). მიხას გული მიეცა, გამხნევდა და გაიჭიმა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის მობრუნება** წყენის დავიწყება, კვლავ კეთილად განწყობა. ეგრე უჩიოდა ღმერთს სიზმარში ლუარსაბი. მერე ჰნახა, რომ მითამ ღმერთმა მიიღო ეს ჩივილი საბუთად და გული მოიბრუნა ლუარსაბისაკენ (ი ლ ი ა). როცა ინჟინერმა დაწვრილებით შეიტყო მისი (ბახვას) გაჭირვება და დედ-მამის სიკვდილი, ისევ გული მოიბრუნა (გ. წ ე რ ე თ.).

**გულის მობჯენა ყელში** იხ. გულის ყელში მობჯენა.

**გულის მოგება (ვისიმე)** (ვისიმე)' მიმხრობა, გადაბირება; თავის სასარგებლოდ განწყობა (ვისიმე), გულის მონადირება. მოსამართლეებს ... ომარაშვილის გულის მოგებაც უნდოდათ, ერთ სადილს მაინც გვაჭმევსო (ი ლ ი ა). — რამდენი ვეცადე, მაგრამ წყეული ქალის გული ვერ მოვიგე (გ. წ ე რ ე თ.). ...მაგრამ ეხლა რა უნდა ექნა? ვერც იაგოს გული მოიგო და ვერც ნუნუ შეუნახა გირგოლას (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულის მოკვლა** გამწარება, დაღონება, გულის დაკოდვა, მწარედ გულის ტკენა. — გინდა თუ არა, ერთი იმნაირი რამ მასწავლეო, რომ მეც ისე მოუკლა იმას (დურმიშხანს) გულიო, როგორც იმან მომიკლაო (დ. ჭ ო ნ ქ.). შენი დაფარული ტირილი უფრო მიკლავდა გულს, — უთხრა ქეთევანმა დარიკოს ... (ე. ნ ი ნ ო შ).

**გულის მოლბილება** იხ. გულის მოლბობა. ... საჭირო იყო ზაალის გულის მოგებაც და მაიორის გულის მოლბილებაც ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის მოლბობა** დამშვიდება, დაწყნარება, დაშოშმინება; გულის მობრუნება; შებრალება. მოსეს ეგონა, რომ ამ სიტყვებით მოვულბობ გულსაო (ი ლ ი ა). წეღან ზაალმა ბერის სადღეგრძელო უამბო მაიორს და გული მოულბო ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.). არზაყანს გული მოულბო ძაბულის ცრემლებმა (კ. გ ა მ ს .).

**გულის მოლოკვა** მოპირფერება, ტკბილი სიტყვით ვისიმე გულის მოგება. ...ზაალს ცალკე ვნახავ, გულს მოვულოკავ და საკალმასოდ უწინდელივით კაცს გამოვაყოლებინებ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის მონადირება (ვისიმე)** გადაბირება, მიმხრობა, თავისადმი კეთილად განწყობა, გულის მოგება (ვისიმე). ... თუ ქალის გულის მონადირება გინდა, მომეტებული ყურადღება არ უნდა მიაქციო (კ. გ ა მ ს.). ბიზანტიელნი შეიცვალნენ. უეცრად ისეთი - ზრდილობიანნი გახდნენ, ისეთი ალერსიანნი, რომ ცვატას მერყევი გული მოინადირეს (შ. დ ა დ.).

**გულის მოოხება** გულის მოჯერება; დარდის, მწუხარების გაქარვება. იტირა კარგა ხანს, გული მოიოხა და გაუდგა გზას (ვ ა ჟ ა). იური არაყს დაეძალა. კუზმა აღარ უშლიდა. „დეე, გული მოიოხოს" — ეუბნებოდა ზორაბაბელს (შ. დ ა დ.).

**გულის მოპოვება (ვისიმე)** იხ. გულის მოგება (ვისიმე). (გლეხკაცი) თუმცა იქაური მემკვიდრე არ იყო და რაღაცა შემთხვევას გადმოეგდო იმ ქვეყანაში, მაგრამ ათასის გაძრომ-გამოძრომით მოეპოვებინა იქაური მმართველობის გული და იმათი შემწეობით საკმაოდ გამდიდრებულიყო (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულის მოსვლა** გაჯავრება, გაბრაზება, წყენა. — მართალია, ეწყინება. გული მოუვა. აი, მე ხომ კაცი ვარ, მეც გული მომივიდოდა... (ი ლ ი ა). გოგოს, სანამ (ბიჭი) მოვიდოდეს, გული მოსდის, სად არის ამდენ ხანსო (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**გულის მოფხანა** ჯავრის ამოყრით სიამოვნების მიღება, გულის მოოხება. ... მელმა გული მოიფხანა, ტრედების ჯავრი ამოიყარა: „წელან ჩემზე რომ იცინოდით, ეხლა მე ვიცინებ თქვენზეო", — სთქვა დაკმაყოფილებულმა ცხოველმა (ვ ა ჟ ა). (ტარიელმა) წადილის აუსრულებლობის გამო ნატკენი გული სპირიდონის გალახვით მოიფხანა და ამით გაათავა იმაზე დარდი (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულის მოყვანა** იხ. გულის მოსვლა. მართალია, ხანდახან გული მოუვიდოდა: „ყველაფერი მათ ნებაზე უნდებიანთ", მაგრამ ფარავდა თავის გულის მოყვანას... (ე. ნ ი ნ ო შ.). ... ერთმა ყმაწვილმა კაცმა ტარიელს გული მოაყვანინა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულის მოშხამვა** გამწარება, დადარდიანება, გულის მოკვლა, გულის ტკენა. ... ისეთნაირად ააკვნესებდა ჩონგურის სიმებს, რომ რაც უნდა ჯავრით მოშხამული ჰქონოდათ გული, მაინც კი ყურს დაუგდებდით და დაივიწყებდით თავის დარდს ... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულის მოცემა** გამხნევება, გამბედაობის მომატება. კიდევ გული მომეცა და გამხნევებულმა ვუთხარი... (ი ლ ი ა). რა რომ სიტყვა „გაიქცნენ" გაიგონა და დაინახა, რომ იმის სიცოცხლეს აღარავინ ერჩოდა, გული მოეცა, მაგრამ მაინც პირველი იმისი ფიქრი იყო პირადი საქმე (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულის მოხარშვა** გამწარება, შეწუხება, გულის მოკვლა, გულის მოშხამვა. ...გაჭირვებამ ფიქრში ჩააგდო, სირცხვილმა... გული მოუხარშა და რავარც ეხლა ხედავ, ასე მოაქცია (დ. კ ლ დ.). ამ უკანასკნელმა გარემოებამ სულ მთლად მოხარშა მაინც მელანიას გული. მთელ ღამეებს ტირილით ატარებდა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულის მოჯერება** რაიმე მოთხოვნილების, სურვილის დაკმაყოფილება, გულის მოთხება. ...ბავშვი ხარბად ეწაფებოდა ძუძუს, მაგრამ ადრე მოიჯერა გული და მოჰყვა ქრისტინეს კალთაში ცელქობას (ე. ნ ი ნ ო შ.). იქ დიდებულად მომზადებული საღამოს საუზმე დაუხვდებოდათ, იქეიფებდნენ და, როცა გულს მოიჯერებდნენ სიამოვნებით, ბრუნდებოდნენ ისევ სასახლეში (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**გულის მურაზი** სატრფო, საყვარელი არსება, გულის ვარდი. (**მურაზი** ნდომა, წადილი, სურვილი). — ეს შენს გულის მურაზს გაუმარჯოს! (ა. ბ ე ლ.).

**გულის ნადები** საიდუმლო სურვილი, ნაფიქრი. ალბათ, თავის აღმატებულებაში რომ იყო დარწმუნებული, იმიტომ არ ეხერხებოდა არც დედასთან და არც დასთან გრძელი ლაპარაკი, არც უყვარდა მათთან თავის გულის ნადების გაზიარება (დ. კ ლ დ .). კარგად იცოდა, რომ მას თითქმის ყველანი კაცთა გულის მესაიდუმლედ სახავდნენ და მის წინაშე ძვირად თუ ვინმე ჰფარავდა გულის ნადებს (შ. დ ა დ .).

**გულის პასუხი** სურვილი, გულის ნადები. საამი იჯდა განცვიფრებული და ვერ გამორკვეულიყო, ან როგორ არ გაოცებულიყო, როცა მარჩიელმა მისი გულის პასუხი გაიგო, ის საიდუმლო, რომელიც სტანჯავდა საამს (ვ. ბ ა რ ნ.). მანა, მე შენ ყველა გულის პასუხს გაგიმხელ, არ მეშინია . . . (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულის პოვნა** მოსულიერება; მადის გაღვიძება, გუნებაზე მოყვანა (შეუძლებლად მყოფისა). — ბედშავო, რაი მოგივიდა, თავს რაზედ იკლავ? — მიატანა გირგოლამ და გაუშვირა ლიტრით წყალი: — დალიე, გულს გიპოვის (ა. ყ ა ზ ბ.). — ხორცს მოვხარშავთ, წვენს გავუკეთებთ იაგოს . . . წვენი კარგია, გულს უპოვნის ავადმყოფს (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულის სარკმლის გახსნა** იხ. გულის კარ(ებ)ის გაღება. ამ ხუთეულს დუღაბად ვერაფერი ვერ ეპოვა ურთიერთისათვის, გულის სარკმელი ვერ გაეხსნათ და სწორედ იმ დროს, როცა მათი ქვეყნის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, სათქმელის მესამედიც კი ვერ ეთქვათ და ერთმანეთს მოსისხლესავით ემალებოდნენ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის საუნჯე** ძვირფასი, სანუკვარი. აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე (ი ლ ი ა).

**გულის სისხლით (გ)ავსება** ბოღმის, დარდის მოწოლა, გაბრაზება. გული სისხლით მევსებოდა, ნაღველა მისივდებოდა (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულის სიტყვა** სურვილი, გულის ნადები, გულის პასუხი. ...გახსოვდეს, რომ ხელმწიფება გაქვს მოცემული უფლისაგან, რომელიც გამოიკითხავს საქმეთა შენთა და გამოიძიებს გულის სიტყვათა შენთა (ვ. ბ ა რ ნ .).

**გულის სიღრმეში ჩაწვდომა** იხ. სულის სიღრმეში ჩაწვდომა.

**გულის სწორი** სატრფო, მიჯნური. „გულის სწორო, ერთის ცილით აგრე როგორ შეიცვალე, რომე ტრფობა ჩვენი ამ ხნით მას აგრე მსწრაფლ ანაცვალე?" (ნ. ბ ა რ ა თ).

**გულის ტკენა** წყენა, დანაღვლიანება, შეწუხება, გულის დაწყვეტა. ტყუილად გულს გატკენ, გაგარისხებ და ის რისხვა ისე აგიბამს თვალსა, რომ სხვას შენზე მეტადაც რომ გული სტკიოდეს, ამას ველარ დაინახავ და იმის გულის სატკენ სიტყვას მუხანათობაში ჩამოართმევ (ი ლ ი ა). დიდ დამნაშავედა ვგრძნობ ჩემ თავს, რომ გუშინ ისე წინდაუხედავად გატკინეთ გული (ა კ ა კ ი). არავინ და არაფერი ისე არ ტკენდა მას გულს, როგორც დედისა და არაბიას დატოვება ტირანი მამის ხელში (კ. გ ა მ ს.).

**გულის ტკივილი** დარდი, მწუხარება. აბდულაჰ რომ დარდს გაიხსენებს და შაქროს რომ გულის ტკივილს შესჩივლებს, ოხვრას მუქარით და აფეთქებით ასრულებს ხოლმე (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის ტოლი** იხ. გულის სწორი. ტურფა ქალი ჭაბუკს უყვარს, ქალსკი სხვა ჰყავს გულის ტოლი (ხ ა ლ ხ.).

**გულის ტრიალი** შიში, ღელვა. მთიელს ბევრი სატანჯველი გამოევლო, გულის ტრიალი და მოუსვენრობა ენახა (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულის ფიცარზე დაბეჭდვა (რისამე)** იხ. გულის ფიცარზე დაჭდევა (რისამე). მაშინ დედაჩემი იყო 12 წლისა და ყველაფერი გულის ფიცარზე დაებეჭდა (ა კ ა კ ი).

**გულის ფიცარზე დაჭდევა (რისამე)** კარგად, საფუძვლიანად დახსომება, გულზე დაჭედვა (რისამე). ისტორია თავის გულის ფიცარზე იჭდევს... მოძრაობას ერისას (ი ლ ი ა).

**გულის ფხანა** იხ. გულის მოფხანა. პირველი სიყვარულის, სენმოხდილს სურვილი ნდომად მქონდა გადაქცეული და გრძნობა — გულის ფხანად (ა კ ა კ ი).

**გულის ყელზე მოდგომა** იხ. გულის ყელში მობჯენა. „...ყველა მოგვისპო ამ ადამიანმა!.. თითონ კი ცხოვრობს განცხრომით! საზოგადოებაც

შეტრფის და ტაშს უკრავს!“ აქ კი გული ყელზე მოადგა სპირიდონს და თითქოს უნებლიედ მოუჭირა ხელი რევოლვერს... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულის ყელში გაჩრა** ტირილის ხასიათზე მოსვლა, გულის ამოჯდომა. „... შენ, შენ...“ აქ კიდევ ბევრი რამ უნდოდა ეთქვა გულდამწვარს, მაგრამ გული ყელში გაეჩარა დაატირდა (ა კ ა კ ი). როცა წამოიკვნესა ნაღვლიანი სასოწარკვეთილებით..., მე გული ყელში გამეჩარა!... გიჟივით წამოვვარდი და მივაშურე ხელზე საკოცნელად (ა კ ა კ ი).

**გულის ყელში მობჯენა** გაბრაზება, გაჯავრება, სულის შეხუთვა (ბრაზისაგან, ჯავრისაგან), გულზე ცეცხლის მოკიდება. სტკივა გული ლუარსაბსა, ჯავრი მოსდის, გული ყელში მოებჯინა (ი ლ ი ა). ვამეხს თითქო მთელი ომის სიმძიმე ამ წუთში დააწვაო თავს, სულთქმა დაეხუთა, გული ყელში მოებჯინა და სათქმელი „გელოვანი“ კბილებმა შუაზე გადაუჭრა (ბ ა ნ.).

**გულის შეგორება (ვინმეზე)** იხ. გულის შევარდნა (ვინმეზე). თეკლე ვნახე თუ არა, მასზე გული შემიგორდა (თ. ს ა ხ.).

**გულის შევარდნა (ვინმეზე)** მოწონება, შეყვარება (ვისიმე). ... არა მაგრამ ერთხელ სადღაც ყური მოვკარ და მას აქეთია იმ ქალზედ შემივარდა გული (ი ლ ი ა). თითქმის ოც-და-ათი წელიწადია მაგ დედაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია (სოსია მეწისქვილეს). ჯერ გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნია და დაუწუნიათ (ი ლ ი ა).

**გულის შეზარვა** შეშინება, შეძრწუნება. — ძუღან რა ხმა მოისმა ტაძარში ისეთი, რომ გულნი შეზარა? (შ. დ ა დ.).

**გულის შეკუმშვა** შეწუხება, დადარდიანება, გულის ტკენა. ქალები აივანზე შეგროვილიყვნენ და თავიანთ ჯერს ელოდებოდნენ. მათ შორის ნადია არ ჩანდა. „ალბათ სიმონთანაა“, გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა და გული უსიამოვნოდ შეეკუმშა (ა. ბ ე ლ.).

**გულის შემაგრება** იხ. გულის გამაგრება. მოკეთეს გული შეუმაგრდება (დ. კ ლ დ.).

**გულის შემატკივარი** გულშემატკივარი, მოკეთე, მზრუნველი. „ნუთუ მის-დღეში არა გყოლია მოკეთე, გულის შემატკივარი?!“ (ი ლ ი ა).

**გულის შეღონება** გრძნობის დაკარგვა, გულის შეწუხება, გულს შემოყრა. დოდოს გულში თავის ფიქრისაც შერცხვა... და უნაგირზე კინაღამ გული შეუღონდა (შ. დ ა დ.). სისულელეებს თავი დაანებე,... გინდა გული შეგიღონდეს? (ა. ბ ე ლ.).

**გულის შეცვლა** განწყობილების, ხასიათის შეცვლა, დამოკიდებულების შეცვლა (ვისიმე მიმართ); გულის აყრა. ტახტის მემკვიდრეს

გული ეცვალა: ქმრობას პირდება მონობის წილად (ნ. ლ ო რ თ ქ.). დათიკომ ჩემზე გული შეიცვალა (ი ლ ი ა).

**გულის შეწვრილება** იხ. გულის გაწვრილება. —ჰო, რა გინდა, რა გული შემიწვრილე?! (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**გულის შეწუხება** გრძნობის დაკარგვა, გულს შემოყრა. ერთი-ორი დავიკივლე და შემიწუხდა გული (ა კ ა კ ი). თარაშს ყოველივე განაგონი ჰქონდა დაშასაგან, თუ როგორ ესროლა ყავარჯენი ნახუცარმა ლუკაიას და მერმე როგორ შეუწუხდა თვითონვე გული (კ. გ ა მ ს.).

**გულის ჩათხრობა** დადარდიანება და განმარტოება, გულის ჩახვევა. ნოშრევანის დაღვრემილმა სახემ და სიჩუმემ ხომ მთლად გააცოფა ბატონი, ნეტა თუ რამ ჩაუთხრო გული ამ ხალისიან ყმაწვილს, რამ ჩააჩუმა? (ვ. ბ ა რ ნ.).

**გულის ჩაწყვეტა** ძლიერ შეწუხება, გამწარება (რაიმე მოულოდნელი საწყენი ამბის გამო). ...თითქოს გული ჩასწყდაო. თითქო წართდაო თაფლოსთვის ყოველივე ამქვეყნად (შ. დ ა დ.).

**გულის ჩახვევა** დარდ-ნაღველის, გულის ნადების გაუმჟღავნებლობა, გულის ჩათხრობა. მარტო რადა სვამ, შვილო? რად ჩაგიხვევია ეს გული? დავიჯერო, ვერავინ იშოვნე? მეც ისე მექცევი, თითქოს აქ არც კი ვიყო (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მარტოდმარტოდ დარჩენილმა დედაკაცმა გული ჩაიხვია და პირზე კლიტე დაიდო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის ჩვენება** გულღიად მოპყრობა, გულკეთილობის დანახვება. ...შეხვდები... უცხოს და გაუღიმებ, გაეცნობი, გაუცინებ, გულს უჩვენებ, მიენდობი, დაუმეგობრდები, შეითვისებ (ვ. ბ ა რ ნ.).

**გულის წასვლა** გრძნობის დაკარგვა, გულის შეწუხება, გულს შემოყრა. სოსიკა-ბიჭს გული წაუვიდა და გამტკნარებული გაიშხლართა დაბლა... (ვ ა ჟ ა). მას არ შეეძლო დაჭრილი კაცისთვის შეეხედა, მაშინვე გული წაუვიდოდა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულის წაღება** შეწუხება, თავის მობეზრება. — მაშ რა ვქნათ, ჩემო გიგო, — მიუგო ვანომ, — სულ უბედურებაზე ლაპარაკმა წაიღო გული და თავი..., ხანდისხან ბედნიერებაზედაც უნდა ვთქვათ რამე, თორემ ცუდად არის საქმე (ნ. ლ ო მ.). ამ პარაზიტებმა წაიღეს გული (კ. გ ა მ ს.).

**გულის წყლული** იხ. გულის ჭრილობა. ...ამ ამბავმა დაუამა გულის წყლული არზაყანს (კ. გ ა მ ს.).

**გულის ჭრილობა** დარდ-ნაღველი, გულის ტკივილი. მაგრამ ეჰ, ძამო, მე ამ სიკვდილმა გულის ჭრილობა არ გამიმთელა (ი ლ ი ა). როგორც ჩანდა,

ქალებზე საუბარმა გულის ჭრილობა გაახსენა (მთავარს), ცუდ ხასიათზე დადგა და წასასვლელად ფეხზე წამოდგა (ბ ა ნ.).

**გულის ჭუჭყის მობანა** საწყენის, უკმაყოფილების მიზეზის დავიწყება. შემდეგ ერთმანეთს გადაეხვივნენ, გულის ჭუჭყი მოიბანეს ... და წასასვლელად შეემზადნენ ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულის ხმა** აზრი, ფიქრი, გულის ნადები. ... ამ შავი მტრედების ღუღუნით ამცნობდა სამყაროს თავის გულის ხმას ზევსი (ს. გ ა მ ს.).

**გულისყურის (ა)დევნება** ყურადღების მიქცევა, დაკვირვება. პატარა გულისყური რომ ადევნოს კაცმა (მანქანას), მალე მიხვდება, სად რის ხელის შეწყობა უნდა და მალე გამართავს (ი ლ ი ა).

**გულისყურის მოკრება** ყურადღების მოკრება. გულისყურს მოვიკრებ და უფრო დალაგებით მოგახსენებ (ი ლ ი ა).

**გულმა რეჩხი უყო** შეკრთა, შეცბა, გული შეუტოკდა. ალშიბაია მიუხვდა ტატაშ მარშანიას, გულმა რეჩხი უყო, მაგრამ ამის მიუხედავად კვლავინდებურის ქალაჩუნობით კვლავ შესთავაზა თამადობა (კ. გ ა მ ს.). ... პირველად რომ გავიგე, მეც შენსავით გულმა რეჩხი მიყო: მერე ჩვენი მამულიმეთქი? (შ. დ ა დ .).

**გულმა უთხრა** იფიქრა. — მაშინვე გულმა მითხრა ..., ჩემი ჯერანის ბედი სწორეთ ავი უნდა იყოს-მეთქი (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულს ასკდება** ბოღმა, ბრაზი ახრჩობს, გულზე სკდება. ... ვარ ასე და ვასკდები ჩემს გულს ..., უნდა ვიმწუხრო ..., უნდა ვიჟივლო და ვიტირო ჩუმად მაგათ შემხედვარემ ... (დ. კ ლ დ.).

**გულს დაკლება** წყენა, უკმაყოფილო, გულნაკლული გახდომა. — გვიქენი მოწყალება, გვიშველე რამე და თლათ ჩვენი ოჯახი რომ წაიღო, გულს არ დაგვაკლდება, — უპასუხა ბაბალემ (ე. ნ ი ნ ო შ.). — მე რაღა — გულს უნდა დამაკლდეს მაშა! სამიოდ დღის ნახნავი მქონდა; გვალვამ ამომიგდო სულა ..., ვარ დაღონებული და დაძმარებული (ნ. ლ ო მ.).

**გულს ერჩის** იხ. გული ერჩის. შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი შეშინებულიც! მობრძანდი და ხელი მომკიდე, თუ გულს გერჩის, და შენს სეირს გაყურებინებ (ა კ ა კ ი).

**გულს ესალბუნება (რამე)** სიამოვნებას ჰგვრის, გულს უმშვიდებს, გულზე მალამოდ ეცხება (რამე). როდესაც მოახსენეს, რომ ნადიმად არც თამარი მობრძანდებაო, გულს ესალბუნა (შ. დ ა დ.). — სამთავროს საზღვარზე გახლავართ და შენთან ხანდაზმულნი განშორებას ვნაღვლობთ, მაგრამ გულს მხოლოდ ის ესალბუნება, რომ მალიად ველით გიხილოთ კვალად ... (ბ ა ნ.).

**გულს იყოლიებს** ერთობა, თავს იქცევს, თავს იყოლიებს. ერთად-ერთი მისი „მეგობარი", რომელზედაც ის თავის გულს იყოლიებდა, ეს იყო გოჭი (დ. კ ლ დ .).

**გულს მოფონება** დამშვიდება, გულზე მალამოს მოცხება. ამის წინ მაინც გადმოვშლი დიდი ხნის შეგუბებულ ნაღველს და ცოტათი მაინც გულს მოვიფონებ (ვ. ლ ო მ თ.). მასალბუნებელი იყო შაქარასათვის დოდოს სიტყვები, თითქო გულს ეფონებოდა, თითქო წყლული გააყუჩაო, მაგრამ სრულიად მაინც ვერ აკმაყოფილებდა ... (შ. დ ა დ.).

**გულს მოშვება** დამშვიდება, ჯავრის, დარდის გადაყრა, გულს მოფონება. თეიმურაზს თითქო გულს მოეშვა, თითქო რაღაც გაუხარდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). სამივე ბატონიშვილს დაეტყოთ, რომ გულს მოეშვათ. გოდერძის აზრი ძვირფასი იყო, მით უფრო გოდერძის პირდაპირობა ყველამ იცოდა (შ. დ ა დ.).

**გულს შემოყრა** გრძნობის დაკარგვა, გულის შეწუხება, გულის წასვლა. ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავბრუ ეხვეოდა და ეცემოდნენ ძირს... (ა კ ა კ ი). საწყალი დედა თმაგაწეწილი შემოვარდა და, როცა თავისი შვილები სისხლით გათხუპნულები ნახა, ჩაიკეცა და გულს შემოეყარა (გ. წ ე რ ე თ.). „...მე გულს შემომეყარაო და აღარა მახსომს რაო..." (რ. ე რ ი ს თ.).

**გულში ამოჭრა (რისამე)** განზრახვა, მტკიცედ გადაწყვეტა, გულში ჩადება (რისამე). — სამხედრო სამსახური ამოვიჭერი გულში (ა კ ა კ ი). ამიერიდან ბახვამ განსაკუთრებით დაუწყო გაზეთებს თვალყურის დევნება, რაკი მამულის ყიდვა გულში ამოიჭრა, „დროებაც" დაიბარა (გ. წ ე რ ე თ.).

**გულში აქვს (რამე)** განზრახული აქვს რამე, ფიქრობს (რასმე). — რა ვიცი სადაა? რაღამც იგი ჰქონდათ გულში, ცხენებსაც ქე დამალავდნენ (ე. ნ ი ნ ო შ.).

**გულში გავლება (რისამე)** გაფიქრება, აზრად მოსვლა, განზრახვა (რისამე). ეს ბიჭი თუ გაივლებს ხოლმე გულში დათვის ჯავრის ამოყრას, თორემ სხვა არავინ (ვ ა ჟ ა). ალბათ, ასეთი სჯობია, — გაივლო გულში და ამთავითვე გადაწყვიტა... სხდომაზე კრინტიც არ დაეძრა (ლ. ქ ი ა ჩ.).

**გულში გარბენა (რისამე)** გაფიქრება, აზრად მოსვლა, გულში გავლება (რისამე). ... რა იქნა ხალხის ძალა, სიყვარული? რისი, ან ვისი ბრალია ჩვენი ასე დამხობა? — გაურბინა იმას გულში და მწარედ, მაგრამ გარკვევით, ჩაიცინა ... (ა. ყ ა ზ ბ.).

**გულში გატარება (რისამე)** გაფიქრება, განზრახვა, გულში გავლება (რისამე). ... არც ერთი ჭკვათამყოფელი სომეხი ამას არც იტყვის და არც გულში გაიტარებს (ი ლ ი ა).

**გულში დამარხვა (რისამე)** იხ. გულში ჩამარხვა (რისამე). ეს გულში თქვა და გულშივე დაიმარხა, შვილს ცხადლივ არა უთხრა რა (ი ლ ი ა).

**გულში დაჭრა** შეწუხება, გულის ტკენა, გულის დაკოდვა. სოფიო გამხიარულდა..., ელენე დაიჭრა გულში (ლ. ა რ დ ა ზ.).

**გულში თქმა** გაფიქრება, აზრად მოსვლა. მოდი ამ კაცს ფულს ვესესხები-მეთქი, ვთქვი ჩემს გულში (თ. ს ა ხ .). „ბარემ სოფელმა მომწამლოს თავისი საწამლავით!“ — იტყოდა თავის გულში სპირიდონი (ე. ნ ი ნ ო შ).

**გულში ისრის გაყრა** გამწარება, გაწამება, დატანჯვა. ამ ყმაწვილს ასეთი ისარი გაჰყროდა გულში, რომ იმისი სიმწარე ყველას დაავიწყებდა ... (რ. ე რ ი ს თ.).

**გულში მოხვედრა (რისამე)** განსაკუთრებულად განცდა (რისამე). ეს სიტყვა გულში მომხვდა, მაგრამ თავი შევიმაგრე, რადგან გენერალი ამ საყვედურს მე ვერ დამიმიზნებდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულში ნადები** იხ. გულის ნადები. შევკრიბეთ იმ ღამესვე მეკენჭეები და გადავეცით გულში ნადები (ა კ ა კ ი).

**გულში ნათელის ჩადგომა** გახარება, დაიმედება, გულის განათება, შვებით ამოსუნთქვა. ქორაფი იცნო ისევ ტრედმა... ტრედს გულში ნათელი ჩაუდგა. იმან დაინახა თავის საყვარელი წყაროც (ვ ა ჟ ა).

**გულში საკირე უნთია** ძალზე შეწუხებულია, საშინელი დარდვარამი აწუხებს, გულში ცეცხლი უნთია. რა საკირე ენთოთ გულში და რა ცეცხლმა გაიარა! (გ. ლ ე ო ნ .).

**გულში ტყვიის ჩადუღება** სიმტკიცის, პრინციპულობის გამოჩენა; გაკერპება. ქურდობაზე დაიჭირეს, მაგრამ, რომ იტყვიან, გულში ტყვია ჩაიდუღაო, სწორედ ისე გაკერპდა და მაინც არ გატყდა (თ. ს ა ხ .).

**გულში უდევს (რამე)** ფიქრობს, განზრახული აქვს, გულში აქვს (რამე). ლევანტიეს აზრი არ გამართლდა: თინათინს თურმე სულ სხვა რამე ედო გულში (ე. ნ ი ნ ო შ.). ... შეიძლება ამ ქორწინებით უფრო მალე და უფრო ადვილად შეასრულო ის, რაც, თურმე, ამდენს ხანს გულში გდებია (შ. დ ა დ.).

**გულში უზის (ვინმე)** უყვარს (ვინმე). მაგრამ როგორ ჩამოაცალოს, რომ სოვეტნიკს ისე მჭიდროდ გულში უზის? უამისოდ უბრალო ქალალდსაც ხელს არ აწერს? (ი ლ ი ა). ის რაღაა, რომ ეგივე ესაია ეფიცება მინასას, რომ ეხლა ქართველები და სომხები ერთმანეთის სიყვარულით ერთმანეთს გულში უსხედანო (ი ლ ი ა).

**გულში უძევს (რამე)** იხ. გულში უდევს (რამე). — აბა, მოვსულვართ თქვენთან სახვეწრადა ... მოვსულვართ და ჯერ ღვთის სახელს ვახსენებთ და მერე იმას გეტყვით, რაც გულში გვიძევს (ა. ყ ა ზ ბ.). — ვიცი, რაც გიძევს გულში, დათუნავ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გულში შენახვა (რისამე)** დაფარვა (რისამე); დახსომება, გულში ჩამარხვა (რისამე). საიდან ამოიკითხა ავტორმა ეს ასეთი მკვახე განსაკითხველი ჩვენის მატიანისა და რა საბუთით ამბობს ყოველს ამას, — ავტორი გულში ინახავს (ი ლ ი ა). კოდალა ნაირ-ნაირ ამბებით შეაქცევდა, მაგრამ ქათმები კი მაინც არ გადაუვარდა მამალს გულიდან; იმათი ხსოვნა ისე ჰქონდა შენახული გულში, როგორც ნაცარწაყრილი ნაკვერჩხალი (ვ ა ჟ ა).

**გულში ჩაბეჭდვა (რისამე)** საფუძვლიანად, სამუდამოდ დახსომება, გულზე დაჭდევა (რისამე). (იაგოს) გარკვევით ებეჭდებოდა გულში იმისი სახე (ა. ყ ა ზ ბ.). ... ერთხელ კიდევ გეტყვი ზოგიერთ რამეს და კარგად ჩაიბეჭდე გულში ... (ბ ა ნ .). ამ საღამოდან ბახვა სულ გამოიცვალა. მას ღრმად ჩაებეჭდა გულში ესმას სიყვარული და გადასწყვიტა მისი ცოლად შერთვა (გ. წ ე რ ე თ.).

**გულში ჩაგდება (რისამე)** იხ. გულში ჩადება (რისამე). ... არა, შვილო, მაგაზე ფიქრს ნუ ჩეიგდებ გულში, თვარა ვინ იცის, სად არ წაგიყვანს, რას არ გაფიქრებინებს! ... (დ. კ ლ დ.).

**გულში ჩადება (რისამე)** გაფიქრება, აზრად მოსვლა, განზრახვა (რისამე) (იხ. გულში უდევს). — ხალხო, ამას რას მოვესწარი?! ქართველი ხალხი მუდამ ემორჩილებოდა თავის მეფესა და ბატონს, ახლა კი აშლილხართ და ეურჩებით. სად გაგონილა! როდის ყოფილა! რა ჩაგიდვიათ გულში? (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ეს მართლა ღვთაება ყოფილა. ჩვენ საიდან ვბედავთ ესეთი ამაყური ზრახვანი გულს ჩავიდოთ! (შ. დ ა დ .).

**გულში ჩავარდნა (ვისიმე, რისამე)** მოწონება, შეყვარება (ვისიმე, რისამე). შემდეგ ორიოდე სხვა ვინმეც მომეწონა, მაგრამ ისინიც გულიდან ამოვიყარე, რადგან იმ ორიოდეს მე თვითონაც ვერ ჩავუვარდი ჩემთვის დახშულ გულებში (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მაგრამ გვანჯ აფაქიძეზე მეტად მის სასიძოს — რაიკომის მდივანს,-არლანს ჩაუვარდა გულში არაბია (კ. გ ა მ ს.).

**გულში ჩაკენჭება (რისამე)** დახსომება, გულში ჩაბეჭდვა (რისამე) ... ლადოს სიტყვები მას სულის სიღრმეში ჩასწვდა და თუმცა ზოგი რამ ვერც კი გაიგო, მაგრამ არსებითს ჩახვდა და გულში ჩაიკენჭა (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**გულში ჩამარხვა (რისამე)** დაფარვა, გულში შენახვა, გულში ჩახვევა (რისამე). აქ უსიტყვოდ უნდა იტანჯო, რაც დაგემართება, გულში უნდა ჩაიმარხო; ადამიანური თვისება — ბრძოლის, დარდის გამოთქმა—უნდა დაივიწყო (ნ. ლ ო რ თ ქ.). შეიცოდა რუსუდანმა და პირველი სათქმელი გულში ჩაიმარხა (შ. დ ა დ .).

**გულში ჩამოხედვა** იხ. გულში ჩახედვა. — ყველანი თავის ჭირსა სტირით, შვილო, და ჩემს გულში კი არ ჩამოიხედავთ . . . საახალწლოდ ვინახავდი კერატს და მაგ ვერანამ არ მომტაცა! (ვ ა ჟ ა). ისაო, შვილო, რომ ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოიხედე (ი ლ ი ა).

**გულში ჩასმა (ვისიმე)** შეყვარება (ვისიმე), განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. თუ წვრთნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან — შენ (ი ლ ი ა).

**გულში ჩაწვდომა** იხ. სულის სიღრმეში ჩაწვდომა.

**გულში ჩაჭდევა (რისამე)** იხ. გულში ჩაბეჭდვა (რისამე). . . . ესენი ან სულ არ იყო ხსენებული, ან თუ იყო, ისე გაკვრით და გზადა-გზაობით, რომ გულში არავის არა ჩასჭდევია-რა... (ი ლ ი ა).

**გულში ჩაჭედვა (რისამე)** იხ. გულში ჩაბეჭდვა (რისამე). . . . ვინ იქნება ისეთი უბირი, ბრიყვი და გულწამხდარი, რომ სიყვარულითა და სიხარულით ხელი არ მიაშველოს ამის მთქმელსა და თქმული მისი არ ჩაიჭედოს გულში. . . (ი ლ ი ა).

**გულში ჩახედვა** ვისიმე გრძნობა-განცდათა შეტყობა; თანაგრძნობის გაწევა. . . . აბა, ერთი ახლა ჩემს გულშიც ჩაიხედეთ! თქვენ მხოლოდ თქვენი გიკვირთ და სხვისას კი აღარ ჰკითხულობთ! . . . (ა კ ა კ ი). . . . გულში ჩახედე იმ შენ წუპაკა ქალბატონს, გულში ჩახედე და მაშინ... მაშინ... თქვი... მაშინ! (დ. კ ლ დ .). (თეიმურაზს) მოაგონდა მარგოს წელანდელი დახვედრა, პირის მორიდება, ქვითინი და მწარე საყვედური. მოაგონდა და მიუხვდა ანჩხლობის და ცრემლის მიზეზს. მიუხვდა, ჩაფიქრდა და მარგოს გულში ჩაიხედა . . . (მ. ჯ ავ ა ხ.).

**გულში ჩახვევა (რისამე)** დაფარვა, გულში ჩამარხვა (რისამე); დახსომება (რისამე). დაბეზღებულს აღარა დარჩება-რა ხოლმე იმის მეტი, რომ გულში უნდა ჩაიხვიოს უსამართლოდ გაუპატიურებული, მაგრამ სამართლიანად გაბოროტებული გრძნობა (ი ლ ი ა). მაშ კარგიო, — თქვეს მოურავებმა და ჩაიხვიეს გულში, — ეხლა კი ჩვენ ვიცითო! (ა კ ა კ ი).

**გულში ცეცხლის დანთება** გაბრაზება, გაჯავრება, გულზე ცეცხლის მოკიდება; აღელვება. ტრედებმა კიდევ სიცილი მიაყარეს. მელმა გასწია, მაგრამ გულში ცეცხლი დაენთო შურისძიებისაგან: თუ თქვენი ჯავრი არა ვჭამო, — ამბობდა მელი თავისთვის, — ცოცხალი აღარ ვიყოვო (ვ ა ჟ ა). მისი ლამაზი თეთრ-ყირმიზი სახე შავ-თვალ-წარბიანი, გრძელ-წამწამებიანი გამვლელ გამომვლელს, განსაკუთრებით ფოთის ნოქრებს, ცეცხლს უნთებდა გულში (გ. წ ე რ ე თ .).

**გულში ცეცხლის ტრიალი** მწუხარება, მღელვარება, მწარე განცდების გამო გულის ტკივილი. როგორ იქნება, შვილო! ... გულში რა ცეცხლი უტრიალებს, რას გოუგებ — თვითონ არას ამბობს..., რომ უყურო, ვითომ და არაფერიაო (დ. კ ლ დ.). კარგი, ბებერო, დაწყნარდი, ჭკვიანი ადამიანი ხარ და ვერ მიმხვდარხარ, რა ცეცხლი ტრიალებს ჩემ გულში (ვ. ბ ა რ ნ.).

**გულში ჯოჯოხეთის ცეცხლის ტრიალი** მწუხარება, მღელვარება, მწარე განცდების გამო გულის ტკივილი, გულში ცეცხლის ტრიალი. შუა რუში იდგა წელამდე გატიტვლებული ხოხელა დალაქი, ხელები უკან ჰქონდა გაკრული, იდგა თავშიშველი, ხალხისაგან შეჩვენებული..., ადამიანის სახე აღარ ედო, თვალები დაეხუჭა, თავი ჩაექინდრა და გულში ჯოჯოხეთის ცეცხლი უტრიალებდა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**გულხელის დაკრეფა** იხ. გულზე ხელ(ებ)ის დაკრეფა. — „ვენახი გახმა, ვენახი" — განიმეორა, თითქო დაცინვით, ბებერმა. — თქვენ კი გულ-ხელი დაგიკრეფიათ და დაილაჯებით სოფელში (ნ. ლ ო მ .).

**გუნდრუკის კმევა** ხოტბის, ქება-დიდების შესხმა, პირფერობა. (**გუნდრუკი** ერთ-ერთი ტროპიკული ხის ფისი, რაც საკმევლად იხმარებოდა). ის ჯერ კიდევ სასწავლებელში იყო, რომ ხშირად იგონებდნენ და, რაკი-ღა გამოვიდა, მაშინ ყველგან და ყველასაგან გუნდრუკი ეკმეოდა ..., მოხუცებულნი მისი ჭვრეტით სტკბებოდნენ, ახალგაზრდები აღტაცებაში მოდიოდნენ ... (ა კ ა კ ი). როგორც ყოველი თავადის ქალი, თამარი ქარაფშუტააო, მეგობარს წარამარა იცვლისო, თუ მუდამ გუნდრუკი არ უკმიე, უთუოდ გულს აგარიდებსო (კ. გ ა მ ს.). მეჩოთირებოდა ჩინოსან-გვაროსანებისადმი წარამარად გუნდრუკის კმევაც (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**გუნებაში გავლება (რისამე)** გაფიქრება, აზრად მოსვლა, გულში გავლება (რისამე). „მე რას ველოდი და რა დამიხვდაო?!" — გაივლო გუნებაში (ა კ ა კ ი).

**გუნებაში დაჯდომა (რისამე)** იხ. ჭკუაში დაჯდომა (რისამე). ... წეღან რასაც ლაპარაკობდა, ის კი არ დამიჯდა გუნებაში (ა კ ა კ ი).

**გუნებაში მოსვლა (ვისიმე, რისამე)** მოწონება (ვისიმე, რისამე); გაფიქრება, აზრად მოსვლა, გულში ჩადება (რისამე). ეს გოგო გუნებაში მოსულია (მ. გ ა რ ი ყ.).

**გუნების განათლება** გამხიარულება, კარგ ხასიათზე დადგომა, გულის განათლება. ჩემს დედაკაცს ... ძლივს გუნება გაუნათლდა (ვ ა ჟ ა).

**გუშინდელი ღლაპი** სულ ახალგაზრდა, გამოუცდელი. გუშინდელმა ღლაპმა შენი სიტყვა გაიყვანო და ჩემი-კი, ამდროული დედაკაცისა, გააბათილო? (შ. ა რ ა გ ვ.).

## დ

**დაბალი ღობე** სუსტი, უძლური, ადვილად დასაჩაგრავი, აბუჩად ასაგდები (ვინმე). რა დაბალი ღობე მე მიპოვა! ... უი, უწინამც დღე არ უნდა გაუქრეს ხორეშანსა, რომ მოსე გძელაძემ მოატყუოს! (ილია). ყველგან გლეხია დაჩაგრული. ის დაბალი ღობეა და ყველა ზედ გადადის, ამტვრევს იმას, წიხლავს ... (ს. მგალობ.).

**დავთრების არევა** დაბნევა, თავგზის აბნევა, გზა-კვალის არევა. ამისთანა პასუხმა დავთრები სულ მთლად ამირია ... (ილია). ... არეული აქვს ხალხს გონება ... ამ ომმა მაინც სულ აგვირია დავთარი (ა. ბელ.).

**დავთრების დაკარგვა** იხ. დავთრების არევა. ყველაფერი შესაძლებელია იქ, სადაც დავთრები დაკარგულია, სადაც თავი და ბოლო ვეღარავის მიუგნია (ილია). ბრძოლას დავიწყებთ თუ არა, თავს გადავუვლით თათრებსო, მოულოდნელად დავესხმით, დავაკარგვინებთ დავთრებსო (აკაკი).

**დავთრების დაფანტვა** იხ. დავთრების არევა. ... ეს რომ მოხდეს, ხომ აირია მონასტერი თ. გ. თუმანოვის ამქრისა, ხომ დაეფანტათ დავთრები და ძაღლმა პატრონი ვეღარ იცნო (ილია).

**დავთრ(ებ)ის შეშლა.** იხ. დავთრების არევა. ამ მაღალ კლასში, ცოტა არ იყოს, დავთარი შემეშალა (აკაკი).

**დათვური სამსახურის გაწევა** სარგებლობის ნაცვლად ზიანის მოტანა. ჩვენ (მას) დათვურ სამსახურს ვუწევთ (ჭ. ლომთ.).

**დამქაშის დაკვრა** დათანხმება, დადასტურება, კვერის დაკვრა. (**დამქაში** თანამოაზრეს, ამყოლს, მომხრეს ნიშნავს, აღმოსავლურ მუსიკაში კი — ბანის მიმცემს). ნახევარი თუნგი არაყიც კი მომეტებული არ იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა, მეტადრე ამისთანა ყინვაში! დამქაში დაუკრა გოგიამ რძალს (ე. გაბ.).

**დამში მოსვლა (საქმისა)** საქმის მოგვარება, გათავება. — ვით იქმნება, ჯერ კაცი სათუოზეა ... — როგორ თუ სათუოზე. საქმე დამშია მოსული (შ. დად.).

**დამწვარზე მდუღარის გადასხმა** ერთ უბედურებაზე მეორის დამატება. დამწვარზე მდუღარე გადაესხაო, რომ იტყვიან, სწორედ ისე დაემართა ჯერანს (ე. ნინოშ.).

**დანა კრიჭას არ უხსნის** იხ. დანა პირს არ უხსნის. ახლანსაც გარისხებულსა დანა არ უხსნის კრიჭასა (ვაჟა).

**დანა პირს არ უხსნის** გაჯავრებულია, გაბრაზებულია, გულმოსულია, კრიჭაშეკრულია, ხმას ვერ იღებს (ბრაზისაგან). კაც ზვამბაიას მაინც დანა პირს არ უხსნიდა. დაუბრებულსავით მოგვყვებოდა, უკან გვრჩებოდა (კ. გ ა მ ს.).

**დანა ყელთან აქვს მიბჯენილი** უკიდურეს გაჭირვებაშია, გამოუვალ მდგომარეობაშია. ლექსო, სალდათად წაიყვანეს, მერე რა დროს! მაშინ, როდესაც (ზალიკას) დანა ყელთან ჰქონდა მიბჯენილი (ი. ე ვ დ.).

**დანას ეხევა** გაბრაზებულია, აღშფოთებულია, აღელვებისაგან შფოთავს. — ახლა შენ ის უნდა ბრძანო, რა დიდი შეურაცხყოფილნი არიან მიქიას ძმები, ფაღავები . . . დანას ეხევიან. როგორ გაბედა და ჩვენს დას დაწუნების სახელი დაადოო (ბ ა ნ .).

**დანის ღორის კუდზე გა(და)ტეხა** საქმის გათავებისას გაფუჭება. შე კაცო, ღორის კუდზე ნუ-კი გადატეხ დანას! (ა. ბ ე ლ.).

**დანის ყელში დაჭერა** უკიდურეს მდგომარეობაში ჩაგდება, მეტის-მეტად შეწუხება, შევიწროება. ესეც კია, უარი როგორ ვუთხრა? ეხლავ ყელში დანას დამაჭერს, მინამ ჯვარის-წერა კიდევ წინ გვიდევს (ი ლ ი ა).

**დაფნის გვირგვინის დადგმა** დიდებით, შარავანდედით შემოსვა: გამოვიწვიე გმირთა აჩრდილი . . ., თავზე დავადგი დაფნის გვირგვინი (ვ ა ჟ ა).

**დაღის დასმა** კვალის დაჩნევა, ბეჭდის დასმა. ასეთმა ოცნებებმა ილიკოს, ცხადია, თავისებური დაღი დაასვა (ა. ბ ე ლ.). ... საოცრად დიდი, განუქარვებელი დაღი დაასვა ბავშვობის შთაბეჭდილებებმა მთელ მის ხასიათს, ცხოვრებას და . . . აზროვნებასაც (ო. ჩ ხ.).

**დედაბუდიანად მოთხრა** მოსპობა, განადგურება, გაცამტვერება. გამოდის, რომ ჩვენ-კი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, როცა ჩვენს მთელს ერს დედა-ბუდიანად სთხრიან . . . (ი ლ ი ა).

**დედამიწამ პირი უყო** უკვალოდ დაიკარგა, გაქრა, დედამიწამ ჩაყლაპა, მიწამ პირი უყო. ყოველი კუთხე მოჩხრიკეს, ყველა მაღაროსა და ხვრელში ჩაანათეს, გასინჯეს და ყველა გზა-ბილიკი შეჰკრეს . . ., მაგრამ ვერაფერ კვალს ვერ მიაგნეს. თითქო დედამიწამ უყოვო პირი, ან მიწის მგელმა ჩანთქა ქალიო (ვ. ბ ა რ ნ.).

**დედამიწას არ ასცილებია** ძალიან პატარაა, ტუჩებზე რძე არ შეშრობია. ჯერ დედამიწას არ ასცილებია, ამას ჩადის, რომ გაიზრდება, რა იქნება?! (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**დედამიწასთან გასწორება** იხ. მიწასთან გასწორება. ...ბუზადაც აღარ ჩაგვაგდეს, ხალხის თვალში დედამიწასთან გაგვასწორეს (ა კ ა კ ი). ცხოვ-

რების ელვისაგან გატაცებული, ის თანდათანობით მიექანებოდა უფსკრულისაკენ და ვერ ატყობდა, რომ მზად იყვნენ დედამიწასთან გაესწორებიათ ურჩი ქმნილება... (ა კ ა კ ი).

**დედამიწიდან აღგვა** მოსპობა, განადგურება, გადაშენება, მიწის პირიდან აღგვა. და ვითარცა ავაზაკნი აღგავა დედამიწიდან, და თვით კი ვითარცა ნადირი ტყისანი ხალხთა ზედა თარეშობს (ბ ა ნ.).

**დედამიწის ზურგზე** მთელ ქვეყანაზე, მსოფლიოში. ...წუთისოფლის დაუდგრომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოსცვალა დედამიწის ზურგზედ (ი ლ ი ა). — ღმერთო, ღმერთო, რა კაცია ჩვენი მუცელა! ... მაგაზე მეტი ღვთისნიერი და გლახაკთ მოწყალე რომ არ შეიძლება იყოს კიდევ სხვა დედამიწის ზურგზე! — იძახოდა ხალხი (ვ ა ჟ ა).

**დედამიწის ზურგიდან აღგვა** მოსპობა, განადგურება, მიწის პირიდან აღგვა. ... იგი უნდა ჰსცდილობდეს ოჯახი ძირიან-ფესვიანად ამოაგდოს და სამუდამოდ აღგავოს დედამიწის ზურგიდან (ი ლ ი ა).

**დედის ატირება** შავი დღის დაყრა, დამარცხება. ...ჯერჯერობით იმან გიტირათ დედა და ორივეს კრაზანას ბუდეში გიკრათ თავი (მ. ჯ ა ვ ა ხ.) დადექ, თორემ ... დედას გიტირებ (ა. ბ ე ლ .).

**დედის ხსენი არ შეშრობია** პატარაა (ასაკით); ტუჩებზე რძე არ შეშრობია. ...დედის ხსენი ქალს არ შეშრობია და უკვე ხრწნიანო... (კ. გ ა მ ს.).

**დევი ყურით არ დაუჭერია** რაიმე განსაკუთრებით ვაჟკაცური. გასაკვირი საქმე არ გაუკეთებია. ბაში-აჩუკი დაუბრუნდა თავის სახლკარობას და აბდუშაჰილიც ჩაესიძა. მართალია, დევი ყურით არ დაუჭერიათ სიძეცოლისძმას, მაგრამ ბევრჯერ-კი კარგი სამსახური გაუწიეს იმერეთს თურქებთან ბრძოლის დროს (ა კ ა კ ი).

**დევის ნამუხლარი** იხ. ირმის ნახტომი. ვიაროთ, დევის ნამუხლარს ჰგავდეს ყოველი ჩვენი გადაბიჯება (გ. ლ ე ო ნ.).

**დიდ გულზე ყოფნა** უშიშრად, ამაყად ყოფნა. დიდ გულზედ ხარ, ზურგს უკან რომ ლაპარაკობ! ვითომ და ვერ გეიგებს (დ. კ ლ დ.).

**დიდი გული აქვს** ამაყია, მედიდურია, ქედმაღალია; გულმაგრადაა, დიდ გულზეა. ხმას არავინ სცემდა ..., რადგან წესი და ჩვეულება ასეთია: ქალის პატრონს მუდამ დიდი გული აქვს (ვ ა ჟ ა).

**დიდი დღე არა აქვს** დიდხანს ვერ იარსებებს, ხანმოკლეა, მალე მოეღება ბოლო. დემეტრეს სოფლად ყოფნას დიდი დღე არა ჰქონდა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**დილის სიოს არ აკარებს** განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევს, ძალიან უფრთხილდება, სათუთად ექცევა, ცივ ნიავს არ აკარებს. მე ჩემს ესმას დილის სიო არ მინდა მივაკარო და შუადღის სიცხე; თავადიშვილის ოჯახში მინდა ის გავადედოფლო, და ეს დედამისი რას როშავს... უნდა ნემსითა და ლიანდაგებით ხელები დაუჩხვლიტოს ... (გ. წ ე რ ე თ.).

**დო(ვ)რანის დაცემა** ბედში ჩავარდნა, გამდიდრება. (**დორანი, დოვრანი** მყუდრო ადგილი წყალში, სადაც თევზები იყრიან თავს). ვერ წარმოიდგენ, ქვეყანას რა დოვრანი დასცემია, რა იღბალი ჰქონია (ი ლ ი ა).

**დრო იხელთა** ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა. მოხელეებმა და აფიცრებმა დრო იხელთეს და ტფილისისაკენ გამოეშურნენ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**დროს გატარება** გართობა, ქეიფი, ლხინი. ახალგაზრდები დროს ატარებდნენ (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.). რა გაზაფხულდა, ბაღი აღარ დარჩა, რომ იქ დრო არ გაეტარებინა (რ. ე რ ი ს თ.).

**დროს მოკვლა** საქმის უქონლობის დროს როგორმე გართობა და დროის ისე გატარება. ბედიანი და ემუხვარი დიდი მუხის ქვეშ მსხდომარენი კრიალოსნების მარცვლით დროს ჰკლავდნენ... (ბ ა ნ.). — ეჰ, ჩავალ..., სულ ერთია, სადილობამდე დრო ხომ უნდა მოვკლა როგორმე (ვ. ნ ა ხ უ ც რ.).

**დროს მოჭმა** არსებობის დროს დასრულება, ცხოვრების გზის ბოლომდე გავლა; დაბერება, დაძველება, თანამედროვეობისათვის შეუფერებელი გახდომა. ...თავადაზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ხანია თავისი დრო მოიჭამა ... (ი ლ ი ა). ... მე ჩემი დრო, ავად იყო თუ კარგად, მოვჭამე, ცალი ფეხი სამარეში მიდგია ... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**დუღს და გადმოდის** უხვადაა, ბლომად არის (ქონება, სიკეთე...), სიცოცხლით სავსეა (ცხოვრება). ფუფუნებდა, სდუღდა და გადმოდიოდა თავადი ესტატეს ოჯახი ... ფუფუნებდა, სდუღდა და გადმოდიოდა „იოსებ-პაატიჩის", ბოროტ სოსიკას ოჯახიც (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**დუღს და გადმოდუღს** იხ. დუღს და გადმოდის. ჩვენი ცხოვრება დუღს და გადმოდუღსო (ი ლ ი ა).

**დუშაშის მოსვლა** ბედნიერი შემთხვევის გამო უცაბედად წარმატების მიღწევა. (ნიკოს) ეგ ერთი დუშაში მოუვიდა და ისიც ჩემი მიზეზით (ა კ ა კ ი). ჰო, ვერ მოგვივიდა დუშაში განა? ჩვენ ეგრე გვინდა! (ა. ც ა გ ა რ.).

**დღე და ღამის გაერთიანება** იხ. დღე და ღამის გასწორება. დღე და ღამე გაერთიანებული მქონდა, ისე მონდომებით ვსწავლობდი (ა კ ა კ ი).

**დღე და ღამის გასწორება** ძალიან ბევრი, გამუდმებული შრომა (დღეცა და ღამეც). დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა, მაგრამ, რადგანაც თითო საქმეს ბევრს დროს ვერ ახმარდა, ბარაქა ვერც ერთს ვერ დაატანა... (ა კ ა კ ი).

**დღეები დათვლილია (ვისიმე, რისამე)** (ვისამე, რისამე) აღსასრული მოახლოებულია, მალე მოკვდება, დიდხანს ვერ იცოცხლებს (ვინმე). თვითონ საცოდავ დედაკაცსაც გულმა შეუტყო, რომ დღენი მისნი დათვლილია (ი ლ ი ა). ეხლა, როცა ჩემი დღენი დათვლილია, არ მინდა შენი [illegible]ველა, უშენოდაც მოვკვდები... (შ. ა რ ა გ ვ.).

**დღე-ღამის გასწორება** იხ. დღე და ღამის გასწორება. ... იშრომოს, ისწავლოს, დღეღამე გაასწოროს, იმრავლოს და მოღონიერდეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**დღითი დღე** განუწყვეტლივ, თანდათანობით, სულ უფრო მეტად, დღიდან დღემდე. გადასახადი დღითი დღე ემატებოდა (ე. ნ ი ნ ო შ.). გაიოზს დღითი დღე ბოღმა უდუღდა გულში ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**დღის გაქრობა** სიკვდილი, დღის დაბნელება, მზის გაქრობა. რა დაბალი ღობე მე მიპოვა! ... უი, უწინამც დღე არ უნდა გაუქრეს ხორეშანსა, რომ მოსე გძელაძემ მოატყუოს! (ი ლ ი ა). რაო? მე განა მაგათი ამხანაგი ვარ, რომ მაგათ რიგში ჩავდგე, მაგ კახურ ღორებშია. უწინამც დღე გამქრობია (ი ლ ი ა).

**დღის გაშავება.** იხ. მზის გაშავება. ჩემი გულისათვის გაიშავეს დღე (ა. ყ ა ზ ბ.).

**დღის დაბნელება** სიკვდილი, სიცოცხლეს გამოსალმება; გამწარება. შენ ... შენ შეგიყვარო! ... შენ, რომელმაც დაღუპე, ცოცხალი მიწაში დამარხე იაგო? ...შენ, რომელმაც ულმერთოდ დამიბნელე დღე? ...შენ, რომელმაც იმედი გადამიწყვიტე ყოველ სიხარულზედ ... (ა. ყ ა ზ ბ.).

**დღის დალევა** სიკვდილი. — ეგ მეც ვიცი, უწინ დღე დამელიოს, სანამ მე იმისი აშიკობა მივიღო, მაგრამ მემრე რა ვქნა? (დ. ჭ ო ნ ქ.). უწინამც დღე დაელიოს ნინოს, რომ შენს მეტს წაჰყვეს ვისმე! ... (რ. ე რ ი ს თ.).

**დღის მოსწრაფება (ვისიმე)** სიცოცხლის შემოკლება, სიკვდილის მოახლოება, სიცოცხლეს გამოსალმება. ვის რას ართმევდა, ვის რას აკლებდა, ვის რას უშავებდა, რომ აგრე ადრე და მალე დღე მოუსწრაფეო და სიცოცხლე მოუჭარბელს ადამიანს ... ჩემის ხელითვე შავს მიწაში მამარხვინებო (ი ლ ი ა). ... რუსმა დიდი ხალხი მოყარა და დღეს მოუსწრაფებს მტერსაო (ვ. ბ ა რ ნ.).

**დღის სინათლეზე გამოტანა** გამომჟღავნება, გამოაშკარავება, მხილება (რაიმე დაფარული ამბისა). მათ შორის ატეხილი დავა დღის სინათლეზე გამოიტანეს (თ. ს ა ხ.).

**დღის წესრიგი** კრებაზე განსახილველი საკითხები. — ამხანაგებო, დღის წესრიგში გვაქვს ერთი საკითხი: საწარმოო გეგმის შესრულების განხილვა (ა. ბ ე ლ .).

# ე

**ეზოს ატალახ(იან)ება** იხ. კარის ატალახ(იან)ება.

**ეკალ-ბარდში გახლართვა** გამოუვალ, უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნა, ბადეში გაბმა. (დოდოს) შეებრალა კიდეც უტანდარი, რომ ესეთ უიმედო ეკალ-ბარდში იხლართებოდა: აქედან რა სიკეთე უნდა გამოვიდესო (შ. დ ა დ .).

**ეკლებზე ზის** მოუსვენრადაა, მოთმინება არ ჰყოფნის. როცა-კი დაინახავდა, რომ ერთს ორი ან სამი სცემდა, (ჩალხო) მოსვენებას კარგავდა და როგორც თვითონ იტყოდა, მაშინ „ეკლებზე იჯდა“ (ვ ა ჟ ა).

**ეკლიანი გზა** გაჭირვება, ცხოვრების ძნელი გზა. სიღარიბეს წინ ეკლიანი გზა უდევს . . . (ი ლ ი ა). ხელოვნების ერთადერთი მიზანი ის არის, რომ ბეჩავ ადამიანს ეკლიანი გზის გავლა გაუადვილოს, რომელიც დედის მუცელში იწყება და სასაფლაოზე თავდება (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ეკლის გვირგვინის დადგმა** დატანჯვა, წამება. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მინიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზე (ი ლ ი ა).

**ელეთმელეთის მოსვლა** შეშინება, თავზარის დაცემა; ძალზე გახარება, სიხარულისაგან, სიამოვნებისაგან დაბნედა. ტყავიანი კაცი რომ დაინახოს (ქაჯანამ), სულ ელეთმელეთი მოსდის ხოლმე (ნ. ლ ო მ .). . . . ხელმწიფეს უფიქრია, ქვიშაზე უმრავლესია ე თავად აზნაურობაო, ყმები რო ჩამოვართვა, დამესევიან და სულ შემჭამენო; მოდი არც მწვადს დავწვავ, არც შამფურსაო. თითო სულზე ფული გადაუწყვეტია; ფულს რო დავპირდებიო, სულ ელეთ-მელეთი მოუვათო (ს. მ გ ა ლ ო ბ.). შეჩერდება მოქალაქე, მოსდის ელეთ-მელეთი, ფიქრობს, ალბათ ღვინის სუნით სუნთქავს მთელი ხმელეთი (ი. ნ ო ნ ე შ.).

**ენა მხარზე აქვს გადაკიდებული** ბევრი ლაპარაკი იცის, ლაქლაქაა, ენატარტალაა.

**ენა უსწრებს** ზედმეტს, უადგილოდ, დაუფიქრებლად ლაპარაკობს, ენა წინ უსწრებს.

**ენა უჭრის** კარგი, მოხერხებული, მახვილგონივრული ლაპარაკი იცის, ენამახვილია. ახლა იმდენად არც ენა მიჭრის და, თუნდაც ენა მიჭრიდეს, აღარც ის გრძნობა ექნება, რომ მოგიყვე (შ. ა რ ა გ ვ.).

**ენა წინ უსწრებს** იხ. ენა უსწრებს. ეს კარგად უნდა ახსოვდეთ იმათ, ვისაც ენა წინ უსწრებს ... (ი ლ ი ა).

**ენად გადაქცევა** ბევრი, გაუთავებელი ლაპარაკის, ყბედობის დაწყება. — კარგი, კარგი, ენათ ნუ გადაიქცევი. ეხლავ შევასწორებ და ისე გავხდი, თითქოს სულ სხვა დოკუმენტები იყოს (გ. წ ე რ ე თ.).

**ენად გაკრეფა** ბევრი ლაპარაკი (მეტიჩრულად). ბავშვი ენად გაიკრიფა (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.). მუდამ მოტიტინესა და ენად გაკრეფილ ლიდიას დღეს ხმის ამოსაღებად სიტყვა ვერ ეპოვა (ა. ყ ა ზ ბ.).

**ენაზე ადგას** იცის და ვერ მოუგონებია (სიტყვა, სახელი). შენი სახელი ენაზე მადგია, გულს მაწვება წარმოსათქმელად ... (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**ენაზე აკერია (ვინმე, რამე)** წარამარა ახსენებს (ვინმეს, რამეს), მუდმივად ლაპარაკობს (ვინმეზე, რამეზე), პირზე აკერია (ვინმე, რამე). იმ დროს მასთან ლაპარაკი სწორედ სასიამოვნო იყო. იმას მუდამ ენაზე ეკერა საზოგადოებისათვის თავგანწირულება, იმის გულისათვის დაუღალავი შრომა ... (გ. წ ე რ ე თ.). არლოვი გაბადრული იყო ... და „გამოქცეულ ლაჩართა“ დასატუქსავი სიტყვებიც ენაზე ეკერა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენაზე არ დაადგება (რამე)** უთქმელად არ დატოვებს (რამეს), წამოსცდება (რამე). ვიცი ენაზე არა დაგადგება რა (გ. წ ე რ ე თ.). „იცის თუ არა ამ თავზარაულმა მამის სიკვდილის ნამდვილი ამბავი? უამბო რუსიკომ თუ დაუმალა?—და გადავჭერი—რა თქმა უნდა, უამბობდა, ქალია, ენაზე რა დაადგება! ...“ (მ. ჯ ა ვ ა ხ).

**ენაზე არაფერი დაამაგრდება** უთქმელად არაფერს დატოვებს. ყველაფერს იტყვის. გვადის-კი ენაზე რა დაამაგრდება! (ლ. ქ ი ა ჩ.).

**ენაზე დახვევა (რისამე)** მუდმივ სალაპარაკო საგნად გახდა (რისამე). კრება სიხარულით დაიხვევს ენაზე მაგ კომისიას (ი ლ ი ა). მარტო გრიგოლმა მიუგო პასუხი: ენაზე პაპუნა ორბელიანის მატიანე დაიხვია და აღარ მოეშვა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენაზე კბენა** წამოცდენილი ნათქვამის მონანიება და უცებ გაჩუმება, თითზე კბენა, ენის მოკვნეტა. — ვეჟო, — წამოიძახა უცებ ზაალ-

მა, — ვეჟო, ალბათ გაუგეს ერმალას, რომ ის დეკემბრელების დახმარებით ახალ სამეფოს დაარსებას აპირებდა სადღაც აქეთ. — და ხელით შემოხაზა ჰაერი. შემოხაზა და ენაზე იკბინა, რადგან ენამორღვეულ მასპინძელს ყველანი გაოცებით და შიშით დააშტერდნენ. (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენაზე კბილის დადგმა** გაჩუმება, ხმის გაკმენდა. ტურებო, ჩხავანებო, ყური მიეცით სმენასა. თქვენაც. წამოდით, მხოლოდ-კი კბილი დაადგით ენასა! (ვ ა ჟ ა). რაინდიძემ ენაზე კბილი დაიდგა (ლ. ა რ დ ა ზ.).

**ენაზე კბილის დაჭერა** იხ. ენაზე კბილის დადგმა.

**ენაზე უტრიალებს (ვინმე, რამე)** ხშირად ახსენებს, მუდამ ახსოვს, ენაზე აკერია (ვინმე, რამე). დიდსა და პატარას იმ დროს გურიაში ჰასანბეგი უტრიალებდა ენაზე და ახხმიდენ ქებას (ე. ნ ი ნ ო შ .). მე და დათიკოს ჩვენი ხელახლად დაკარგული ბიძაშვილის სახელი ენაზე გვიტრიალებდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენამ უყივლა** წინასწარ თქვა ის, რაც შემდეგ შესაძლოა ახდეს. ... მუდამ ვეუბნებოდი, ყაჩაღი გამოხვალ-მეთქი და თურმე ენამ არ მიყივლა! (მ. ჯ ა ვ ა ხ.). — გაჩუმდი, სისულელეს ნუ ლაპარაკობ, — შეჰკივლა მარიამმა ქმარს. — ენამ არ გიყივლოს, შე სასიკვდილე ... (ა. ბ ე ლ.).

**ენას ილესავს** ბევრი ლაპარაკისთვის, ყბედობისთვის ემზადება. (ქართველები) მთელს წელიწადს ხმაგაკმენდილნი, ამ დროს კბილსა და ენას ილესავენ და რაც მთელს წელიწადს დაჰკლებიათ, გაზაფხულის მოკლე ხანში ლაპარაკით და ბაასით უნდა შეისრულონ (ი ლ ი ა). სოფლის ხუმარებმა იმ საფრთხობელას თეიმურაზ ხევისთავი დაარქვეს და მასზე ენებს ილესავდნენ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენას იწვავს** ცხარობს, ჯავრობს, გაცხარებით ლაპარაკობს, პირს იწვავს. — არა ბატონო! ცუდი ნიშანიაო — იწვავდა ენას კოპწია ცოლი ... (ა კ ა კ ი).

**ენას უკიდებს** ბორძიკით ლაპარაკობს; ენაბლუა, ენაბორძიკაა. თუმცა (თეიმურაზი) ლაპარაკში ოდნავ ენას უკიდებდა, მაგრამ ბორძიკი არაფერს არ ჰვნებდა, ზოგის თქმით კი უხდებოდა კიდევაც (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენით ნაკვერცხალს იღებს** ავია, კაპასია, ნერვიულია.

**ენით ჯარის დატრიალება** ბევრი ტყუილის თქმა, ლაქლაქი, ყბედობა. ერთს კიდევ ესე პატიოსანი დედაბრები დაატრიალებდნენ ენით ჯარასა, ერთს კიდევ გამოაცხობდნენ ცოცხალ-ცოცხალ ტყუილებს (ი ლ ი ა).

**ენის ადგმა** იხ. ენის ამოდგმა. გუდა გადმოდგა, ენა აიდგა, ჩუმად ტანჯვისა დაიწყო გმინვა (ვ ა ჟ ა).

**ენის ამოგნება** ალაპარაკება, ენის ამოდგმა, ხმის ამოღება. (გმირისეულს) ენა დაება, სიმუნჯე დაემართა და რამდენიმე საათს ენის ამოგნება არ ძალედვა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ენის ამოდგმა** ლაპარაკის დაწყება, ამეტყველება; ხმის ამოღება, ენის დაძვრა. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც (ა კ ა კ ი). . . . დღევანდლამდის გონზედ ვერ მოვიყვანეთ, დღეს ძლივს ენა ამოვადგმევინეთ. . . (რ. ე რ ი ს თ.). აინთო ცეცხლები, გაისმა ხმაურობა, ყიჟინა და გაჩუმებულს ადგილებს თითქოს ერთბაშად გამოეღვიძა და ერთბაშად ენა ამოიდგა (ა. ყ ა ზ ბ.).

**ენის ამოღება** ხმის ამოღება, რისამე თქმა, კრინტის დაძვრა. „ეგდე! არ ამეიღო ენა, თვარა! . . .“ — დაუყვირებდა ჯერან ამ ხვეწნის პასუხად (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ენის აყოლა** (ვისიმე) ნათქვამის, ჭორის დაჯერება. ...მტრის ენას აჰყოლიხართ (რ. ე რ ი ს თ.).

**ენის გაბრტყელება** ზედმეტი, გაუთავებელი ლაპარაკი, ლაქლაქი. მაგრამ რაც უნდა ენა აბრტყელოს, სულ ერთია, არავინ დაუჯერებს (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**ენის გაგრძელება** ბევრი, ზედმეტი ლაპარაკი, ყბედობა, ენის გაბრტყელება. მიეთრია ბიცოლაი, გააგრძელა ენა, — ამისთანაია, იმისთანაიაო, წაათრია ანაი, მოატყუა და გამოუშვა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ენის გატეხა** ლაპარაკში გაწაფვა, სიტყვათა და წინადადებათა სწორად წარმოთქმის შეჩვევა. რუსულში ენას იტეხს (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**ენის დაბმა** გაჩუმება, დამუნჯება, ხმის ვერ ამოღება, ენის ჩავარდნა; ენის აბორძიკება. შევიდა თუ არა შინ, ბახვას ენა დაება, ვერა თქვა-რა და კალთაში ჩაუვარდა დედას (გ. წ ე რ ე თ.). ბიჭი პირველად შეშინდა, ენა დაება და ხმა ველარ ამოიღო (ე. ნ ი ნ ო შ.). ბორჩალოელ თათარს ენა დაება, ტუჩები აუცახცახდა, კისერი მოედრიკა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენის დამოკლება** ლაპარაკის მოკლება, შედარებით ცოტა ლაპარაკი; გაჩუმება. აბაშიძის ქალო, ენა დაიმოკლე, თორემ, ხომ იცი, დროც ჩემ ხელთ არის და გასავალიც (ა კ ა კ ი). — ენა დაიმოკლე, თორემ ხომ იცი, თავხედების ლაგამი როგორი ვიცი (ბ ა ნ.).

**ენის დატკბობა** ტკბილად ლაპარაკის დაწყება, ენის დაშაქვრა. (ანჯიქომ) ენა დაიტკბო და მოახსენა: ტანისამოსი გაუცვთა? ახალს ვუყიდი! (ს. შ ა ნ შ.).

**ენის დაშაქვრა** ტკბილად, ვისიმე საამებლად ლაპარაკის დაწყება, ენის დატკბობა, პირის დაშაქვრა. მოურავო, . . . შენ ენა და პირი დაიშაქრე და მე მომეხმარე! — დაიწყო გმირისეულმა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ენის დაძვრა** ხმის ამოღება, კრინტის დაძვრა, რისამე თქმა. აბა თუ ერთმა ამ ცრუპენტელა ლიბერალთაგანმა ეხა დასძრას და უთხრას: „კაცნო, რას მიჰქარავთ...“ (ი ლ ი ა). . . .(ქრისტინე) ისე გაბრუებული იყო რაღაც ფიქრებით, რომ მთელი გზის განმავლობაში ორჯერ არ დაუძრავს ენა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ენის ზიდვა** დასმენა, ენის მიტანა.

**ენის მიტანა** დასმენა, დაბეზღება, ენის ზიდვა. იხილეთ მისი სხვადასხვა ამბები, რომლებსაც სიზმარში ხედავს და თუ სიზმარმა უღალატა, თვითონ მოაჭორებს და ენას მოუტანს „ცისკრის“ რედაქციას (ი ლ ი ა). . . . შარდინ ალშობაიამ ენა მოუტანა: მღვდელი ამრეზილიაო შენზე (კ. გ ა მ ს.).

**ენის მიტან-მოტანა** იხ. ენის მიტანა. ენის მიტან-მოტანა რა საძაგლობა რამ არის (ა კ ა კ ი).

**ენის მობრუნება** რისამე თქმა, ხმის ამოღება, კრინტის დაძვრა. — რეიზა ჩამოდით ამ ღამე, რა ამბავია? — ძლივს მოიბრუნა ენა ოქრუამ (ე. ნ ი ნ ო შ.). არზაყანს ენის მობრუნებაც ეზარებოდა თამარის გვერდით მოარულს (კ. გ ა მ ს.).

**ენის მოთაფვლა** ტკბილად დაწყება ლაპარაკისა, ენის დაშაქვრა. სადილად დამპატიჟა, საუბარი შორიდან დავიწყეთ. ძველი შხამი დავივიწყეთ და ენები მოვითაფლეთ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენის მოკვნეტა** გაჩუმება, უცებ საუბრის შეწყვეტა, ხმის ჩაწყვეტა. ...ეს რა მესმის, გლეხთან ენა მოიკვნიტეო... მაშ ჩვენ რაღა ვყოფილვართ! (ი ლ ი ა). — ქმარს მაინც მიჰხედეთ. — ვუთხარი. და უმალვე ენა მოვიკვნიტე: ვაჟს რომ მამა ჰყოლოდა, დასაფლავებას დაესწრებოდა, დავინახავდი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენის მოფხანა** ლაპარაკით გულის მოჯერება. იყბედონ და ენა მოიფხანონ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენის მუცელში ჩავარდნა** გაჩუმება, დადუმება, ენის დაბმა, ხმის ჩაწყვეტა (შიშის, აღელვების . . . გამო), ენის ჩავარდნა. . . . მაშინვე შიშით ფერი ეცვლება და რაც გინდ მართალი იყოს, ენა მუცელში ჩაუვარდება,— ეს რა ღმერთი გამწყრომიაო (ი ლ ი ა). . . . „არწივი!“ „არწივი!“ გაისმა ხმა: „მეფე მობრძანდებაო!“ ერთბაშად ყველას ჩაუვარდათ მუცელში ენა, ხმის

ამოღებას ვეღარ ჰბედავდნენ; ყველანი ცახცახმა, კანკალმა აიტანა (ვ ა ჟ ა). ქალი კარებს აეტუზა, მეც ენა მუცელში ჩამივარდა (შ. ა რ ა გ ვ.).

**ენის პირში ჩავარდნა** გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტა (შიშის, აღელვების ... გამო), ენის მუცელში ჩავარდნა. — მაშადი იზათ, — დავიწყე ათრთოლებული ხმით და გავჩუმდი. ენა პირში ჩამივარდა, სიტყვა ვეღარ ვიპოვნე. ან რას ვიტყოდი? რა უნდა მეთქვა? (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენის ქავილი** ლაპარაკის, ყბედობის ხასიათზე ყოფნა. ამ ვაჟბატონებს სალაპარაკოდ ენა კი ექავებათ და რას ამბობენ და რას არა, ამისა კი არა გაეგებათ რა (ი ლ ი ა). ... თეიმურაზს ხელმეორედ აუვარდა ენის ქავილი და ლაყბობის მუნი ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ენის შებრუნება** პასუხის გაცემა, სიტყვის შებრუნება. თამარს არასდროს ენა არ შეუბრუნებია მამისთვის ... (კ. გ ა მ ს.).

**ენის ჩაგდება** იხ. ენის ჩავარდნა. ბექირბი ჩაჩბასთვის ენა ჩაეგდო კუზმა-მრისხანის სასტიკ სანახაობას, რომელსაც მასზე ზებუნებრივი რამ მოვლენასავით ემოქმედნა (ლ. ქ ი ა ჩ.). ხალხს სიკვდილით და დარბევით რომ დააშინებ, მერე ის ენას ჩაიგდებს, დაგლახაკდება და ყოველ უღმერთო და უნამუსო დასაქმებაზე უკანდაუხევად მიდის (ბ ა ნ.).

**ენის ჩავარდნა** გაჩუმება, ენის დაბმა, ხმის ჩაწყვეტა (შიშის, აღელვების ... გამო), ენის მუცელში ჩავარდნა. მოდი და ეშმაკის ხსენებაზედ შიშისაგან ენა ნუ ჩაუვარდებათ (ი ლ ი ა). ... ბატონო, გლეხი ქალი ცხვარია, რო დაგინახავს, სულ ცახცახს დაიწყებს, ენა ჩაუვარდება ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ენის ჩაწყვეტა** გაჩუმება, დადუმება, ხმის გაკმენდა. რადგანაც მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია, არც ჩვენ ჩავიწყვეტთ ენას (ი ლ ი ა). —ისე გველსავით გარისინდება და ჩაიწყვეტს ენას, რომ გულზე ცეცხლი მოეკიდება კაცს! ... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ენის წაგდება** ზედმეტი და თავხედური ლაპარაკის დაწყება.

**ენის წაგრძელება** იხ. ენის გაგრძელება. ... სტუდენტების ... ენის წაგრძელება მოსვენებას არ მაძლევდა (ა კ ა კ ი).

**ენის წვერზე ადგას (რამე)** იცის, საცაა მოაგონდება, მაგრამ ჯერ ვერ მოუგონებია, ენაზე ადგას (რამე); (რისამე) თქმას აპირებს, სათქმელად მზად არის. ici, დათიკო, ვეღარ მამიგონია, რა ერქვა მაშინ ქეთეთის, თუმცა ენის წვერზე მადგას ეს სახელი (ვ. ბ ა რ ნ.). რაღაც სახუმრო ადგა ენის წვერზე ზანქანისათვის, მაგრამ თავი შეიმაგრა და არა უთხრა-რა (შ. დ ა დ.).

**ენუქას ანდერძი** ცრუ დაპირება.

**ერთ ამბავშია** ცელქობს, ძალზე ხმაურობს, რას არ აკეთებს. თოვლი მოვიდა და ეზოში ბავშვები ერთ ამბავში არიან (ი ლ ი ა).

**ერთ დარჯაკში გატარება** იხ. ერთ ტაფაში მოქცევა. სხვადასხვა ბუნებით და ნიჭით შემკულ ადამიანს აღზრდაც სხვადასხვანაირი უნდა, თავისებური; ჩვენ კი ერთს დარჯაკში ვატარებთ ყველას (ვ. ბ ა რ ნ.).

**ერთ მაფრაშაში მოქცევა** იხ. ერთ ტაფაში მოქცევა. (**მაფრაშა** ფარდაგისებრი ქსოვილის განიერი ოთხკუთხა ტომარა). განა ყველა დამფუძნებელი — ვალის ამღებიც არის, რომ ერთობ ერთს მაფრაშაში მოაქცია ვალის ამღები და დამფუძნებელი? (ი ლ ი ა).

**ერთ პირზე დგომა** შეთანხმებულად მოქმედება. . . . ჩვენ ყოჩაღად ვართ, ერთ პირზე ვდგევართ, საერთოდ და განუყოფლად გვსურს ვიმოქმედოთ (ი ლ ი ა).

**ერთ ტაფაში მოქცევა** ერთნაირად, ერთი საზომით მიდგომა ყველას მიმართ. . . . სივილას ძალიან მოეწონა ეს სხარტი შედარება და ყოველ მევალეს, პირიანს და უპიროულს, ყველას ერთს ტაფაში აქცევდა, ყველას მომჩივან ჩარჩების თვალებით დაუწყო ცქერა (გ. წ ე რ ე თ.).

**ერთ ტაფაში წვა** ერთნაირ მდგომარეობაში, ერთნაირ გასაჭირში ყოფნა, ერთ ბედს ქვეშ ყოფნა. მაშინ მივხვდით, რომ ყველანი ერთ ტაფაში ვიწვებოდით (ი ლ ი ა). ჩვენ ყველანი ერთ ტაფაში ვიწვით (ს. მ გ ა- ლ ო ბ.).

**ერთ უღელში შებმა** შეუღლება. ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეჯანი ერთ უღელში შებმულან და ერთს ბედის კალთას ქვეშ ამოფარებულან (ი ლ ი ა).

**ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა** ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, ანგარიში არ გაუწია, არად ჩააგდო. უბრალო კაცის სიტყვა ხომ არ არის, რომ ერთ ყურში შეუშვა და მეორიდან გაუშვა (ი ლ ი ა).

**ერთ წერტილზე გაყინვა** მოძრაობის, წინსვლა-განვითარების შეჩერება. აი, კაცი, რომელიც ერთ წერტილზე გაიყინა (შ. დ ა დ.).

**ერთი ადგილის ტკეპნა** ერთსა და იმავე დონეზე ყოფნა, წინსვლა-განვითარების შეწყვეტა, ერთისა და იმავეს გამეორება.

**ერთი — ალთას, მეორე — ბალთას** არევ-დარეულობაა, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, შეუთანხმებლად მოქმედებენ. (ა. შანიძის

ვარაუდით, **ალთა**, შესაძლოა, ამჟამად გადაშენებულ კავკასიის ალბანთა ანბანის პირველი ასოს სახელწოდება ყოფილიყო, ხოლო **ბალთა** მეორე (ან უკანასკნელი) ასოსი. თუ ეს ასეა, მაშინ, ცხადია, **ალთა** და **ბალთა** ალბანურიდან ნასესხებად უნდა მივიჩნიოთ). როცა საქმე მოითხოვს შრომას, ერთი ალთას გარბის, მეორე ბალთას (ა კ ა კ ი). ერთი ალთას გაიძახის და მეორე ბალთას მიიწევს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ერთი ამბავი აქვს** იხ. ერთ ამბავშია. პორფირი ჩამჯდარიყო ყმაწვილებში და ერთი ამბავი ჰქონდა, აცინებდა, ხან ღვინოს აძალებდა, ხან მათთან მღეროდა, კოცნიდა (დ. კ ლ დ .).

**ერთი კალმის მოსმით** მოკლედ და სხარტად; უცებ, ერთბაშად. . . . აქ ერთი კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მაინც ესოდენ ცხოვლად ვერ გამოხატავდა სათქმელს (ი ლ ი ა). განა შესაძლებელია ერთი კალმის მოსმით . . . ამოდენა ხალხი დედამიწის ზურგიდან წაიშალოს?! (ი ლ ი ა).

**ერთი მუჭა** ძლიერ ცოტა, პატარა. . . . ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი! . . . ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ (ი ლ ი ა). რა უნდა შესძლებოდა ამ გაფშიკებულ, მოტირალ, ერთი მუჭა დედაკაცს? (დ. კ ლ დ.).

**ერთი სიტყვით** მოკლედ, მოკლედ რომ ვთქვათ. მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთი სიტყვით, — რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, — ესეც კარგია (ი ლ ი ა). იმას მოაგონდა თავისი სიყმაწვილე, მოაგონდა თავისი ცოლი, წარსული იმედები, ერთი სიტყვით, ყველა ის, რითაც კი ისე ტკბილი ხდება კაცის მწარე სიცოცხლე (ა. ყ ა ზ ბ .).

**ერთი სიცოცხლის გათავება** შეშინება, შეძრწუნება, მწარედ განცდა რისამე.

**ერთი სული აქვს** ძალიან ეჩქარება (რამე), სული მიუდის. სვინჩის მთავრის მრისხანე კილო თავზარსა სცემდა; ლაპარაკი სულ აერია და თუ აქნამდე შესვლა ახარებდა, ახლა გამოსვლამდე ერთი სული ჰქონდა (ბ ა ნ.).

**ერთი ფეხი სამარეში უდგას** იხ. ცალი ფეხი სამარეში უდგას. — მე ერთი, ხალხისაგან და ღმერთისაგან მოძულებული კაცი ვარ . . ., ერთი ფეხი სამარეში მიდგა, დღეს თუ ხვალ მოვა სიკვდილის ჟამი და გავქრები . . . (ა. ყ ა ზ ბ .).

**ერთი ყოფა დააწია** შავი დღე აყარა, გაუჯავრდა, დატუქსა. ეხლა კი აენთო; ერთი საშინლად გაინძრა, უნდოდა ისე წამოწეულიყო, რომ კუბოს

თავი და მიწა აეგლიჯნა, საფლავიდამ ამოსულიყო, ამათთვის ერთი ყოფა დაეწია და თავზედ ლაფი დაესხა (ი ლ ი ა).

**ერთი ციდა** პაწაწა, პაწაწკინტელა, ერთი ბეწვა. ... მე სულ ერთი ციდა ვყოფილვარ, აქედან რომ გადმოვუყვანივართ ... (კ. გ ა მ ს.).

**ეს ბურთი და ეს მოედანი** ვნახოთ, რასაც იზამ, რასაც გახდები; ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს. მაშ, აბა! უთხრა არჩილმა, — ეს ბურთი და ეს მოედანი (ი ლ ი ა). აი ეს ბურთი და ეს მოედანი, ვცადოთ: ცდა ბედის მონახევრეაო (ი ლ ი ა).

**ეშმაკის გზას გამოკიდება** სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდნა; ბოროტების, ავკაცობის ჩადენა. — კარგია-და ... — უპასუხა დედამ, — მაგაზედ ძავალი კაცი ეშმაკის გზას არის გამოკიდებული ... (ა. ყ ა ზ ბ.).

**ეშმაკის გზას შედგომა** იხ. ეშმაკის გზას გამოკიდება. „... მე წავალ და ძიძას ვუშოვნიო". ამ სიტყვებით კარში გამოვიდა და ისევ ეშმაკის გზას შეუდგა (რ. ე რ ი ს თ.).

**ეშმაკის კერძი** ბოროტი, უკუღმართი ვინმე. ... შენ რომ იცოდე, მაგ ეშმაკის კერძმა რამდენი მაწვალა (ა. ყ ა ზ ბ.).

**ეშმაკის მაშხალა** უშნო, ჯოჯოხეთის მაშხალა.

**ეშმაკის მუშა** ბოროტი, უკეთური ... ეშმაკის მუშა გამხდარხარ და მეზობელს დასაჭერად დასდევ! (ა. ყ ა ზ ბ.).

**ეშმაკის ფეხი** მოხერხებული, ეშმაკი. ამანათები, ფული, წერილები და ვგონებ მარილიც კი დაჰქონდა მაგ ეშმაკის ფეხს (კ. გ ა მ ს.).

**ეშმაკის შეჯდომა** რაიმე არასასურველის აკვიატება, გაბოროტება, ცუდ გზაზე დადგომა. — მარაბდელებო, ასეთი სიტყვა ბევრჯელ გვინახავს და მოგვინელებია, ახლა კი რაღაც ეშმაკი შეგვიჯდა და გვადუნებს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ეშმაკის შეჯდომა გვერდებში** იხ. ეშმაკის შეჯდომა. რაკი ეონას დაინახავდა თევდორა, ეშმაკი შეუჯდებოდა გვერდებში, აადუღებდა, აადუღებდა და თავისსავე ქაფში სთუთქავდა მას დაუნდობელი (ვ. ბ ა რ ნ.).

**ეშმაკის ცხენზე შეჯდომა** გაჯიუტება, გაკერპება, ჯორზე შეჯდომა. თუ ... ეშმაკის ცხენზე არ შეჯდები და ჩემს სიტყვას დაიჯერებ, მაშინ ბედნიერი ... იქნები (დ. მ ა ჩ ხ.).

**ეშმაკსააწყვეტინებს** უშნოა, ცუდი გარეგნობისაა, ჯოჯოხეთის მაშხალაა.

**ეშმაკს არ სძინავს** ხიფათია მოსალოდნელი, შეუძლებელი არ არის რაიმე მარცხი მოხდეს. ორიოდე თვე გავიდა. თომა თითქო დამშვიდდა, მაგრამ ეშმაკს არ ეძინა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ეშმაკს აუტანია** ცუდად იქცევა, გაბოროტებულია, სწორი გზიდან არის გადაცდენილი. ... დედაკაცო, რა ეშმაკს აუტანიხარ? ... (რ. ე რ ი ს თ.).

**ეშმაკს თვალი არ უჩანს** ხიფათია მოსალოდნელი, შეუძლებელი არ არის რაიმე მარცხი მოხდეს, ეშმაკს არ სძინავს. მადლობა ღმერთს, ძლივს არ მოხვედი? ამაღამ კიდევ გიყურებდით და მერე მე თვითონ ვაპირებდი წამოსვლას შენ საძებრათ. ვინ იცის, ცუდი დროა, ეშმაკს თვალი არ უჩანს (გ. წ ე რ ე თ.).

**ეშმაკს მიაფურთხა** იხ. ეშმაკს შეაფურთხა. მესამე საღამოს გავაბაჯიჯგინე ფეხები, მივაფურთხე ეშმაკს და აღარ ვაპირებდი აღარსად წასვლას (ა კ ა კ ი).

**ეშმაკს ნემსის ყუნწში აძვრენს** ეშმაკია, გაიძვერაა, ოინბაზია. ამისთანა ოინბაზი კაცი ერთი არ დადის დედამიწის ზურგზე. ეშმაკს ნემსის ყუნწში აძვრენს!. მითამ თავის გუნებაში ფეხის ქირას წინათ არ იძლევა (ი ლ ი ა).

**ეშმაკს სული მიჰყიდა** ადამიანურზე, კეთილშობილურზე ყველაფერზე ხელი აიღო, გაავკაცდა, ეშმაკი შეუჯდა; არავითარ ავკაცობას არ მოერიდა. .. ეს ჩვენი პეტრე მოურავი სწორედ ამგვარ, ქვეყნის ამომგდებ კაცთ ეკუთვნოდა, თუმცა უშვილო იყო, მაგრამ ცალი გროშისათვის სულს მიჰყიდდა ეშმაკსა (ნ. ლ ო მ .).

**ეშმაკს შეაფურთხა** ბოროტ განზრახვაზე ხელი აიღო, ცუდი აზრისაგან, რწმენისაგან ... განთავისუფლდა; საფრთხეს არ შეუშინდა. ნუ შეხვალ, საწყალო გულის ვარდო, დაიწერე პირჯვარი, ახსენე ღმერთი, შეაფურთხე ეშმაკს და გაბრუნდი უკან (დ. ჭ ო ნ ქ.). — ი დალოცვილს რამდენჯერმე ვთხოვე კოლმეურნეობაში შესულიყო ... არაო, მოვიცადოთო, გაუყრელები ვართო, მამაჩემმა როგორმე ეგებ ეშმაკს შეაფურთხოს, ბარემ ერთად შევალთო. არ იქნა შაქრომ ეშმაკს არ შეაფურთხა ... (ო. ჩ ხ.). მოდი, ეშმაკს მეაფურთხე და შენ შემირთე (ა. ც ა გ ა რ.).

**ეხტიბარს არ იტეხს** იხ. იხტიბარს არ იტეხს. თავადი ესტატეც აბობოქრდა, მაგრამ ეხლა ის ცალად დარჩა, აქნამდე ძლიერკლანჭებიანი უკლანჭო ლომს დაემგვანა, მაინც ეხტიბარს არ იტეხდა (ს. მ გ ა ლ ო ბ.). (ჩახრუხაისძე) მაინც ეხტიბარს არ იტეხდა და ფიქრობდა, რომ დაგროვილ მასალათაგან ერთ დროს არაკიან ნაწარმოებს დასწერდა (შ. დ ა დ.).

# ვ

**ვარსკვლავ(ებ)ს ეთამაშება** ლამაზია, მშვენიერია და თანაც მკვირცხლია, სიცოცხლით სავსეა. რა უნდა ჰქონდეთ იძათ საერთო?! ერთი ვარსკვლავს ეთამაშება, მეორე კი ძირსვე ხოხავს ისევ მიწაში (ვ. ბ ა რ ნ.). ისეთი ვაჟკაცია ... ჩემგან არჩეული სასიძო, რომ სულ ვარსკვლავებს ეთამაშებაო (ი. ე კ ა ლ .).

**ვარსკვლავებს ეპოტინება** მიუწვდომლისაკენ მიისწრაფვის.

**ვერ მიართვეს ბადრიჯანი** გაწბილდა, მიზანს ვერ მიაღწია, არაფერი გამოუვიდა, პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. — ვერ მივართვი ბადრიჯანი! იმისი მამა პეტრე ისეთი კაცი არ არის, რომ სირბილაანთ ქვრივს ქალი მისცეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ვერ მიართვეს დანივრული ბადრიჯანი** იხ. ვერ მიართვეს ბადრიჯანი.

**ვერ მიართვეს ღორის თავი.** იხ. ვერ მიართვეს ბადრიჯანი.

**ვერ მიართვეს ხაჭაპური** იხ. ვერ მიართვეს ბადრიჯანი. (ბესიკი) სხვაზე მეტად განსწავლულდა და ახლა შენ მოუნდომე წინ გასწრება! ვერ მოვართვეს ხაჭაპური, შვილო (ბ ა ნ.).

**ვირზე უკუღმა ჯდომა** შერცხვენა, თავს ლაფის დასხმა. უკუღმა ვიჯდე ვირზედა, თუ ძმის სიკეთე შემშურდეს (შ. მ ღ ვ ი მ.).

**ვირზე შესმა** შერცხვენა, თავს ლაფის დასხმა. „ნარდონმა" (ის) განა მარტო ამით ამოსვარა ლაფში, განა მარტო ამის გამო შესვა ვირზე? (ი ლ ი ა).

**ვირზე შეჯდომა** გაჯიუტება, გაკერპება, ჯორზე შეჯდომა, სიბრიყვით შეცდომის დაშვება. სწორედ არ ვიცოდი, მაპატიე, ვირზე შევჯექ რაღა! (ა. ც ა გ ა რ.).

**ვირის აბანო** საპყრობილე, სატუსაღო. — ვანო, სად მიჰყევხარ! სად?! — დაუყვირა (დატუსაღებულ) ვანოს გიგომ. — ვირის აბანოში, — მოისმა ვანოს ხმა (ნ. ლ ო მ.). მეწშევიკები რომ გაიქცნენ, ხუთი ფუთი ხინა გაიტაცა, აუარებელი წამლები . . . , რამდენიმე მილიონის საქონელი . . , მერე ვირის აბანოში ჩააგდეს (კ. გ ა მ ს.).

**ვირის ბაგაზე დაბმა (ვისიმე)** შერცხვენა (ვისიმე), თავს ლაფის დასხმა. ეგრე იყოს, როგორც შენ ამბობ, უარს არ ვიტყვი მაგაზე, ოღონც დააბას ჩვენმა ჯარმა თათრები ვირის ბაგაზე (ვ ა ჟ ა).

**ვიწროში მოატანა** დრო უხელთა, ყელი უშოვა, როცა უჭირდა, მაშინ დაატყდა თავს. ... მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვიწროში მოატანს: დაახრჩობს, მიწასთან გაასწორებს (ი ლ ი ა).

## ზ

**ზეცას მიაჭირა თავი** გამედიდურდა, გაამაყდა, ამპარტავნობა დაიწყო. (ყორღანაშვილს) ცოტა რამ ააჩქარებდა ხოლმე და იმ დღესაც, დედოფლისაგან რომ საჩუქარი მიიღო, ზეცას მიაჭირა თავი (ა კ ა კ ი).

**ზეცის კარების გაღება** გულის წადილის ასრულება, ძლიერ გაბედნიერება. აბა ერთი დამანახეთ! თუ გამეღო ზეცის კარი?! (რ. ე რ ი ს თ.).

**ზოგი — ალთას, ზოგი — ბალთას** იხ. ერთი — ალთას, მეორე — ბალთას. ... ვერ გამოერკვიათ ..., რაში მდგომარეობდა ეს უკმაყოფილება და ზოგი ალთას იძახდა, ზოგი ბალთას (ი ლ ი ა).

**ზურგზე ბოლის ადენა** დამარცხება, განადგურება. — მოვკალით და მერე როგორ მოვკალით? ბოლი ავადინეთ ზურგზე! — უპასუხებენ მონადირენი (ვ ა ჟ ა). ... ოღონდ შენ და ეს ჩემი ჩაჩნები ყოჩაღად იყავით, რომ ერთი მაგასაც ზურგზე ბოლი ავადინოთ. ვნახოთ, მაგათი ერთობა რას მიზამს (ს. მ გ ა ლ ო ბ.). უღალტეხილი ჩვენს ხელშია და მალე მტერს ზურგზე ბოლს ავადენთ (ა. ბ ე ლ.).

**ზურგზე მტვერის ადენა** იხ. ზურგზე ბოლის ადენა. მათი პროფესორი პატკანოვი ... მთელის თავისის მეცნიერების ზარბაზნებით მოგვესია და ჰლამის ზურგზე მტვერი აგვადინოს (ი ლ ი ა).

**ზურგზე ჰკიდია (ვინმე)** მისი სარჩენია (ვინმე). ყველას დედაა (დედამიწა), ყველასათვის ისა ზრუნავს — ყველა იმის ზურგსა ჰკიდია (ვ ა ჟ ა).

**ზურგი ჰქავა** ისე იქცევა, რომ შეიძლება სცემონ. დამეხსენ: შენ შენს წერას ხომ არ აუტანიხარ, რატომ ეგრე არახუნებ, თუ ზურგი არა გქავა, შენ შენს გზაზედ წადი-მეთქი, თორემ ... (ი ლ ი ა).

**ზურგის აწვა** გამწარება.

**ზურგის გამაგრება** დახმარება, შველა, მხარის დაჭერა; გაძლიერება. თუ მაშინ ქსანზედ გრიგოლ ქორიკოზი დაგვეტყვევებინა, დღეს კახელნი ისე ძლიერად ვერ დაეხმარებოდნენ ემირს, ვერ გაუმაგრებდნენ ზურგს ჩვენ

წინააღმდეგ (ვ. ბ ა რ ნ.). — მეტის-მეტად თავს გავიდა თქვენი ჯაყო . . . — ჩვენი რათ არის ვითომდა? . . . — იმიტომ არის თქვენი, რომ ყველაფერში ზურგს უმაგრებთ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ზურგის მიცემა** დახმარება, შველა, მხარის დაჭერა. ნეტავი, ძმაო სურემო, ჰკუაზე მოვქცეულიყავით, ერთმანეთისათვის ზურგი მიგვეცა, იქნება ეს უბედურება არ დაგვტეხოდა თავზეო. ამას მწერენ ჩემი ძმები (ვ ა ჟ ა).

**ზურგის შექცევა** უარყოფა, განდგომა, მიტოვება (ვისიმე, რისამე), ხელის აღება (ვინმეზე, რამეზე). ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილს? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა . . . (ი ლ ი ა). . . . მას . . . სამხედრო მუნდირს გაჰხდიან, ტოლ-ამხანაგებიც ზურგს შეაქცევენ და თავიანთ ოჯახის კარსაც დაუკეტავენ (მ. ჯ ა ვ ა ხ .).

**ზურგის ჩვენება** შეშინება და გაქცევა (ბრძოლის ველიდან, მოწინააღმდეგისაგან...). მთავრობამ რომ ხელი აალო, მისიანებმაც ზურგი უჩვენეს და დარჩა მარტოდმარტო ბრძოლის ველზე (ა კ ა კ ი). ჯერ კი თავის სიცოცხლეში იური გაქცეული არასოდეს არ ყოფილა, მტრისათვის ზურგი არასოდეს არ უჩვენებია (შ. დ ა დ). . . . ჩემ შვილებს ზურგის ჩვენება არც ერთს ყვარებია (კ. გ ა მ ს.).

**ზურგს უკან** ვინმესგან ფარულად, მალულად, არაპირდაპირ. დიდ გულზედ ხარ, ზურგს უკან რომ ლაპარაკობ! ვითომ და ვერ გეიგებს (დ. კ ლ დ.). თურმე მეჯინიბე მხოლოდ პირში ეფიცებოდა ერთგულებას, ზურგს უკან კი ჩუმჩუმა და გულფუჭი გამოდგა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ზღვაში წვეთი** ძალიან ცოტა (რამესთან შედარებით). . . . მოსატაცებლად თხუთმეტიც ვეყოფით, საბრძოლველად კი ოცდახუთიც — წვეთია ზღვაში, — მიუგო გაბაშვილმა (ვ. ბ ა რ ნ .).

## თ

**თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებს** სივიწროვეა, გასანძრევი ადგილი არ არის. უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა (თ. რ ა ზ ი კ .).

**თავბედის არევა** დაბნევა, თავგზის აბნევა, გზა-კვალის არევა. თუ გვინდა საკმაოდ ისწავლოს ბავშვმა უცხო ენა, დროც საკმარისი უნდა ჰქონდეს, თორემ . . . თავბედი ისე აერევა, რომ იმასაც-კი დაივიწყებს, რისაც გაგება თავის დედაენის შემწეობით მოასწრო (ი ლ ი ა).

**თავბრუს დასხმა** გაბრუება, დარეტიანება; ზედმეტად გატაცება, ზომიერების გრძნობის დაკარგვა (რისამე გამო), თავბრუს დახვევა. (ლუარსაბს) სიზმარმა ისეთი თავბრუ დაასხა, რომ შიში ჯერ გამონელებული არა ჰქონდა და ეს ამბავი სიზმრის გაგრძელება ეგონა ... (ილია). ... მის ძარღვებში სისხლი დგებოდა, თავბრუ ესხმოდა და გაბოროტებული სარდიონი მოუსვენრად ბორგავდა ... (დ. კლდ.). მომეტებულმა სიამოვნებამ თავბრუ დაასხა ... (აკაკი).

**თავბრუს დახვევა** იხ. თავბრუს დასხმა. ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავბრუ ეხვეოდა და ეცემოდნენ ძირს ... (აკაკი). პაპაშას ეს სიტყვები ახალ მეხად დაატყდა: თავბრუ დაეხვია, თვალთ დაუბნელდა და, რათა არ წაქცეულიყო, სკამზე ჩამოჯდა (მ. ჯავახ.). გვადის ქებით თავბრუ დახვეოდა (ლ. ქიაჩ.).

**თავგზის (დ)აბნევა** დაბნევა, გზა-კვალის არევა. დაებნა თავგზა ჯერ კიდევ ახალგაზრდა დედაკაცს (ს. მგალობ.). რას ერჩი, კაცო, რა მაგისი ბრალია? ... ხედავ, თვითონვე თავგზა დაბნევია შიშისაგან და რაღა შენი მუშტები ეჭირვება (ა. ერ.-ხოშტ.).

**თავზარის დაცემა** შეშინება, შეძრწუნება. დურმიშხანმა რომ დაინახა ეს, თავზარი დაეცა, ის დარწმუნდა, რომ სახლში მომხდარიყო უბედურება რამე (დ. ჭონქ.). სოსიკა გაფაციცებით დარბის სოფელში; იმისი ყვირილი თავზარს სცემს სოფელსა (ს. მგალობ.).

**თავზე აწევს (ვინმე, რამე)** მისი მოსავლელია, სარჩენია (ვინმე, რამე), ტვირთად აწევს, კისერზე აწევს (ვინმე, რამე). მე მაშინ ვიყავი კაი, მთელი ოჯახი რომ თავზე მაწვა, ახლა ვიღას უნდებვარ (ე. ნინოშ.).

**თავზე ბალბის დადება** დაწყნარება, დამშვიდება. მართალია, შენი მეგობარი ძალზე იყო გაბრაზებული, მაგრამ თავზე ბალბა დავადევი და დავამშვიდე (თ. სახ.).

**თავზე ბრის დაყრა** შეურაცხყოფის მიყენება, გალანძღვა, შერცხვენა. — აგია ხო, შენ არ შეგიძლია, სხვას არ დაანებებ და ქე იღუპება ჩვენი საქმე ყოველთვის და უნათლოშვილები გვაყრიან თავზე ბრეს ... (ე. ნინოშ.).

**თავზე ბუზს(აც) არ ისვამს** ამაყად იქცევა, ამპარტავნობს, დიდგულობს; არავის დაეჩაგვრინება. ... თავზე ბუზსაც არ ისვამს და დიდის ბუკითა და ნაღარით იქადის: რაცა ვარ, მე ვარო (ილია).

**თავზე გადასდის (რამე)** ბევრი აქვს, უხვად აქვს, თავზე საყრელად აქვს (რამე).

**თავზე გადახდა (რამე)** იხ. თავს გადახდა (რამე). სამივე ქალს ისეთი გაფანტულობა და მოქანცულობა ეტყობოდა საქმის კეთების დროს, რომ

გეგონებოდათ რაღაც დიდი ფიზიკური შრომა გადახდენიათ თავზე და იმას დაუღლიაო (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თავზე გადახევა (რისამე)** მიგდება, თავზე გადახლა (რისამე). ...ისიც ვიცით, რა პირობით მისცა ერეკლემ ჩვენი ქვეყანა და რა გამოვიდა. პირობა თავზე გადაგვახიეს, ჩვენი მამა-პაპა სიონში შეამწყვდიეს და ხიშტებით დააფიცეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავზე გადახლა (რისამე)** უხეშად მიგდება, მიშავება, თავზე გადახევა (რისამე). საბუთი თავზე გადაახალა (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**თავზე გადახტომა** (ვისიმე, რისამე) უგულებელყოფა და გვერდის ავლა. ეხლა-კი, ავტორსავით, იმ რვა-ცხრა გვერდს თავზე გადავახტებით და მუხლს მოვუყრით ისევ ისტორიული ამბების მოთხრობას (ი ლ ი ა).

**თავზე დადგომა** ვინმესთან ყოფნა და ყურადღების მიქცევა, მოვლა, კონტროლის გაწევა. ამაღამ შეიძლება ვერ მოვიდე, მესამე ცვლა იწყება და თავზე უნდა დავადგე (ა. ბ ე ლ.).

**თავზე დასმა (ვისიმე)** მეტის-მეტად გათამამება, განებივრება (ვისიმე), თავის ნებაზე მიშვება, ზედმეტ უფლებათა მიცემა. ო, რა ქალია! როგორ უყვარს აბუბექარს... თავზე ჰყავს დასმული (შ. დ ა დ.).

**თავზე დასტრიალებს** იხ. თავს დასტრიალებს. მაგდანა დიასახლისობდა, თავზე დასტრიალებდა ქმარსა და სტუმარსა (ვ ა ჟ ა).

**თავზე დასხმა** იხ. თავს დასხმა. გამოირკვა: ანტირელიგიურ პროცესიას დასხმოდა თავზე (კ. გ ა მ ს.).

**თავზე დატყდომა (რისამე)** უეცრად შემთხვევა (რაიმე არასასურველისა). როგორ გამოტეხილიყო, რომ თავზე საზარელი ამბავი დაატყდა (დ. კ ლ დ.). ...ახლა ახალი უბედურება თავზე დაატყდა მის ოჯახს... (კ. გ ა მ ს.). — აგერ ეს საშინელი ომი დაგვატყდა თავზე, მტერი მოდის და ლეწავს ყველაფერს (ა. ბ ე ლ.).

**თავზე დაჯდომა** მორევა, დაბრიყვება, არაფრად ჩაგდება (ვისიმე), თავხედურად მოქცევა, აგდება (ვისიმე). ... გლეხი უნდა მუჭაში გეჭიროს, შიგ უნდა მოახრჩო. თუ შვება მიეცი, თავზე დაგაჯდება..., ეგ ჩვენ ვიცით ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**თავზე დაჭკანკალებს (ვისმე)** მზრუნველობას უწევს, მუდამ მასთან არის და უვლის, თავს ევლება. — ჩემი ბრალია? მე მოგაყენე სასჯელი? მე რომელიც სულ თავზე დაგკანკალებდი? ... — დიახ, თავზე რომ დამკანკალებდი, სწორედ მაგით არის შენი ბრალი (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**თავზე ევლება (ვისმე)** იხ. თავს ევლება (ვისმე). აქამდი ჩემს ქონებას რომ ყლაპავდით და მეც თავზე გევლებოდით ... კაი თინაი ვიყავი და ახლა რაღათ გინდებვარ (ე. ნ ი ნ ო შ.). პორფირი ჩამჯდარიყო ყმაწვილებში და ერთი ამბავი ჰქონდა, აცინებდა, ხან ღვინოს აძალებდა ... კოცნიდა და ამგვარ თავმდაბლობით შეხალისებული ყმაწვილები თავზე ევლებოდნენ და თავიანთ სიყვარულს და პატივისცემას უცხადებდნენ მას (დ. კ ლ დ.).

**თავზე თმა არ შეშრობია** ძალიან პატარაა (ასაკით), ბავშვია, ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია.

**თავზე კაკლის დამტვრევა** დატუქსვა, შავი დღის დაყრა. თუ საქმით ვერას გახდა (დეიდა), სიტყვით ზურაბს თავზე კაკალს ამტვრევდა (ს. შ ა ნ შ.).

**თავზე კევრის დატრიალება** გაწამება, დატანჯვა, მძიმე განსაცდელში ჩავარდნა. გვიხსენ, უკუღმართო წუთისოფელო, ამ ბოროტებისაგან! ბევრი კევრი დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ამისთანა კი ჯერ არც ერთხელ (ი ლ ი ა).

**თავზე ლაფის დასხმა** შერცხვენა, თავის მოჭრა, თავლაფის დასხმა. (თავზე ლაფის დასხმა ძველად სასჯელის ერთ-ერთი სახე უნდა ყოფილიყო, ამის საფუძველზე წარმოქმნილი ჩანს იდიომა — თ. ს ა ხ.). შენისთანა გომბიოს თავზე ლაფი რავა დავასხმევინო (დ. კ ლ დ.). აბა რად უნდა წაესარჩლო? ცოტა ლაფი დაგასხა თავზე? მაგისთანა დედაკაცი დასანდობი არ არის ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავზე ლეჩაქის დახურვა** იხ. ლეჩაქის დახურვა. — ნიკოლოზ სად არის, ნიკოლოზ! — დაიძახეს ქართველებმა: — ის თუ გვიშველის, თორემ ლამის ამ ურჯულო თათარმა დედაკაცის ლეჩაქი თავზე დაგვხუროს და ისე გაგვისტუმროს შინა (ი ლ ი ა).

**თავზე ლეჩაქის მოხდა** იხ. ლეჩაქის მოხდა. ჯანაბასაც წადი და დოზანასაც, — დაიჩიფჩიფა მოხუცებულმა ბაბალემ, — მოგიხდია თავზედ ლეჩაქი და მთელს სოფელს შენგან მოსვენება არა აქვს ... (ნ. ლ ო მ.).

**თავზე მეხი დაატყდა** იხ. მეხი დაატყდა თავზე.

**თავზე მოხვევა (რისამე)** იძულებით დაკისრება, მიღებინება, მოგვრა (რისამე); დაბრალება, მიწერა (რისამე). (ამ გუნდს) ჩვეულებად დასჩემებია მათ შესახებ ნათქვამი მთელს ერს მოახვიოს თავზე, მთელს სომხობაზე გადაიტანოს (ი ლ ი ა). ... ხელმოკლეობა და გაჭირვებაში ცხოვრება ... ათასგვარ ფიქრებს ახვევდა თავზე და აქამდის უცნობ დარდებს ჰგვრიდა (დ. კ ლ დ.). ... ღამემ ისევ შავი წინათგრძნობა მოახვია თავზე საწყალ გოგონას (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**თავზე ნაცრის დაყრა** გლოვა, უსაზღვრო მწუხარება. (მომდინარეობს, როგორც ჩანს, გლოვის დროს თავზე ნაცრის დაყრის ძვე-

ლისძველი ჩვეულებიდან — თ. ს ა ხ.). სამგლოვიარო ძაძას **ჩავიცვამთ**, თავზე დავიყრით ნაცარსა და მტვერს ა კ ა კ ი).

**თავზე საყრელი** ძალიან ბევრი, უხვად. იმ დროს, როცა გვარდიელებს ყველაფერი თავზე საყრელი აქვთ, ჩვენ თბილი ლუკმა გვენატრება (რ. გ ვ ე ტ.).

**თავზე ქვა დაიგორა** გაჯიუტდა, გაკერპდა, აიხირა **რამე, ქვა** აიგდო და თავი შეუშვირა.

**თავზე ქონს უსვამს** მოფერებით, პირფერობით ატყუებს, **თავს** უქონავს. ჰაი თუ შენც კი მისვამ თავზე ქონს (მ ე ლ ა ნ.).

**თავზე ქუდი ხურავს** იხ. ქუდი ხურავს თავზე.

**თავზე ჩიტს არ გადაიფრენს** იხ. თავზე ბუზს(აც) არ ისვამს.

**თავზე ცივი წყლის გადასხმა** იხ. ცივი წყლის გადასხმა (თავზე).

**თავზე წისქვილის ქვის დატრიალება** იხ. წისქვილის ქვის დატრიალება თავზე.

**თავზე ხახვი არ დააჭრას!** იხ. ყურებზე ხახვი არ დააჭრას! — გაიგონებს, თვარა ხახვი არ დამაჭრას თავზე! ერთი ტყავი მაქ, იმასაც . . . **მაძრობენ** და სხვას რაღას მიზამენ? (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თავზე ხელაღებული** თავგანწირული, უშიშარი; შეუბრალებელი, გამძვინვარებული. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ **ხელაღებული**, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი (ი ლ ი ა). **უფროსმა** ჯავრობა დაუწყო იაგოს, მაგრამ რად ჩააგდებდა თავზედ **ხელაღებული** კაცი იმის ფეხების ბარტყუნს (ა. ყ ა ზ ბ.). ესენი სულ თავზე ხელაღებული **ახალგაზრდობა** იყო, სიმამაცედ გადაქცეული (ვ. ბ ა რ ნ .).

**თავზე ხელის აღება** უკიდურესობამდე მისვლა, გამძვინვარება, თავის გადადება, თავგანწირვა. კაცმა თუ თავზე ხელი აიღო, იმაზე **საშიში** რაღაა ქვეყანაზე! გაბილას ხომ ბევრი აღარ უკლია თავზე ხელის **აღებას** (ე. ნ ი ნ ო შ.). იმ ღამეს რომ არსენა გავარდა და სხვებიც გაიყოლა, **შენი ბრალი** არ იყო? მერმე რომ სხვებმაც თავზე ხელი აიღეს და ტყეში **გაცვივდნენ, ესეც** შენი წყალობით არ იყო? (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავზე ხელის მოსმა** მოფერება, დაყვავება; დაფაცურება, **საქმის** შედგომა. მოწინავე გუნდს და მათ მეთაურებს ტყუილად კი **არ უსვამდა** თავზე ხელს სპარსეთის ახალი პოლიტიკა (ა კ ა კ ი). თებერა იმის **ნატვრაში** იყო . . . ოჯახი გაეცოცხლებინა, კერის ანგელოზი გაეღვიძებინა. **ახლა ბიჭმა** უკვე თავზე ხელი მოისვა: დავაჟკაცებული ახალგაზრდაა და თავისით **ცხოვრებაც** შეუძლია (ვ. ბ ა რ ნ.). ...ის მიზეზიც დიდი ხანია ოთახის **შოვნას მოით-**

ხოვდა, მაგრამ მე მხოლოდ ახლა მოვისვი თავზე ხელი ... ეხლა კი, მგონი, უკვე გვიან არის (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**თავთხლის გადადენა** თავის გახეთქა, გატეხა. (ინსპექტორმა) ერთ მოსწავლეს ... პირით დაჰკრა შუბლზე „ლინეიკა" და თავთხლე გადაადინა, ძვალიც-კი გაუტეხა (ა კ ა კ ი).

**თავი არა აქვს (რისამე)** არ შეუძლია (რამე), უნარი არ შესწევს (რისამე). მოწინააღმდეგის მზვერავ თვითმფრინავებს ამ სიშორეზე მოფრენის თავი უკვე აღარ ჰქონდათ ... (ა. ბ ე ლ.). ტყვეები ისე იყვნენ მისუსტებულნი, რომ თავი არ ჰქონდათ, ბანაკს გასცილებოდნენ (ა. ბ ე ლ.).

**თავი იჩინა** გამოჩნდა, გამომჟღავნდა, გამოირკვა. ბოლოს ისევ ცილისწამება, შური იჩენს თავს (ვ ა ჟ ა). უკიდურეს გაჭირვებაში თავს იჩენდა ხოლმე ერეკლეს საოცარი ნიჭი სარდლისა (ი. გ ო გ ე ბ.).

**თავი მისცა (რამეს)** დაიწყო (რამე), შეუდგა (რამეს). მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცხებულ ტახტზედ და თავი ფიქრებს მივეცი (ი ლ ი ა).

**თავი მოაქვს** თავი მოსწონს, ამაყობს, თავი მიაჩნია (რამედ); დიდგულობს, იკვეხის. ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა ... ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ დაწერილია (ი ლ ი ა). ასე გოროზობენ არზაყან და თარაში, დიდ მოჯირითეებად თავი მოაქვთ (კ. გ ა მ ს.). რაკი მოშაირედ მოჰქონდა თავი, ცაზე ვარსკვლავების მოწყვეტასაც ლამობდა საცოდავი ... (ბ ა ნ.).

**თავი მხრებზე აბია** ცოცხალია, ნორმალურად არის, აზროვნების უნარი აქვს. გვინდა ვგრძნობდეთ, თავი ისევ მხრებზე გვაბიაო (ი ლ ი ა).

**თავი უკრა (სადმე)** გაისტუმრა, იძულებით გაგზავნა (სადმე არასასურველ ადგილას). (სიმონას) ორი წლის ვადით უკრეს თავი საპატიმროში (ე. ნ ი ნ ო შ.). ცოლ-შვილიც მშიერი დაგვეხოცება და ჩვენც ჩვენი წინაპრებივით სადმე ერაყს, მაღრიბს ან მისრეთში გვიკრავენ თავს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავი უტუცა (სადმე)** იხ. თავი უკრა (სადმე). ... დაგიჭერენ, შვილო, კოსტროში გაგატარებენ და მერე იმ ოხერ ციმბირში გიტუცამენ თავსა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**თავი ქვას ახალოს** ყოველი ღონე იხმაროს, თავი გამოიდოს; რაც უნდა, ისა ქნას. მეტყოდი, შე დალოცვილო, თუ ძალიან გიჭირდა და ღვთის მოღალატე ვიქნებოდი, თუ თავი ქვას არ მეხალა და არ მეშოვნა (ი ლ ი ა). ზაალი ქვას თავს ახლიდა და (ლალას) თვითონვე აჰკრეფდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ჩვენ დავწვებით ოთხ-ოთხი, — შეეხვეწა ერთი მებრძოლი ლეიტენანტს, — მაგათ მივცეთ ცალკე კარვები და თავი ქვას ახალონ (ა. ბ ე ლ.).

**თავი ქუდში აქვს** საიმედო მდგომარეობაშია, საშიშროება არ მოელის, არხეინადაა.

**თავის აგდება** უღირსად, თავხედურად, უწესოდ მოქცევა. ქა-ლო, შენ ნამეტანი ეიგდე თავი! გამომდგარხარ ქვეყნის შარაზე და **ყვირი**, ჭამეთ ჩემი ხორციო! რა კაცის მჭამელად გვნახე ჩვენ! ... (ე. ნ ი ნ ო შ.). — **თავს** ნუ იგდებ! ვინ იყო-მეთქი? — ბიჭმა გოგოს ხელი წაატანა ხელში **და მოუ-**ჭირა (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**თავის ამოყოფა (სადმე)** უცებ (სადმე) მოხვედრა, უცებ **(სადმე)** მისვლა. ჩემს სადალაქოში რომ ხელახლად ამოვყავი თავი, სულ **სხვაგვარად** დამიწყო გულმა ძგერა (ა კ ა კ ი). საშუალო სასწავლებლის დამთავრების **შემდეგ** გრიშამ დაჰკრა ფეხი და თბილისში ამოჰყო თავი (ა. ბ ე ლ.).

**თავის აქტივება** გარჯა, თავის შეწუხება. ... ჩვენ რა გიჟი **გვჭირს**, სხვის მაგივრად თავი ავიტკივოთო! (ვ აჟ ა). ამ წელსაც მეფის მალა**ნურებმა** აჯობეს დადიანისას და არც ამის გამო აუტკენია ვინმეს თავი (კ. გ ა მ ს.).

**თავის აღება** რაიმე მოქმედების, საქმიანობის (უმთავრესად **სა-**თაკილოს) დაწყება. მენა და შენა იმისთანა ბატონყმობა არა **გვქონია, რომ** ამეღო თავი და სხვასავით მეჩივლა (ი ლ ი ა). მეც კი მომეწყინა, ვისაც **კი თავი** აუღია, წამოვიყვანო და მუსაიფობა გავუწიო (ლ. ა რ დ ა ზ.).

**თავის აშვება** გათავხედება, გათამამება, თავის **აწყვეტა,** თავს გასვლა. სულ უკუღმართად იქცევა. კიდევ უფრო განლაღდა **და თავი** აიშვა. წინეთ თუ ცოტა მორიდებული იყო, ახლა საჯაროთაც აღარ ფარავს **თავის** ნაკლთა (შ. დ ა დ.). ოსმალეთისგან წაქეზებულმა ბეგებმა თავი აიშვეს **და გვარ-**ბევენ (ს. შ ა ნ შ.).

**თავის აწყვეტა** იხ. თავის აშვება.

**თავის გადაგება** გადაყოლა, თავის შეწირვა. — კინაღამ **თავიც ზე** გადავაგე (უ ი ა რ.).

**თავის გადადება** თავის განწირვა, თავის დადება, **ყოველ-**გვარი ღონის ხმარება. ... ვფიცავთ ჩვენს ჯვარ-ანგელოზებს, ვფიცავთ **ვაჟ-**კაცის სახელს, რომ შენთვის თავი გადავდოთ, შენთვის თავი არ **შევიშუროთ!..** (ა. ყ ა ზ ბ.). ... თავს გადავდებ და ან ნებით, ან ძალით რამეს **გავხდები** (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თავის გადაკვლა** გადაკვდომა, თავის შეწირვა, თავის გადაყოლე-ბა. ქალმა თავი გადააკლა შვილების გაზრდას (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**თავის გადატანება** თავის გადაყოლება, თავის შეწირვა. ... **რა** მიარბენინებდა ჯარში? არა! ... ჩაეწერა მილიციაში და თავი გადაატანა **(ა კ ა-**კ ი). ... ამ უკანასკნელ მოქმედებას კინაღამ თავი არ გადაატანა **ტარიელმა,** არავის ეგონა, თუ ამ საქმეს კატორღაში გაუგზავნელად გადაურჩებოდა **(ე. ნ ი-**ნ ო შ.).

**თავის გადაყოლება** გადაყოლა, თავის შეწირვა. „ჰმ! არა, შენმა მზემ, შენს ავხორცობას თავს გადავაყოლებ!“ — ფიქრობდა სახლუცესი... (ბ ა ნ.). ეს სვე როგორმე (გავათავოთ), ბიჭებო, და მერე ცოტა შევისვენოთ, არც მაინცდამაინც თავის გადაყოლება ვარგა (უ ი ა რ.).

**თავის გამობმა** მოგვარება, გაკეთება, დაბოლოება (რისამე); დაწყება (რისამე). ახლა-კი მეშველა, საქმეს თავი გამოვაბი (დ. კ ლ დ.). კეთილი სიტყვის თავის გამობმაც კეთილმა ცოდნამ იცის (დ. მ ა ჩ ხ.).

**თავის გამოდება** მონდომება, თავგამოდებით, გულმოდგინედ ზრუნვა (ვინმესთვის, რამესთვის); თავგანწირვა, თავის გადადება, ყოველი ღონის ხმარება (რისამე მისაღწევად). ...გონიერს კაცს-კი ვერ წაართმევენ პატიოსან უნარს თავი გამოიდოს მართლის სარჩლისათვის და ტყუილის მხილებისათვის ... (ი ლ ი ა). .. რჩევაზე როზდევიჩს გამოედვა თავი: მაგის დამწერი კარგი ვინმე გამოვა და, გაწყრომა კი არა, მოფერება ეჭირვებაო (ა კ ა კ ი). სოფელმა უნდა თავი გამოიდოს, გვეყო ამდენი მორჩილება, ამდენი სიჩუმე, ამდენი ლაჩრობა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**თავის გამოლაყება** იხ. ტვინის გამოლაყება. თქვენი ქებით (მარიამს) ...თავი გამოვულაყე (ლ. ა რ დ ა ზ.).

**თავის გამოტანა** თავის დარჩენა. ახლა კი აწრიალდა სარდიონი; საჭირო იყო რითიმე ერჩინა თავისი ცოლშვილი, რამე ეღონა ..., ოჯახში ცოტაოდენი რამ შემოეტანა და წლიდან წლამდის თავი გამოეტანა (დ. კ ლ დ.).

**თავის გამოჩენა** სახელის გათქმა, სახელის მოხვეჭა. შედგა ბერად (ანტონი) და მალე ისე გამოიჩინა თავი, რომ ერთხმად აირჩა მთავარეპისკოპოსად და მიიღო ქუთათლობა (ა კ ა კ ი). ... შეიქმნებოდა ტოლუმბაშობა, სიტყვის წარმოთქმა და სხვა. სივილა ყოველთვის თავს გამოიჩენდა ხოლმე ამისთანა შემთხვევაში. იმის სიტყვას ტაშის კვრით და მოწონებით ეგებებოდნენ (გ. წ ე რ ე თ.).

**თავის განებება** იხ. თავის დანებება. დათვს თავი გავანებე, ან კი სად-ღა გამექცეოდა? ირემს გამოვეკიდე (ვ ა ჟ ა). დიდხანს ვეთამაშე (რუსიკოს), პაწაწა გული უმალვე მოვინადირე და მაშინღა გავანებე თავი, როცა მისი მამა წამოდგა ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავის განზე დაჭერა** თავის არიდება, განზე დგომა. სოხუმის არისტოკრატიას კი ცოტა არ იყოს განზე ეჭირა თავი და საქმეში პირდაპირ არ ერეოდა (ლ. ქ ი ა ჩ.).

**თავის გართმევა** რაიმე საქმის დაძლევა, გაკეთება. ... ეკვირინე ... მოხუცებულობაში შედიოდა, უჭირდა ოჯახის თავის გართმევა და შემწე ესაჭიროებოდა ... (დ. კ ლ დ.). მან თავი ვეღარ გაართვა ძველქართულს, არაბულს, ირანულს, სომხურსა და ასურულ წარწერებს (კ. გ ა მ ს.).

**თავის გატანა** გაძლება (გაჭირვებისა, განსაცდელისა...); თავის

დარჩენა, თავის გამოტანა. საყვარელს თავისი მორჩილებით და თავმდაბლობით უნდოდა ამქვეყნად თავის გატანა (ე. ნ ი ნ ო შ.). ქმრის ჯამაგირი უკვე საკმარისი არ იყო და ძლივს ჰყოფნიდათ, რომ როგორმე თავი გაეტანათ (ა. ბ ე ლ.).

**თავის გაყადრება** თავის გატოლება, თავის თავის ღირსად, ტოლად მიჩნევა. აბა შენგან არ მიკვირს, რომ თავს უყადრებ გუშინდელ ყმასა ..., შენ მაინც ბატონი ხარ და გლეხს თავი არ უნდა გაუყადრო ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ორბელიანები დოღში არ გაერივნენ, რადგან მეფის ჩამონავლები იყვნენ და არც არსენას და არც მაიორს თავი არ გაუყადრეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავის გახეთქა** გარჯა, თავის შეწუხება, თავის ატკივება. არც ერთისთვის გაიხეთქს თავს და არც მეორისთვის დაიწყებს ბრძოლასა, — და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი (ი ლ ი ა).

**თავის დადება** თავდადება, თავის განწირვა, თავის შეწირვა. ... ნუ დაგავიწყდებათ ყირიმის ომი და ჩოლოქის ბრძოლა, სადაც გამოჩენილმა გვარიშვილებმა თავი დადვეს (ა კ ა კ ი). (ცირყმა) გულში გაიფიქრა: რა საუცხოო ჭაბუკია, რა საყვარელი. ამისთვის კი ღირს თავის დადება (შ. დ ა დ.).

**თავის დანებება** დატოვება, მოშორება, გაცლა, მიტოვება; შეწყვეტა (რაიმე საქმიანობისა), თავის მიხებება. ძე ისე ვერ ალვწერ იმ გოგოს სილამაზეს, როგორც ცხონებული ჩემი გამზრდელი, რომლისაგანაც გამიგონია ეს ანდაზა, და ამიტომ დავანებებ თავს ... (დ. ჭ ო ნ ქ.) ... ოფიცერმა ვიღაც სხვა ქალი შეიყვარა და ქრისტინეს თავი დაანება (ე. ნ ი ნ ო შ.). დიასახლისი ნელა წამოდგა, რამდენიმე წრე შემოიარა და ცეკვას თავი ანება (ა. ბ ე ლ.).

**თავის დასხლეტა** თავის განთავისუფლება, თავის დაძვრენა, თავის დაღწევა. იძედს დაუსჯელად გადარჩენისას, ან მთავრობის ხელიდან თავის დასხლეტისას ბევრად შეამცირებს ასეთი ... ფიცხელი ზედმისევა პოლიციისა ... (ი ლ ი ა).

**თავის დაღწევა** თავის დახსნა, განთავისუფლება, გადარჩენა (რაიმე არასასურველისაგან), თავიდან აცდენა (რისამე). (თომა) მილიციაში დაიბარეს, გამოჰკითხეს და კინაღამ დააპატიმრეს. თომამ ძლივს დააღწია თავი და ქალაქში დაბრუნდა (მ. ჯ ა ვ. ა ხ.). დავითმა სცადა ამ უსიამოვნო ფიქრებისაგან თავი დაეღწია ... (ა. ბ ე ლ.).

**თავის დაძვრენა** განთავისუფლება, თავის გადარჩენა (რაიმე არასასურველისაგან), თავის დაღწევა. (თათარმა) იცის გზები, როგორ და რით დაიძვრინოს თავი, თუ ვინიცობაა დანაშაულობასა და ავკაცობაში როგორმე მოამწყვდია კანონმა (ი ლ ი ა). — ვიცი? რავარც შენ იცი, ისე ვიცი მეც. — სცადა თავის დაძვრენა გრიშამ ... (ა. ბ ე ლ.).

**თავის დაჭერა (როგორმე)** მოქცევა (როგორმე); თავის შეკავება. აბრალებდნენ, რომ რიგიანად თავის დაჭერა არ იცოდა, არავის ერიდებოდა (ე. ნ ი ნ ო შ.). ისე სჩვეოდა სიარული, თავის დაჭერა, თითქოს ყოველ დღე სანადიმოდ ემზადებოდა (კ. გ ა მ ს.). ამ სიტყვებმა ისე ამიტაცეს, რომ თავი ვეღარ დავიჭირე და მოვხვიე ხელი (ა კ ა კ ი).

**თავის დღეში** არასდროს, ვერასდროს; მუდამ, ყოველთვის. გულაჩქარეაით წამხდარი საქმე თავის დღეში არ გასწორდება (ა. ყ ა ზ ბ.). . . . ის ადამიანთა საგინებელს თავის დღეში არ ჩაიდენს (ე. ნ ი ნ ო შ.). ის თავის დღეში გამოუცდელი და ცხოვრების უცოდინარი იყო და მათხოვრობაშიაც ეგეთი უცოდინარობა და უხერხულობა თან დასდევდა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თავის კალთაში ჩადება** მინდობა. დაიჯერა ხალხმა, ჩაუდვა კალთაში თავი და ვორონცოვიც შეუდგა საქმეს (ა კ ა კ ი).

**თავის მაღლა აღება** გაამაყება, გაამპარტავნება, გამედიდურება. უკეთუ მათგანი ვინმე ზეწამოიწია და გაღონიერდა, შემდეგ თავს მაღლა იღებს და ურჩობას იწყებს (შ. დ ა დ.).

**თავის მაღლა დაჭერა** ამაყად, ამპარტავნულად მოქცევა.

**თავის მინებება** იხ. თავის დანებება. დედამ შემნიშნა ეს, მომიჩინა პატარა ბიჭები და მიმანება თავი (ა კ ა კ ი). თათრებმა ალგეთელებს თავი მიანებეს, უგონო ბელადი ცხენზე აიტაცეს და გაჰქრნენ (მ. ჯ ა ვ ა ხ.). . . . ჯობს მაგაზე ლაპარაკს თავს მიანებებდე (ა. ბ ე ლ.).

**თავის მოზმა** დასრულება, დაბოლოება. არ იქნა და თავი ვერ მოაბა შარდინ ალშიბაიამ ლუკაიას სადღეგრძელოს (კ. გ ა მ ს.). მზად იყო (ნატო), თუ გინდ სიცოცხლის ფასად, თავი მოება ნაკისრი საქმისათვის (მ. მ რ ე ვ ლ.).

**თავის მოკატუნება** თავის უცოდველად, მიამიტად მოჩვენება; თავის დამცირება, თავის მოსაწყლება. გამოცდილი სუტ-კნეინა მიხვდა, რასაც მოასწავებდა ეს ამბავი, მაგრამ თავი მოიკატუნა, მითამ და არაფერი იცის (ი ლ ი ა). დარბაისლურად წამოდგა გვანჯ აფაქიძე. თავი მოიკატუნა, ერთი პნელი, გაუნათლებელი კაცი ვარო, ბევრი ჭკუა არ მეკითხებაო . . . (კ. გ ა მ ს.). თავი მოვიკატუნე და ვუთხარი, არსენას ბრალია-მეთქი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავის მოქაჩლება** შესაძლებლობის არ დაზოგვა, თავის გამოდება. მასპინძელმა თავი მოიქაჩლა და გულუხვად გაგვიმასპინძლდა (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**თავის მოქონვა** პირფერობით, ტკბილი სიტყვით ვისიმე გადაბირება, გულის მოგება, მოთაფვლა. პასკევიჩი ქართველებს უწყალოდ უქონავდა თავს და ისინიც მზად იყვნენ თუნდაც ზარბაზანში შემძვრალიყვნენ გასასროლად, ოღონდ კი ერთი ჯვარი კიდევ მიეღოთ . . . (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავის მოყრა** შეგროვება, ერთად შეკრება. დაიძახეს ჩვენშიაც ჯარიანობა და თავი მოიყარეს ქართველებმა მტრის დასახვედრად (ი ლ ი ა). მთელ ნაშინდარს ხევისთავების საგვარეულო ეკლესიაში მოუყრია თავი (მ. ჯ ა ვ ა ხ).

**თავის მოჭრა** შერცხვენა, კისრის მოჭრა, სახელის გატეხა. . . . ერთი იმისთანა საქმე ჩაიდინა, რომ ოჯახსაც თავი მოსჭრა და ჩვენ სოფელსაცო... (ა კ ა კ ი). ტყვილა თავის სახელსაც ირცხვენს და ცოლსაც თავს სჭრის ქვეყანაში . . . (დ. კ ლ დ.).

**თავის მოხრა** დამორჩილება, ქედის მოხრა. არც ის შეშვენის (ვაჟკაცს), თავი მოიხაროს ყოველივე მაჩანჩალას წინაშე . . . (დ. კ ლ დ .). სხვა რაღა უნდა ექნათ, მოიხარეს თავი სოფონამ და ოქრუამ და გაუგზავნეს მოციქული ბაგრატას . . . (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თავის მტვრევა** ძალიან ბევრი ფიქრი (რაიმე ძნელად გადასაწყვეტ საკითხზე). ჯადაროსი დიდხანს თავს იმტვრევდა მათ გამოსაცნობად (შ. დ ა დ.). ამდენი თავის მტვრევა რა საჭიროა. გავიდეთ ნაპირზე და საკითხი უბრალოდ გამოირკვევა (ლ. ქ ი ა ჩ.).

**თავის სასწორზე დადება** თავის საფრთხეში ჩაგდება, თავისი საქმის საალალბედოდ გახდა.

**თავის ქერქში არ ეტევა** თავისთვის არ ჩერდება; არსებულით არ კმაყოფილდება, მეტი უნდა. . . . რატომ თავისთვის არა ყრიან?! არ ეტევიან თავიანთ ქერქში? მე დავტევ ძალით (ვ ა ჟ ა).

**თავის შეკავება** რაიმე გრძნობის შეზღუდვა, მოთმენა, თავშეკავება, თავის შემაგრება. უმცროსმა უფრო წარბი შეიკრა და რისხვამ ელვასავით გაურბინა სახეზედ, მაგრამ თავი მალე შეიკავა (ი ლ ი ა) ნადიამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ბალიშში თავი ჩარგო 'და ცდილობდა, თავი შეეკავებინა, რომ არ აქვითინებულიყო (ა. ბ ე ლ).

**თავის შემაგრება** იხ. თავის შეკავება. ცოტათი წამოწითლდა და თვალები აუბრიალდა, მაგრამ მალე შეიმაგრა თავი და ჩვეულებრივი სახე მიიღო (ა კ ა კ ი). ეს სიტყვა გულში მომხვდა, მაგრამ თავი შევიმაგრე, რადგან გენერალი ამ საყვედურს მე ვერ დამიმიზნებდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავის შენახვა** თავის რჩენა; თავის მოვლა. . . . მაშინ მოდი ჩემთან, მე დაგაყენებ გზაზეო . . . მანამდე, ამ ორ-სამ თვეს კი, სხვაგან სადმე შეინახე თავიო (ა კ ა კ ი). ძველ ოჯახსაც უმძიმდებოდა თავის შენახვა (დ. კ ლ დ .).

**თავის შერგვა (სადმე)** შესვლა, თავის შეყოფა (სადმე). (მამამ) ბეგლარს საქალაქო სასწავლებელი გაათავებინა და სასამართლოში გადამწერად შეარგვევინა თავი (დ. კ ლ დ .).

**თავის შექცევა** გართობა, გულის გადაყოლება. ჩირგვებით გარემოცულ მინდორში დაუხვდენ ბახულიას თავის ტოლი გოგო-ბიჭები, რომელნიც ორ ხეს შორის გაბმულ ყურძნის ვაზზე ქანაობით თავს იქცევდნენ (გ. წ ე რ ე თ.). ერთი რუსული ანდაზაა: ოღონდ კი ნუ იტირებს ბავშვი და, რითაც უნდა, თავი შეიქციოსო (ა კ ა კ ი).

**თავის შეყოფა (სადმე)** შესვლა, თავის შერგვა (სადმე). ... რაკი ერთხელ თავი შეყო სპირიდონმა სოფლის სკოლაში, დასრულებამდე აღარ მოშორებია მას... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თავის შეყრა** იხ. თავის მოყრა. ...ვერ მოვახერხეთ ერთად თავის შეყრა (ნ. ლ ო მ .).

**თავის შორს დაკავება** იხ. თავის შორს დაჭერა. თუ ჩემი პატივისცემა გაქვს, შვილო, შორს დაიკავე მასთან თავი (დ. კ ლ დ .).

**თავის შორს დაჭერა** მორიდება, თავის არიდება, ახლოს არ მიკარება. წამოიზარდეს თუ არა ... შორს დაიჭირეს თავი ერთმანეთთან (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თავის წაღება** თავის მობეზრება, გულის გაწყალება. ამ ოჯახქორმა თავი წაიღო იმდენი თხოვნით (თ. ს ა ხ.).

**თავის წაჭმა** შეწუხება, თავის მობეზრება, გულის გაწყალება. თავის წაღება. თავი წაგვაჭამა მე და ხერიპსს გამაგებინეთ ვინ არისო მისოუსტ? (კ. გ ა მ ს.). ახლოს რომ მომჯდომოდა, თავს წამჭამდაო ლაყბობით (კ. გ ა მ ს.).

**თავის ჭიას ახარებს** ერთობა, თავს იქცევს, გულის წადილს ისრულებს. მე რომ მოვკვდები, იმას მაინც იტყვიან — რაც ხანი იცოცხლა, თავის ჭია ახარაო (ი. გ უ ლ ი ს.).

**თავისი დრო მოჭამა** დაძველდა, დრო გაუვიდა, ცხოვრების გზა გაიარა. ჰე, ნამეტანს კი ნუ იზამ! მაგან თავისი დრო მოჭამა· ცხოვრებით დასტკბა, იცხოვრა (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**თავისი პური მოჭამა** იხ. თავისი დრო მოჭამა. ... თავის პური მოუჭამია, დღეიდან აღარც ავად არგია საზოგადოებას და აღარც კარგად (ა კ ა კ ი).

**თავისკენ ითლის** მხოლოდ თავის სარგებლობისათვის ზრუნავს. ყველაფერი თავისთვის უნდა, სხვისი კუთვნილების მითვისებას ცდილობს. ...ინგლისს სწამებენ, რომ კოლონიებს წურბელასავით სწოვსო, სარჩო-საბადებელს არ არჩენსო და სულ თავისკენ ითლისო (ი ლ ი ა).

**თავისუფლად ამოსუნთქვა** საფრთხის გავლის შემდეგ დამშვიდება, გულზე მოშვება. ...გათავდა ეს პირველი დაბარებაც სამხედრო ბეგრისთვის და ბაბალეს ვაჟები არავის მოუკითხავს. ახლა კი ბაბალემ თავისუფლად ამოისუნთქა ... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თავი(ც) უტეხია** რაც უნდა, ისა ქნას! თავში ქვა უხლია! ჯანდაბამდის გზა ჰქონია! — თავი უტეხიათ, რას დავეძებ ... (დ. კ ლ დ.).

**თავლაფის დასხმა** იხ. თავზე ლაფის დასხმა. ღვინის ქურდობა კარგი არ არის, ხვალ თავლაფს დაგასხამენ (შ. ა რ ა გ ვ). ...ვინც შედრკეს, აღარ მოგვეკაროს; ვინც გაიქცეს, თავლაფი დაესხას... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავპატიჟის გადება** ტყუილად, არაგულწრფელად უარზე დადგომა, განაზება, გაპრანჭვა. სანამ მოხუცები აფხაზური ცერემონიების მიხედვით თავპატიჟს იდებდნენ, არზაყანმა ერთი აკვაკარი გასტეხა შუაში... (კ. გ ა მ ს.). მაიზერმა რომ ხარები მაჩუქა, ისეთი უარი ვსტკიცე, რომ სულ ფეხები გავასავსავე, ვიცოდი ნაჩუქარს უკან არ დაიბრუნებდა და მეც თავპატიჟი გავიდევი და აქეთ შემოვიხვეწე, რომ საჩუქარი მიმეღო (ბ ა ნ.).

**თავ-პირის გლეჯით** იხ. თავ-პირის მტვრევით. (ძაღლები) ყეფით და თავ-პირის გლეჯით მისდევდნენ ტყისაკენ მიმრბინავ მგელს (შ. ა რ ა გ ვ.).

**თავ-პირის მტვრევით** ძალიან სწრაფად, გამალებით, ჩქარა, თავ-პირის გლეჯით. (კატო) თავ-პირის მტვრევით დერეფნიდან გავარდა (შ. ა რ ა გ ვ.). გახარებულმა ცვატამ, დადიანს გამოეთხოვა თუ არა, თავპირის მტვრევით ჩააქანა ცხენი ოძრახეს დაღმართისაკენ (შ. დ ა დ.).

**თავს არ უდებს** თავს არ აჩაგვრინებს, არ ემორჩილება. (ქეთევანი) მოხუცებას თავს არ უდებდა, ოჯახზე წინანდებურად ეჭირა თვალი (ე. ნ ი ნ ო შ.). თაფლო ცოტა შეწითლდა კმაყოფილებით. შინაგან არც უტანდარს და არც დოდოს თავს არ უდებდა, არც სასახლეში მოდენილ სეფექალებს ... (შ. დ ა დ.).

**თავს ატეხს (რასმე)** ეწვალება, მთელ ძალ-ღონეს ახმარს, თავს აკლავს (რასმე). (ბეგლარი) კიდევაც გუნებაში დასცინოდა მათ, ვინც რაღაცას ეძებდა, რაღაცეებს თავს ატეხდა, ვინ იცის, რისთვის, ან ვისთვის, და ამასობაში თავის თავს აკლებდა (დ. კ ლ დ.).

**თავს გადახდა (რამე)** შეემთხვა, დაემართა (რამე). წაბლისერის გლეხკაცობას ბევრი რამ გადახდა თავს ამ დროის განმავლობაში (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თავს გასვლა** ზედმეტად გათამამება, გათავხედება, გაკადნიერება. (არსენა) გლეხებს აშფოთებს, ხელმწიფეს ეურჩება, ბატონსაც უბღვერის ... ეხლა კი მეტის-მეტად თავს გასულა: ქალსაც შეეცილა და საცაა აქ მოსვლასაც

აუკრძალავს (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ის წითური ალა-მაჰმადი, მაიორია თუ დოზანა, მეტის-მეტად თავს გავიდა. თრიალეთს შემოესია და ქვას ქვაზე აღარა სტოვებს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავს დავლა** გზის მოჭრა და წინ დახვედრა. შიშმა მოიცვა აბაღა: ბექა თავს დაუვლიდა მას, უსათუოდ დაღუპავდა მის შემკრთალ ლაშქარს (ვ. ბ ა რ ნ.). სანამ საქართველო ფეხზე იდგება, მაჰმადიანნი თავს ვერ დაუვლიან ბერძენთ; პონტის ზღვა აქედან დახშულია მათთვის (ვ. ბ ა რ ნ.).

**თავს დარბენა** იხ. თავს დავლა. ის დაადგა იმ ბილიკს, იქნება ან ასმათს თავს დავურბინო, ან ცხენოსნებს დავეწიოო (გ. წ ე რ ე თ.).

**თავს დასტრიალებს** მუდამ მასთან არის და მზრუნველობას უწევს, ემსახურება, უვლის, თავს ევლება. მე და ლამბალო „იოლდაშები" ვართ. ისე დამტრიალებს თავს, რომ ბუზიც ვერ მიახლოვდება ხოლმე (მ. ჯ ავ ა ხ.). რა უყოს არზაყანმა ამ ერთგულსა და სათნო ძაბულის! სამსახური მიატოვა ბედშავმა მის გამო, ულუკმაპუროდ დაჰყარა ობლები ოქუმში. დღედაღამ თავს დასტრიალებდა არზაყანს (კ. გ ა მ ს.).

**თავს დასხმა** თავდასხმის მოწყობა, გალაშქრება (ვისიმე წინააღმდეგ), თავზე დაცემა. შეგვიტყვეს, პოლიცია თავს დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ (ი ლ ი ა). ბოლოს ინდოურებმა პირობა შეკრეს, რაკი თითო ვერას აკლებდა მამალს, რომ ერთად, კრებულად დასხმოდნენ თავსა და ჩაექოლათ . . . (ვ ა ჟ ა).

**თავს დატეხა (რისამე)** უეცრად რაიმე არასასურველის შემთხვევა. ეჭვი არ იყო, ქალაქის თავის საქციელს იმ შემთხვევაში სათანადოდ შეაფასებდნენ და შედეგისათვის პასუხისმგებლობას მასვე თავს დაატეხდნენ (ლ. ქ ი ა ჩ.). დიდი უბედურება დაგვატეხეს თავს ამ გერმანელებმა (ა. ბ ე ლ.).

**თავს დატყდომა (რისამე)** იხ. თავზე დატყდომა (რისამე). ზაქარა ჯილაურის ოჯახის გარშემოც ნისლი მიადგა, გაიზარდა, მეხად იქცა და ანაზდეულად თავს დაატყდა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**თავს ევლება (ვისმე)** განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევს, ყურადღებას აქცევს, უვლის, ემსახურება, თავს დასტრიალებს (ვისმე). როგორ უყვარდა კაჭკაჭს თავისი შვილები! როგორ ელერსებოდა, როგორ უფრთხილდებოდა, თავს ევლებოდა (ვ ა ჟ ა). ბეგლარი, რომელსაც მასპინძელი თავს ევლებოდა, ერთობ მხიარული იყო . . . (დ. კ ლ დ.).

**თავს ზარის დაცემა** იხ. თავზარის დაცემა. მოისმინა თუ არა თამარმა, გატაცებულსავით წამოვარდა ტახტიდამ, თითიაც, თითქოს თავს ზარი დაეცა, ხან ერთის კარისაკენ გაცუნცულდებოდა, ხან მეორისაკენ და არ იცოდა რა ექნა (ი ლ ი ა).

**თავს იდებს (რამეს)** იკისრებს, დაივალებს (რამეს). ... ჩვენ, რასაკვირველია, არ განვეიზრახავს, თავს ვიდვათ ამ საკითხის გადაჭრა ... (ა. ბ ე ლ). რაკი (ცხენის) მოძებნა მეც თავს ვიდევი, ძალიან იამა (ბ ა ნ.).

**თავს იკლავს** მეტის-მეტად წუხს, ღელავს; თავგამოდებით ცდილობს რასმე; ზედმეტი ჯაფით იტანჯება. საწყალი დედაჩემი რანაირად იკლამდა თავს, უნდა გენახა გულოჯან, მთელი ქვეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს (დ. ჭ ო ნ ქ.). მე ვუთხარი (ბახვას) შენი შეამხანაგება მადამ სალისთან, იმან თავი მოიკლა (გ. წ ე რ ე თ.). (მას) შეუყვარდა ბატონიანთ ლამაზი გოგო ვაშლა და თავი მოიკლა, მინამ შეირთავდა (ს. მ გ ა ლ ო ბ.). გზის კეთებით თავი მოვიკალი (გ. წ ე რ ე თ.).

**თავს იტეხს** თავგამოდებით ცდილობს, წვალობს; ძალიან ბევრს ფიქრობს (რაიმე ძნელად გადასაწყვეტ საკითხზე), თავს იმტვრევს. ეს აუარებელი ხალხი რომ შეკრებილა, რაო, ჩემო? სიცოცხლეში არ ვუკითხავართ, ავადმყოფი არ ვუნახივართ, და ახლა კი თავს იტეხენ სიკვდილის შემდეგ (ა კ ა კ ი). ... მთავრობას უნდოდა ფილმზე გადაეღოთ ეს ძველი მისტერია მომავლის მეისტორიეების თავის სატეხად ... (კ. გ ა მ ს.).

**თავს იყოლიებს** იხ. გულს იყოლიებს. გიგოც და დოსითეც ... იყოლიებდნენ თავს ღვინით (ბ. ჩ ხ .).

**თავს კედელს ახლის** იხ. კედელს თავს ახლის.

**თავს ლაფის დასხმა** იხ. თავზე ლაფის დასხმა. ... შინ მუშკვლელობა რაღაა მაინც? თუ ვინმემ გაგვაბახა და თავს ლაფი დაგვასხა, ამდონს ხანს მაინც რაა! ... (ე. ნ ი ნ ო შ.). ... ჰარიქა გვიშველე, თორემ გაგვლახეს, თავს ლაფი დაგვასხეს! (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავს მაღლა არ იღებს** გულმოდგინედ, ბეჯითად, თავაუღებლად მუშაობს. (ხალხი) წელებზედ ფეხს იდგამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება ... ოღონდ წლის სარჩო მოიპოვოს (ი ლ ი ა).

**თავს მაღლა იწევს** იბღინძება, თავი დიდად მოაქვს, ამპარტავნობს, ქედმაღლობს. არა, შენ გეთაყვანე, ბრძანე წყალში გადავარდიო, გადავვარდები, და მოსე გძელაძესთან კი არ გაგეგზავნები ... მეტად მაღლა იწევს თავს (ი ლ ი ა). აბა წინათვე ვიცი, თავი თავს არ მოვა და რაზედ შევრცხვე ეს დროული დედაკაცი, მეტად მაღლა იწევს თავს (ი ლ ი ა).

**თავს მოგება** გონს მოსვლა, გამორკვევა. სხვა რამ ფიქრს გაეტაცნა ირანის მფლობელი, სხვა რამ ჰმუნვა ესახებოდა ჰკვიან თვალებში. ბოლოს მოეგო თავს, მიაქცია ყურადღება კარისკაცებს (ვ. ბ ა რ ნ.).

**თავს მოსვლა (რისამე)** დამთავრება, დასრულება, დაგვირგვინება, მოგვარება. (მკითხველმა) უნდა იცოდეს, რა ჯაფა ... იყო საჭირო ...,

რომ ამ სკოლის საქმე თავს მოსულიყო ... (ი ლ ი ა). — ვლეხი აღარ გვემორჩილება, ჩვენი ხელ-ფეხი ჩვენს თავს აღარ უგონებს, ამიტომ ჩვენი საქმეც თავს ვერ მოვა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თავს მოხვევა (რისამე)** იხ. თავზე მოხვევა (რისამე).

**თავს რეტის დასხმა** იხ. თავბრუს დასხმა. სონიას თავს რეტი ესხმოდა ამ სიტყვებზე და ამ უცნაურად გახელებული კაცის ყვირილისაგან (დ. კ ლ დ.).

**თავს შემოვლება** განსაკუთრებული მზრუნველობის გაწევა, ყურადღების მიქცევა, მოვლა, სამსახურის გაწევა, თავის შეწირვა (იხ. თავს ევლება). მუხლმოყრით გევედრებით მთელი შენი საყმო; თუ გვიკადრებს შენი დიდებულება, დიდად მადლობელი დაგრჩებით, თავს შემოგევლებით (ვ ა ჟ ა).

**თავს შემოუვლის** მოუხერხებს რასმე, გააწყობს, შესძლებს რისამე გაკეთებას. როსაფი ძალიან წუხდა ამ გარემოებას, მაგრამ თავი ვერსაიდან შემოევლო (გ. წ ე რ ე თ.).

**თავსლაფის დასხმა** იხ. თავზე ლაფის დასხმა. ქვეყანაში მე კარგა ხანია სახელიც გამიფუჭეს და ვაჟკაცობაც შემირცხვინეს ...კმარა რაც თავსლაფი დამასხეს და აწი მე მიყურონ... (დ. კ ლ დ.). შევარცხვინე და თავსლაფი დავასხი ასეთ უქნარა ოცდაექვსი წლის ვაჟკაცს და მის მომავალსაც (გ. ნ ა - ხ უ ც რ.).

**თავში ავარდნა** გაყოყოჩება, გაამპარტავნება, გაამაყება, თავბრუდახვევა წარმატებისაგან. ... ანბანის ცოდნა ისე აგვარდნია თავში, რომ შენი თავი მეცნიერი გგონია უკვე (გ. ნ ა ხ უ ც რ.). ქება თავში აუვარდა (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**თავში ამხანაგი უზის** შეზარხოშებულია, ნასვამია, მთვრალია. შენ იმას რას უყურებ, ძმაო, ვერა ხედავ, თავში ამხანაგი უზის! (თ. ს ა ხ.).

**თავში ბზე უყრია** უჭკუოა, არაფერი იცის. მაშ თქვენ გგონიათ, მე თავში ბზე მიყრია? არა, ძმობილო, მეც ჩემი ჭკუითა ვცხოვრობ! (ვ ა ჟ ა).

**თავში გარბენა (რისამე)** გაფიქრება, უცებ აზრად მოსვლა (რისამე). „ჩვენც რომ არაფერი გვაქვს, მგონი ...“ — გაურბინა მას თავში და ამის შიშმა რეტი დაასხა (დ. კ ლ დ .).

**თავში დაკრული** არანორმალური, სულელი. ... ამას გლეხი ... თავის დღეში არ იკადრებს, თუ სანდალასავით ღმერთგამწყრალი და თავში დაკრული არ იქნება (ი ლ ი ა).

**თავში დარტყმული** იხ. თავში დაკრული.

**თავში დასცეცხლა** შეშინდა, შეკრთა. — ახალი წასული იყავი, შვილო, ვიღაცამ დარეკა, სამხედრო რომ დავინახე, მაშინვე **დამცეცხლა** თავში (ა. ბ ე ლ.).

**თავში იცემს** ძალიან ნანობს (რასმე), ჯავრობს. —მოტყუებულა! ... ახლა კი ტირის, თავში იცემს (ა კ ა კ ი). კუზმა თავში იცემდა გაზრდილის საქციელზე (შ. დ ა დ.).

**თავში მოუვიდა (რამე)** იფიქრა, აზრად მოუვიდა (რამე). არავის თავში არ მოუვიდა ეკითხა მისთვის ჩამოსვლის მიზეზი, რადგანაც ციცკა იმათთან დადიოდა არა იშვიათად (ა. ყ ა ზ ბ.). უარის თქმა თავშიაც არ მომსვლია (ე. გ ა ბ.).

**თავში უქრის** სულელია, ჭკუა აკლია, თავში დაკრულია.

**თავში ქვა იცეს!** იხ. თავში ქვა იხალოს! ... ჩვენ კი გულ-ხელდაკრეფილები ვსხედვართ თუ? ... წადი და თავში ქვა იეცი და შენ აალაგე (ი ლ ი ა). — თავში ქვა იეც და ისა ჰქენი, — შე დალოცვილო, ქვა ვიცე თავში, რა პასუხია, როგორ იქნება?! (ი ლ ი ა).

**თავში ქვა იხალოს!** რაც უნდა, ისა ქნას! როგორც უნდა, ისე მოიქცეს! თავში ქვა იცეს! — წადი ახლა, თავში ქვა იხალე და შეეჩვიე! აბა რა უნდა ქნა? (ი ლ ი ა) ... თავში დიდი ქვა იხალეთ და თქვენს ტურტლიან თავებს თქვენვე მოუარეთ ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**თავწყლის გადენა** მოხერხება, დასრულება, თავის გართმევა, თავის მობმა. დავრჩი ალოუხნავი და ამოდენა წვრილფეხობის სინაბარა..., თავ-წყალი ვეღარ გამიდენია (რ. ე რ ი ს თ.). ერთი ნამგალი რა თავწყალს გაადენდა შემოსულ ყანას? (ვ. ბ ა რ ნ .).

**თამაშას ნახვა** ცუდ დღეში ჩავარდნა, გამწარება. აი, დამაცადოს! ერთი მეც ცოლი შევირთო და ოჯახს მოვეკიდო, ზოგიც მაშინ ნახოს თავისი **თამაშა** (ი ლ ი ა).

**თამაშას ჩვენება** შავი დღის დაყრა, გამწარება, სეირის ჩვენება. აბა, ერთი გაბედე და ძმას ნუ დაიყოლიებ, მერე გიჩვენებ მე თქვენს თამაშასა (ი ლ ი ა). ... ვაი ჩემო ყმაწვილბიჭობავ, რა გითხრა, თორემ მე ვაჩვენებდი ემას **თამაშას** (ა. ყ ა ზ ბ .).

**თასლიბის გაწევა** დამშვიდება, გამხნევება, ნუგეშისცემა. (არაბ. **თასლიბ** გამაგრება). რა ვქნა, შენი ჭირიმე ... ჩემო ახალო მოყვარევ! ავადა ვარ, თასლიბს ვერ გავუწევდი (ი ლ ი ა). ყველას ვალად მიაჩნდა, უბედურების დროს ოჯახისათვის თასლიბი გაეწია (ი. ე ლ ე ფ თ.).

**თაფლი გადმოსდის პირიდან** იხ. პირიდან თაფლი გადმოსდის.

**თაყვანს სცემს** დიდ პატივს სცემს, უყვარს, ეთაყვანება; დიდი პატივისცემით, მოწიწებით ესალმება. (მომდინარეობს გამოთქმიდან: თავს ყანას (ანუ მიწას) სცემს, ე. ი. პატივისცემის ან მორჩილების ნიშნად თავს დაბლა ხრის). სიცოცხლეშივე გმირად დასახა ქართველობამ (ერეკლე), თაყვანსა სცემდა ქართველობა (ვ. ბ ა რ ნ.). ნუ მიხვალ, ჩემო, და თაყვანს გცემ უკუნითი უკუნისამდე... (კ. გ ა მ ს.). აი, ამგვარ კაცის წინ მოვიდრეკ თავსა და თაყვანსა ვცემ (ი ლ ი ა). პირველმა ჯერ თაყვანი მცა და მერე დაიჩოქა ჩემ წინ ... (ა კ ა კ ი).

**თეთრი კბილის ჩვენება** ფარისევლობა, პირმოთნეობა, ფლიდობა. ... სტუმარმა მადლობა გადაუხადა და წამოდგა, მაგრამ მასპინძელმა არ გაუშვა, ჩაი მიართვა, თეთრი კბილი უჩვენა, მიუთითლიბაზა (ვ. ბ ა რ ნ.). თეთრ კბილს გვიჩვენებს, გვიცინის, გული სავსე აქვს შხამითა (ვ ა ჟ ა).

**თვალებზე ხელის აფარება** სინამდვილის განგებ არდანახვა, თვალის დახუჭვა. თვითონ განგებ თვალებზე ხელი აუფარებია, განგებ ყურებში ბამბა დაუცმია და ჰგონია, რომ სხვა ყველანიც დაბრმავდებიან, დაყრუვდებიან და ეშმაკობას, კუდიანობას ვერ მიუხვდებიან (ი ლ ი ა).

**თვალები დაუყენა** იხ. თვალი დაუყენა. ... შენს მტრებს იმითი თვალებს დაუყენებ ... (დ. ჭ ო ნ ქ .).

**თვალებიდან ცეცხლის ყრა** განრისხება, გაავთრება, გაავება, ცოფების ყრა. ტყუილი და ამაოა მასთან ლაპარაკი. ისეთი გაავთრებულია, რომ მეტი არ წარმოიდგინება. თვალებიდან ცეცხლსა ყრის. ღმერთი მეფიცოს, შევძრწუნდი, რომ შევხედე (ბ ა ნ.).

**თვალებით ჭამს (ვისმე, რასმე)** ხარბად, დაჟინებით, თვალმოუშორებლად უყურებს (ვისმე, რასმე). (ჯარისკაცები) თვალებით სჭამდნენ დიასახლისს, რომელიც გასაშრობად გაფენილ ხორბალს ჰკრეფავდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ის ქალი და თომა პირის-პირ სხედან და ერთმანეთს ქურდულად სჭამენ თვალებით (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თვალების აბმა** იხ. თვალის ახვევა. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდახან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ (ი ლ ი ა).

**თვალების ახელა** იხ. თვალის ახელა. საჭირო იყო გამორკვევა, თვალების ახელა და დაკვირვებით სწორ გზაზე გავლა (ა კ ა კ ი). არ დავკვირვებივარ დღემდის და იმიტომ არაფრად მიმაჩნდა. დღეს ამეხილა თვალები და გეფიცები, ვიქტორ, უმაგისოდ ერთ წუთას გაძლება არ შემიძლია! ... მომაჯადოვა, მომაჯადოვა მაგ დაწყევლილმა (დ. კ ლ დ.).

**თვალების ახვევა** იხ. თვალის ახვევა. რამდენი ხანია გეხვეწები, რომ ამ ოჯახს ეგ როგორმე მოაშორო, მაგრამ ის ფარისევლობით თვალებს გიხვევს და ჩემი აღარა გჯერა-რაო! (აკაკი). რამდენჯერ მოტყუვდა იმ ქალზე თომა! დღეს აღარ მოტყუვდებოდა, მაგრამ შავმა ტანისამოსმა და ნამტირალევმა პირსახემ თვალები აუხვიეს, ეხლაც გაფუფქულსავით გამოტრიალდა (მ. ჯავახ.).

**თვალების გახელა** იხ. თვალის გახელა. — ძალიან მინდა ... ქართული წერა-კითხვა მაინც ვიცოდე, გავიგებ ქვეყნის ავ-კარგს ..., მეც გამეხილება თვალები (შ. დად.).

**თვალების გულში ჩაბრუნება** თავისი საქციელის დაკვირვება-შეფასება, საკუთარ გულში ჩახედვა. არა გვგონია ქვეყნიერებაზედ იმისთანა საზოგადოება იყოს სადმე, რომ თითო ორჯერ მაინც ამისათვის არ გამოაფხიზლოს კაცი, ისეთი რამ არ მოუვლინოს, რომ კაცს თვალები ძალაუნებურად გულში არ ჩაუბრუნოს თავის თავის განსაკითხავად (ილია).

**თვალების დაბრმავება** სინამდვილის განგებ არშემჩნევა, თვალის ახვევა. რად ვიბრმავებთ თვალებს და ჭეშმარიტს მიზეზს ჩვენის სისუსტისას პირდაპირ თვალს არ ვუსწორებთ (ილია). ბახუტო თემის უფროსს უყვიროდა: — შენ თვალებს იბრმავებ ..., შენ ხედავ ყველაფერს და ხელს აფარებ (ს. შანშ.).

**თვალების დარჩენა (ვინმეზე, რამეზე)** იხ. თვალის დარჩენა (ვინმეზე, რამეზე). ნიშნის მომტანი რომ მოვა და იმ გოგოსა ნახავს, არ მივა და არ ეტყვის: რას გაგიჟებულხარო, ქალია, რომ თვალები ზედ დაგრჩებაო?' (ილია). ჯარში, სადაც კი ის დაესწრებოდა, ყველას იმაზე რჩებოდა თვალები (გ. წერეთ.).

**თვალებში აქვს ჭკუა** უჭკუოა, მოვლენებს ზერელედ, გარეგნული ეფექტის მიხედვით, შინაარსის გაუთვალისწინებლად აფასებს. ... ეს კაცი არ ვარგაო იმისთვისაო, რომ მტვრიანი ტანისამოსი აცვიაო?! ... ვინც ამგვარად შინჯავს საქმეს და ამგვარ დამტკიცებაზე ამყარებს თავისს აზრსა, იმას თვალებში ჰქონია ჭკუა (ილია).

**თვალებში მტვრის შეყრა** იხ. თვალებში ნაცრის მიყრა. (ღეჭიაშვილს) თავის სამშობლოს სალაროში ხელუკუღმა ცოტაოდენი წვლილი შეჰქონდა. ამით მეგობრებს თვალებში მტვერი შეაყარა (ს. მგალობ.).

**თვალებში ნაცრის მიყრა** მოტყუება, თვალის ახვევა, ყინულზე გაცურება. ჟინმა მომიარა, ჩამექროლებინა.. ჩემი ცხენით, რომ მტრისათვის თვალებში ნაცარი მიმეყარა (შ. არაგვ.).

**თვალთან თითს ვერ მიიტან** ძალიან ბნელა, უკუნი ღამეა. დაღამდა, მაგრამ საშინელმა დღემ ღამეც ისეთი ლუსკუმო წამოანთხია, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი (ბან.).

**თვალი დაადგა (ვინმეს, რამეს)** ყურადღება მიაქცია, ამოიჩემა; მოეწონა, თვალში მოუვიდა. ბოლოს თვითონ თომასაც დაადგეს თვალი, ქურდად მიიჩნიეს, მილიციაში დაიბარეს, გამოჰკითხეს და კინაღამ დააპატიმრეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.). დღეს კი საბოლოოდ დაადგა თვალი ოძელაშვილს და გადასჭრა, თავის ამალა ამ ბიჭითაც დაემშვენებინა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თვალი დაუდგება** შურით გულზე გასკდება, ძალიან ნაწყენი დარჩება. ერთი თვეც, ერთადერთი, და ლუარსაბს შვილი ეყოლება და დავითს თვალი დაუდგება (ი ლ ი ა). — ხალხს ისე უნდა ეჩვენო, შვილო, რომ მტერს თვალი დოუდგეს, გული მოუკლა და ენა მუცელში ჩაუგდო (დ. კ ლ დ.).

**თვალი დაუყენა (ვისმე)** შურით გულზე გახეთქა, გაამწარა (ვინმე). ჯამბაკურ დღე ლილას იღებს, ღამღამობით ღებავს შალსო, მოყვრის-თვის საჩოხედ უნდა, დაუყენებს მის მტერს თვალსო! (ა კ ა კ ი). შვილებმა იქეი-ფეს; დედ-მამამ მტერს თვალი დაუყენა და მოყვარეს გული გაუხარა ოჯახის ბედნიერებით (ნ. ლ ო რ თ ქ .).

**თვალი უჭირავს (ვინმეზე, რამეზე, ვინმესკენ, რამისკენ)** მზრუნველობას უწევს, ყურადღებას აქცევს, თვალყურს ადევნებს (ვინმეს, რამეს); გული მიუწევს (საითკენმე, რამისკენ). . . . პეტრე დიდს კარგა ხანია თვალი ეჭირა სპარსეთზე . . . (ი ლ ი ა). (ის) მოხუცებას თავს არ უდებდა, ოჯახზე წინანდებურად ეჭირა თვალი . . . (ე. ნ ი ნ ო შ.). . . . ომის ტვირთის გამო გლეხი დრტვინავდა, მოსარჩლეს ეძებდა, იარაღს იძენდა და მგელსავით ტყისკენ ეჭირა თვალი (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მაინც ველურები ხართ. მუდამ მუშტსა და ხანჯალზე გიჭირავთ თვალი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თვალიდან ბეწვის გამოცლა** იხ. თვალსა და თვალს შუა ბეწვის გამოცლა.

**თვალის აბმა** იხ. თვალის ახვევა. არა, ვის წინა თამაშობთ მალაყებსა? მაგითი გინდათ თვალი აგვიბათ, განა? (ი ლ ი ა).

**თვალის ახელა** მანამდე შეუცნობელის შეცნობა, მიხვედრა, გათვითცნობიერება, შეგნება, გონს მოსვლა, გამორკვევა. სიცოცხლე-ში ხშირად არ მოგვევლინება იმისთანა რამ, რომ ჭკუა გვასწავლოს, თვალი აგვი-ხილოს (ი ლ ი ა). ასე თვალი რომ აეხილა და ეს ფიქრი რომ დაებადა გულში, სწორედ იმ წამიდან რაღაც დამნაშავედ ჩასთვალა თავისი თავი ცოლის წინაშე . . . (დ. კ ლ დ.). გლეხობას დიდი მიწისძვრა და მეორედ მოსვლაც კი ვერ გააღვიძებ-და, არსენამ კი ყველანი პანტასავით დაარხია და თვალი აუხილა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თვალის ახვევა** სინამდვილეში, საქმის ნამდვილ ვითარებაში გარკვევის საშუალების მოსპობა, მოტყუება, შეცდენა. ეჭვს გარეშეა, რომ რაღაცას გრძნობენ, მაგრამ ასეთი თავშეკავებული მდუმარებით საზოგადო-

ებას თვალს უხვევენ და ჩვენ კი საკმაოდ გვაგრძნობინებენ (ბ ა ნ.). არზაყანმა თვალის ასახვევად ვითომდაც მომეტებულის გულისყურით დაუწყო თვალიერება ამ წიგნს (ც. გ ა მ ს.).

**თვალის გადავლება** დაკვირვება, ჩაფიქრება, მეხსიერებაში აღდგენა (რისამე); გადახედვა, გადათვალიერება. მან თავის წარსულს თვალი გადაავლო (მ. ჯ ა ვ ა ხ.). რაც ყაჩაღად გავარდა, მას შემდეგ ერთხელ ძლივსძლიობით გადაავლო თავის ოჯახს თვალი (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თვალის გახელა** რისამე მიხვედრა, გაგება, გათვითცნობიერება; ჭკუაში ჩავარდნა, გამოფხიზლება, თვალის ახელა. ყირიმის ომმა თვალი გაახელინა რუსეთს (ა კ ა კ ი). ეხლა კი გლეხებმა გაახილეს თვალი, დაუწყეს იმათაც სამაგიეროს გადახდა (ე. ნ ი ნ ო შ.). — შენ თუ ამაზე მეტათ თვალი არ გაახილე, ცოცხლათ შეგჭამენო (ე. ნ ი ნ ო შ.). გავიდეს სოფლის გარეთ, თვალი გაახილოს, ისწავლოს, ეგებ სოფელსაც უკეთ გამოადგეს (ო. ჩ ხ .).

**თვალის დაბრმავება** იხ. თვალების დაბრმავება. განა არ ვიცით, მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა, მაგრამ განა ეს საბუთია თვალი დავიბრმავოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრათ . . . (ი ლ ი ა).

**თვალის დარჩენა (ვინმეზე, რამეზე)** ძალიან მოწონება (ვისიმე, რისამე). . . . როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი (ი ლ ი ა). პატარა იყო შემკული ბაღჩა; თვალი კი ყველას მასზე რჩებოდა. ყველას უნდოდა იმის სინაზით თვით დამტკბარიყო (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**თვალის დახამხამებაზე** იხ. თვალის დახამხამებაში. ქალმა ვერ მოასწრო ოთახის კარებთან მისვლა, როდესაც იასაულები უკანიდან მიეპარნენ, მოიტაცეს და ერთს თვალის დახამხამებაზედ შეიტანეს დიამბეგის ოთახში (ა. ყ ა ზ ბ.). თვალის დახამხამებაზე მოხდა ეს ყველა (ვ. ბ ა რ ნ.).

**თვალის დახამხამებამდე** იხ. თვალის დახამხამებაში. იქვე ახლოს ჩასაფრებული ქართველი ჯარი შემოერტყა გარს, თვალის დახამხამებამდე გადაუჭრა უკან დასაბრუნებელი გზა და თითქმის დატყვევებულებს დაერიაო (ა კ ა კ ი). ხალხმა თვალის დახამხამებამდე გამოსჭრა გრძელი კავი . . . (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თვალის დახამხამებაში** უცბად, სწრაფად, მყის, ელვის სისწრაფით. . . . ჰაკიმ უცბად სასიკვდილოდ დაჭრილივით ამოიგმინა და თვალის დახამხამებაში თავის ადგილს მოსწყდა (ლ. ქ ი ა ჩ.).

**თვალის დახუჭვა** სინამდვილის განგებ არდანახვა, უგულებელყოფა (არსებულისა). (გველის სილამაზე) ერთგვარი სინამდვილეა . . . მის წინაშე თვალის დახუჭვა შეცდომა იქნებოდა (ა. ჭ უ მ ბ.).

**თვალის დევნება** იხ. თვალყურის დევნება. თვით მეფის კარსაც ჰყოლოდათ შეთქმულებს კაცები. დაასკვნეს, თვალი ედევნებინათ ორგულებისათვის და ჭეშმარიტებით გაეგოთ ყოველივე (ვ. ბ ა რ ნ.).

**თვალის თვალში გაყრა** პირდაპირ თვალებში ყურება, დაჟინებით ცქერა თვალებში. ოტია შეჩერდა და მაშვალს თვალი თვალში გაუყარა (დ. კ ლ დ.). თომამ და იმ დედაკაცმა ერთის წუთით ურთიერთს თვალი თვალში გაუყარეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თვალის მოტყუება** წათვლემა, ცოტა ხნით წაძინება. „... ახლა კი ცოტა მივწვეთ და თვალი მოვატყუოთ! (ა კ ა კ ი). უკანასკნელ, როგორც იქნა, ნიკოს ჩაეძინა, ივანემაც მიდო თავი და, როგორც იტყვიან, თვალი მოატყუა (ე ნ ი ნ ო შ.). ნასადილევს ოდნავ თვალის მოტყუება ოღონდაც რომ საჭიროა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თვალის მოჭრა** თვალის არევა, თავბრუს დახვევა; მოხიბვლა. ოქროს ელვარებამ დიდსა და პატარას თანასწორად მოსჭრა თვალი და ყველას ჟრუანტელმა დაუარა ტანში (ა კ ა კ ი). ნატას თვალი მოსჭრა მშვენიერმა ვაჟკაცმა... (გ. ნ ა ხ უ ც რ.). პატიოსან ალმასის თვალს ქოხში ნახავ თუ სრა სასახლეში, ორგანვე თვალს გჭრის ის ტიალი (ბ ა ნ.).

**თვალის მოხუჭვა** სიფხიზლის მოდუნება, უყურადღებობა; წაძინება. ის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთ ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა (ი ლ ი ა). მთელი ღამის განმავლობაში არც ერთს თვალი არ მოუხუჭავს (ა. ბ ე ლ.).

**თვალის სინათლე** ძვირფასი, სათაყვანებელი არსება, თვალის ჩინი. გაიზარდე, ჩემო თვალის სინათლევ, და გაახარე აქ დედაშენი და იქ მამაშენი (ი ლ ი ა). რეიზა მომიკალით ჩემი ოქრუა, ჩემი თვალის სინათლე ოქრუაი!— ამბობდა ის ტირილით (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თვალის ჩინი** მხედველობა, ხედვის უნარი; ძვირფასი, ძალიან საყვარელი არსება, თვალის სინათლე. მაიორს თვალის ჩინიც აკლდა და ყურთა სმენაც (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... შენს სატევარს, შენს ლეკურს ულისო ისე, როგორც საკუთარ თვალის ჩინს და გულის იმედს (კ. გ ა მ ს.). საჯაროდ გავამასხარავებ, როგორც შენ გაგამასხარავა გაძევების დროს, ჩემო თვალის ჩინო ... (შ. დ ა დ.). სარდალმა ჩააბარა ქალი საჭურისს და უბრძანა თვალის ჩინივით გაფრთხილებოდა (ვ. ბ ა რ ნ.).

**თვალს არ ახამხამებს** საფრთხე არ აშინებს, შეუპოვრად არის. ომში განსწავლულ სალდათს ... რომ ზარბაზანი პირდაპირ ესროლო, თვალს არ დაახამხამებს (გ. წ ე რ ე თ.). უცქირეთ, ერთი უცქირეთ, არ ახამხამებს თვალსაო! (ვ ა ჟ ა).

**თვალს წყალი დაალევინა** გაერთო, ისიამოვნა (რაიმე სანახაობით), გული გადააყოლა. ... ამდენი ხანია ტირილიდან არ მოუსვენია მის თვალებს! დღეს ერთს მაინც გაიხედ-გამოიხედავს, თვალს წყალს დაალევინებს (ე. ნ ი ნ ო შ.). კარგა ხანია ქალაქში არა ვყოფილვარ, — ფიქრობდა სააში; — დავათვალიერო მაინც იქაურობა, თვალს წყალი დავალევინო (ვ. ბ ა რ ნ.).

**თვალსა და თვალს შუა ბეწვის გამოცლა** ოსტატურად მოტყუება. ჩემს მტერს ... თვალსა და თვალს შუა ბეწვს გამოვაცლი (გ. წ ე რ ე თ.).

**თვალსა და ხელს შორის** იხ. თვალსა და ხელს შუა. ... ახალგაზრდობა თვალსა და ხელს შორის გამეპარა ... და რა მოვასწარი? (კ. გ ა მ ს.).

**თვალსა და ხელს შუა** უეცრად, შეუმჩნევლად, მოულოდნელად; თვალწინ. (სამსონს) უნდა, რომ თვალსა და ხელს შუა მოგვატყუოს (ა კ ა კ ი).

**თვალყურის დევნება** ყურადღების მიქცევა, პატრონობის გაწევა, თვალის დევნება. მოსამსახურეებს ყოველთვის თვალყურს ადევნებდა, რომ ცუდი არა ჩაედინათ რა (ა კ ა კ ი). ... მოხუცი მერიგენი ჯირკვებზე ისხდნენ, ახალგაზრდების საქმიანობას თვალყურს ადევნებდნენ ... (კ. გ ა მ ს.).

**თვალში ამოღება** ათვალწუნება, შეძულება, ამოჩემება. მე კი მაინც ჩემსას ვიტყვი, რატომ ამომიღო თვალში? მე, მე რად გადამცა ხატზედ? (დ. კ ლ დ .). ვისაც თვალში ამოიღებს, სიცოცხლეს გაუმწარებს (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**თვალში დაჯდომა** მოწონება, თვალში მოსვლა. — არა, რაცხა ისე დამიჯდა თვალში, უნდა შევირთო! (ე. ნ ი ნ ო შ.). — რა ექნა, ჩემო მულო, რომ არ ვხედავ არსად, თვალში რომ დამიჯდეს, იმისთანა ქალს, — უპასუხა ხვარამზემ (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თვალში ეკლად სჩრია (ვინმე, რამე)** არ მოსწონს, ეჯავრება, სძულს (ვინმე, რამე); შურს (რამე). ეგ იმიტომ, რომ ამ საშში ილია ჭავჭავაძეა, რომელიც თვალში ეკლადა სჩრია და რომლის ჯავრი გულს მოსწოლია და არ ასვენებს (ი ლ ი ა). განა აშკარა არ არის, რომ მარტო ქართველების ნამეტანობა ამიერ-კავკასიაში თვალში ეკლად გასჩრიათ (ი ლ ი ა).

**თვალში ეკლად უზის (ვინმე, რამე)** იხ. თვალში ეკლად სჩრია (ვინმე, რამე). ბეჟანს თვალში ეკლად უჯდა თავისი კეთილმყოფელი სტოლნაჩალნიკი (ი ლ ი ა).

**თვალში ეჩხირება** მუდამ თვალწინ არის, ძალაუნებურად ყურადღებას იქცევს; არ მოსწონს, თვალში არ მოსდის. წინა სკამიდან სულ უკანასკნელზე გადამსვა (მასწავლებელმა): „თვალში ნუ მეჩხირებიო!“ (ა კ ა კ ი). მაშინ, ბატონყმობის დროს, ამგვარი ქცევა საარაკო იყო და დედაჩემის მოქმედებაც ბევრს თვალში ეჩხირებოდა (ა კ ა კ ი). — უსინდისო ვიყო, თუ არ წავიდე, — გულწრფელად წამოიძახა გრიშამ, — აქ მაინც სულ თვალში ვეჩხირები სუყველას (ა. ბ ე ლ.).

**თვალში ეცა (რამე)** პირველ რიგში შეამჩნია (რამე), თვალსაჩინო იყო (რამე). სახლში რომ შესულიყავით, ყველაზე უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე, დაგვილ-დაწმენდილობა იქაურობისა (ი ლ ი ა). თამარს თვალში ეცა მისი გაპარსული, კრიალა თავი და ბებერი ხარის ქედსავით დანაოჭებული კისერი (კ. გ ა მ ს.).

**თვალში მოსვლა** მოწონება. ... ბატონი დიამბეგი ... მობრძანდა გლახას სოფელში და ... დაუწყო არშიყობა გლახას ცოლს, რომელიც, სავაგლახოდ, სადღაც ენახა და თვალში მოსვლოდა (ა. ყ ა ზ ბ.). ენაცვალოს დედისერთას მართა! მაშინ ოციოდე მზითვიანსა და ლამაზ კახელ ქალს მოუგროვებს თავის ნასწავლ შვილს. აირჩიოს ვინც თვალში მოუვა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თვალში ნაცრის ჩაყრა** იხ. თვალებში ნაცრის მიყრა. ... თავადმა ესტატემ წინამძღოლობის დროს უფრო მაღლა დაიწყო ყვირილი საქართველოსა და ერზე ... იაფფასიანი ჩვენი მწერლები — ლიტერატორები ესტატეს ტაშს უკრავდნენ ... ამ მხრივაც ესტატემ ზურგი გაიმაგრა, ყველას თვალში ნაცარი ჩააყარა, დააბრმავა, (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**თვალში უზის** უყვარს (ვინმე), მზრუნველობას უწევს (ვინმეს), მუდამ ფიქრობს (ვინმეზე). აბა რომელი ჩვენგანი უზის მიხაკას თვალში, ან რომელმა მოუგო იმას გული? (მ ე ლ ა ნ.).

**თვალწინ დაუდგა** ნათლად მოაგონდა, წარმოიდგინა, თვალწინ წარმოუდგა. (ბახვას) სულ თვალწინ უდგა იერემიას ავკაცობა, მისი დამუქრება, მისი უზნეო გულის თქმანი ... (გ. წ ე რ ე თ.). (არზაყანს) თამარ შარვაშიძე და თარაშ ემხვარ თვალწინ დაუდგა (კ. გ ა მ ს.).

**თვალწინ ეხატება** ნათლად აგონდება, წარმოიდგენს, თვალწინ უდგება. დღე-დღეზე სიკვდილს ელოდა მუცელა, ლოცულობდა, ევედრებოდა უფალს ცოდვათა მიტევებას, რომელიც ეხლა თვალწინ ეხატებოდა (ვ ა ჟ ა). ... ოტიას თვალში იგი ბევრად სჯობდა ქველიძის ქალიშვილს, რომელიც, მისდა უნებურად, თვალწინ ეხატებოდა, და რომელსაც ადარებდა ამ ახლად გაცნობილს (დ. კ ლ დ.).

**თვალწინ წარმოუდგა** იხ. თვალწინ დაუდგა. ეს ნახული სურათი უეცრად წარმოუდგა ბახვას გონებას თვალწინ (გ. წ ე რ ე თ.).

**თითებში გაძვრენა (ვისიმე, რისამე)** გაპარება, ხელიდან გამოცლა (ვისიმე, რისამე). გლეხები უკვე ცუღლუტად ილიმებოდნენ, რადგან არსენას რაზმი ამოდენა ჯარს თითებში გაუძვრინეს ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თითზე დაჭდევა (რისამე)** დახსომება (რისამე). ...საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის და საცა საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია. ეს უნდა თითზე დავიჭდიოთ, ეს უნდა დღედამ გუნებაში ვიქონიოთ (ი ლ ი ა).

**თითზე დახვევა (რისამე)** რისამე ამოჩემება და საბაბად, საბუთად გამოყენება, ხელზე დახვევა (რისამე). ვიცით, შენი ჭირიმე, რა ნათესაობაც იზიდავს მამალიძეს ჩამწარდაძისას! ლამაზი ტასო უყვარს და ბოდიშის მოსახადათ ნათესაობა დაუხვევიათ თითზეო (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თითზე დახვევა (ვისიმე, რისამე)** დამორჩილება, თავისი ნების შემსრულებლად გახდა (ვისიმე, რისამე). — ახლა აქაურობა თითზე დავიხვიე და მათს საყვარელ არსენას მათვე დავაჭერინებ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თითზე კბენა** იხ. თითზე კბენანი. შენს შორსჭვრეტას არაფერი დაემალება, მთავარო. ღვთივ მიხვედრილი აზრია, მაგრამ აქამდე რისთვის არ ვიფიქრეთ! — თავაზიანად უთხრა მოსახვედრი სიტყვა ჩიჩუამ და გულში კი გაიფიქრა: მხოლოდ შენებრ უჭკუოთა ხვედრია გვიანღა თითზე კბენაო (ბ ა ნ.).

**თითზე კბენანი** დანანება, სინანული, მონანიება. მარგომ გაიგო და შეიგნო, რომ გვიანღა იყო თითზე კბენანი და კბილთა ღრჭენანი ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მაშ ფრთხილად, ჯადოსნებო, ეს წვენი არ დაიკლოთ და სული ფორმულებით არ მოიწამლოთ, თორემ გვიანღა იქნება თითზე კბენანი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**თითით საჩვენებელი** საუკეთესო, შესანიშნავი, ძალიან კარგი, სამაგალითო, მისაბაძი; ძალიან ცუდი, გასაკიცხი. ...თუმცა თითით საჩვენებელი ქალაქმთავარია, მაგრამ მაინც აფსუს, რომ მისთანა კაცი წვრილმან საქმეებს გამოსდგომია ... (ა კ ა კ ი). ... თქვენი სახელი კიდით-კიდემდე გაითქმის და თვალ-მოჟუჟუნე ქალები თქვენს ქებას წარმოსთქვამენ ნაზის ტუჩებით. .. თქვენ შეიქნებით ყველასაგან თითით საჩვენებელნი! ... (ა. ყ ა ზ ბ.). ...რად ჰხდებით ქვეყნის სასაცილოდ, თითით საჩვენებლად ან თვით, ან ჩვენაო? (ვ ა ჟ ა) სოფელმა თუ თავი არ გაიმაგრა, ნამუსი გაწყვება სოფელში, სირცხვილს ვჭამთ და ჩვენი სოფელი თითით საჩვენებელი გახდება ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**თითის დაწება** ხელის დაკარება, ვნება, გაბედვა (რამე საზიანო მოქმედებისა). თუ კაცი ხარ და თითს დამაწებ! ... მაშინ ნახავ შენს სეირს (ი ლ ი ა). ნუ გეშინია, ნენავ, თითი რომ დაგაწოს, სულ ამოვჟლეტ ყველას, — ანუგეშებდა სამსონა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**თითის მოკაკვა** თავის დამარცხებულად ცნობა, ქედის მოხრა. თითონვე თავის პირით მითხრა: ბაყბაყ-დევი ხარ. თითიც მოიკაკვა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა: სანაძლევო მოიგეო ... (ი ლ ი ა). მოგვაკაკვინა თითი და სიცილი დაგვაყარა (ა კ ა კ ი). — რაო მელიტონ, გამიმართლა ხომ? — ვკაკვავ თითს, დავით ჩემო, — ღიმილით უპასუხა მელიტონმა (ა. ბ ე ლ .).

**თმების ყალყზე დადგომა** შეშინება, შეძრწუნება; აღელვება, აღშფოთება. ... გლეხკაცის სიკვდილის ამბავი რომ წავიკითხე, სწორედ მო-

გახსენოი., თმები ყალყზე დამიდგა და კანკალი მომივიდა. ხუმრობაა, კაცის სიკვდილის მიზეზად გახდომა? (ი ლ ი ა).

**თმის მაღლა წასვლა** იხ. თმების ყალყზე დადგომა. თმა მაღლა წამივიდა, მეგონა, ვაი თუ თამრო გათავდა კიდევაც-მეთქი (შ. ა რ ა გ ვ.).

**თმის ყალყზე დადგომა** იხ. თმების ყალყზე დადგომა.

**თმის ყალყზე შედგომა** იხ. თმების ყალყზე დადგომა. როცა ჩემი ძმა წამოდგა და შენ ჯიბეების ჭრა დაგიწყო, გული დამეთანაღრა, ავიმრიზე, თმა ყალყზედ შემიდგა (ი ლ ი ა). თუ ერთი რამ დაიძრა იმ შენობისა, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიან, არამცთუ თმა ყალყზე შეუდგება ევროპის პოლიტიკას, არამედ ყველა ხმალზე ხელს წაივლებს (ი ლ ი ა).

**თოკის წაჭერა ყელში** უკიდურეს მდგომარეობაში ჩაგდება, შევიწროება, შეწუხება. უარესად წაუჭირეს სოფელს თოკი ყელში ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**თქვენი ჭირი წაიღო** მოკვდა, ჩააბარა სული უფალს, აღარ არსებობს. ერთ დღეს, თითქო ამოდენა ლოდინით თავი მობეზრდაო, თერძმა თქვენი ჭირი წაიღო (ე. ნ ი ხ ო შ .). მე მყავდა ორი სამაგალითო მიმინო და ორივე სამეგრელოს ჰავამ დამიხაშმა და კიდეც წაიღეს თქვენი ჭირი (ბ ა ნ.).

## ი

**ია-ვარდს უფენს** ალერსიანად, ტკბილად ექცევა, თავს ევლება. უნდა დავუყვავოთ . . ., ია-ვარდი წინ დავუფინოთ! (ა კ ა კ ი).

**იალქნ(ებ)ის აშვება** თავის აშვება, აწყვეტა, დაურიდებლობა, აფრის აშვება; მოქმედების თავისუფლების მოპოვება. მეფე კოჯორშია სააგარაკოდ; ისევ აუშვა იალქნები: დიდებულთა ქალ-რძლით არისო გარს შემორტყმული (ვ. ბ ა რ ნ.).

**ილაჯის გაწყვეტა** დაქანცვა, დასუსტება, ძალის გამოცლა, ქანცის **გაწყვეტა**; თავის მობეზრება, შეწუხება. (**ილაჯი** მომდინარეობს არაბულიდან და ნიშნავს: საშუალება, წამალი; მკურნალობა). . . . დალახვროს ღმერთმა! ილაჯი გამიწყვიტეს (ა კ ა კ ი). დიდებულ მებატონეს თავი მოაბეზრეს მოშამ და მანუქამ სასამართლოებში თრევით. ის შიშითა და მწუხარებით მოელოდა დღე-დღეობით თავის მამულზე ვაჭრობის დანიშვნას. შეწუხდა, თითქმის ილაჯი გაუწყდა მებატონეს (გ. წ ე რ ე თ.). . . . ის გლეხები, რომელთაც მათ უღალატეს, ილაჯს უწყვეტდნენ თუ ხის წართმევით, თუ ცრუ მოწმობით (ე. ნ ი ნ ო შ.).

**იოტის ოდენა** ძალიან პატარა, სულ მცირე, ერთი ბეწვა. „ოღონდ ახლა კი მაპატიეთ და გეფიცებით, ჩემს სიცოცხლეში იოტის ოდენას აღარას გაწყენინებთო“ (ი. გ ო გ ე ბ.).

**იოტის ოდენად** ოდნავ, სულ ცოტათი. საქმე იოტის ოდენადაც წინ არ მიდიოდა (ა. ყ ა ზ ბ.). გული იოტის ოდენადაც არ შეჰკვნესოდა ზაქარას (ს. მ გ ა ლ ო ბ.). მთელი დღე არ შეწყვეტილა ქარის ზუზუნი და ამინდს იოტის ოდენადაც არ ეტყობოდა გამოდარება (ა. ბ ე ლ.).

**ირმის ნახტომი** ღამით ცის თაღზე გავლებული, უამრავ ვარსკვლავთაგან შედგენილი ოდნავ მოელვარე ზოლი. უხვად მობნეული ვარსკვლავები უფრო მკაფიოდ მოკრთოდნენ, ციმციმებდნენ და ჩვენ თვალს აცეცებდნენ ... სარტყლად გადავლებული „ხარის ნავალი“ გადაჰჭიმოდა ზედ შუაზე ცას. „ირმის ნახტომი“ კი შუა ცაზე სწყდებოდა ... (შ. ა რ ა გ ვ.). ევროპის ზურგზე შენი ჩქარი გადაჭენება დარჩება ცაზე განათებულ ირმის ნახტომად (პ. ი ა შ ვ.).

**იხტიბარს არ იტეხს** გულს არ იტეხს, იმედს არ კარგავს, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნას არ იმჩნევს. (არაბ. **იხთიბარ** გამოცდილება, მოხერხება). ...მისი სიმღერები, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, შეზარხოშებულ მოქეიფეებს თუ მოეწონებოდათ, მაგრამ ლილი იხტიბარს არ იტეხდა და გულმოდგინედ განაგრძობდა ვარჯიშს (ა. ბ ე ლ.). ემუხვარი, როგორც სარდალი, სხვების თვალში იხტიბარს არ იტეხდა, თორემ ყველაზე მეტად ის გრძნობდა, რომ გამოუვალი საფრთხის წინაშე იდგა (ჭ ა ნ.).

# კ

**კაკას ხიდის გავლა** უკვალოდ დაკარგვა, დაღუპვა, ჩაილულის წყლის დალევა. (თედო სახოკიას განმარტებით, ქვემო იმერეთიდან მოტაცებული ტყვეები თურქეთში გაჰყავდათ კაკას ხიდით, რომელიც თურქეთ-საქართველოს საზღვარზე მდებარეობდა. ამ ხიდს იქით გადაყვანილი ტყვე საბოლოოდ დაკარგული იყო. ამ გარემოებას უკავშირდება იმერეთში შემონახული ეს იდიომი).

**კალაპოტში ჩადგომა** ჩვეულებრივ, ნორმალურ მდგომარეობაში ჩადგომა, დალაგება, ნორმალური გზით წასვლა. დიდი ზეიმისა და დღეობის შემდეგ ხარატაანთ ოჯახის არეული ცხოვრება კალაპოტში ჩადგა (მ. მ რ ე ვ ლ.).

**კალთა მიაბერტყა (ვინმეს, რამეს)** მიატოვა, დაივიწყა (ვინმე, რამე), კავშირ-ურთიერთობა გაწყვიტა (ვინმესთან, რამესთან). დედაენა და ერთობა, შთენილი წინაპართაო, ვინძლო დაიცვათ ეს ორი, არ მიაბერტყოთ კალთაო (ი. დ ა ვ ი თ).

**კალთების დაგლეჯა** — იხ. კალთის დაგლეჯა. ქუჩა-ქუჩა დადის ერთი გიჟი ადამიანი და გამვლელ-გამომვლელს მოსვენებას არ აძლევს, კალთებს აგლეჯს (შ. ა რ ა გ ვ.).

**კალთის გადაფარება** მზრუნველობა, მფარველობის გაწევა, შველა, დახმარება. მოწყალებისა გადამაფარე კალთა (რ. ე რ ი ს თ.). (დედაბერი) სთხოვდა უტანდარს . . . მისთვის მოწყალების კალთა გადაეფარებინა (შ. დ ა დ.).

**კალთის დაბერტყვა** ყოველგვარი სიკეთის, დოვლათის უხვად მიცემა, მინიჭება. ზოგს . . . კალთას ზედ დააბერტყავ, ზოგზე-კი სრულებით ხელს აიღებ (ს. მ გ ა ლ ო ბ.). უხვი ბუნება ნიჭით სავსე კალთას აბერტყავს თვისაგან შექმნილსა (ვ. ბ ა რ ნ.).

**კალთის დაგლეჯა** ხვეწნა, მუდარა, ჩაცივებით თხოვნა. იმ დღეს ჩემს უფროს დას კალთა დავაგლიჯე ხვეწნით: კითხვა მასწავლე-მეთქი (ა კ ა კ ი).

**კალთის დაფარება** იხ. კალთის გადაფარება. ფლიდია ესე სოფელი, ფლიდთა საყრელი ხელისა, კარგებსა ჩაგრავს, უმსგავსთ კი კალთას აფარებს, შველისა (ვ ა ჟ ა). (მტრის) კალთას არ დავიფარებთ, რაც გინდ გვადგეს გასაჭირი (შ. მ ღ ვ ი მ.).

**კალმით ნახატი** ძალიან ლამაზი, მშვენიერი. ლუარსაბს ამ დღისაქეთ, ცხადივ თუ სიზმრად, სულ ის კალმით ნახატი ქალი აგონდებოდა (ი ლ ი ა). იმის შეხედვას არაფერი სჯობდა, კალმით ნახატიო, რომ იტყვიან, მე იმაზე კარგი დახატული სურათიც არ მინახავს (ა. ბ ე ლ.).

**კამათლის მოსვლა** ბედნიერი შემთხვევის გამო წარმატების მიღწევა, დუშაშის მოსვლა. ბედსა ბევრი ვევედრებით, არ აიღოს ჩვენზე ხელი, ხან ვუჩივით, ხან ვემდურით, თუ არ მოგვდის კამათელი (რ. ე რ ი ს თ.).

**კამარის (შე)კვრა** მაღლა ახტომა და შორს დაშვება; ფრენით ნახევარწრის გაკეთება. ცხენმა ერთი ორიოდე კამარა შეჰკრა; ისკუპა და თვალის დახამხამების უმალ ვაჟკაცი ვაჟკაცს წინ დაუდგა (ი ლ ი ა). ქორი დაბლა დაეშვა, მაგრამ ჯერ შუამდისაც არ ჩამოსულიყო, რომ უცბად ჰაერშივე გადატრიალდა და ჰკრა ცაში კამარა (ა კ ა კ ი). ბოლოს ის შეიკუმშა, გადახტა, შეჰკრა რამდენიმე კამარა და რქებით დაეტაკა იქვე მდგარს მუხის ხეს (ა. ყ ა ზ ბ.).

**კამეჩის რქაში ჯდომა** იხ. ჭურში ჯდომა. შენ, ჩემო ძმაო, გეტყობა, კამეჩის რქაში მჯდარხარ! ისე იქცევი, თითქოს შენს სიცოცხლეში არაფერი გინახავსო (თ. ს ა ხ.).

**კარგი თვალით უყურებს** კარგად ეპყრობა, ენდობა, აფასებს. (იმათ) თითქო უფიქრიათ, რა საჭიროა ჩვენთვის, რომ უცხოელებმა ასეთის კარგის თვალით უყურონ ქართველებს, მოდი აქაც ხელი შევუშალოთო (ი ლ ი ა).

**კარგი ჭოტი დაიჭირა** ცუდი რამ შეემთხვა. ზურაბს დიდი უბედურება დაატყდა თავს! კარგი ჭოტი დაიჭირა! (თ. ს ა ხ.).

**კარის ატალახ(იან)ება** მომაბეზრებლად ხშირი სტუმრობა, ხშირად წვევა. . . . აბა ჩინოვნიკი მოვიდეს, როგორ ყველაფერი უხვად მოჰკრიბონ,

და ვისგან? ვის მიადგებიან და ვის მიუტალახებენ კარსა? ჩვენ, ღარიბებს (ს. მ გ ა ლ ო ბ.). სინდისიერად იჯდა (ექიმი) თავის კაბინეტში დანიშნულ დროს... მაგრამ შენ ნუ მომიკვდე, კარი არავის აუტალახიანებია (შ. ა რ ა გ ვ.).

**კაცია და გუნება** ყველას თავისი ხასიათი და მისწრაფება აქვს; ზოგს ვინ (რა) მოსწონს და ზოგს ვინ (რა). ყველას ნება აქვს მოიწონოს, თუ დაიწუნოს რამ, რადგანაც კაცია და გუნება! (ი ლ ი ა) არ ვიცი, კაცია და გუნება, თორემ მთელი ქვეყნის პატრონად რომ გამხადონ, მე ჩემს ასმათს მაგისთანა ბედის არჩივად არ გავიმეტებ სწორედ (ბ ა ნ.).

**კბილები უკაწკაწებს** შია, სწყურია, ძალიან უნდა (საჭმელი, სასმელი). მუცელას კბილებმა კაწკაწი დაუწყო. რა ხანია, ის პურით აღარ გამძღარა! დადგა გულხელდაკრეფილი და ყელგადაგდებული შესჩერებოდა პურის მცხობელს (ვ ა ჟ ა). რომ ვუყურებდით ზიჭები დემეტრიანთ ალუჩას, კბილები გვიკაწკაწებდა (ვ. ბ ა რ ნ.).

**კბილებს ილესავს (ვინმეზე, რამეზე)** (ვისიმე, რისამე) სამტროდ, საჩხუბრად ემზადება; (ვისიმე, რისამე) ხელში ჩასაგდებად ემზადება. ეს შხამიანი დედაკაცი დიდი ხნიდან ილესავდა კბილებს ეკვირინეზედაც, რომელიც სძულდა მისი ტრაბახის გამო, და სონიაზედაც (დ. კ ლ დ.). . . . იმასაც კი მოგახსენებენ, თათრის ხელმწიფე საქართველოზე ისევ კბილებს ილესავსო და ქართლის მეფისთვის მუქარაც შეუბედნიაო . . . (ბ ა ნ.). (ხათა) დიდი ხანია კბილებს ილესავს იმ ზვარზე (ვ. ბ ა რ ნ.).

**კბილებს იმტვრევს** ჯავრობს, ბრაზობს. ჩაჩნები კბილებს იმტვრევდნენ სიბრაზით. ცხენებს არ ჩიოდნენ, სირცხვილი ჭამეს (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ოდესღაც იმ ციხე-კოშკზე ქართლისა და ხევისთავთა მტრები კბილებს იმტვრევდნენ და რკინის დუღაბით ნაშენ გალავანს სისხლით რწყავდნენ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**კბილებში ოფლი ადინა** გააწვალა, გააწამა, ცუდ დღეში ჩააგდო. ისე გამიჭირა საქმე, რომ სულ კბილებში ოფლი მადინა (თ. ს ა ხ .).

**კბილთა ღრეჭა** ყბედობა, ლაქლაქი, როშვა. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა (ი ლ ი ა). . . . ცხენებმა სირბილს დაუკლეს, სამაგიეროდ მაშადიმ კბილთა ღრეჭას და მხიარულ ლაყბობას უმატა (მ. ჯ ა ვ ა ხ.)

**კბილთა ღრჭენა** ბრაზობა, მუქარა, დაქადნება. ასეთმა განჩინებამ კიდევ უფრო გააბრაზა ბახვა მთელს საზოგადოებაზე და მის სამართალზე. იმან ყველას კბილის ღრჭენით მიუგო პასუხი (გ. წ ე რ ე თ.). . . . მათ ნაწერში ზოგან კბილთა ღრჭენა მეუფებს, ზოგან სიდარბაისლე აღმოსავლური... (შ. დ ა დ.).

**კბილის გასინჯვა** შემოწმება; გამოცდა. (ზოგ შინაურ საქონელს ხნოვანების შესამოწმებლად (ყიდვის დროს) კბილს უსინჯავენ, აქედან მომდინარეობს ეს გამოთქმა — თ. ს ა ხ.). განა გლეხკაცის ნაამბობს

კი კბილი არ უნდა გაესინჯოს, განა გამოძიება, განკითხვა, შიგ ჩახედვა და შემოწმება არა სჭირია და ისე სახტ-სალამად დასაჯერი და მისაღებია? (ი ლ ი ა). ეგ ჩემზე უფროსია, გამოცდილი, ნანახი, უეცრად ადამიანს აბა რად მიიახლოებს? ჯერ კარგა ასწონ-დასწონის, კბილს გაუსინჯავს (შ. დ ა დ.).

**კბილის დადგმა** იხ. კბილის ჩასობა.

**კბილის დასობა** იხ. კბილის ჩასობა. (თეთრებიანი) ყველაზე მეტადკი არ ზოგავდა ისევ იმ მოხუცს, რომელსაც თავიდანვე კბილი დაასო (ს. კ ლ დ.).

**კბილის მატლი** შემაწუხებელი, შვების, მოსვენების წამრთმევი. „უჰუ“! ეს მაინც მომესწრო, რომ ამ ცუდი ამბით დადიანს გული ვატკანო, — ფიქრობდა ... ზამბახიძე, — შეგვჭამე და შეგვაწუხე, მაგრამ გაგიჩნდა ხამაგიერო კბილის მატლი ... მაგას ქინჩში ეტყობა, რომ ლეჩხუმში დადიანს აღარ გაგახარებს (ბ ა ნ.).

**კბილის მოკვეთა** იხ. კბილის მოჭრა. — შე დალოცვილო, ამდენმა საუკადრისო მდგომარეობამ ხომ ხედავ სიტყვაწყლიან ლაღობას და სიამეს კბილი მოჰკვეთა და ცოტა უგემური და უგბილი გახუმრებითაც თუ აღარ გაიღიმა კაცმა, ესეც ახირებული ყოფილა. — დიახ, ბატონო, მაგრამ მოგახსენებენ, რომ სწორედ უგემური და უგბილი გახუმრება უფრო კვეთს კბილსაო (ბ ა ნ.).

**კბილის მოჭრა** ძალის დაკარგვა, ინტერესის განელება; აღკვეთა. ბევრ ძველ ჩვეულებას ... კბილი მოეჭრა (ი ლ ი ა). გერმანიამაც წილი დაიდო (აფრიკაში), იტალიამაც, თუმცა ამ უკანასკნელის სიხარბეს კბილი მოსჭრა აბაშეთის ქვეყანამ (ი ლ ი ა). ... თუ კაცი მეცადინეობას არ დაიზარებს, (ლტოლვილებას) ადვილად მოეჭრება კბილი (ე. ნ ი ნ ო შ.).

**კბილის ჩასობა** ამოჩემება, ჩაცივება, გადაკიდება; შეძულება, ათვალწუნება, გადამტერება, კბილის დადგმა. — რა ვუქენით საამისო მაგ არაწმინდას, ასე კბილი რომ ჩაასვა საწყალ ბავშვს?! (დ. კ ლ დ .).

**კედელს თავს ახლის** გამწარებული, სასოწარკვეთილი რისამე გაკეთებას ცდილობს. ბევრი რომ თავი კედელს ვახალოთ, ყმას ჩვენგან საშველი არა აქვს-რა, თუ საერთოდ ყველას არ ეშველება (ი ლ ი ა).

**კედელს ნახშირი!** იხ. ნახშირი კედელს!

**კედელს ცერცვი შეაყარე!** იხ. მიაყარე ცერცვი კედელს! ... რამდენს ვურჩევდი: „კაცო, ტყეს ნუ ანადგურებ-მეთქი“, — მაგრამ „კედელს ცერცვი შეაყარე!“ (ს. შ ა ნ შ .).

**კედელ-ყორეს მოდება** იხ. ღობე-ყორეს მოდება.

**კერაზე წყლის დასხმა** ოჯახის დაქცევა, განადგურება, კერის გაცივება. ვალიდას თავისი ოჯახი ... არ მოუშლია; იმან კერიას წყალი მაინც არ დაასხა (გ. წ ე რ ე თ.). ნუთუ აბდულას ოჯახს დედაბოძი გამოეცალა? ნუთუ იმის კერას წყალი დაესხა? ნუთუ მართლა ინგრევა აბდულას ბუდე? (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**კერის გაცივება** ოჯახის მოშლა, დანგრევა, განადგურება, კერაზე წყლის დასხმა. საბრალო ბაგრატას კინაღამ კერა გაუცივდა, იმდენად გააღატაკა ამ ფულის გადახდამ (ე. ნ ი ნ ო შ.). როდესაც გოგლამ თავის განზრახვა უთხრა დიდი-დედას, იმან უპასუხა: „არა, შვილო, სირცხვილია, ჩემი ქმრის კერა გავაცივოო“ (შ. ა რ ა გ ვ.).

**კვალის გავლება** საყურადღებო შედეგის მიღწევა, თვალსაჩინო წვლილის შეტანა (რამეში), კვალის დატოვება. აფსუს, რომ არ განვაგრძე სწავლა, თორემ უთუოდ კვალს გავავლებდი მეცნიერებაში და უკვდავ-ვყოფდი ჩემს სახელს! (ვ. ბ ა რ ნ.).

**კვალის დატოვება** იხ. კვალის გავლება.

**კვალში ჩადგომა**ვისიმე მოქმედების, საქმიანობის ან რაიმე მოვლენის გულდასმით შემოწმება, გამოკვლევა, გამოჩხრეკა. — აბა კვალში ჩაუდექით ყოველ მყვირალს, ... გაუსინჯეთ სიტყვა და მოქმედება ... და მაშინ ნახავთ, რომ იგი ახალი თაობის ბერეკაა და არა ახალი თაობის კაცი (ი ლ ი ა).

**კვანძის გახსნა** რთული, დახლართული მდგომარეობის გარკვევა; გარემოებათა ხლართიდან გამოსვლა (მხატვრულ ნაწარმოებში). ბოლოს ზუგდიდის რაიკომის მდივანმა შამათავამ და ვაჩნაძემ გახსნეს ეგზომ დაბურდული კვანძი (კ. გ ა მ ს.).

**კვერის დაკვრა** დადასტურება, დამოწმება, დათანხმება. — ოლონდაც, ოლონდაც! — დაჰკრა კვერი ზაქარას სიტყვებს ხალხმა ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.). არზაყანმა და კაცმა თვალი შეავლეს კუთხეში მწოლარე თეთრწვერა თხას, რომელიც ისე აკანტურებდა თავს, თითქოს კვერს უკრავდა მებორნის ნათქვამს... (კ. გ ა მ ს.).

**კვერცხში გამოწვის** პატარაობიდანვე შრომობს, დიდ უნარს იჩენს, დიდ იმედებს იძლევა. ყველა წინ მიდის, ყველა სწავლაშია, ერთი ბეწვა ბავშვები კვერცხში გამოწვიან, — აქეთ — გაზეთებსა კითხულობენ, იქით — წიგნებსა (ი ლ ი ა).

**კიბეების ატალახ(იან)ება** იხ. კარის ატალახ(იან)ება.

**კიდეც ჰკრის და კიდეც კერავს** ერთიმეორის საწინააღმდეგოს ამბობს (ან მოქმედებს), ხან ერთს ამბობს, ხან — მეორეს. კიდეც სჭრის

ეს ჩემი ცოლი და კიდეც ჰკერავს: წეღან რას ამბობდა და ეხლა რას ამბობს?! (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**კილოს გამობმა** შარის მოდება, კუდის გამობმა. აბა, რა გითხრა იმისთანა, რომ შენ კილო არ გამოაბა? (ი ლ ი ა).

**კილში (ჩა)დგომა** ნაკლის გამონახვის ცდა, კრიჭაში ჩადგომა. მასწავლებელნიც, რაკი მეცადინეობას და ნიჭს ნიშნავდენ იერემიას, მის რუსულ-ქართულ გამოთქმას კილში არ უდგენ და ახალისებდნენ კარგი ბალების დასმით (გ. წ ე რ ე თ.).

**კინჩხი და კისერი უტეხია!** იხ. კისერი(მც) (მო)უტეხია! კინჩხი უტეხია და კისერიც იმ ჩემ ქალიშვილს! (ს. კ ლ დ.).

**კინწის კვრით,** ცემით, კისრის ტეხით. ჩემი მუშაობა რომ გავამხილო, სულ კინწის კვრით გამომაგდებენ! (შ. დ ა დ.).

**კინწის მოწყვეტა** არაქათის გამოლევა, წელის მოწყვეტა. ლევანს კინწი მოსწყდა ბევრის ლოთობისა და ღამის ტეხისაგან (რ. ე რ ი ს თ.).

**კისერზე დაწოლა (ვისიმე, რისამე)** სარჩენი, მოსავლელი გახდომა (ვისიმე), გასაკეთებელი, საზრუნავი გახდომა (რისამე). ხალხს ათასგვარი ხარჯი და გადასახადი აწევს კისერზე (ი ლ ი ა). . . . ოჯახი, მტერ-მოყვარის პასუხის გაცემა და გადასახადი ამ მცირეწლოვანს დააწვა კისერზე (ე. ნ ი ნ ო შ.). შენ და შენისთანებს უდიდესი შემოქმედებითი მისია გაწევთ კისერზე (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**კისერზე დაჯდომა** ჩაგვრა, შევიწროება, დაბრიყვება; ტვირთად დაწოლა. ესეც არ იკმარეს. . . მოვიდნენ და კისერზე დაგვასხდნენ, შინ ჩაგვისახლდნენ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**კისერზე მოხვევა (რისამე)** იხ. თავზე მოხვევა (რისამე). ამისთანა დავა . . . თვითონ სასამართლოსაც აუარებელ საქმეებს მოახვევს ხოლმე კისერზე (ი ლ ი ა).

**კისერზე შეჯდომა** იხ. კისერზე დაჯდომა. შეგაჯდა კისერზე ოქრომჭედელი (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**კისერზე ჩამოკიდება** (ვისიმე) სარჩენი გახდომა. მერმე რას აპირებ? სამუდამოდ ჯაყოს ხომ ვერ ჩამოეკიდები კისერზე! (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**კისერი მიუშვირა (რამეს)** რამეს (საფრთხეს . . .) არ მოერიდა. ამის შემდეგ დაიფიცა ყველამ, რომ როგორადაც ჩადენილს ამბავში, ისე მომა-

ვალ ხაქმეში არ უნდა ეღალატნათ ერთმანეთისათვის, უნდა ყოფილიყვნენ ყველანი ერთად და ავისა თუ კარგისათვის ყველას ერთად მიეშვირათ კისერი (ნ. ლ ო მ.).

**კისერი(მც) (მო)უტეხია!** რაც უნდა, ისა ქნას! ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია! თავში ქვა უხლია! კისერი უტეხია ყველას! ... ვის რას დავეძებ! ... (დ. კ ლ დ.). — მაგრამ მე არც თქვენი დახოცვა მინდა და არც მდივანბეგის ნახვა, კისერიმც მოუტეხია! (მ. ჯ ა ვ ა ხ.). — კისერიც მოუტეხნია, თუნდ ეხლავე გაფშიკოს ფეხები. — მომიგდო ბერეზოვსკიმ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**კისრად აღება** დაკისრება, თავის თავზე აღება. ... ძიძამ უნდა მოგაწოვოთ თქვენ ძუძუ, ეს იმიტომ, რომ თქვენი მოწოვება იმას კისრად აუღია და სამაგიეროდ ფულს იღებს (ი ლ ი ა). ჰგრძნობდა, რომ ცოლმა დაიჭირა, აჯობა, მაგრამ ამის კისრად აღება ეთაკილებოდა (ი ლ ი ა).

**კისრად (და)დება** დაკისრება, დავალება, თავის თავზე აღება, კისრად აღება. ეს უნდა აუცილებლად კისრად იდოს პრესამ, ამას უნდა აქეთ-იქით გადაუხვევლად ემსახურებოდეს (ი ლ ი ა). თქვენ სხვა მოვალეობაც კისრად გვდევთო (ი ლ ი ა), ცოდოს ნუ ვადებთ კისრადა (ვ ა ჟ ა).

**კისრად დაწოლა (ვისიმე, რისამე)** იხ. კისერზე დაწოლა (ვისიმე, რისამე). მძიმე უღელი ... შენ გაწევს კისრად (ი ლ ი ა).

**კისრის მოგრეხა** დამარცხება, განადგურება, კისრის მოტეხა; მორევა. — არა, შენი ჭირიმე, არავინა, მხოლოდ ერთი მედუქნე მეხირება რასმე და შენის წყალობით იმასაც მალე მოვუგრეხ კისერს (ა. ყ ა ზ ბ.). გაოსტატებულმა აბლაკატმა მალე მოუგრიხა ამათაც კისერი (ნ. ლ ო მ.). ნუ-კი გგონია — დავბერდი! შენისთანებს კიდევ მოვუგრეხ კისერსა, — გაეხუმრა მგელ-ბაბია (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**კისრის მოდრეკა** დამორჩილება, ქედის მოხრა. ... მამაჩემო, ყოჩაღად იყავ, კისერი არ მოიდრიკო ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**კისრის მოტეხა** დამარცხება, მოსპობა, დაღუპვა; მორევა, დამორჩილება. ... ვნახოთ, ვნახოთ, როგორ ჩაგივლით, ... ბევრმა მოიტეხა კისერი, თამარის წინააღმდეგ წავიდა, ... ვნახოთ, თქვენც რა ხეირი დაგეყრებათ (შ. დ ა დ.). — ჩვენ შორის კი დარჩეს და უნდა გითხრა, ლეჩხუმში რომ კისერს მოიტეხდეს, ახი და ალალი კი იქნება მაგაზე (ბ ა ნ.). ჩალმაზს სმა არ შეეძლო, ერთი ჯიხვის ყანწი და ათიოდე თასი კისერს მოსტეხდა... (კ. გ ა მ ს.).

**კისრის მოჭრა** შერცხვენა, თავს ლაფის დასხმა, თავის მოჭრა.

**კისრის მოხრა** დამორჩილება, კისრის მოდრეკა, ქედის მოხრა. ... ჩვენს წინაპრებს რომ შაჰ-აბასების წინაშე კისერი მოეხარნათ..., აღარც საქართველო იქნებოდა და აღარც ჩვენ გავჩნდებოდით (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**კოდალას უსტვენს** უსაქმურობს, ცუდაობს. იმას, ჩემო ძმაო, საქმე აქვს შემოლეული, მთელი დღე კოდალას უსტვენს და ჰგონია რასმე ვაკეთებო (თ. ს ა ხ.).

**კოვზის ნაცარში ჩავარდნა** მარცხის განცდა, წამოწყებული საქმის ჩაშლა, იმედის გაცრუება. მდიდარმა გლეხებმა თავად მანუჩარზე უკეთ წაიყვანეს სამსჯავროში თავიანთი საქმე და მანუჩარს, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა (ე. ნ ი ნ ო შ.). ... მთავარს ქე აღუშფოთა ასეთმა კოვზის ნაცარში ჩაგდებამ სული (ბ ა ნ.).

**კორიანტელის აყენება** აურზაურის, ალიაქოთის ატეხა. თითქო ეს ამოდენა კორიანტელი მარტო იმისათვის აუყენებიათო, რომ ქვეყანას დაანახვონ — აი, საქმე რა ადვილი მოსავლელია (ი ლ ი ა).

**კრიჭაში (ჩა)დგომა** ჯიბრში (ჩა)დგომა, წინააღმდეგობის გაწევა, ქიშპობა. ... თუ ვინმე, რომელიც კრიჭაში ვუდგევარ ბატონს და მის სისხლიგუდა მოურავს, ასე მიშვრებიან, რას უზმენ საწყალს, უილაჯოს, ან ობოლ ოჯახსა ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.). კვირა არ გავიდოდა, რომ შეიარაღებული ჯაყო ადგილობრივ ხელისუფლებას კრიჭაში არ ჩასდგომოდა ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**კრიჭის გახსნა** ხმის ამოღება, ლაპარაკის დაწყება. (ელიკოს) ნაცნობ საგანზე ლაპარაკმა გაუხსნა კრიჭა (ვ. ბ ა რ ნ.). ნარიდო აქამდე ჩუმად იდგა, ახლა-კი კრიჭა გაეხსნა (ს. შ ა ნ შ.).

**კრიჭის შეკვრა** დადუმება, ხმის ჩაწყვეტა, გაჩუმება. მარაბდელი ნაკვერცხალს ჯერ ხელის გულზე ატრიალებდა, მერე ორ თითში გააჩერა, კრიჭა შეიკრა და გახევდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). საცოდავი სანახავი იყვნენ ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილი გლეხები, რომელთაც კრიჭა შეკვროდათ და ხმას ვეღარ იღებდნენ (ბ ა ნ.).

**კუბოს კარამდე** სიკვდილამდე, მთელი სიცოცხლის მანძილზე, სამარის კარამდე. ... მე მსურს ჩემი ცხოვრება პატივით ვატარო, უმწიკვლოდ მივიტანო ჩემი ქალობა კუბოს კარამდინ (ვ. ბ ა რ ნ.). კუბოს კარამდე მისული, რაღა ვარ, განაწირი მე? (ა კ ა კ ი).

**კუდამდე ტყავის გაძრობა** შავი დღის დაყრა, ძალიან გაღარიბება, გაყვლეფა, ტყავის გაძრობა. ... სანამ კუდამდე ტყავი არ გაგვძვრა, სანამ სული არ შეგვიწუხდა, ხმა არ ამოვიღეთ (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ... კარგები არიან ჩემი სიძეები, მაგრამ კუდამდის ტყავი-კი გამაძვრეს! (შ. ა რ ა გ ვ.).

**კუდების გასკვნა** კავშირის შეკვრა, შეთანხმება, კუდის კუდზე გადაბმა.

**კუდი ეწვის** დანაშაულის გამომჟღავნებისა ეშინია. განა არა ვხედავთ, კუდი რათ ეწვის ამ შემთხვევაში თ. გ. თუმანოვს (ი ლ ი ა). არ ვიცით, კუდი რაზე დაეწვა, ხომ არა ენიშნა რა? (ი ლ ი ა).

**კუდი ყავარზე აქვს გადებული** ყოყოჩია, მედიდურია, კუდაბზიკაა, მეტიჩარაა.

**კუდით ქვა ასროლინა** სასტიკად დაამარცხა, შავი დღე აყარა, სამარცხვინოდ გააქცია. — ისე გავუხდით საქმეს, რო, მგონია, კუდით ქვა გასროლინოთ, — თქვა მუცელამ ... (ვ ა ჟ ა). ისე გავიმარჯვეთ, რომ, როგორც იტყვიან, სულ კუდით ქვა ვასროლინეთ (შ. დ ა დ.). ჰო და ერთი პირი და გამბედაობა რომ გვქონოდა, მაიორებს კუდით ქვას ვასროლინებდით და ზაალებსაც მივაყოლებდით (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**კუდის ამოძუება** შერცხვენილი, გაწბილებული, დამარცხებული გაქცევა, გაპარვა. ვაი, თუ ირანის ლომმაც აქ ამოიძუოს კუდი?! ხალხი, რომელსაც სხეული გაუკაჟებია და სული აუმაღლებია, საშიშია! ... (ა კ ა კ ი). ტალიენვანს ინგლისმა თავი დაანება, თითქოს თავის დღეში არ ეხსენებინოსო. ჯერ ასეთმა ფახი-ფუხმა და მერე ასე ამოძუებამ კუდისამ ტალიენვანის გამო ააყაყანა მთელი ინგლისი (ი ლ ი ა).

**კუდის გამობმა** ვისიმე ნათქვამის ან ნამოქმედარის ცუდად გაგება, რისამე განზრახ მიმატება, გაზვიადება. ეხლა წადი, ამხანაგებში გაიარე, აქ არავინ დაგვინახოს, თორემ ხომ იცი, კუდს რასმეს გამოაბამენ (ი ლ ი ა). ყმაწვილო, ღმერთმანი, სხვანაირად მიიღებენ მაგ შენს საქციელს ... მაგ შენს ხუმრობას რამე კუდს გამოაბამენ და, ვიცი, უსიამოვნებით გათავდება (დ. კ ლ დ.).

**კუდის კუდზე გადაბმა** ერთმანეთთან შეკავშირება, ერთმანეთის მხარის დაჭერა (უმთავრესად ცუდ საქმეებში), კუდების გასკვნა. საწყობის გამგესა და მოანგარიშეს კუდი კუდზე ჰქონდათ გადაბმული: ერთად ფლანგავდნენ (ვ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**კუდის მოქნევა** ერთხელ კიდევ წინანდებურად მოქცევა, ცუდი, არასასიამოვნო რამის ჩადენა. ... თუმანოვმა აქაც თავისებურად კუდი მოიქნია (ი ლ ი ა) ... ჩვენ ისევ შიშში დავრჩით, ვაი თუ ნიკოლოზმა კუდი მოიქნიოს, ასტეხოს დანაკარგისათვის ერთი ალიაქოთი-თქვა! (დ. კ ლ დ.).

**კუდის რიკამდე ტყავის გაძრობა** იხ. კუდამდე ტყავის გაძრობა. ეს რომ ძველ დროში ყოფილიყო, დავიბარებდი მდივანბეგს ჩემ სახლში და ვაი მის გუნებას, თუ არ მოვიდოდა, ტყავს კუდის რიკამდე გავაძრობდი! (ა კ ა კ ი). მაგი-კი ყველას კუდის რიკამდე აძრობს ტყავს (რ. გ ვ ე ტ.).

**კუდის ქიცინი** მლიქვნელობა, პირფერობა, ლაქუცი. ... მართლმსაჯულებმა კუდის ქიცინით თავი მოღალეს (ა კ ა კ ი).

**კუდის ქნევა** იხ. კუდის ქიცინი. იმ პირფერობის, ლაქუცისა და კუდის ქნევის მეტი ვის რა დარჩა ხსოვნაში? ... (ი ლ ი ა).

**კუდის ძირამდე ტყავის გაძრობა** იხ. კუდამდე ტყავის გაძრობა. თუ ცოტა რამ შეცდება, კუდის ძირამდე ტყავს აძრობენ ხოლმე ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**კუდის ხელში დაჭერინება** შერცხვენა, დამცირება, დამდაბლება, თავის მოჭრა. გადაჰკიდებია რუსთაველს ავტორი, ლამის კუდი ხელში დააჭერინოს (ი ლ ი ა).

**კუს ნაბიჯით** ძლიერ ნელა; ზლაზვნით. მოგვბეზრდა თრევა კუს ნაბიჯით (ა. ა ბ ა შ .).

# ლ

**ლაგამის ამოდება** შეზღუდვა, დამორჩილება, ალაგმვა, იძულებით გაჩერება; გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტა. დროა ლაგამი ამოვდოთ ამ მუსუსას, ამასა! (მ. ჯ ა ვ ა ხ.). (მას) მაგარი ლაგამი თუ არ ამოდევი, უთუოდ ოჯახს დაგიქცევსო (კ. გ ა მ ს .).

**ლაგამის აშვება** იხ. თავის აშვება. აღარც პატივი, აღარც მორიდება— ლაგამი აიშვეს! დაგიჟდნენ (ს. შ ა ნ შ .).

**ლაგამის მიშვება** თავისუფლად მოქმედების უფლების მიცემა, ალვირის მიშვება. მეტისმეტად გაუყადრა თავი გლეხობას, თავის ყმებს ლაგამი მიუშვა და ლაზღანდარობას შეაჩვია (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ლაგამის წაყრა** იხ. თავის აშვება. ...ერთობ თავს წავიდა ხუცესი, მთლად წაიყარა ლაგამი (ვ. ბ ა რ ნ.).

**ლარი და ხაზი არ უნდა** მტკიცება არ სჭირდება, ისედაც ცხადია, ნათელია. — დიდი ლარი და ხაზი არ უნდა ჩვენს საქმესა. დღეს სოსე მოჰკლეს მათრახქვეშ, ხვალ მეორეს სახლის ბანს დააქცევენ თავზედა, ზეგ თოფით მესამეს დახვრეტენ (ს. მ გ ა ლ ო ბ.). — მაგას რაღა ლარი და ხაზი უნდა, — ჩამოართვა სიტყვა სკანდიერმა (შ. დ ა დ.).

**ლარის გატანა** გამარჯვება, მიზნის მიღწევა, ლელოს გატანა. ...ის კაცია სასაცილოდ აგდებული ..., ვინც ამ გზით ან მიზეზით აქებს და უნდა ამით ლარი გაიტანოს (ი ლ ი ა).

**ლაფის დასხმა** იხ. თავზე ლაფის დასხმა. ბ-ნ ეზოვს ნიშანში ამოღებული ჰყავს ქართველი და როგორ გაუძლოს გულმა, რომ ლაფი არ დაასხას, თუ

შესაძლებელია (ი ლ ი ა). — ბახვა, მომილოცავს! ... კაცო; ეს რა ჰქენი შენ დღეს? პირველ ადვოკატს აჯობე! მისი ბრძნული სიტყვა, მისი შეურყეველი საბუთები სულ თავზე დაამსხვრიე, ლაფი დაასხი (გ. წ ე რ ე თ.).

**ლაფში ამოვლება (ვისიმე, რისამე)** იხ. ლაფში ამოსვრა (ვისიმე, რისამე). ... ეს უსირცხვილო ადამიანი ... იმოწმა ბ-ნმა ეზოვმა, რომ ქართველების სახელი ხელახლად ლაფში ამოავლოს (ი ლ ი ა).

**ლაფში ამოსვრა (ვისიმე, რისამე)** შეურაცხყოფა, სახელის გატეხა, შერცხვენა (ვისიმე, რისამე), თავზე ლაფის დასხმა. „ნარდონმა" რუსთაველი განა მარტო ამით ამოსვარა ლაფში. განა მარტო ამის გამო შესვავირზედ (ი ლ ი ა). ასე იყო ძველთაგანვე, უფროსს ძნელად გაჰკილავდნენ, უმცროსს ლაფშიც ამოსვრიდნენ (ო. ჩ ხ.).

**ლაფში გასვრა** იხ. ლაფში ამოსვრა. სრესენ თავიანთ კაცურ ღირსებას და ლაფში სვრიან (შ. ა რ ა გ ვ.).

**ლელოს გატანა** გამარჯვება, მიზნის მიღწევა, განზრახული საქმის გაკეთება. ... (მას) ქადილისათვის ძალა არ შესწევდა და ან „ლელო" გაეტანა (ე. ნ ი ნ ო შ.). — ლელოს ვერც მარტო ჩვენ გავიტანთ. — განაგრძო შალვამ. — საერთო მტერს საერთო ძალით უნდა შევუტიოთ (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ეს ოხერკუპატნელი ტყვიასავით მოდის და ლელო ღონით გააქვს ხოლმე (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ლეჩაქი არ გადაახიოს თავზე!** იხ. ყურებზე ხახვი არ დააჭრას! შენმა სიცოცხლემ, ლეჩაქი არ გადამახიო თავზე! (ა კ ა კ ი).

**ლეჩაქის ახდა** იხ. ლეჩაქის მოხდა. მაშ მეც გაძლევ ფიცს, რომ ამიერიდან შენ გეკუთვნოდეს ჩემი გული, შენი მეგობრობით ვისულდგმულო, მხოლოდ ნუ ამხდი ლეჩაქს და გიყვარდე ისე, როგორც და! (ა კ ა კ ი). ბალღებს შიმშილით დაგვიხოცავენ, დედაკაცებს ლეჩაქს ახდიან და ჩვენც გაგვჯოხავენ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ლეჩაქის დახურვა** შერცხვენა, თავის მოჭრა (იტყვიან მხდალობის ჩამდენ მამაკაცზე). — თუ ხმა ამოვიღო, შენი ლეჩაქი დამხურე (ი ლ ი ა). რახან ვაჟკაცებს ლეჩაქი დაუხურავთ და ომს გაურბიან, მაშ ვიღა უნდა დახვდნენ მტერს წინ, თუ არ დედაკაცები? — ამბობდა ბებერი (ვ. ბ ა რ ნ.).

**ლეჩაქის მოხდა** შერცხვენა, სახელის გატეხა, თავის მოჭრა; ნამუსის ახდა (იტყვიან ქალზე). — ხომ იცი, მე თავისუფალი არა ვარ და ლეჩაქის მოხდა გამაუპატიურებს? ... რაც თქვენთვის, კაცებისათვის, საქებია, ის ჩვენთვის სამარადისო ჩირქია (ა კ ა კ ი). მომხადე ლეჩაქი, დამილივე კარში გამოსავალი! (ვ ა ჟ ა). ... ბევრ ტკბილ ცოლქმრობას გადაესხა მწარე ნაღველი იასონის წყალობით, ბევრი ოჯახის ტკბილი ცხოვრება შეირყა და გამწარდა, ბევრ გასათხოვარ ქალს მოეხადა ლეჩაქი (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ლილახანის გაცვეთა** იხ. ლილახანის წახდენა. საზოგადოებაში ლილახანა გაუცვდა (ი ლ ი ა).

**ლილახანის წახდენა** მნიშვნელობის დაკარგვა, გაუფასურება. ნუთუ ამ სიტყვას თქვენში ლილახანა წაუხდა და ხმარებისაგან გაპდევნილ იქნა? (ი ლ ი ა). ... სიყვარულს ისე წახდენია ლილახანა, რომ მწარედ აცინებს ჩვენს უცინარს და უწუნარს გომართელსა (ი ლ ი ა).

**ლოგინის გაახლება** მეორე ცოლის შერთვა (პირველის სიკვდილის შემდეგ). აღსრულდა ფათას სიტყვები: „შენ გაიახლებ ლოგინს" ... გაიახლა ღვთისომ ლოგინი. ფათას მაგივრად კუტა დამკვიდრდა (შ. ა რ ა გ ვ.). რა გიჭირს, ჩემო ყველავ! ჩქარა ლოგინს გაიახლებ! (შ. ა რ ა გ ვ.).

**ლოდის დაწოლა გულზე** იხ. გულზე ლოდის დაწოლა.

# მ

**მაგარზე დგას** ჯიუტობს, თავისას არ იშლის. (ბრალდებულები) მაგარზედ დგანან და უარობენო (ი ლ ი ა).

**მაგარი ზურგი აქვს** გავლენიანი მფარველი ან ძლიერი მოკავშირე ჰყავს. ზურგი მაგარი სხვისით აქვს (ი ლ ი ა). ზურგი მაგარი ჰქონდა და როგორ გაუჭირდებოდა ზაქარას დამარცხება (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**მამა აბრამის ბატკანი** ვითომც უმწიკვლო, უცოდველი, მართალი ადამიანი (ითქმის ირონიულად). (მომდინარეობს ბიბლიური ლეგენდიდან, რომლის მიხედვითაც, ღმერთმა გამოცადა მამა აბრამის ერთგულება და უბრძანა თავისი შვილი შეეწირა მსხვერპლად. მაგრამ საბოლოოდ აბრამმა, ანგელოზის რჩევით, შვილის ნაცვლად ვერძი (ბატკანი) შესწირა ღმერთს).

**მანდილი ხურავს** მხდალია, ლაჩარია (მამაკაცი); პატიოსანია, ნამუსიანია, ყოჩაღია (ქალი). კაცები არ იყავით? ქალი როგორღა მოატაცებინეთ? ...ქუდის მაგივრად მანდილი უნდა გეხუროთ! (ა. ყ ა ზ ბ.). ... მე ქალი არა ვყოფილვარ და ეს მანდილი არა მხურებია თავზედ, თუ შენივე კბილით არ დაგაგლეჯინე შენივე ხორცები ... (ვ. ბ ა რ ნ.).

**მარაქაში გარევა** საზოგადოებაში, ხალხში გამოსვლა; ლაპარაკში, საქმეში ჩარჩა (იტყვიან ირონიულად). (**მარაქა** ადამიანთა კრებული, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: ქალთ ჯარი ლხინში). — ადე, რას ჰლმუი უპატრონო ძაღლსავით! — დასცინა მოხუცს ახალგაზრდა გლეხმა ბიჭმა ამხანაგების სამასხროდ, — შენც მითამ მარაქაში ერევი ... შენი რაო? (ი ლ ი ა). მერე და, ეს ბერიკაცი, შენც გაერიე მარაქაში? (შ. დ ა დ.).

**მარილზე წავიდა** მოკვდა, ფეხები გაფშიკა. (თედო სახოკიას განმარტებით, ძველად მარილი, ჩვეულებრივ, შორიდან მოჰქონდათ, მგზავრობის დროს, როგორც ჩანს, უბედური შემთხვევებიც ხშირად ხდებოდა. ეს უნდა იყოს იდიომის წარმოშობის საფუძველი). გოგიტას ამბავს ნუ მკითხავ, ჩემო ძმაო, რა ხანია, მარილზე **წავიდა** (თ. ს ა ხ .).

**მარცხენა ფეხზე ამდგარა (ვინმე)** უგუნებოდაა, ცუდ ხასიათზეა (ვინმე). ვინ იცის, სადამდის მივიდოდა კუჩრის ზრდილობიანი ბაასი, **რომ ახალი** პასაჟერი არ მოჰმატებოდა მარცხენა ფეხზე ამდგარ ეტლის **პატრონს** (ე. გ ა ბ.). კაცო, მარცხენა ფეხზე ამდგარხარ? (ს. შ ა ნ შ .).

**მარჯვენა ხელი (ვისიმე)** (ვისიმე) საიმედო, ერთგული, ყოველგვარ საქმეში დამხმარე. პირველი მაგალითი იყო, რომ ბატონის კაცს **სოფელში** ხელი შეახეს და როგორ შეახეს? სიკვდილის პირზე მიაგდეს **ბატონის** დაახლოებული, მისი მარჯვენა ხელი! (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ზანქანის მარჯვენა **ხელი** ეს (კევორქე) იყო და ათას ბნელ საქმეებს აკეთებდა (შ. დ ა დ.).

**მარჯვენის მოჭრა** ერთგული, საიმედო პირის ან საჭირო ნივთის დაკარგვა. მაიორი რომ გადაიყვანონ აქედან, ბარათაშვილიც დაიღუპება. **ვინ** იცის, ვის დანიშნავენ. თუ ლომოვი დანიშნეს, ზაალს მარჯვენა **მოეჭრება** (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**მაღლა აყენებს (ვინმეს, რამეს)** ამჯობინებს, უპირატესობას **აძლევს**, დიდად აფასებს (ვინმეს, რამეს). თამარი ყველაზე მაღლა **აყენებდა** განათლებას (ი. გ ო გ ე ბ.).

**მაღლა დგას (ვინმეზე, რამეზე)** (ვინმეზე, რამეზე) უკეთესია, მეტის შემძლეა, უფრო განვითარებულია. ადამიანის გონება ისე **მაღლა** დგას მაიმუნისაზე, როგორც ცა დედამიწაზე (ი. გ ო გ ე ბ.).

**მახეში გაბმა** გამოუვალ, უხერხულ მდგომარეობაში ჩავდება. მართალია, (სუტ-კნეინამ) ლუარსაბსაც ჩამოართო ბარათი, მაგრამ, რაკი **ამისთანა** მახეში გააბამდა საწყალსა, მერე როგორღა მივიდოდა ფულის **გამოსართმევად**? (ი ლ ი ა). (ოქრუა) ცდილობს ყალბი მოწმობის მიმცემი მღვდელი **წყლიდან** მშრალი ამოიყვანოს, ალალმართალი კაცი მოსე გულფუჩაძე კი, **გააბას მახეში** მისი გულისთვისო (ე. ნ ი ნ ო შ.).

**მახის დაგება** საფრთხის, განსაცდელის შექმნა, ხრიკების **მოწყობა**. მანამ ... ეჭვითაც არ იცოდა, რომ ... მას ასეთ მახეს **უგებდნენ** (ე. ნ ი ნ ო შ.).

**მგლის მუხლის (გა)მობმა.** მარდად, დაუღალავად სიარული. **გაგვიძელ**, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო (ხ ა ლ ხ.).

**მგლის ყურის გამობმა** განგებ წაყრუება, ყურებში ბამბის დაცობა. რამდენი ვილაპარაკეთ, მაგრამ იმან მგლის ყური გამოიბა, თითქო მას არც კი ელაპარაკებიანო (თ. ს ა ხ .).

**მე და ჩემმა ღმერთმა** ნამდვილად, ჩემმა მზემ. ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თედოს მოხარშული, ნივრით, — ერთ სახელმწიფოდა ჰღირს, მე და ჩემმა ღმერთმა (ი ლ ი ა). . . . სულზე მოსწრებაა ჩემთვის ეს ზაკუსკა, მე და ჩემმა ღმერთმა (დ. კ ლ დ.).

**მე შენ გეტყვი!** (დაახლოებით) განა! შენ გგონია! (რამეში სრულიად დარწმუნებულობის შემთხვევაში იტყვიან). — ინჟინერი მაგისთანა უნდა, — ამბობდნენ ხშირად მუშები, — ხუ ბიჭი ხარ, ამოუდექი გვერდში! მე შენ გეტყვი, მოატყუებ (ა. ბ ე ლ.).

**მეორედ დაბადება** რაიმე კარგის, მეტის-მეტად სასიამოვნოს, გამაბედნიერებლის შემთხვევა, ძალიან გახარება, აღტაცება. ქორწილი მაქვს დღეს ქორწილი! . . . დღეს მეორედ დავიბადე ამ ქვეყანაზე (მ. მ რ ე ვ ლ.). ახლა (ექიმს) თავი მეორედ დაბადებულად მიაჩნია (რ. გ ვ ე ტ.).

**მეორედ მოსვლა** საშინელება, უბედურება, კატასტროფა. საშინელ დროებას არ შევესწარით, თქვენი ჭირიმეთ! — მართლის გულით სთქვა ლუარსაბმა! — სწორედ მეორედ მოსვლა მოახლოვდა . . . (ი ლ ი ა). დილიდან ისეთი არეულობა იყო ამ ჯარში, რომ მეორედ მოსვლასა ჰგავანდა . . . (ა. ყ ა ზ ბ.).

**მეორედ შობა** იხ. მეორედ დაბადება. ლაშა მეორედ იშვა (რ. გ ვ ე ტ.).

**მეტი არ აგიდგა გვერდები!** ისემც არ გაიხარო! არ მოხდება, არ გეღირსება (რამე). შენ რომ დაბრუნდები, ისე დაბრუნდა ბაბუაჩემი პავლია! მეტი არ აგიდგა გვერდები! (ა. ბ ე ლ.).

**მეტი გზა არა აქვს** იხ. მეტი რა გზა აქვს. რვაი კაცი უწევს ჩემ სანაცვლოს. ერთად შენ უნდა წახვიდე. მეტი გზაი არ მაქ, — უთხრა ნაცვალმა კაციას (ე. ნ ი ნ ო შ.). — არ წამოვიდოდი, მაგრამ ახლა მეტი გზა არა მაქვს (ა. ბ ე ლ.).

**მეტი რა გზა აქვს** მეტი საშუალება, მეტი გამოსავალი არა აქვს, სხვა რა გზა აქვს. ამ მუქარით შეშინებული ქვრივი გაჩუმებულიყო, მეტი რა გზა ჰქონდა . . . (ა კ ა კ ი). . . . ვინ გვკითხავს ჩვენ ან დაყენებას და ან გადაყენებას? თითონ აყენებენ და შენ მეტი რა გზაი გაქ, უნდა მიიღო! — სთქვა მეხამემ (ე. ნ ი ნ ო შ.).

**მეტი რა ჩარაა** იხ. მეტი ჩარა არ არის. ლაპარაკიც მემძიმება, მაგრამ მეტი რა ჩარაა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**მეტი ჩარა არ არის** სხვა გამოსავალი, სხვა საშუალება არ არის, მეტი გზა არ არის. (სპარს. **ჩარე** ილაჯი, ძალა, ღონე). მეტი ჩარა არ იყო, მუცელა უნდა დამორჩილებოდა თავის ხვედრს (ვაჟა).

**მეშვიდე ცას ეწევა** იხ. ცას ეწევა (სიხარულით). კაც ზვამბაია მეშვიდე ცას ეწეოდა სიხარულით, რომ მის გაზრდილს ასე ადიდებდა თვით . . . შარდინ ალშიბაია (კ. გამს.).

**მეშვიდე ცაში აყვანა** იხ. ცამდე აყვანა. (ჯოკია) აქებდა მის სიბრძნეს, დიდსულოვნობას, გულუხვობას, ზნეობრივ სისპეტაკეს ..., ერთი სიტყვით, მეშვიდე ცაში აჰყავდა იგი (კ. გამს.).

**მეცამეტე გოჭი** მეტიჩარა, არამკითხე. (ცნობილია, რომ დედალორს 12 ძუძუზე მეტი არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ თუ მან 13 გოჭი დაბადა, მაშინ მეცამეტე ზედმეტია, აქედან მომდინარეობს გამოთქმაც). ამ ქვეყნად კაცი არ მეგულვება, რომ მის ცხოვრებაზე მსოფლიო რომანი არ დაიწერებოდეს, რადგან შედევრებს მასალა კი არა ჰქმნის, არამედ ნიჭი, ეპიტაფისტი კი ამ საქმეში მხოლოდ მეცამეტე გოჭივით იცქირება (მ. ჯავახ.).

**მეხად დაატყდა (რამე)** მეტის-მეტად ეწყინა (რამე), შეაძრწუნა (რამემ). პაპაშას ეს სიტყვები ახალ მეხად დაატყდა: თავზრუ დაეხვია, თვალი დაუბნელდა . . . (მ. ჯავახ.).

**მეხი დაატყდა თავზე** დიდი უბედურება შეემთხვა, შეძრწუნდა. ამას კი აღარ ელოდა ყორღანაშვილი! იმას ეგონა, რომ ორბელიანებს მეხი დაატყდებოდათ თავზე (აკაკი).

**მზე ამოვიდა (ვისიმე, ვისთვისმე)** გაბედნიერდა, კარგი რამ შეემთხვა, ტანჯვას თავი დააღწია. მე რომ ის ბახვასთან საყდარში ვნახე, მას აქეთ მზე ჩემთვის აღარ ამოსულა. ეს ჩემი გული წყვდიადის ბნელით არის გარემოცული (გ. წერეთ.). 15 აგვისტოს საღამოს ახალციხეში ოსმანთა ხონთქარის მზე ჩაესვენა და 16-ს დილით რუსეთის იმპერატორის მზე ამოვიდა (მ. ჯავახ.).

**მზე ამოსდის (ვინმეზე)** იხ. მზე და მთვარე ამოსდის (ვინმეზე). ამ უკანასკნელებს, რასაკვირველია, მზე ჯერანზე ამოსდიოდათ (ე. ნინოშ.). მძულხარ კი არა, შენზე ამომდის მზე! (გ. წერეთ.).

**მზე ამოუვიდა (ვისმე)** იხ. მზე ამოვიდა (ვისიმე, ვისთვისმე). ხალხმა მაშინვე იცნო თედე. საბრალო ხალხს ღამე გაუთენდა, მზე ამოუვიდა (ვაჟა).

**მზე და მთვარე ამოსდის (ვინმეზე)** ყველაზე მეტად, უზომოდ უყვარს (ვინმე), შეხარის (ვისმე), (ვისიმე) იმედით ცოცხლობს. მითხარ ყოველისფერი, გაუშალე შენს მშობელს შენი გული, ხომ იცი, რომ იმას მზე და მთვარე შენზე ამოსდის (ა. ყ ა ზ ბ.). შვილი ... ის დამრჩა ქვეყნად ნუგეში, მასზე ამომდის მზეცა და მთვარეც (ხ. ბ ე რ.).

**მზე პირს იბანს** მზიან ამინდში წვიმს. ფოთში მზე პირს იბანდა. მზიანი იყო, მაინც სწვიმდა (კ. გ ა მ ს.).

**მზე ჩაესვენა (ვისიმე, რისამე)** (ვისიმე, რისამე) საქმე ცუდად წავიდა, დამარცხდა (ვინმე), განწირულია (ვინმე). 15 აგვისტოს საღამოს ახალციხეში ოსმანთა ხონთქარის მზე ჩაესვენა და 16-ს დილით რუსეთის იმპერატორის მზე ამოვიდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**მზეზე გამოტანა (რისამე)** გამოაშკარავება, გამომჟღავნება, მხილება (რისამე), დღის სინათლეზე გამოტანა. მაშ ეს გამოჯარება ყოველი საქმისა, ეს მზეზე გამოტანა ყოველის ფარულის და არაფარულის ბოროტისა ... განა უწმინდაესი და უპირველესი ღირსება არ არის ჭეშმარიტის ლიბერალობისა?! ... (ი ლ ი ა).

**მზის გაქრობა** იხ. დღის გაქრობა. შემეძლო ელგუჯას მზე გამექრო (ა. ყ ა ზ ბ .).

**მზის გაშავება** სიკვდილი, მზის გაქრობა, დღის დაბნელება. — დიაცო! გამოდი გარეთ, — დაუძახა ონისემ, — დავინახოთ ერთურთი და, ვისიც მზე გაშავდების, ჰნახავ (ა. ყ ა ზ ბ.). მზე გამიშავდეს ..., თუ ტყვიას ზურგი ვაჩვენო გულის წილ ბრძოლის ველზედა (შ. მ ღ ვ ი მ.).

**მზის დაბნელება** სიკვდილი, სიცოცხლეს გამოსალმება, დღის დაბნელება, მზის გაშავება. რა ახალგაზრდაა ეგ უბედურის შვილი! — თქვა ერთმა დედაკაცმა, — ჯერ დღე სწორედაც არ გასთენებია და ეგრე ადრე და მალე კი უნდა მზე დაუბნელდეს (ი ლ ი ა). სკამი იყო კართან, წამოუსვა ხელი და ისე კი დაჰკრა, რომ მეორეჯერ რომ კიდევ მიესწრო, კარებს შეამტვრევდა და ნაჩალიკსაც მზეს დაუბნელებდა (ე. ნ ი ნ ო შ.). როყიო ისარმა სამუდამოდ დააბნელა მზე ნანულისა (შ. დ ა დ.).

**მთა და ბარის გასწორება** ყველას და ყველაფრის გათანაბრება, გათანასწორება (უფლებრივად). ლაპარაკობდნენ, კანონები დაიბეჭდაო, რომ ვეღარც სცემსო, ვეღარც ნამუსს შეურცხვენსო; ერთის სიტყვითა, მთა და ბარი გასწორდაო (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ... ქვეყანას ვინ შესცვლისო, მთა და ბარი ვის გაუსწორებია მარტოკა, ჩემმა შვილმა რომ გაასწოროსო (კ. გ ა მ ს.).

**მიაბარა სული ალაჰს** იხ. მიაბარა სული უფალს. ... მაშ ზოვრა მოკვდა? როდის? როგორ? მაშ ზოვრა რომ ალაჰს აბარებდა სულს, მართლა აბდულას სახელს ახსენებდა? (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**მიაბარა სული უფალს** მოკვდა, სული განუტევა. ის მუშა კი მოარჩინა სიკვდილსა და თითონ კი კინაღამ სული არ მიაბარა უფალსა (ი ლ ი ა). მე თქვენს მრავალ მსხვერპლს იარებს ვუხვევდი ... აგერ იქ სხედან და წვანან. ზოგმა უფალს უკვე სულიც მიაბარა ... მინდიაშვილიც მოჰკლეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**მიაბარა სული ღმერთს** იხ. მიაბარა სული უფალს ... „მივდივარო" მითხრა და მიაბარა ღმერთს ალალი სული (ი ლ ი ა).

**მიაყარე ცერცვი კედელს!** არაფერი გამოვა, ამაოდ ჩაივლის, ბევრიც რომ ეცადო, უშედეგოდ დარჩება.

**მიზანში ამოღება** იხ. ნიშანში ამოღება. კოსტა ბაღათურიამ შორიდან მოჰკრა თვალი სარიდანს და მაშინვე მიზანში აჰოიღო (ა. ბ ე ლ.).

**მისხის მისხი** შორეული ნათესავი; შორეული წინაპარი. უნდა ცოლითა, შვილებითა და მისხის მისხით გამოსალმებოდა საუკუნოდ მზისა ნათელსა (ა. ფ უ რ ც.). ჩემი ალაგი მისხის მისხიდან გადმოსულა ჩემზე,. ბებიაჩემის ლალუას მემკვიდრეობაა (ე. გ ა ბ.).

**მიწაზე ფეხს არ ადგამს** იხ. მიწას ფეხს არ აკარებს. გახარებულ და ბედნიერ ილიას მიწაზე აღარ ედგა ფეხი (რ. გ ვ ე ტ.).

**მიწაზე ფეხს არ აკარებს** იხ. მიწას ფეხს არ აკარებს. სიჭაბუკის საოცნებო ძლიერება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი; მიწაზე ფეხს აღარ ვაკარებდი (ა კ ა კ ი).

**მიწამ უყო პირი** იხ. დედამიწამ პირი უყო. (ირემას) მიწამ უყო პირი, თუ ცამ უეცრივ ჩაყლაპა (შ. ა რ ა გ ვ.). ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, ბატონო, მე თუნდაც მიწამ მიყოს პირი, ჩემს არზაყანს მოუარეთ, ბატონო (კ. გ ა მ ს.).

**მიწამ ჩაყლაპა** ანაზდეულად გაუჩინარდა, უკვალოდ დაიკარგა, მიწამ უყო პირი ... ამ სასიხარულო ამბის მომტანი იქ აღარ იყო: ის თითქოს მიწამ ჩაყლაპა (ა. ყ ა ზ ბ.).

**მიწას ფეხს არ აკარებს** აღტაცებულია, ძალიან გახარებულია, აღფრთოვანებულია; სწრაფად გარბის. პელაგია თითქმის მიწას ფეხს არ აკარებდა, სიხარულისაგან ზეზე დაფრინავდა (დ. კ ლ დ.). (ტურიკო) ისე მოისწრაფის ძმადნაფიცის საშველად, რომ მიწას ფეხს არ აკარებს (ი. ე ლ ე ფ თ.).

**მიწასთან გასწორება** მოსპობა, განადგურება; დამცირება, გაქელვა, პატივის ახდა. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს (ი ლ ი ა). ნურც ეგრე გამასწორებ მიწასთან! ... მეუფეა! ... უთხრა კესომ და ტირილი დაიწყო (ი ლ ი ა). ცოლის მოკვლამ ბახვა ფულავა მიწასთან გაასწორა (გ. წ ე რ ე თ.). წუნკალმა ალა-მაჰმადმა ... მარაბდა დასწვა, ქოტისი დაანგრია და ზაალის ავლადიდება მიწასთან გაასწორა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**მიწის პირიდან აღგვა** მოსპობა, განადგურება, გადაშენება, დედამიწიდან აღგვა. ზედვე ეტყობოდათ მათ, რომ კიდევ რამდენიმე თვეს, ან დღეს იბოგინებდნენ და შემდეგ აღიგვებოდნენ მიწის პირიდან (კ. გ ა მ ს.).

**მიწის შვილი** ადამიანი; ამქვეყნიური არსება. ...შემოდგომა სავსე დრო არის მიწის შვილისათვის, ყუათიანი (ვ. ბ ა რ ნ.).

**მკვდრეთით აღდგომა** დაღუპვის პირზე მყოფის ან მძიმე ავადმყოფის გადარჩენა. საქართველო აღდგა მკვდრეთით! (ა კ ა კ ი). ბევრჯერ მიგლეწეს, ძველო ქალაქო, და ბევრჯერ ისევ ამდგარხარ მკვდრეთით (გ ლ ე ო ნ).

**მოგ(ვ)ჭამა ჭირი** იხ. ჭირი მოგ(ვ)ჭამა.

**მოკლე ფეხები აქვს (რამეს)** დიდხანს ვერ გაძლებს, მალე მოისპობა. — ნუ გეშინია, ქალბატონის ასეთ რისხვას მე მოგაშორებ. ასეთ რისხვას მოკლე ფეხები აქვს. შენ მხოლოდ სხვაში იყავი რიგიანი და ერთგული (ბ ა ნ.).

**მონასტერი აირია** იხ. აირია მონასტერი.

**მოუკრეფავში ნუ გადადიხარ** ნუ აკეთებ იმას, ან ნუ ლაპარაკობ იმაზე, რაც შენი საქმე არ არის, რაც შენ არ გეხება, საზღვარს ნუ გადადიხარ.

**მოუსავლეთში გაგზავნა** მოკვლა, წუთისოფელს გამოსალმება. ეს მშვენიერი მოგზაურობა წამამწარა იმ ოჯახქორმა. ეგ არაფერი, ლამის იყო მოუსავლეთში არ გამაგზავნა (კ. გ ა მ ს.).

**მოუსვი ბაყაყური!** წადი! დაიკარგე! მოუსვი! აქ არ გაჩერდე!

**მოჭამა თავისი დრო** იხ. თავისი დრო მოჭამა.

**მტვრის ადენა** გაცამტვერება, აწიოკება, ბდღვირის ადენა. ...ჩემი ნათლიდედის კამეჩი ეხლავ გამოუშვას, თორემ იჭაურობას სულ მტვერს ავადენ (ი ლ ი ა). ...ეს ბაბრი შეეჩვია სოფელს და აადინა მტვერი... სოფელი შეძრწუნებული იყო (ვ ა ჟ ა).

**მტლედ დადება** თავზე შემოვლება, თავის დადება, თავდაუზოგავად მოვლა, თავის შეწირვა. (**მტლე, ტლე** სიცხიანის სადები წამალი — ს ა ბ ა). აი, შენ დაგედოს მტლად შენი უბედური დედა (ი ლ ი ა). აი, თურმე რას მღერის ბულბული: ამოდით ყვავილნო, მშვენიერნო, ტურფანო, დედამიწის ანგელოზნო, თქვენ დაგედევით მტლედ, თქვენ გენაცვალეთ (ვ ა ჟ ა).

**მუსრის გავლება** ამოწყვეტა, განადგურება, მოსპობა, გაჟლეტა. ...მზად კი ვიყოთ და მერე დაღალულზე მუსრი გავავლოთ მტრებს (ა კ ა კ ი).

ბობოლა გლეხობა დამფრთხალი იყო: ვაი თუ არა მარტო რქიანი, არამედ ფრინველიც წაგვართვანო და მუსრს ავლებდნენ შინაურ პირუტყვს (კ. გ ა მ ს.). მუსრეს და მუსრი გაავლეს ... მოკლულთა დადგა ჯებირი (ლ. ა ს ა თ.).

**მუცელზე ხოხვა** მლიქვნელობა, პირფერობა, ქლესაობა, ფარისევლობა. აქ იგი თუმცა სხვა სტილით მეტყველებდა, მაგრამ უთუოდ დიდ ნიჭს იჩენდა ქლესაობასა და მუცელზე ხოხვაში (კ. გ ა მ ს.). ... თავათაც ამჩნევდა: რომ აქ ყველას სჯობდა თარაში. აფხაზებიც დიდი მოწიწებით ექცეოდნენ მას და არააფხაზებიც, შარდინ ალშიბაია პირდაპირ მუცელზე დახოხავდა მის წინაშე (კ. გ ა მ ს.).

**მუცლის გვრემა** იდუმალი სურვილი. აჰ, შე ცბიერო სოვდაგარო, შენა, — მიაყოლა ყივჩაღთა მეფემ, — ვიცი, რა მუცლის გვრემაცა გაქვს. გინდოდა ქართველებიც მოგემადლიერებინა, ჩვენც, და შენი ფულებიც გაგენაღდებინა (შ. დ ა დ.). — ვიცი, რა მუცლის გვრემაცა გაქვს ... კარგი, მოგიმატებ ჯამაგირს (გ. ნ ა ხ უ ც რ).

**მუჭში სული ჩაუბერა** საიდუმლო რამ გაანდო და შეევედრა არ გაამჟღავნოს. გოგლა, ჩემი სული და ეს კატა!—თითქოს მუჭაში სული ჩაუბერა... (შ. ა რ ა გ ვ.).

**მუხლ(ებ)ის მოკვეთა** იხ. მუხლ(ებ)ის მოჭრა. სნეულებამ ... შუახნის კაცს მოჰკვეთა მუხლები (ვ ა ჟ ა).

**მუხლ(ებ)ის მოჭრა** დასუსტება, გულის გადალევა (რაიმე ძლიერი განცდის ან დაღლილობისაგან). ამას წინათ არსენამ გიგოლას უთვალთვალა და მარაბდის ჭალაში მოასწრო. ნაბუშარს მუხლი მოეჭრა და ენა მუცელში ჩაუვარდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). აქ კი მუხლები მოეჭრა ზეწამომდგარ ხათუნას. ეგებ ტარბები აპირებდნენო თავდასხმას, ან თავათ მოსწიოსო მთვრალმა რამე სიავე თავისთავს (კ. გ ა მ ს.).

**მუხრუჭის მოჭერა** შევიწროება, შეზღუდვა; შეწუხება, მკაცრად მოპყრობა. დღე მუდამ მუხრუჭს უჭერდა სოფელსა თავადი ესტატე, რომ წესრიგს არ გვჭქცეოდა, რომელიც დამყარებული იყო ტორტლაში (ს. მ გ ა ლ ო ბ.). შენ არ აქეზებდი, ხალხს მუხრუჭი მოუჭირეო! (ს. შ ა ნ შ.).

**მღვრიე წყალში თევზის ჭერა** იხ. ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა. რა რო საქმე აწეწილი დაინახეს, ხაზინა და ეკლესიაც წამოყელყელავდა: ჯქნება ჩვენც დავიჭიროთ ამ მღვრიე წყალში თევზიო (ე. ნ ი ნ ო შ.).

**მყრალა ამოსდის პირიდან** ცუდი, ბინძური ლაპარაკი იცის, სულ ილანძღება. (**მყრალა** ცუდსუნიან მცენარეთა ჯგუფის სახელწოდება).გოგისთანა ბინძურსა და შურიანს მეორეს ვერა ნახავს ადამიანი, სულ მყრალა ამოსდის პირიდან (თ. ს ა ხ.).

**მშრალზე დარჩენა** მოტყუებული, პირში ჩალაგამოვლებული დარჩენა, ცარიელზე დარჩენა. ...აი, ეხლაც სისხლის ოფლს ვაწვიმებთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ, მოსავალი მოგვყავს, თქვენ მიგაქვთ, ჩვენ მშრალზე ვრჩებით თევზივით და მშიერი კუჭით დავწოწავთ ქვეყნად (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ...ნაწილ-ნაწილად აღებული ფული მალე შეიჭამა, ნელ-ნელა ადგილებიც გაიყიდა და როცა, მისივე დაუდევრობით, უკანასკნელი ქონება ბანკს გააყიდვინა, მშრალზე დარჩენილმა სარდიონმა მხოლოდ მაშინ წამოცქვიტა ყურები, მაგრამ გვიანღა იყო (დ. კ ლ დ.).

**მშრალზე დასმა** იხ. ცარიელზე დასმა. (ხაბაზი) სულ იმას ფიქრობდა... პირველი ნაყოფი მიეღო, რომ კოლექტივის გამარჯვებით კულაკობა მშრალზე დაესვა (ე. ზ ე დ გ.).

**მწარე ნაღველის გადასხმა** გამწარება, გაუბედურება. ბევრ ტკბილ ცოლქმრობას გადაესხა მწარე ნაღველი იასონის წყალობით, ბევრი ოჯახის ტკბილი ცხოვრება შეირყა და გამწარდა ... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**მწყერს შეუწვავს** ანგარიშს, თანაგრძნობას არ გაუწევს, ყურადღებასაც არ მიაქცევს, არავითარ სიკეთეს არ უზამს. — ჰო, კარგად ქე შეგითვლია, მაგრამ მაინც რომ ეწყინოს იმ დაუნდობელს? — თუ ეწყინება, მწყერს შევუწვავ! (ბ ა ნ.). გული მოუვა, თორემ მწყერს შევუწვამ! ... (თ. ს ა ხ.).

**მხარე უჭირავს (ვისიმე)** ეხმარება, ემხრობა, ექომაგება, ხელს უწყობს (ვისმე). ...თქვენც, ჩვენი მიწა-წყლის შვილს, კეთილშობილის სისხლსა და ხორცს, ამათი მხარე გჭერიათ (ი ლ ი ა).

**მხარი მხარს მისცეს** ერთმანეთს დაეხმარნენ, მხარი დაუჭირეს, მხარში ამოუდგნენ. მხარი მხარს მივცეთ, ამხანაგებო! (ი. ე ვ დ.). მეხი მეხს, ქარი ქარს! ჩვენ კი მივცეთ მხარი მხარს! (გ. ტ ა ბ.).

**მხარი უქცია** სხვა მხარეს წავიდა, მიმართულება იცვალა; მოშორდა, გაეცალა. იმ ღამესვე ელიზბარმა და შალვამ მხარი უქციეს და საიდუმლოდ კახეთისკენ მიემართნენ (ა კ ა კ ი). მჩაგვრელთა მხარი ვუქციოთ, ჩაგრულთა მივცეთ სალამი (ი. დ ა ვ ი თ.).

**მხარის აქცევა** ორიენტაციის, მიმართულების გარკვევის, გზის გაგნების უნარის დაკარგვა, დაბნევა. ბინდდებოდა, ბილიკს გადავცდი, არც კი ვიცოდი, საით მივდიოდი, ან ჩემი მასპინძლის, აფხაზის ფაცხა რომელ მხარეს იყო, კომპასი შინ დამრჩენოდა, მხარი ამექცა, მიმართულება დავკარგე ... (კ. გ ა მ ს.).

**მხარის დაჭერა** დახმარება, მიმხრობა, გვერდში ამოდგომა. ...ეს იცოდა ოსეფამაც, მაგრამ, აქა და სასახლეში მხარს მიჭერენო, არავის ეპუებოდა (ა კ ა კ ი). ... ეს მაღალი განათლების პატრონი კაცი ჩარჩებს უჭერ-

და მხარს და არა მათგან ჯვარზე ცმულებს (გ. წ ე რ ე თ.). გოგიტამ იუარა და მას სხვებმაც დაუჭირეს მხარი (ა. ბ ე ლ.).

**მხარის მიცემა** დახმარება, შველა, მხარის დაჭერა, თანაგრძნობის გაწევა. „სივილა,— ეუბნებოდნენ ისინი,— შენ ოღონდ მოდი მალე, მეტი არა გვინდა რა. ჩვენ ყველანი მხარს მოგცემთ, შენის გულისთვის ცეცხლში ჩავდგებითო...“ (გ. წ ე რ ე თ.). ... თუ ერთი მათგანი მუქარებს დაუწყებდა რომელსამე გლეხს, დანარჩენებიც ამას მხარს აძლევდნენ (დ. კ ლ დ.).— ალბათ ჯერ არ იცნობს ჯაყოს, თორემ მხარს არ მისცემდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**მხარის მოქცევა** იხ. მხარის აქცევა. უნდა შინ წამოვსულიყავი, მაგრამ მხარი მომექცა, ვეღარა გავიგე-რა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**მხარს უმშვენებს** მასთან არის, გვერდში უდგას (უზის), ახლავს, გვერდს უმშვენებს. თუ მართლა იმისთანა საშინელი და უკადრისი ამბავი **დაემართეს**, რაღა გული აძლევდა ნებას, რომ ამისთანა დაუნდობელსა და საძაგელს ერს მხარს უმშვენებდა და თან მისდევდა (ი ლ ი ა). მხარს უმშვენებდნენ თევდორეს მაჩხა, დისწული მატია (ს. შ ა ნ შ.).

**მხარს უსწორებს** უტოლდება, უთანაბრდება, კვალში მიჰყვება. — ჩემო ნონავ! ბრძოლაში ხაცადი მყევხარ და მიხარიან, რომ მხარს მისწორებ ... (ვ. ბ ა რ ნ.).

**მხარში ამოდგომა** დახმარების გაწევა, შველა, გვერდში ამოდგომა, მხარის მიცემა. ... აგერ ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ჩემი ჩიტო ... მხარში ამომიდგება და შრომის უღელს შემიმსუბუქებსო (ე. ნ ი ნ ო შ.). ... ახლა ის სახეძაღლი არზაყანი ისევ მხარში ამოუდგება ჩალმაზს და ლიჩელის ... (კ. გ ა მ ს.).

**მხარში შედგომა** იხ. მხარში ამოდგომა. მეცნიერებაში გაწვრთნილი ქალები მხარში შეგვიდგებიან და ჯაფით გატეხილ წელს გაგვიმაგრებენ (გ. წ ე რ ე თ.).

# ნ

**ნავსის გატეხა** პირველად გაკეთება იმისა, რასაც მანამდე არ ან ვერ აკეთებდნენ. ჩემს მოკეთეებთან, ეს ერთი წელიწადია, არა ვყოფილვარ, მემდუროდნენ — რად დაგვივიწყეო! როგორც იყო გუშინ ნავსი გავტეხე და ვინახულე (თ. ს ა ხ.).

**ნათელის მოფენა** იხ. შუქის მოფენა. ვგონებთ, შესაძლო იქნება ცოტათი მაინც ნათელი მოვფინოთ საგულისხმო საგანს (ილ ი ა).

**ნათელის ჩადგომა გულში** იხ. გულში ნათელის ჩადგომა.

**ნამუსის ახდა** გაუპატიურება. სიკვდილი რით არ სჯობიან ჩვენის შვილების ნამუსის ახდის ცქერასა (ს. მ გ ა ლ ო ბ.). — აღარაფერი შეგვარჩინა (ჯაყომ), საქონელს იტაცებდა ..., ქალებს ნამუსს ხდიდა, გვცემდა და შენი მოსავლის ნახევარს იჯიბავდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ნამუსის გამოწმენდა.** იხ. ნამუსის მოწმენდა. მერე მე რაღათი გამოვიწმინდო ნამუსი? (ს. კ ლ დ.).

**ნამუსის მოწმენდა** უხერხულობის დაფარვა, სათაკილო საქციელის გამართლება, მობოდიშება. (გმირისეული) მოსწმენდდა ფარულად თავის ქალს ნამუსს და მერე თავის ნებაზე წაიყვანდა (ს. მ გ ა ლ ობ.).

**ნატისუსალი ასდის** ძალიან ღარიბია, გაღატაკებულია, არაფერი აბადია. (**ნატისუსალი** ბამბათა და ფარატინათა ნამწვის სუნი — (ს ა ბ ა); ტრუსის სუნი). რაკი თათარს ცხენი ჰყავს, თოფ-იარაღი აქვს, იგი კაცად იხსენება სოფელში,— თუნდ შინ, ოჯახში — ნატისუსალი ასდიოდეს (ი ლ ი ა). (თეიმურაზმა) შეაწერა საყმოს საქორწილო ფული ორასი თუმანი. ყმებმაც, **რომელთაც** სიღარიბით ნატისუსალი ასდიოდათ, ვალი აიღეს და მიართვეს შეწერილი ფული (ლ. ა რ დ ა ზ.).

**ნაღველას გასივება** გაბრაზება, შეწუხება, გულზე გახეთქა, გულის გასივება. გული სისხლით მევსებოდა, ნაღველა მისივდებოდა (ა. ყ ა ზ ბ.).

**ნაღველი აეშალა** იხ. ნაღველი მოერია. აი, კიდევ სევდა ეწვია გულსა, კვლავ ამეშალა მწარე ნაღველი (ი. ე ვ დ .).

**ნაღველი აწევს** შეწუხებულია, დაღონებულია, დადარდიანებულია, დანაღვლიანებულია. შენა, შვილო, რა გიჭირს? სხვა სხვის ომში ზრძენიაო, მე კი არა მკითხავ, რა ნაღველი მაწევს (ი ლ ი ა). სპირიდონის დედისათვის სამუდამო საიდუმლოთ დარჩა, თუ რა ნაღველი აწვათ ამ დროს მის შვილს და რძალს (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ნაღველი მოერია** დასევდიანდა, დაღონდა, დადარდიანდა. (ვაჟი) რაღაც უჩვეულოს განიცდიდა, მაგრამ მალე დაეკარგა გულისყური, ნაღველი მოერია, მოიცვა სევდამ (ო. ჩ ხ ).

**ნაღვლის გასივება** იხ. გულის გასივება. ნაღველი გამისივდა ლოდინით (გ ა წ მ. ლ ე ქ ს.).

**ნაღვლის დალევინება** გამწარება, გაწამება, დატანჯვა. ტიალმა წუთისოფელმა ნაღველი დამალევინა (ა კ ა კ ი).

**ნაცარ-მტვრად ქცევა** იხ. ნაცარტუტად ქცევა. დათვი რომ შემოგივარდეთ, სულ ნაცარ-მტვრად გაქცევთ (ვ ა ჟ ა). ხომ არ გინდათ ... სულ დაგანგრიოთ და ნაცარ-მტვრად გაქციოთ?! (ვ ა ჟ ა).

**ნაცარტუტად ქცევა** მოსპობა, განადგურება, გაცამტვერება.

**ნაცარტუტის ადენა** მოსპობა, განადგურება, გაცამტვერება, ბდღვირის ადენა. გაუგზავნა მოციქული: გამოცხადდი ჩემ წინ შენო, თუ არ მოხვალ, შენს ქვეყანას ნაცარტუტას ავადენო (ი ლ ი ა). (ჩაჩნები) ნათესში ცხენებს აბამდნენ; ხშირად შიგ შუა ვენახში ჩაუბამდნენ ცხენებს, რომლებიც იქაურობას სულ ნაცარტუტას ადენდნენ (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ნაცრის ქექვა** უსარგებლოდ შრომა, წყლის ნაყვა; უსაქმურობა. ჯერ თვითონ პროგრამა გიმნაზიისა აიღეთ. თავისი ლათინურით და ბერძნულით, რომელნიც იმოდენა ხეირს აყრიან ყმაწვილს, როგორც წყლის ნაყვა, ანუ ნაცრის ქექა (ი ლ ი ა). ვითომ სუყველაც შრომობდა, ნაცარს არავინ ქექავდა (ბ ა ჩ.).

**ნახშირი კედელს!** რა იშვიათი ამბავი მოხდა! როგორც იქნა! ძლივს გვეღირსა! მადლობა ღმერთს! პლატონს, პლატონს ვახლავართ! ... დარიკო, კედელს ნახშირი, ნახშირი კედელს! ... ასე უნდა, შე პატიოსანო კაცო, მოყვრის მივიწყება! ... (დ. კ ლ დ.).

**ნეკზე კბენა** იხ. თითზე კბენანი. მაშინ კი მოტყუებულმა გიორგის მომხრეებმაც დაინახეს მათი შეცდომა, მაგრამ ნეკზე კბენა რაღას უშველიდა (ა კ ა კ ი). მაშინ კი დაფიქრდა ელიკო; ჩაიხედა გულში, გამოფხიზლდა ცოტათი და პირველად შენიშნა ვარდ ქვეშ ეკალი. იკბინა ნეკზე და გაიმაგრა გული (ა კ ა კ ი).

**ნემსის ყუნწში ძვრება** ყოველ ღონეს ხმარობს, არაფერს ერიდება (მიზნის მისაღწევად), ვწელის ხვრელში ძვრება. ლოპიანა კი თევზაობდა, კრივობდა, ჰიდაობდა, თაბახი დაჰქონდა, მამლებსა და ყოჩებს სწვრთნიდა, საჯაროდ აჭიდავებდა, ჰყიდდა, ყიდულობდა, ნემსის ყუნწში ძვრებოდა და „ალალი გულით" ცხოვრობდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ნერვების აშლა** განერვიულება, აღელვება, გაღიზიანება. ბოლოს... (ლათინურის) ზეპირობამ (იერემიას) გონება დაუბნელა, ნერვები აუშალა და გააბრაზა (გ. წ ე რ ე თ.). ნუ ჯავრობ, ნუ დარბიხარ, ნერვები ნუ ამიშალე (ე. გ ა ბ.).

**ნიადაგის გამოცლა (ფეხქვეშ)** საფუძვლის, საყრდენის მოსპობა. ამ ამბავმა დააღონა გიორგი, რადგან იმის წასვლის შემდეგ ნიადაგი ეცლებოდა ფეხქვეშ და ისევ გაჭირვებულ ყოფაში უნდა ჩავარდნილიყო კაცი (ვ. ბ ა რ ნ.).

**ნიადაგის მომზადება** საჭირო პირობების შექმნა (რისამე განსახორციელებლად). არზაყან დიდხანს ამზადებდა ნიადაგს. ურჩევდა მამას: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“ (კ. გ ა მ ს.) მზადდება ნიადაგი ბრძოლისათვის (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**ნიადაგის მოსინჯვა** რისამე შესაძლებლობის შემოწმება, გასინჯვა, შესწავლა, ვითარების გათვალისწინება. ხარიც და კაციც ნიადაგს სინჯავდა, ერთიმეორის ძალას წონიდა (რ. გ ვ ე ტ.). ამის შემდეგ სცადა გიტამ ამხანაგებში მოესინჯა ნიადაგი (ბ. ჩ ხ.).

**ნიავს არ აკარებს** იხ. დილის სიოს არ აკარებს. დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ, არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ (გ. ტ ა ბ.).

**ნირის შეშლა** წესის არევა, ზნე-ჩვეულების გამოცვლა; განზრახვის, სურვილის შეცვლა. (**ნირი** წესი, რიგი, გეზი, მსვლელობა; ზნე, ჩვევა, ხასიათი). მაგრამ თუ მცირედ მაინც შეერყა კეთილდღეობა და შეეშალა ნირი, მაშინვე მისი სიტკბოება სიმწარედ გარდაიქმნება (ვ. ბ ა რ ნ.). მაშინ შენ თვითონ გაჯიუტდი: აღარ მინდა, აღარ მეამებაო. მე ნირს არ შეგიშლი, თავს შემოგევლე (ვ. ბ ა რ ნ.). ბინდი შემოდგა ოთახში . . ., ფერი უცვალა საგნებს, გარემოს, ხოლო რეზოს განცდას ვერ შეუშალა ნირი, იყო ისე, უკეთურის მომლოდინე (ო. ჩ ხ.).

**ნირის შეცვლა** იხ. ნირის შეშლა. . . . სანამ შეჭარხლებული ბერი და მარაბდელი ერთმანეთს მოიკითხავდნენ, ტყვე-ხალხს ნირი შეეცვალა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). . . . ბარათიანთ ყმებმა ორბელიანების ყმებზე მიიწიეს და უმალვე ნირი შეაცვლევინეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ნიღბის ახდა** იხ. ნიღბის ჩამოგლეჯა. დროა ნიღაბი ავხადოთ იმ ერთს გუნდს, რომლის მეცნიერნი ასეთს ყოფას გვაწვევენ ქართველებს . . . (ი ლ ი ა).

**ნიღბის ჩამოგლეჯა** გამოაშკარავება, გამომჟღავნება, დღის სინათლეზე გამოტანა. მათ ნიღაბი ჩამოგლიჯეს მატყუარა ღმერთებს, ტრაბახა მეომრებს, ცრუპენტელა ხუცებს და ქარაფშუტა პატრიოტებს (კ. გ ა მ ს.).

**ნიღბის ჩამოფარება** დამალვა, დაფარვა, მიჩქმალვა. . . . ამის მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს და არა იგი, რასაც თავმოწონებით უკადრისობენ და თაკილობენ . . . და ზოგნი იმისათვის, რომ საკუთარს უღონობას ნიღაბი ჩამოაფარონ — ბრალი თვით აიცილონ . . . ლიტერატურას დასდევენ (ი ლ ი ა).

**ნიღბის ჩამოხსნა** იხ. ნიღბის ჩამოგლეჯა. ჩვენმა დრომ გააშიშვლა ადამიანი, თუმცა შესაძლოა იგი მუდამ ამგვარი ყოფილიყო, მხოლოდ ნიღაბი ჩამოეხსნათ მისთვის (კ. გ ა მ ს.).

**ნიშადური ამოსცხო** გააქცია, დააფრთხო, გააგდო; გაამწარა, გააღიზიანა. (ელიკომ) ბევრ მოტრფიალეს დასწყვიტა გული მოულოდნელი გაკიცხვით, ბარე ორს, საქმროდ გამზადებულს ამოსცხო ნიშადური და მათი სიყვარული ხიძულვილად გადაიკეთა (ა კ ა კ ი).

**ნიშანში ამოღება** გადაკიდება, ათვალწუნება, მტრული მოქმედების საგნად გახდა, მიზანში ამოღება; ამორჩევა. ვიცით, ნიშანში ვინც ამოუღია ბ-ნს კორესპონდენტს. ახია, რატომ სამსახურში არ მიიღო ბ-ნი კორესპონდენტი! ხომ ქებას დაუწერდა (ი ლ ი ა). მაგრამ ბატონმაც იცოდა, რომ ის ნიშანში ჰყავდათ ამოღებული და ციყვივით ფრთხილობდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). რომელი ბედნიერი ასულისაკენ არის ეს ფიქრი მიმართული, რომელი ბედნიერი ქალის გული აქვს ნიშანში ამოღებული? (ბ ა ნ.).

**ნიშის მოგება.** იხ. ნიშნის მოგება. (ის) ყოველთვის წყენას ბოლომდე მალავდა და როცა საქმეს წამხდარს დაინახავდა, მაშინ გამარჯვებულად თვლიდა თავის თავს და ნიშს უგებდა საქმის მეთაურს (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ნიშის მოგებით** იხ. ნიშნის მოგებით. აზნაურებმა . . . რა გაიგეს როზგი მარტო გლეხების შესახებ არის ნაბრძანებიო, ნიშის მოგებით დაიწყეს ლაპარაკი: — ძაან კაი უქნია, ბატონო! აღარ ჰქონდა გლეხების უთაურობას საზღვარი (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ნიშნის მიგება** იხ. ნიშნის მოგება. (სოსიკას) უნდოდა გაეღიმა, თითქო რაღაც ნიშნი მიეგო მოძალადე ხალხისათვის, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო ამგვარ მდგომარეობაში (ნ. ლ ო მ ).

**ნიშნის მოგება** გამარჯვებულის ტონით რისამე გახსენება, მოგონება. . . . ჯერ ჩემზედ უკეთესი უნდა შეერთო და მერე ჩემთვის ნიშნი მოეგო! (ი ლ ი ა). ესტატე ცას ეწევა სიხარულითა, ნიშნს უგებს სოფელსა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ნიშნის მოგებით** გამარჯვებულის ტონით; დაცინვით, გესლიანად. აბა, სულ ეგრე სტყუი ხოლმე, — უკიჟინა ნიშნის მოგებით გახარებულმა კნეინამ (ი ლ ი ა). თვითონ კი ფეფენას თავს დაადგა და ნიშნის მოგებით ეუბნებოდა: — სად წამიხვალ ახლა, სად წამიხვალ, შე კუდიანო? (დ. კ ლ დ.). ბატონმა რამდენჯერმე გააბოლა, მერე დათუნას აჰხედა და ნიშნის მოგებით ჰკითხა: — ვეჟო, ალექსანდრე დაგიმარცხდა? (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ნოეს მტრედი** საყვარელი, ძვირფასი, უმწიკვლო არსება. (მომდინარეობს ბიბლიური ლეგენდიდან: წარღვნის დროს კიდობანიდან ნოემ ჯერ გაგზავნა ყვავი, რომელიც არ დაბრუნდა უკან, ხოლო შემდეგ მტრედი, იმის გასაგებად — იკლო თუ არა წარღვნამ. მტრედმა სასიხარულო ამბავი მოიტანა, მან ზეთის ხილის რტოს მოტანით ნოეს ამცნო, რომ წყალმა იკლო და ხმელეთი გამოჩნდა). გამიფრინდა ჩემი ნოეს მტრედი (ი ლ ი ა).

# ო

**ოთხში ამოღება** დაუზოგავად ცემა, ჯავრის ამოყრა, შავი დღის დაყრა; გაუჭრელად გატყავება, მთლიანად ტყავის გაძრობა. ეს ისეთი შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ ყმაწვილის „გაროზგვას" არა ერჩია-რა; სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ ოთხში ამოეღო (ა კ ა კ ი). (თარაში) ახლა მზად იყო, ეს სატევარი აელო და ოთხში ამოეღო თავისი ძიძიშვილი ძუძუმტე (ც. გ ა მ ს.). თხის ოთხში ამოღება (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს).

**ორ სკამზე ჯდომა** მერყეობა, უპრინციპობა.

**ორ ცეცხლშუა ყოფნა** გამოუვალ მდგომარეობაში, განსაცდელში ყოფნა, ძნელი არჩევანის წინაშე ყოფნა, ორ წყალშუა დგომა. თქვენ არ იცით, რა მოითხოვოთ ქალისაგან. თუ თავისუფალი ქცევა გამოიჩინა, კახპააო იტყვით, თუ თავი შეიკავა, პურიტანიააო და თქვენ გავიწყდებათ, რომ თქვენი ქალები ორ ცეცხლს შორის არიან (ც. გ ა მ ს.). ვიცი, ქალბატონო, მაგრამ შენს სიცოცხლეს ვფიცავარ, ორ ცეცხლშუა ვარ: გითხრა, შენი აღშფოთების მეშინია და არ გითხრა, იმისაც მეშინია, რომ დაფარვა ცუდად მოგიხდეს (ბ ა ნ.).

**ორ ცეცხლშუა ჩავარდნა** გამოუვალ, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა. ეს ზრახვა მე და მზისახარს გაგვანდო, რითაც დიდად ძნელგასაბედავი დავალების წინ დაგვაყენა. ორ ცეცხლშუა ჩავვარდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა (ბ ა ნ.).

**ორ წყალშუა დარჩენა** გამოუვალ, მძიმე მდგომარეობაში დარჩენა. წასვლით ვერ წავიდოდა . . ., იყო ასე ორ წყალშუა დარჩენილი (ვ ა ჟ ა).

**ორ წყალშუა დგომა** ძნელი არჩევანის წინაშე ყოფნა, გამოუვალ, მძიმე მდგომარეობაში ყოფნა, ორ ცეცხლშუა ყოფნა. ან ჰო, ან სულ არა, აქ ორ წყალშუა დგომა უადგილოა (ი ლ ი ა).

**ორ წყალშუა ყოფნა** იხ. ორ წყალშუა დგომა. ორ წყალშუაა ვაჟკაცი . . . (ვ. ბ ა რ ნ.).

**ორივე მხარეზე კერვა** ერთმანეთის საწინააღმდეგო საქმეების კეთება, ორპირობა, მერყეობა, უპრინციპობა. როცა ადგილი მოიჭმებოდა, ანდა ხრიკიან ადვოკატს, რომელიც ორსავე მხარეზე ჰკერავდა, აბრუ გაუტყდებოდა და არავინ მიეკარებოდა, იგი ადგილს მოინაცვლებდა (დ. კ ლ დ.).

**ორმოს უთხრის** ღალატობს, საფრთხეს უმზადებს, მახეს-უგებს, სამარეს უთხრის. თანდათან შურს და სიხარბეს ნიადაგი ემზადებოდა: მისი ტოლები (ელიკოს) ქვეშ-ქვეშობით ორმოს უთხრიდნენ (ა კ ა კ ი). სამართალს ფულითა ვსჭრიდი, გროშისთვის კაცსა გავყიდდი, თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი (ი ლ ი ა).

**ოხტიდან (ა)მოსვლა** ჯავრის ამოყრა, სამაგიეროს გადახდა. (**ოხტი** მომდინარეობს არაბული სიტყვიდან, მნიშვნელობა: დაპირება, ვალდებულება; ვალი). არ შევარჩენ, მოვალ იმ მეღორის ოხტიდანაც! (ვ. ბ ა რ ნ.). — ისევ ჩვენ თუ ამოვალთ მაგის ოხტიდან, თორემ თქვენ მაგას ვერაფერსაც ვერ დააკლებთ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ოხტში (ა)მოსვლა** იხ. ოხტიდან (ა)მოსვლა. მაიას ოხტში ვერავინ მოხვალთ, ტყუილად შეეჭიდებით! (ი. გ უ ლ ი ს.).

## პ

**პასუხი აგო** თავისი საქციელისა და მოქმედებისათვის პასუხი მოსთხოვეს; დანაშაულისათვის სამსჯავროზე წარსდგა, სასჯელი მიიღო. — ბატონებო, მე გიცხადებთ, რომ ამ საბრალოს სიცოცხლისათვის პასუხს თქვენ აგებთ ღვთისა და კანონის წინაშე ... — ღვთის წინაშე? უკვირს ყაშას. — ხო-ხო! მე ვაგებ პასუხს, მე! (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მაგრამ სულ ერთია, პასუხი ისევ არსენამ უნდა აგოს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**პატივის აყრა** უპატივცემლოდ მოპყრობა, ღირსების ახდა, დამცირება, შეურაცხყოფა; მოქალაქეობრივ უფლებათა ჩამორთმევა, პატივის ახდა. ონოფრეს გამოუცხადეს: აეყაროს ღირსება, პატივი და გაიგზავნოს კატორღაში! (ა. ყ ა ზ ბ.). — მესმის, ძმებო, ყველაფერი. დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში.. . საჭირო არ არის ზედმეტი სიტყვა (ლ. ქ ი ა ჩ.).

**პატივის ახდა** იხ. პატივის აყრა. მსახურებს რომ საჩუქრები დაუგვიანდათ, პატივი ამხადეს და ბრწყინვალებას აღარ მეძახდნენ (ა კ ა კ ი). აი, ამისთანა ნადირ-კაცმა (ჯაყომ) მარგოს ასე ხეპრულად, ასე უდიერად და მხეცურად აჰხადა პატივი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**პატივის დადება** დაფასება, პატივისცემა. მე გთხოვთ, მაგათ თავი დაანებოთ და თქვენს გაუფრთხილებელ სიტყვებსა ცოტაოდენი პატივი დასდვათ ... (ი ლ ი ა). შვილო, თუ რამ ანგარიში გაქვთ, სხვა დროისთვის გადადევი! ... შენს სიმამრს დასდევი პატივი, — განა ფილიპეს გალანძღვა არ იქნება მაგის დათხოვა? (დ. კ ლ დ.).

**პატივს სცემს** აფასებს, პატივით ეპყრობა, ანგარიშს უწევს. მიუხედავად მისი ახირებულობისა, გარეშეებსაც ძალიან უყვარდათ მამაჩემი და მთავრობაც დიდ პატივსა სცემდა სიმართლისა და პირდაპირობისათვის (ა კ ა კ ი). ნუ იუკადრისებ, ამ ჩემს ქალარას ეცი პატივი და დღეს მონაწილეობა მიიღო დოღში (კ. გ ა მ ს.).

**პილატეს ცრემლ(ებ)ი** არაყი, ალკოჰოლიანი სასმელი. თევდორემ შეიპატიჟა გზირი დუქანში, თანაც ორი ჰიჯა პილატეს ცრემლი გადააცეცხლა ... (ვ. ბ ა რ ნ.).

**პირზე აკერია (ვინმე, რამე)** იხ. ენაზე აკერია (ვინმე, რამე). ...თუ თვითონ სიტყვით არ წარმოუთქვამს ეს, ხსოვნით ყოველთვის ახსოვდა, ხოლო დედამისს კი პირზე ეკერა (დ. კ ლ დ.). საწყალს სიზმარშიაც და ცხადლივაც სულ შენ ელანდები, ნიადაგ შენი სახელი აკერია პირზე (მ. ჯ ა ვ ა ხ.)

**პირზე ბოქლომის დადება** იხ. პირზე კლიტის დადება. ... თომა თეკლესაც ერიდებოდა და ქურდივით გაურბოდა, იმ დედაკაცის ღიმილი მას გულში ცეცხლის ქარიშხალს აუტეხავდა ხოლმე, ხოლო წინანდელი უცნაური შიში პირზე ბოქლომს ადებდა და შუბლს ნაოჭებით უკრავდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**პირზე კლიტის დადება** გაჩუმება, დადუმება, ხმის ჩაწყვეტა, ენაზე კლიტის დადება. ერთხელ კიდევ გირჩევ, გამოაცხადე ერთგულება, პირზე კლიტე დაიდე და დადუმდი (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მარტოდ-მარტოდ დარჩენილმა დედაკაცმა გული ჩაიხვია და პირზე კლიტე დაიდო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**პირზე რძე არ შეშრობია** იხ. რძე არ შეშრობია პირზე.

**პირზე ცეცხლის წაკიდება** გაბრაზება, გაცეცხლება, წყენა, გულის მოსვლა. იურის პირზე ცეცხლი წაეკიდა. ასე არაფერი წყენია. ის რომ ახლახან უფლება ახადეს, ის რომ მისი აუგი ასე საჯაროდ გამოიტანეს (შ. დ ა დ.).

**პირი არ დაგწვას!** ვერ მოგართვეს! ვერ ეღირსები! ... მაშ შენ წვინტლიან ორმოცდაათ ათას მანეთად მენავთე ხომ არ გნებავს რომ მოგგვარო ან ლუდის გამყიდველი, პირი არ დაგწვასო (ა. ბ ე ლ.).

**პირი მიჰყო** გალანძღა, გათათხა. ...მაგრამ რა? მგელს სახარება თუნდა წაუკითხე, თუნდა არა. მომყო, ბატონო, პირი... ასე გამხადა, რომ რაღა მოგახსენოთ. რა ვიცი, რაები არ მაკადრა ... (ი ლ ი ა) ... ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ — კაი საქმე იმათ დააწია. მიჰყო პირი და ბრე გაადინა (ი ლ ი ა).

**პირი წყლითა აქვს** სავსე ლაპარაკის, გულის ნადების გამოთქმის შესაძლებლობა არა აქვს.

**პირიდან თაფლი გადმოსდის** ტკბილად, ალერსიანად, სასიამოვნოდ ლაპარაკობს, ტკბილი საუბარი იცის. კარგი რამ იყო მღვდელი ღვთისავარი ... ღრმად მოხუცებულს სულ თაფლი გადმოსდიოდა პირიდან (შ. ა რ ა გ ვ.).

**პირიდან ლუკმის გამოცლა** უკანასკნელ საარსებო საშუალებათა წართმევა, მშრალზე დატოვება. შინ ლუკმას გვაცლიან პირიდან და გარეთ კი ნასუფრალს გვიყრიან ძაღლებსავით (ა კ ა კ ი). ... მანქანამ პირიდან ლუკმა გამოაცალა ცხენის დალალს (კ. გ ა მს.).

**პირიდან შაქარი ამოსდის** იხ. პირიდან თაფლი გადმოსდის. უწინ პირიდან შაქარი ამოსდიოდა, ახლა უკმეხ სიტყვასაც აღარ ზოგავდა (ა. ჭ უ მ ბ.).

**პირიდან ცეცხლს ყრის** განრისხებულია, გააფთრებულია, გაანჩხლებულია, ცოფებს ყრის; ყოჩაღია, მკვირცხლია, შეუპოვარია. ...ვითომ ჯავრობდა და პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა: „როგორ გაბედეს ერისთავებმა ჩემი ურჩობა და დიდებული შაჰ-აბაზის ღალატიო?!" (ა კ ა კ ი). (თეიმურაზი) ჯავრობდა, პირიდან ცეცხლს ყრიდა, მაგრამ საქმეს მაინც არა ეშველა-რა (ნ. ლ ო მ.). აირჩიეთ ვარგებული ყაძახი, ფოლადიანი ბიჭი, რომ ცეცხლს ყრიდეს პირიდან (ჭ. ლ ო მ თ.).

**პირიდან ცოფებს ყრის** იხ. ცოფებს ყრის პირიდან.

**პირის აკვრა** გაჩუმება, დადუმება, განგებ ხმის გაკმენდა, არაფრის თქმა. აბა ეგ მოსათმენია? მაგრამ რაკი სახარებაში ... სწერია ... მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენიო, მეც მოვითმინე, ავიკარ პირი (ი ლ ი ა). ... როცა ბაბუა ტარიელ ნასადილევს თვალს მილულავდა, დიდსა და მცირეს პირი უნდა აეკრა (კ. გ ა მ ს.).

**პირის გატეხა** პირობის დარღვევა, დანაპირების, ნათქვამის შეუსრულებლობა, სიტყვის გატეხა, ღალატი. ... იმ კაცმა ნება მომცა, წადი და ინადირე, კაცი ხმას ვერ გაგცემსო ... პირის გატეხას ხომ არ იკადრებს იმისთანა დიდი კაცი! (ე. ნ ი ნ ო შ.). უთხრან, არსენას დილმის მხრივ ხუთი ათასი გლეხი მოჰყავს და ვიხძლო პირი არ გასტეხოთ და ერთმანეთს არ უღალატოთ-თქო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**პირის გაშავება** თავის შერცხვენა. როგორ? ჩვენ განა მიტომ მოვსულვართ, რომ აქ გვენახა თვალის სეირი? და, სასაცილოდ ღვთისა და კაცის, გავგვიშავდეს და შევვირცხვეს პირი? (ა კ ა კ ი). ქორი ვარ, სხვას რომ მოვტაცო, რად გავიშავო პირი მე? (ა კ ა კ ი).

**პირის გახსნა** ხმის ამოღება, ლაპარაკის დაწყება, კრიჭის გახსნა. კახურმა და კონიაკმა ჩემს „კამარადს" პირი გაუხსნა და აალუღლუღა (მ. ჯ ავ ა ხ.).

**პირის გემო** შეჭამანდი. ... ცოტა ხანს შემდეგ საჭამანდი, ან, როგორც სოფელში იტყვიან, პირის გემო აღარ მოაკლდებოდა სიმონას ოჯახს (ე. ნ ი ნ ო შ.).

**პირის მორიდება** მიტოვება, ხელის აღება, ზურგის შექცევა. რაკი რომ განაწესეს მწერლის ადგილას, ბეჟანმა პირი მოარიდა თავის საწყალს ძმას, აღარ მიიკარა ახლო, ერთხელ სახლიდამაც გააგდო ... (ი ლ ი ა).

**პირის მოშვება** ალაპარაკება, ყბედობის დაწყება. ყველამ პირი მოუშვა და მაშინღა გაჩუმდნენ, როცა მამალმა მეორეჯერ იყივლა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**პირის მოჭერა** განგებ გაჩუმება, არაფრის თქმა (რისამე შესახებ). ... სადა ჰფრენს გონება ბ-ნ ეზოვისა, როცა ჩვენს სანუგეშოზე პირს უჭერს და ძაგებაზე პირსა ჰხსნის (ი ლ ი ა). წამოვიდა ეს დალაქი, აბა რას იტყვის, პირს უჭერს — კრინტს არა ძრავს ... (თ. რ ა ზ ი კ.).

**პირის მოხსნა** დაწყება გაუთავებელი ყბედობისა, ლაქლაქისა. თეიმურაზი სოფლის საერთო ამბავს გამოკითხავდა. ჯაყოც პირს მოიხსნიდა და აღარ გაჩუმდებოდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... ცოტა რომ შენაყრდნენ, გოდერძიმ მოხსნა პირი (შ. დ ა დ.).

**პირის ქარის გაშლა** ალაპარაკება, ხმის ამოღება. (სულის მკითხავს) უფლისაგან აქვს მინიჭებული ძალა, გამოიწვიოს სულები და „პირის ქარი გააშლევინოს“, ე. ი. აალაპარაკოს (ვ ა ჟ ა). მადლობელი ვარ, ჩემო პატრონო, რომ მიკითხე და პირის ქარი გამაშლევინე (ვ ა ჟ ა).

**პირის შეკვრა** შეკავშირება, შეთანხმება (უმთავრესად, ვისიმე წინააღმდეგ სამოქმედოდ). მოსეს მეტადრე იმისი ეშინოდა, რომ მღვდელმა და უნათლოშვილებმა პირი არ შეკრან და მე არ გამცენო (ე. ნ ი ნ ო შ.). ყველამ თურმე პირი შეჰკრეს ქრისტიანების ამოსაჟლეტად ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**პირის შეჩვევა** გათამამება, მოურიდებელი ლაპარაკის დაწყება. თუ თავი გაუყადრე ბრბოს, პირს შეგაჩვევს, აღარად ჩაგაგდებს ... (ა კ ა კ ი).

**პირის წყალი** სინდისი, ნამუსი. ოძელაშვილის ვინაობა და ბინაც ძალიან ბევრმა იცოდა, მაგრამ ხალხს ჯერ შერჩენილი ჰქონდა პირის წყალი და არავინ არ მიდიოდა მაიორთან „ჩვენი არსენას“ გასაყიდავად და ჯაშუშის სახელის საშოვნელად (მ. ჯ ა ვ ა ხ.). — მაშ ივანიჩას უნდა მიათხოვონ ფიქრია? იმ აქლემს? — ჩაიცინა არსენამ ... — მაგრე რიგად გამოელიათ პირის წყალი? ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**პირის წყლის გაშრობა** შერცხვენა, სახელის გატეხა. რომ გახმაურდეს შინაური საქმე, მაშინ ხომ გამიტყდება ნამუსი და გამიშრება პირის წყალი (ა კ ა კ ი).

**პირს იწვავს** ჯავრობს, გაცხარებით ლაპარაკობს, ენას იწვავს. მეტადრე ძლიერ იწვავდა პირს ივანე. დავიღუპეთ, გაგვამხელსო (ა კ ა კ ი). პირს რომ იწვავ, შენ ვილას უნდა უთხრა, უნდო და მოღალატე ხარო, რომ თვითონ ათასჯერ ჩამდგარხარ ძმის ღალატში (ე. ნ ი ნ ო შ.).

**პირს კატა ეცა** გაოცდა, სახტად დარჩა (არასასიამოვნო მოულოდნელობისაგან). ეფრემს პირს კატა ეცა, რადგან ქების მაგივრად დედისაგან სამდურავი მიიღო (ვ ა ჟ ა).

**პირქვე დამხობა (ვისიმე, რისამე)** განადგურება, დათრგუნვა, დამხობა. ამ სახით, გულადმა პროფესორმა გამოილაშქრა ჩვენს „ქართლის

ცხოვრებაზე“, რომ ეს საძირკველი ჩვენს ისტორიულს ვინაობასა და ავკარგიანობას ძირიდამ გამოაცალოს და თვით ვინაობა ჩვენი პირქვე დაამხოს (ი ლ ი ა).

**პირში ბურთის დაცობა** იხ. პირში ბურთის ჩაჩრა. ყველას ადამიანი პირში ბურთს ვერ დაუცობს (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**პირში ბურთის ჩადება** იხ. პირში ბურთის ჩაჩრა. ... გლეხთან პირში ბურთი უნდა გედოსო; თუ ხმას ამოიღებო, კრძალვითა და შიშით უნდა ამოიღოვო, არ უნდა უჩივლო გლეხსაო (ი ლ ი ა).

**პირში ბურთის ჩაჩრა** გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება, რისამე თქმის საშუალების მოსპობა. დროა ჰკუას მოვიდეთ და არ შევუშინდეთ იმ ცრუპენტელა ლიბერალებს ..., რომელნიც განგებ პირში ბურთს გვჩრიან, რომ თავისი ოინბაზობა ... მიაფუჩეჩონ ... (ი ლ ი ა).

**პირში დადგომა** იხ. პირში წადგომა. მაგრამ მელიის ფიცმა ვერ გასჭრა. ათიოდე სანიტარი დაადგა პირში. ყველანი ერთსა და იმავეს იმეორებდნენ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**პირში კაპის ამოდება** გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება, რისამე თქმის საშუალების მოსპობა, პირში ბურთის ჩაჩრა. ამისთანა ფილოსოფიით ატყუონ წინდაუხედავი ბალღები, ჰკვათა-მყოფელს კაცს-კი პირში კაპს ვერ ამოსდებენ, ვერ გააკმენდინებენ ხმას... (ი ლ ი ა). ლიბერალობის ღაღადებით ჩვენ, ქართველებს, ხმას გვაკმენდინებენ ..., რატომ ამავე მიზეზით იმ გუნდს ... პირში კაპს არ ამოსდებენ!.. (ი ლ ი ა).

**პირში ლაგამის ამოდება** იხ. ლაგამის ამოდება. ... ახ, რა ნეტარი დრო იყო! — მაშინ რომ პირში ლაგამი ამომედო, ეხლა მე რა მიჭირდა (ი ლ ი ა), ამ ფიქრებით მიწვა დერეფანში ... და განიზრახა, რომ ლაგამი ამოედო პირში იმ სოფლის ამომგდებ კაცისათვის (ს. მ გ ა ლ ო ბ.). — ჰო და, თუ მეტის-მეტი მოუვიდა, უკან უნდა დავწიოთ და პირში ლაგამი ამოვდოთ, — სთქვა ილამ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**პირში მიფურთხება** დამცირება, შეურაცხყოფის მიყენება. გვცემენ, ხმას არ ვიღებთ, პირში გვაფურთხებენ, ულვაშს გვირცხვენენ ... და ჩვენ გავყრუებულვართ! (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ... ყოველ დღე დიდი და პატარა პირში მაფურთხებთ, მარა ვითმენ, ვითმენ, შვილო ... (კ. გ ა მ ს.).

**პირში მიცემა (ვისიმე)** ძლიერი მოწინააღმდეგის, მტრის ხელში ჩავდება (ვისიმე). ... უჯარო და იარაღაყრილი მესხეთი ერთხელ კიდევ მისცეს პირში ყელამდე ზარბაზნებში ჩამჯდარ მურავიოვს და ვასო ბებუთოვს ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.). (სახლთუხუცესმა) სასახლის ამ ბრაზმორეულ მდგომარეობას მაიზერი აღარ მისცა პირში (ბ ა ნ.).

**პირში მიხლა** უხეშად, უკმეხად თქმა (რისამე). დილას სალამის მოცემამდის გაგლანძღავდა, როგორა ხარ შე მყრალოვო, მოგახლიდა პირში (კ. გ ა მ ს.).

**პირში სული უდგია** ცოცხალია, სული უდგია. განა ამას შევარჩენ ქვეყანას, მინამ კაცი მქვიან, მინამ თავზე ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიდგა! (ი ლ ი ა). . . . ხო ცოცხალია, პირში სული ხომ მაინც უდგია! (ს. მ გ ა-ლ ო ბ.).

**პირში სულის ამოძრობა** იხ. სულის ამოძრობა. . . . როგორ შეუძლია გაბედოს! სულს ამოვაძრობ პირში (ე. ნ ი ნ ო შ.).

**პირში ჩავარდნა (ვისიმე)** (ვისიმე) სალაპარაკოდ, ცუდად ხსენების ობიექტად გახდომა. შენს პირშიაც ნუ ჩავვარდე! . . . (ტ. ს ა ხ.).

**პირში ჩალაგამოვლებული** მოტყუებული, იმედგაცრუებული, ცარიელზე დასმული. ის გლეხებიც, რომლებიც გადაბირებული ჰყავთ და ვითომც ტყეში მონაწილედ ცნობილობდნენ, პირში ჩალაგამოვლებული დასტოვეს და უბაყოდ ერთს ღერს წკნელსაც არ აჭრევინებდნენ (ე. ნ ი ნ ო შ.). — ერთმა ბაღლინჯომ სამ ვაჟკაცს ხანჯალი წაგართვათ და პირში ჩალაგამოვლებული გამოგაგდოთ! სადღა უნდა გაახილოთ ამას შემდეგ თვალი! . . . (ე. ნ ი ნ ო შ.).

**პირში ჩალის გამოვლება** მოტყუება, გაწბილება, იმედის გაცრუება, ხელცარიელი დატოვება, ცარიელზე დასმა. ერთი ხუთიოდ თუმანი მამიგდო, ეს ბე იყოსო. ახლა რა არის? საქმე გაურიგო, მერე აიღოს და, პუპუზ, პირში ჩალა გამომავლოს (ი ლ ი ა). — არა, — სთქვა გიგოლამ, — ერთის მხრიდამ მისვლა არ გამოდგება. როგორ იქნება? წამოხტება და სხვა მხარეს გაგვექცევა, პირში ჩალას გამოგვავლებს .(ვ ა ჟ ა).

**პირში ჩალის გამოსმა** იხ. პირში ჩალის გამოვლება. (ზოგიერთები) პირში ჩალას გამოგვისმენ (ი ლ ი ა).

**პირში წადგომა** დაპირისპირება, მხილება, პირდაპირ თქმა (რისამე). ქურდს მოწმე პირში წაუდგა და საჯაროდ აღიარა მისი ავკაცობა (ტ. ს ა ხ.).

**პირში წყლის დაგუბება** გაჩუმება, ხმის გაკმენდა, არაფრის თქმა. ალბათ, ასე სჯობია, — გაივლო გულში და ამთავითვე გადაწყვიტა პირში წყალი დაეგუბებინა და სხდომაზე კრინტიც არ დაეძრა (ლ. ქ ი ა ჩ.).

**პირში წყლის ჩაყენება** იხ. პირში წყლის დაგუბება. უკანასკნელ დროს განდგომილებმა პირში წყალი ჩაიყენეს, თათბირის შემდეგ კი სულაც მუნჯდებოდნენ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

## ჟ

**ჟამი დარეკავს** დრო დადგება. დარეკავს ჟამი, დამყარდება ზავი საჯარო . . . (ი. ა ბ ა შ.).

**ჟრუანტელის დავლა** იხ. ჟრუანტელის დავლა ტანში. ჟრუანტელი მივლის, როდესაც იმისი მოკაკული ნისკარტი და ალმასავით ბრჭყალები მაგონდება (ვ ა ჟ ა).

**ჟრუანტელის დავლა ტანში** გაჟრჟოლება (რაიმე განცდის გამო). არ ვიცი რათა, მაგრამ სტუმარმა რომ დამიწყო ყურება, ჟრუანტელმა დამიარა ტანში და ამეშალა თმა. გულმა შემიტყო, რომ ჩემ თავზე გროვდებოდა რაღაც უბედურება (დ. ჭ ო ნ ქ.). . . . რომ შევეხედნათ ამ ადგილებისათვის, ჟრუანტელი დაგივლიდათ ტანში, იქამდი რაღაცა მედიდური იდუმალებით სავსე ადგილები იყო (ა. ყ ა ზ ბ.).

**ჟრუანტელის ჩარბენა ტანში** იხ. ჟრუანტელის დავლა ტანში. შედრკა, გაჩუმდა, მოიბუზა; ვიგრძენი, ტანში ჟრუანტელმა ჩაურბინა, მერე მთრთოლვარე ხმით ჩამჩურჩულა . . . (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

## რ

**რა ბედენაა?** რა განსხვავებაა? რა მნიშვნელობა აქვს? სულ ერთია! „სულ ერთია! ეხლა რა ბედენაა ჩემთვის სახელი, პატივი და უმანკოება! რა ოხრად მინდა ან ერთი ან მეორე" . . . (მ. ჯ ა კ ა ხ.). ჰმ! . . . რა ბედენა იყო სიდოს სიტყვის გაგება! განა ისედაც ყველაფერი ნათელი არ იყო?! (ო. ჩ ხ.).

**რა გველი შეუწვა!** რა აწყენინა! რა დაუშავა! საწყალი ქართველები! ნეტა, ვის რა გველი შეუწვეს? (ი ლ ი ა).

**რა თავში იხლის!** რად გამოადგება! რაში სჭირდება! ნეტა რა თავში იხლიან ჯოხებს! (შ. ა რ ა გ ვ.). ჩემთვის უსარგებლო ობიექტივობას და ჭეშმარიტებას რა თავში ვიხლი (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**რა მიწაში ჩავიდეს!** რა ქნას! როგორ მოიქცეს! ახლა რა მიწაში ჩევიდე! დავტიო აქანაი შვიდი ცხენი და წევიდე? მერე მე რავა შემიძლია გადავუხადო პატრონებს, ჩემი ოჯახი არ უუთავდება (ე. ნ ი ნ ო შ.). რა მიწაში ჩავიდე, რა ვქნა?! ორივეს თუ არა, ერთს მაინც წამართმევენ! . . . (ე. ნ ი ნ ო შ.).

**რა შუაშია!** ვალდებული, პასუხისმგებელი არ არის, (მისი) საქმე არაა; (მისი) ბრალი არ არის; (მისი) დამსახურება არ არის. შენ რა შუაში ხარ, რომ მზითევს მპირდები? (ი ლ ი ა). როგორ თუ ხერიპსს ეტყვით და მე არა, აუწია ხმას ბაბუა ტარიელმა, ხერიპსი ვინაა, ხერიპსი რა შუაშია . . .

(კ. გ ა მ ს.). ჩვენ რაღა შუაში ვართ? ესენი ერბოზე გვხრაკავენ, ისინი კი ზეთზე (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**რა ხელი აქვს!** რა უფლება აქვს! რა ესაქმება! რა მისი საქმეა! ჩვენს ცხოვრებას მეცნიერებასთან რა ხელი აქვს და მეცნიერებას ჩვენს ცხოვრებასთან (ი ლ ი ა). — ჩემი ნაწილი მიპატიებია, და რაც შეეხება სხვის ნაწილს, ჰქ, აბა, რა ხელი მაქვს მე! (ე. ნ ი ნ ო შ.).

**რასაც ჩასძახებს, იმასვე ამოიძახებს** მისი ნებასურვილის, მისი კარნახის მიხედვით მოქმედებს, განუსჯელად იმასვე იმეორებს, რასაც ეუბნება, დამოუკიდებლობა არ გააჩნია. ფუქსავატი ფრანგი, რა თქმა უნდა, მახეში გაება და რაც ჩასძახეს, ის ამოიძახა გაუჩხრეკელად, გამოუძიებლად (ი ლ ი ა). ხომ ვიცით, რომ მთავარი ფაღავების სათამაშო პუპუნაა და რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოიძახის ხოლმე (ბ ა ნ.).

**რეტის დასხმა** იხ. თავბრუს დასხმა. „ჩვენც რომ არაფერი გვაქვს მგონი...“ — გაურბინა მას თავში და ამის შიშმა რეტი დაასხა (დ. კ ლ დ.).

**რიგის მიცემა** დარიგება, ჭკუის სწავლება. — რაისთვი ამბობ მაგასა, რაისთვი? აქ იყო, იუფროსო და რიგი მოგვცე, ის არა სჯობს? — წარმოსთქვა წყენით მახიამ. — კარგია-ღა მახიაისი! ... აბა რაღა რიგის მიცემა შეუძლიან ჩემისთანა ავარდნილ-გავარდნილს კაცს? (ა. ყ ა ზ ბ.).

**რის ყოფით** ძლივსძლივობით, გაჭირვებით, წვალებით, ვაივაგლახით; ხმაურით. (გირგოლამ) რის ყოფით გაუგდო ურდული (ა. ყ ა ზ ბ.).

**რიყეზე გაგდება** გარიყვა, საზოგადოებისაგან მოწყვეტა. თავმომწონე' აზნაურმა ფასი არ დასდვა ბატონყმობის გაუქმებისაგან შეცვლილ ცხოვრებას, მის ახალ პირობებს სრულიად წაუყრუა ყური, თითქმის ეჯიუტებოდა მათ ისევ ძველი ცხოვრების მიყოლით, სანამ ამ შებრძოლებამ რიყეზე არ გააგდო ეს მედიდური, ჯიუტი მებატონე ... (დ. კ ლ დ.).

**რკინის ლაგამის ამოდება** იხ. ლაგამის ამოდება. ... როცა ყველაფერს გაათავებს, შვილს კიდევაც დატუქსავს და რკინის ლაგამს ამოსდებს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**რკინის უღელში შებმა (ვისიმე)** გაწამება, დატანჯვა (დიდი შრომით), დაჩაგვრა. შენი ნათესავებიც და მთელი სოფელიც დაიბრიყვე, დაიმორჩილე და რკინის უღელში შეაბი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**რძე არ შეშრობია პირზე** ძალიან პატარაა (ასაკით), ძალიან ახალგაზრდაა, ბავშვია. არც აგრეა საქმე, ძია პეტრე! ამას წინათ გითქომ ჩვენზე სირბილიაანთ ოჯახი რა ოჯახიაო, ერთი ვაჟკაცი გარეთ მუშაობსო, მეორეს ჯერ რძე არ შეშრობია პირზეო (მ. ჯ ა ვ ა ხ.). რა სულელი ხარ! გეტყობა, ჯერ პირზე რძეც არ შეგშრობია. განა მაგისთვის მზე და ჭრაქია საჭირო? (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**რწყილს ატყავებს** უნდა ყველაფერში სარგებელი ნახოს. აქ ჩვენ რწყილსაც ვატყავებთ (ა კ ა კ ი).

**რჯულამდის ჩაყოლა** ჩაცივება, არ მოშვება, ბოლომდე გამორკვევა (რისამე). (მათ?) ამბავი ხომ იცი, რჯულამდის ჩაგყვებიან და მგონი ცისხლეც გაგიშრონ (შ. ა რ ა გ ვ.).

## ს

**სად მარხია ძაღლის თავი!** იხ. სად მარხია ძაღლის კუდი!

**სად მარხია ძაღლის კუდი!** თურმე რაში ყოფილა საქმე! როგორ ყოფილა საქმე! როგორ უშველა პატკანოვმა თავს? აი, ძაღლის კუდი სად მარხია (ი ლ ი ა).

**საერთო ენის გამონახვა (ვინმესთან, რამესთან)** შეთანხმება, შეგუება, საერთო აზრის გამომუშავება (ვინმესთან, რამესთან). ...თქვენ კი გზას იპოვნით, შვილო! საერთო ენასაც გამონახავთ იმათთან (გ. ნ ა ხ უ ც რ.). — მაშ რა უნდა ქნათ? გამოსავალი ხომ უნდა ნახოთ ... ხომ უნდა გამონახოთ ეპოქასთან საერთო ენა (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**საერთო ენის მოძებნა (ვინმესთან, რამესთან)** იხ. საერთო ენის გამონახვა (ვინმესთან, რამესთან). მოხუცები ყოველთვის მოსძებნიან ხოლმე საერთო ენას (კ. გ ა მ ს.).

**საიქიოს გასტუმრება** მოკვლა. ...ერთი მხარე ხალხის მოთავე მოწინააღმდეგეებმა საიქიოს გაისტუმრეს — ღამე დაუხვდნენ ჩუმად გზაში და მოკლეს (ე. ნ ი ნ ო შ.). ამ წმინდანს არა ერთი და ორი ადამიანი გაუსტუმრებია საიქიოს სავსებით უმიზეზოდ ... (კ. გ ა მ ს.).

**საკირე უნთია გულში** იხ. გულში საკირე უნთია.

**საკირეში ჩაგდება** გატანჯვა, გაწამება; დაღუპვა. თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ და მაგდებენ საკირეში (ა კ ა კ ი).

**საკუთარ ფეხზე (და)დგომა** დამოუკიდებლობის მოპოვება. (სპარსეთი) ცდილობს თავისთავი იმდენად გამოაკეთოს, რომ საკუთარ ფეხზე დადგეს (ი ლ ი ა). ამ საქმეში საკუთარ ფეხზე დგანან, არავის რას შველას სთხოვენ (ი ლ ი ა).

**საკუთარ ქერქში გამოხვევა** კარჩაკეტილად ყოფნა. შეუძლია ვისმე შეგვწამოს, ვითომ საკუთარ ქერქში გავხვეულიყოთ და სინათლისა გვეშინოდეს (ი ლ ი ა).

**სამარეს უთხრის** ღალატობს, საფრთხეს უმზადებს, მახეს უგებს, ორმოს უთხრის.

**სამარისკენ იყურება** მალე მოკვდება, მისი დღეები დათვლილია, ცალი ფეხი სამარეში უდგას. კაცი სამარისკენ იყურება, გასათხოვარი ქალები სახლში უსხედან და ამისთანა საქმეებს-კი მიდევს (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**სამარცხვინო ბოძზე გაკვრა** გაკიცხვა, საქვეყნოდ შერცხვენა, გამათრახება. თუ საძრახავს არ ამხელ და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრავ, მაშ რის მაქნისი-ღაა ეგ თქვენი მოწონებული ... ლიბერალობა (ი ლ ი ა). დე, სამარცხვინოს გაგვაკრან ბოძზე, დაწყებულ საქმეს არ მივატოვებთ (ი. ე ვ დ.).

**სამოთხის კარ(ებ)ი გაეღო** ბედნიერება, ნეტარება განიცადა, მეტის-მეტად გაუხარდა (რამე). ... განა ქართველის ერის ძაგებით, [?]ულიერად და ხორციელად წაწყმედით ჩვენ ჩვენის სამოთხის კარი გაგვეღება! (ი ლ ი ა). თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია: სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა, სამოთხის კარები გაეღო ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**სარს ეხევა** თავგამოდებით შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს. — ხეფე მაოუძიძის სიდედრია! — წამოიძახა ეკვირიხეძ—იმას კი აქვს საცმუტურებელი საქმე! აზნოურიშვილი ვარო, სარს ეხევა და საცოდავი, ორ დღეში ერთხელ თუ გაიკეთებს ცხელ საჭმელს (დ. კ ლ დ.).

**სარჩულად უდევს** მიზეზია, საფუძველია (რისამე). ყოველივე ცვლილება, რომელსაც სარჩულად ეს ... აზრი არ დაედება, წყლის ნაყვა იქნება (ი ლ ი ა). მოწონება სარჩულად სიყვარულს ედება ხოლმე და მეც ასე დამემართა (შ. ა რ ა გ ვ.).

**სარჩული უდევს** მიზეზია, საფუძველია (რისამე). ყოველს ცილისწამებას იმისთანა სარჩული უდევს, იმისთანა სათავე აქვს, რომ ყველაფერი ადვილად დასაჯერია და ფიქრად მოსასვლელი (ი ლ ი ა). არავის ჰსურდა განემარტებინა მარაბდის ბატონისთვის, თუ რა სარჩული ედო ხალხთა არევას ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**სასახლე ააგო** წაიქცა, გაიშხლართა. ნაწვიმარი იყო, კაცს ფეხი უცურდებოდა. ამ დროს გამოიარა შოთამ და თქვენი მოწონებული სასახლე ააგო (თ. ს ა ხ.).

**სასახლე მოზომა** იხ. სასახლე ააგო.

**სასწორზე შეგდება (რისამე)** საალალბედოდ, სათუოდ გახდა, საფრთხეში ჩაგდება (რისამე). და განა ერთხელ შეუგდია არზაყანს სასწორზე თავისი ჰაბუკური სიცოცხლე პარტიის დავალებით, პარტიის გულისათვის?! (კ. გ ა მ ს.).

**საფლავის კარამდე** იხ. კუბოს კარამდე. მე კი, როგორც მივლია, საფლავის კარებამდინ ისევ-ისე ვივლი (ი ლ ი ა).

**საფლავს უთხრის** იხ. სამარეს უთხრის. (ისინი) მთელს ქართველს ერს. . . თავზე ლაფს ასხმენ ქვეყნის წინაშე და საფლავს უთხრიან . . . (ი ლ ი ა).

**საქმის გაჭირვება** თავის მობეზრება, გულის გაწყალება. ამასთანავე საქმე გააჭირა მაგ შეჩვენებულმა (ნ. ლ ო მ.). . . . და საქმე რომ **გაუჭირეს**, კიდევაც შეუტია (არსენამ): — ყბა ნუ დამადგით, დამეკარგენით აქედან! (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**საქოლავის აგება** გაკიცხვა, გაკილვა; დასჯა. ლუარსაბ! ცუდი საქმე დაგვემართა, ძმაო! მაგრამ როგორმე უნდა გავასწოროთ. სირცხვილია; ქვეყანა ყბად აგვიღებს, საქოლავს აგვიგებენ (ი ლ ი ა). უი, შე უტვინო, უტვინოვ! ახლა გინდათ, რომ თათქარიძეებს საქოლავი აგვიგონ. ქალი საყდარში მიაყვანინეთ სახელგანთქმულ ოჯახისშვილს . . . და ეხლა უწუნებთ? (ი ლ ი ა).

**საღერღელის აშლა** მოსურვება, მონდომება (რისამე), მადის გაღვიძება. ლუარსაბს . . . სულ ის კალმით ნახატი ქალი აგონდებოდა და ორასთუმნიანი პარკი. საღერღელი მეტად აეშალა, სურვილმა მეტად აადუღა . . . (ი ლ ი ა). დევებმა (მუცელას) შემოხსნეს ხელფეხიდან ხუნდები, აჭამეს ცოტაოდენი პური, თუმც, რომ არ ეჭმიათ, ის ბევრით სჯობდა, რადგან საღერღელი აუშალეს და მომეტებულს ტანჯვაში ჩააგდეს (ვ ა ჟ ა).

**საშველს არ აძლევს** არ ეშვება, ჩააცივდა, არ ასვენებს, აწუხებს. . . . ესაყვედურებოდნენ ყმაწვილები და თან საშველს არ აძლევდნენ, აბა ეს სიმღერა დაიწყე, აბა ისაო (ე. ნ ი ნ ო შ.).

**საწველი (საწველელი) ფური** შემოსავლის, სარგებლის, გამორჩენის წყარო (მოტყუების ან დაბრიყვების საშუალებით). ესა მწყინს მხოლოდ, რადა ვარ სხვის საწველელი ფურია?! (ვ ა ჟ ა).

**სახეზე ალმურის ასვლა** იხ. ალმურის ასვლა (სახეზე).

**სახეზე ღრუბლის გადაფარება** მოწყენა, დასევდიანება, ცხვირის ჩამოშვება. დედოფლის სახეს-კი ღრუბელი გადაეფარა (ა კ ა კ ი).

**სახელის გავარდნა** სახელის მოხვეჭა, ცნობილი, სახელგანთქმული გახდომა, სახელის გათქმა. სიმონას გარდა, კიდევ გაყაჩაღდა რამდენიმე სხვა კაციც, რომელთ სახელი ისე გავარდა, რომ ცოტა უკლდა, პირველობა არ ჩამოართვეს სიმონას ფირალობაში (ე. ნ ი ნ ო შ.). . . მაგრამ ამით მას უფრო კარგი სახელი ჰქონდა ტოლ-ამხანაგებში გავარდნილი (გ. წ ე რ ე თ).

**სახელის გათქმა** იხ. სახელის მოხვეჭა. ამ ხანაში გაითქვა სახელი ამ სახელოვანმა მეფემ მტრებზე გამარჯვებით (ი ლ ი ა). . . . იმათი დაჭერით ის მიიღებდა ჩინს, მადლობას და გაითქვამდა სახელს (ა. ყ ა ზ ბ.). (სამსონი) ცდი-

ლობდა ხალხში პოპულარობის მოსაპოვებლად ორატორული ხელოვნებით გაეთქვა სახელი . . . (ა. ბ ე ლ.).

**სახელის გაკეთება** ავტორიტეტის მოპოვება, სახელის მოხვეჭა. . . . ჩემ ხალხს ვასიამოვნებ, მასთან სახელს გავიკეთებ (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**სახელის გატეხა** შერცხვენა, ავტორიტეტის დაკარგვა, თავის მოჭრა. ეხლა კი ზაალის შესარცხვენად ამოუყვანიათ (გიორგი) საბარათიანოში და მის ფალავნებს საქვეყნოდ უტეხენ სახელს?! (მ. ჯ ა ვ ა ხ.). რამდენი ყმაწვილი ქალი იკლავს თავს სახელის გატეხის შიშით! (ე. ნ ი ნ ო შ.).

**სახელის გაფუჭება** იხ. სახელის გატეხა. ქვეყანა იმას იძახის, გაპატიოსნდა ყარამანიო, და ახლა შენი გულისთვის უნდა გავიფუჭო სახელი? (ა. ბ ე ლ.).

**სახელის დაგდება** იხ. სახელის მოხვეჭა. ბევრიც იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო, სახელი გაითქვა თავისის ვაჟკაცობითა და ქვეყნისათვის თავდადებით (ი ლ ი ა).

**სახელის მოპოვება** იხ. სახელის მოხვეჭა. — უსახელო მაღლობზე მოიპოვეთ სახელი, საფლავს არ ჩაგყოლიათ მტრის ჯავრი და ნაღველი (ხ. ბ ე რ.).

**სახელის მოხვეჭა** ავტორიტეტის მოპოვება, ცნობილი, სახელგანთქმული გახდომა, სახელის გათქმა. ბარაქალა გლეხო, ჩვენც კაცები ვყოფილვართ, ქუდიც გვიტარებია და პატიოსანი სახელიც მოგვიხვეჭია (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მან ქვეყანა მოიარა, სამეცნიერო ხარისხი მიიღო, სახელი მოიხვეჭა და შინ დარჩენილი არზაყან მაინც განაგრძობდა მასთან მეტოქეობას (კ. გ ა მ ს.).

**სახელის წახდენა** იხ. სახელის გატეხა. ეხლა იმან მე რომ დამინახა, მაშინვე მიხვდა, რა კაციცა ვარ, იმიტომ „პოვერნიობა" დაირქვა, სახელი არ წამიხდესო (ი ლ ი ა).

**სახტად დარჩენა** განცვიფრება, გაოცება, გაკვირვება, გაშტერება. პირველ წამში ოტია სახტად დარჩა სონიას ასეთი მოქცევით (დ. კ ლ დ.). მორიგემ მოუხედავად მოხურა ფანჯარა და სახტად დარჩენილმა დავითმა შაქროს გადახედა . . . (ა. ბ ე ლ.).

**სეირის ჩვენება** შავი დღის დაყრა, თამაშას ჩვენება. ჰაი, თუ ღმერთმა გადამარჩინა ამ უბედურებას, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, გასწავლით ჭკუას! . . . (ვ ა ჟ ა). ხვალინდელი დღე შორს აღარაა და ხვალ აჩვენებს იგი სეირს თარაშ ემხვარს . . . (კ. გ ა მ ს.).

**სეირს აყურებინებს** სეირს უჩვენებს, შავ დღეს დააყრის. ...მობრძანდი და ხელი მომკიდე, თუ გულს გერჩის, და შენს სეირს გაყურებინებ! (ა კ ა კ ი). ... მაგრამ მოვიდეს ერთი ნიაღვარი, გაყურებინებთ სეირს (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**სინსილის გაწყვეტა** განადგურება, მოსპობა, მუსრის გავლება. ... მუცელა არ იყო გლახაკთ მოწყალე და სადაც მოასწრებდა, სინსილას უწყვეტდა იმათ (ვ ა ჟ ა).

**სისხლი სწყურია** ვისიმე მოკვლა, სისხლის დაღვრა სურს. ჩაჩნებიც სულ ალესილი და თვალებში სისხლმორეულნი დააქროლებდნენ ცხენებს სოფელ-სოფელ, სისხლი სწყუროდათ, მაგრამ ხალხი ისე იყო გაწვრთნილი, რომ ცხად მიზეზს არ აძლევდა სისხლის წყურვილის მოკვლისათვის (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ძმის მკვლელის სისხლი სწყურია, კაცი რომ მოდის გზაზედა (ვ ა ჟ ა).

**სისხლი უდუღს** ძალ-ღონით სავსეა, ენერგიულია, მკვირცხლია. ყმაწვილებო ხართ ჯერ თქვენ ორთავ, საწყლებო, სისხლი გიდუღთ, — უპასუხა მოხუცმა ორთავ (დ. ჭ ო ნ ქ.). იყუჩე, ვაჟო! შენ ჯერ ბავშვი ხარ და სისხლი გიდუღს! (ა. ყ ა ზ ბ.):

**სისხლის ამღვრევა** იხ. გულის ამღვრევა. დამეხსენ, ... სისხლს ნუ ამიმღვრევ ავადა! (ვ ა ჟ ა). აემღვრა სისხლი საბრალოს, გულში აღეძრა მტერობა (ვ ა ჟ ა).

**სისხლის აღება** შურისძიება, მკვლელობისათვის სამაგიეროს გადახდა, მკვლელის ან მისი ახლობლის მოკვლა. მე გახლავარ ზახვა ფულავა! გაიგოს მთელმა ქვეყანამ, რომ მცოდნია ვაჟკაცურად სისხლის აღება! (გ. წ.ე რ ე თ.). ამ დიდმა ბატონმა მოუკლა ამ კოჭლ მათხოვარს ღვიძლი ძმა და ძმამ ძმის სისხლი უნდა აიღოს (კ. გ ა მ ს.).

**სისხლის აღელვება** აღშფოთება, აღელვება; აღტყინება, აგზნება. ისე ამიღელდა სისხლი, რომ ის ქალი უნდა დამნებდეს (ე. ნ ი ნ ო შ.).

**სისხლის აჩქროლება** იხ. სისხლის აღელვება. ღეჭიაშვილს სისხლი აუჩქროლდა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**სისხლის გამოწოვა** გაყვლეფა, ექსპლუატაციის გაწევა. — რაღა ჯაყოს მიეშველე? — იკითხა ილამ. — განა ის კი არ ეყოფა ამ წურბელას, რაც სისხლი გამოგვწოვა?! (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**სისხლის გაშრობა** გამწარება, გატანჯვა, შეწუხება, გაწვალება, გულის გაწყალება. ... საზიზღარი ღალატი თვით ბატონიშვილისა და იმის მახლობელთაგან ხომ ისეც სისხლს უშრობდნენ მოხუც გმირს (ვ. ბ ა რ ნ.). (მათი)

ამბავი ხომ იცი, რჯულამდის ჩაგყვებიან და მგონი სისხლიც გაგიშრონ (შ. ა რ ა გ ვ.). მართალია, ბევრი მაზარალეს, ბევრჯერ სისხლიც გამიშრეს, მაგრამ ... ვაჭრობის ნებას მაძლევენ ... და მეც ისევ სული მოვითქვი (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**სისხლის დალევა (ვისიმე)** შურისძიება, მოკვლა (ვისიმე). — მეც მომეცით იარაღი! ერთის სისხლი მაინც დავლიო და მერე რაიც უნდა მომივიდეს! — დაიძახა იაგომ ... (ა. ყ ა ზ ბ.). — გამიშვით! — დაიღრიალა ომანმა. — გამიშვით, დამალევიეთ მაგის სისხლი ... (დ. კ ლ დ.).

**სისხლის თავში ავარდნა** გაბრაზება, აღშფოთება, გაშმაგება; შეშინება, შეძრწუნება. დადიანს სისხლი თავში აუვარდა. რას ამბობენ? დაარღვიეს კანონი დაწინდვისა? წყევლა-კრულვაც მოგვაყოლეს? ვერა, მაგით ვერ შეგვაშინებთ! (შ. დ ა დ.). ... და უბრძანა: „როზგიო!“ მე, ამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა და გაქცევა დავაპირე (ა კ ა კ ი). დარიას შიშისაგან სისხლი აუვარდა თავში, ისე რომ ვერც ხმა ამოიღო და ვერც ხელი გაანძრია (ე. ნ ი ნ ო შ.).

**სისხლის მოწოლა** განრისხება, გაბრაზება, სისხლის თავში ავარდნა. სისხლი მოაწვა მხარგრძელსა, გული ქარ-ცეცხლით აევსო (ლ. ა ს ა თ.).

**სისხლის მსმელი** ჯალათი, მკვლელი. ნეტა სისხლის მსმელ მტერს მეც მოვეკალი! ... (ვ ა ჟ ა).

**სისხლის სმა** შურისძიება, მკვლელობის ჩადენა, სისხლის დალევა. იგი გულარეული ფიქრობდა, თუ როგორ მივიდა ქრისტიანობა ადამიანის სისხლის სმის კულტამდის ... (კ. გ ა მ ს.).

**სისხლის ტვინში ავარდნა** იხ. სისხლის თავში ავარდნა. ქალი რომ დაზგას მოახლოვდა და კარგად გავსინჯე, სისხლი ტვინში ამივარდა (ი ლ ი ა).

**სისხლის ყელში მოსვლა** იხ. სისხლის ყელში მოწოლა. (ლუარსაბს) ესმის, რომ ... დავითი და ელისაბედი იცინიან, ჰხტიან და ლუარსაბის ავეჯეულობა თავის სახლში გადააქვთ. ლუარსაბს სისხლი ყელში მოსდის ... (ი ლ ი ა). — გირგოლაუ! რაი მმართებს შენი? გამიშვი, მომშორდი, თორემ, ღვთის მადლსა, სისხლი მოვიდა ყელში! — გაანჩხლებით და კბილების ღრჭიალით უთხრა იაგომ (ა. ყ ა ზ ბ.).

**სისხლის ყელში მოწოლა** გაბრაზება, გაშმაგება, ბოღმის მოწოლა. — სისხლი ყელში მომაწვა და თვალთ დამიბნელდა. სავსე ჩარექა ავიტაცე, დასარტყმელად გავაქან-გამოვაქანე და ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.). გული მოსდის, ბრაზდება, სისხლი ყელში აწვება (თ. რ ა ზ ი კ.).

**სისხლის ჩამოგდება** მტრობის გაღვივება, შუღლის ჩამოგდება. ლამის ... ძმათა შორის სისხლი ჩამოაგდოს (ი ლ ი ა).

**სისხლში ჩახრჩობა (ვისიმე)** დახოცვა, გაჟლეტა (ვისიმე). ...ეგ მყვირალა ფრაზები მხოლოდ მაგათ გაბატონებას ემსახურება, მუშებსა და გლეხებს კი სისხლში ჩაახრჩობენ (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**სისხლში ხელის გასვრა** მკვლელობის ჩადენა, ადამიანის მოკვლა. მე, გაბრიელს, კაცის კვლის ცოდვა უნდა დამდებოდა?! მე კაცის სისხლში უნდა გამესვარა ხელი? (ი ლ ი ა). მოძმის სისხლში ხელს თუ ისვრი, მაშ დაგხვდები მეც მეფურად, სასიკვდილოდ გაგიმეტებ, ნუღა გიკვირს ჩემგან ნურად (ბ კ ა კ ი).

**სისხლ-ხორცში გაჯდომა (რისამე)** შესისხლხორცება, მტკიცე ჩვეულებად გადაქცევა (რისამე). იცის სოფელმა, ეს ნაკლი აქვს, მაგრამ ვერ აძოუფხვრია მაიხც, სისხლ-ხორცში გასჯდომია (ვ ა ჟ ა).

**სიტყვა მოუჭრა** მოკლედ უთხრა, მოკლედ უპასუხა, სხარტი პასუხით შეაწყვეტინა ლაპარაკი. ამ ნიშნით, მე სიტყვა მოვუჭერ კიდეც: ნახევარი ჩემის ობლებისაა-მეთქი (ი ლ ი ა).— მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, და აწი, როგორც გინდა ისე გადაწყვიტე, — მოუჭრა სიტყვა დესპინემ (ე. ნ ი ნ ო შ.).

**სიტყვის ბაგეზე შეყინვა** იხ. სიტყვის ტუჩზე შეყინვა. უძრავად იდგნენ წარჩინებულნი, შეჰყინოდათ სიტყვა ბაგეზედ (ვ. ბ ა რ ნ.).

**სიტყვის ბანზე აგდება** საუბრის თემის განზრახ შეცვლა (მისი მიფუჩეჩების მიზნით), სათანადო პასუხის გაცემის ნაცვლად საუბრის უეცრად სხვა საგანზე დაწყება. — კარგი, სიტყვა ბანზე ნუ აგდე, შენ გეუბნები! (დ. ჭ ო ნ ქ.). რამდენჯერ უცდია კიდევაც არზაყანს გამოეკითხა მისი აზრი თარაშის ნათქვამის გამო, მაგრამ თამარი ან სდუმდა, ან ბანზე აუგდებდა სიტყვას (კ. გ ა მ ს.). — რა უფრო გიკვირს, — მიპასუხე ეხლავე ... სიტყვას ბანზე ნუ აგდებ (გ. ნ ა ხ უ ც რ,).

**სიტყვის ბანზე ასროლა** იხ. სიტყვის ბანზე აგდება. ... კოტე სიცილით უპასუხებდა: „რა ვიცი, ამდენ თრევაში ათასგვარ ქეცს და მუნს წააწყდება კაციო“. — მერე სიტყვას ბანზე აისროდა და სხვა რაზედმე დაიწყებდა ლაპარაკს (ე. ნ ი ნ ო შ.).

**სიტყვის ბანზე გადაგდება** იხ. სიტყვის ბანზე აგდება. დარეჯანმა იგრძნო, რომ ლუარსაბმა საბუთიანად დაიჭირა და შერცხვენილმა ბანზედ სიტყვა გადააგდო (ი ლ ი ა).

**სიტყვის გატეხა** დანაპირების, ნათქვამის შეუსრულებლობა, პირობის დარღვევა, პირის გატეხა. ჯერანს შენც კარგათ იცნობ, რა პირის ბიჭია. რომ იტყვის, მერე სიტყვას აღარ გატეხს (ე. ნ ი ნ ო შ.). ... დაჰპირდნენ, შვიდ წელიწადს არავითარ ხარკს არ გამოგართმევთო; მაგრამ მაშინვე გასტეხეს სიტყვა და წინდაწინვე ორი წლის ხარკი გადაახდევინეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**სიტყვის გაშრობა** ხმის ჩაწყვეტა, ლაპარაკის ვერ მოხერხება. სიტყვა გაუშრა პლატონს (დ. კ ლ დ.).

**სიტყვის ენაზე დარჩენა** განზრახული სათქმელის რაიმე მიზეზის გამო ვერ თქმა, სათქმელის ვერ დასრულება. სოფონსაც უნდოდა ეთქვა რაღაცა, ის იყო დააღო პირი სალაპარაკოდ, მაგრამ მწერალმა დაასწრო ლაპარაკი და სოფონს სიტყვა ენაზე დარჩა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**სიტყვის მიცემა** დაპირება, პირობის მიცემა. სონიამ სიტყვა მისცა, უსათუოდ მოვალო და ვნახავ ბიძასო (დ. კ ლ დ.). (ჯერანი) რომ იტყვის, მერე სიტყვას აღარ გატეხს. მე და ლუდამისს ორივეს სიტყვა მოგვცა. ახლა რაღა გვიღალატებს! (ე. ნ ი ნ ო შ.).

**სიტყვის პირზე შეშრობა** უეცრად ხმის ჩაწყვეტა, ვერაფრის თქმა, სიტყვის გაშრობა. — მერე, ბატონო, ისევ ბურდუხანი შეგვეკითხა: აბა რომელს იეგიძლიათ ასეთი შესაწირი გაიღოთო. ყველა წავხდით, სიტყვა პირზე შეგვაშრა (ბ ა ნ.).

**სიტყვის ტუჩზე შეყინვა** უცაბედად, სათქმელის დაუმთავრებლად ხმის ჩაწყვეტა, სიტყვის პირზე შეშრობა. სიტყვა ტუჩზე შემეყინა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**სიტყვის შებრუნება** შეპასუხება, შეკამათება. ჯარში ის არ იყო შეჩვეული სიტყვის შებრუნებას (ა. ბ ე ლ.).

**სიტყვის შენახვა** დაპირების შესრულება, პირის გაუტეხლობა. (ბარათაშვილი) ველარ ... შეძლებდა თქმის ასრულებას: განქორწინებას და მანამდის სიტყვის შენახვას (ვ. ბ ა რ ნ.).

**სიტყვის შორს გადაგდება** იხ. სიტყვის ბანზე აგდება. — მართლაცდა, ძილში ლაპარაკობდი, — შორს გადაუგდო სიტყვა გიორგიმ (ი ლ ი ა).

**სიტყვის ჩამოგდება (ვინმეზე, რამეზე)** ლაპარაკის დაწყება (ვინმეზე, რამეზე), ხსენება (ვისიმე, რისამე). ჩამოუგდე სიტყვა შენებურად... მოელაპარაკე ... შეაჯერე ... ეგებ შენი გეიგონოს ... (დ. კ ლ დ.): ძაბულიმ ისევ თამარზე ჩამოაგდო სიტყვა (კ. გ ა მ ს.).

**სიტყვის ჩამორთმევა** ვისთვისმე საუბრის შეწყვეტინება და თვითონ განგრძობა (ჩვეულებრივ, იმავე თემაზე); პირობის ჩამორთმევა. — თქვენ ბრძანეთ, — ჩამოვართვი სიტყვა, — თქვენ ბრძანეთ, ქართველობა დიდი უბედურება არ არისო (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... აქ გადავწყვიტე ამ საქმეში თვითონ ჩავრეულიყავ, ამ ენამრავალ და ენაარეულ თამადისათვის სიტყვა ჩამომერთმია, რადგანაც მხოლოდ მოკლედ თქმაში გამოჩნდება ოსტატი (კ. გ ა მ ს.). (თემურმა) სიტყვა ჩამოართვა თარაშს, მურყვანობისათვის მახვშის კოშკში მობრუნებულიყო (კ. გ ა მ ს.).

**სიქის გაცლა** ძალიან დაღლა, დაქანცვა. რაზმელები დავლურსა და ლეკურს უვლიან, ერთმანეთს ეჯიბრებიან და საწყალ მარინეს ცეკვით სიქას აცლიან (მ. ჯ ა ვ ა ხ.). თქვენ-კი თქვენს მოჯამაგირეებს სიქას აცლიდით (ს. შ ა ნ შ.).

**სიცოცხლის მოსწრაფება** (ვისიმე) სიკვდილისათვის ხელის შეწყობა, სიკვდილის მოახლოება, დღის მოსწრაფება. — დედის იმედი აღარა მაქვს! თავს ვუშველოთ რამე: ასე ხელფეხ შებორკილი უმოძრაობა ჩვენც მოგვისწრაფავს სიცოცხლეს (ნ. ლ ო რ თ ქ.). ჯერ კიდევ ტფილისში გაიგო ყველამ ეს ამბავი. განა ბატონიშვილები მაშინ იქ არ იყვნენ? აკი მაგან მოუსწრაფა კიდეც გიორგის სიცოცხლე (შ. დ ა დ.).

**სოროში შეძრომა** დამალვა, მიმალვა. . . . იქნება სხვა კი გააბრიყვონ, თვითონ სოროში შეძვრნენ და აძ სახით სხვისის ხელით ნარი ჰგლიჯონ (ი ლ ი ა).

**სული განუტევა** მოკვდა, გარდაიცვალა. ესმამ ძლივს, გაუგებრად ამოიყრანტალა იერემიას სახელი და სული განუტევა (გ. წ ე რ ე თ.). (ქრისტინემ) ერთი კვირის ავადმყოფობის შემდეგ განუტევა სული თბილისის საავადმყოფოში (ე. ნ ი ნ ო შ.).

**სული და გული (ვისიმე, რისამე)** სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი (რისამე), ყურადღების ცენტრში მყოფი; საყვარელი, ძვირფასი (ვინმე); საფუძველი, არსი (რისამე). . . . ალექსანდრე შეიქნა სული და გული თბილისელების საზოგადოებისა (რ. ე რ ი ს თ.). ის იყო პეპიას სული და გული (ი ლ ი ა). (წესდებამ) ამით უარყო პირადი თანასწორობა კანონის წინაშე, თანასწორობა, რომელიც სული და გულია ყოველის წყობისა და ნამეტნავად თვითმმართველობისა (ი ლ ი ა).

**სული ვერ დაბერა** ვერაფერი გაბედა, ხმაც ვერ ამოიღო, კრინტიც ვერ დაძრა (იხ. სულის დაბერვა). ეს ადგილიც . . . ჩვენი იყო, მარა ბიძამისმა ომანმა წაართვა შენს ქმარს . . . ახლა იყვეს საქმე, ნახავდა რავა წაართმევდა ჩემს შვილს მაგას და აწი ხომ სულსაც ველარ დაბერავს (დ. კ ლ დ.).

**სული კბილით უჭირავს** ძლივს ითმენს, ძლივს იკავებს თავს; ცუდ დღეშია, სიკვდილის პირზეა მისული. ბუნებით თავდაჭერილს სული კბილით ეჭირა და როცა მისი გვარიც ახსენა თარაშ ემხვარმა, ჩალმაზი სავსებით დარწმუნდა, რომ ისინი მასაც აძაგებდნენ (კ. გ ა მ ს.). ოცი წელი ხომ მაინც შენი ყმა და მუშა ვიყავი, შე კაი კაცო, — ერთი-ორი კვირა რა გაგიხდებოდა, რომ შეგენახე! მე ხომ, ეს არის, სული კბილით მიჭირავს და, საცაა გადავბრუნდები და მოვკვდები (ვ a ჟ ა).

**სული მისდის** ძალიან სურს, ძალიან უნდა (რამე); ვერ ითმენს, მოთმინების ფიალა ევსება. ამ სიზმრის შემდეგ, თუმცა სული მიმდიოდა მენახა, მაგრამ ხუთი დღის განმავლობაში ველარსად შევხვდი თინათინს... (ა კ ა-

კ ი). მე, რასაკვირველია, სული მიმდიოდა შაქარზე, მაგრამ ვინ მაჭმევდა? (ა კ ა კ ი). იმ ღამეს ბახვა სულ ესმაზე ფიქრობდა, სული მისდიოდა, სანამ სალომეს და ესმას ნახავდა: მის დღეში ამისთანა მოუთმენლობა მას არ შემთხვევია (გ. წ ე რ ე თ.).

**სული უდგია** ცოცხალია, არსებობს, პირში სული უდგია. იმითი გვიდგა სული, თორემ ჩვენ რა ვიქნებოდით (ი ლ ი ა). დაგვირჩა შენი თავი! ვცოცხლობთ, ღვთის მადლით, ჯერ კიდევ სული გვიდგია (ა. ყ ა ზ ბ.).

**სული უკაწკაწებს** ძალიან სურს, ძალიან უნდა (რამე), სული მისდის (რამეზე). (იაშას) სული ... უკაწკაწებდა, რომ ამხანაგების სახეებზე წაეკითხა იმათი გულის პასუხი (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**სულით დაცემა** სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა, მხნეობის დაკარგვა, გულის გატეხა; ზნეობრივად დაცემა, გარყვნა. ... თუ ადამიანი მართლა გმირი და გულადია, გაუძლებს, არ დაეცემა სულით (ე. ნ ი ნ ო შ.). სულით დაცემული (გელა) გრძნობდა თავის დამარცხებას (ა. ყ ა ზ ბ.).

**სულით ხორცამდე გაცლა** ყველაფრის წართმევა, გაყვლეფა, ცარიელზე დასმა. ხელახლა წამომიარა, სულით ხორცამდის გამცალა, ხათლია-მამასახლისმა ერთ თუნგ არაყში გამცვალა (რ. ე რ ი ს თ.).

**სულის ამოთქმა** იხ. სულის მოთქმა. — ბატონო, დედოფლის ბაგეზე გაყინული მხიარულება და ტკბილი ღიმილი ეს ორი დღეა კვლავ გაცოცხლდა და სასახლემაც სული ამოითქვა (ბ ა ნ.). სული ამოითქვა უტანდარმა (შ. დ ა დ.).

**სულის ამორთმევა** გაწვალება, გაწამება, გატანჯვა, სულის ამოხდა. დამაცადოს მაგ გაშტერებულმა და თუ ბეგარაში სული არ ამოვართვი, მე გირგოლაი არ ვიქნები! — დაემუქრა იასაული (ა. ყ ა ზ ბ.). — ე მანდ გვიჩივლებს და სულ, აი, სატუსაღოში ამოგვართმევენ სულსა (ნ. ლ ო მ.). — ვეჟო, ამაზე მეტი აღარ შემიძლიან! სული ნუ ამომართვი! — ჰკვნესოდა და ჰკიოდა ზაალი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**სულის ამოძრობა** გაწვალება, გაწამება, სიკვდილის პირამდე მიყვანა; მოკვლა. ... თუ ხარ, მაგრე იყავი. თუ არა და სულს ამოგაძრობთ, ამ საათში გაგამტვერებთ. ოჰ, სულის ამოძრობა! გამტვერება! საშინელი სიტყვებია მუცელას ყურებისათვის (ვ ა ჟ ა). — რას გაგიჟებულხარ? ... არა, რომ აქავ სული ამომაძრო, მაინც არ გაგიშვებ, — ჩაატანა ჩოხაში ხელი (გ. წ ე რ ე თ.).

**სულის ამოხდა** მოკვლა; გაწვალება, გაწამება შეწუხება, სიკვდილის პირამდე მიყვანა, სულის ამორთმევა. ... სპილენძის ტყვია მომარტყი, სპილენძისა, უსისხლოდ სული ამომხადე, ურჯულო ლეკსავით დამკალი (ი ლ ი ა). — რაი-და გითხრა ჩვენი სიბედშავის მეტი! ... გვახრჩობენ, სულსა გვხდიან და ჩვენ კი გაჩუმებულები ვართ (ა. ყ ა ზ ბ.). მამულს წაართვეს სინათლე თვალის, სურთ ამოჰხადონ სულიც ძლიერი (ხ. ბ ე რ.).

**სულის ამოხდომა** სიკვდილი, სულის დალევა. ამ გამომშვიდობებაში ისე ამოხდა სული მოხუცებულს, რომ ვერც კი გაიგეს. იგი მიიცვალა წყნარად, მშვიდობიანად, უშფოთველად (დ. კ ლ დ.). იმას ვეღარ ნახავ. წუხელ ამოხდა სული საწყალს (ა. ბ ე ლ .).

**სულის ამღვრევა** აფორიაქება, ხასიათის გაფუჭება, გულის მოსვლა, გულის აძღვრევა. ... არხეინად იყავი, ეგ მტრედის გული დაიმშვიდე, **ნუ გაბოროტდები** და სულს ნუ აიმღვრევ (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... ასე ამბობენ .., ალბათ შორი იქნება, მაგრამ ... თათრები ამბობენ... ხალხს სულს უმღვრევენ და... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**სულის გავარდნა** სიკვდილი, სულის ამოხდომა. ვგონებ, სულიც გაგვარდეს, თუ გეცი გულმოსული (ა კ ა კ ი).

**სულის გაქმენდა** გაჩუმება, დადუმება, განაბვა, ხმის გაქმენდა. ყველამ სული გაქმინდა. დაიჭექა თოფმა ... და ... (ა კ ა კ ი).

**სულის განაბვა** სუნთქვის შეკვრა და გაჩუმება, განაბვა, დადუმება, სულის გატვრენა. ფრინველთ ხმა გაქმინდეს, ბუზების ფრენა ისმოდა, ყვავილთ სული განაბეს და მოტრფიალე თვალებით შესცქეროდნენ მგრძანს (ვ ა ჟ ა). ნუნუმ სული განაბა, როგორც მტრედმა ქორის კლანჭებში (ა. ყ ა ზ ბ.). გიგომ ერთი კი შეხედა ვანოსა და შემდეგ დაუსვა ხანჯალი ძროხის ყელსა. ხალხმა სული განაბა (ნ. ლ ო მ.).

**სულის გატვრენა** გაჩუმება, დადუმება, ხმის გაქმენდა, სულის განაბვა. ... ყური დავუგდე, ღობეს ლაწა-ლუწი აადინა და გაფრინდა ღობეს გადაღმა ... გავტრუნე სული — ფშვინვა შამომესმა (რ. ე რ ი ს თ.). სიკოს მოესმა ბაღის ღობეზე, ერთ ადგილას წკაპაწკუპი ... სიკომ გატვრინა სული. გაპარვა ახლა შეუმჩნევლად აღარ შეიძლებოდა (ე. ნ ი ნ ო შ.). ... დეკემბრის გაფიცვის დამარცხებისა და ნაძალადევში ცხრა მუშის მოკვლის შემდეგ მან სრულიად გატვრინა სული და ერთად შეგროვილ სამ კაცსაც აღარ ეკარებოდა შიშით (გ. ნ ა ხ უ ც რ .).

**სულის გატყვერა** იხ. სულის გატვრენა. ... ამ ფიქრებში იყო ბეჟანა, რომ მისმა მახვილმა ყურებმა გაიგონა შორს რაღაც ხმაურობა. ბეჟანამ გატყვერა სული (ე. ნ ი ნ ო შ.). — დედაკაცო, რომ გატყვირე ახლა სული, შენ ვერ მონახავ ქიაფს? (ე. ნ ი ნ ო შ.).

**სულის გაფრთხობა** სიკვდილი, სულის ამოხდომა, სულის გაცხება. იმ წამს დათიკო რომ დამენახა ..., იმის დანახვა და იმის სულის გაფრთხობა ერთი იქნებოდა (ი ლ ი ა). ისიც დიდი უნარია ტირაცუასაგან, რომ ... შიშით სული იქავ არ გააფრთხო (ი ლ ი ა).

**სულის გაფრთხობინება** მოკვლა, სულის გაცხებინება. „ერთი ფეხი საფლავში მიდგას, დღესა თუ ხვალ ჩემი სულთამხუთავი მოვა და სულს გამა-

ფრთხობინებს (ი ლ ი ა). ... ნისკარტდაღებული არწივი ეძგერა მელას და ერთს წამს სული გააფრთხობინა (ვ ა ჟ ა).

**სულის გაცხება** სიკვდილი, სულის დალევა, სულის გაფრთხობა. (ივანიცკი) გაება რაღაც საზიზღარ საქმეში. ... სამსახურიდან დაითხოვეს და მალეც სული გაცხო (დ. კ ლ დ.).

**სულის გაცხებინება** მოკვლა, სულის გაფრთხობინება. ... ურჯულო! ... ურჯულო! ოუშვი მეთქი, ნუ მიკლავ შვილს ... მითქვამს შენთვის! თავი გაანებე, თვარა ეს არის გაგაცხებინე სული! ... (დ. კ ლ დ.). აიღო კეტი, დაარტყა და სული გააცხებინა (ა კ ა კ ი).

**სულის დაბერვა** გაბედვა (რისამე), ხმის ამოღება, კრინტის დაძვრა. ამხანაგებს რომ მაგისი (იერემიასი) ეშინოდათ, უფროსებისაც არ ეშინოდათ ისე! ყველამ იცოდა, რომ მეკონტრაბანდეების ამყოლი იყო, მაგრამ ვის შეეძლო სულის დაბერვა? ... (გ. წ ე რ ე თ.).

**სულის დალევა** სიკვდილი, სულის ამოხდომა. ბლაღოჩინი დასწვდა წამოსაყენებლად, მაგრამ გლახას, ისე პირქვე დამხობილსა, სული დაელია კიდეც (ი ლ ი ა). არ გიჯობსთ, რომ წინაღუდგეთ უწმინდურს და ბრძოლაში დალიოთ სული? (ა კ ა კ ი). ოსი გაუნძრევლად, ხმაამოუღებლად დაეცა; იმან ამოსუნთქვაც კი ვეღარ მოასწრო, ისე დალია სული (ა. ყ ა ზ ბ.).

**სულის დალევინება** მოკვლა, სულის ამოხდა. ძერა ხან ერთგან ჩაჯდებოდა, ხან სხვაგან და ჩაჰკრავდა ტრედს ნისკარტს თავში, რომ სული დაელევინებინა (ვ ა ჟ ა).

**სულის დამძიმება** სათაკილოს რისამე ჩადენა, შეცოდება. ... მაგისათვის ჩემს სულს როგორ დავუმძიმებ! (ი ლ ი ა). ამ სიბერის დროს სულს ვეღარ დავიმძიმებ! (ს. შ ა ნ შ.).

**სულის მიბარება** სიკვდილი, სულის დალევა. სჯობია უწვალებლად მიაბაროს სული, — მიუგო დემეტრემ (ი ლ ი ა).

**სულის მობრუნება** შესვენება, სულის მოთქმა; მოსულიერება, მომჯობინება (ავადმყოფისა, დასუსტებულისა). როდესაც ცოტათი გათბა და სული მოიბრუნა, ის წამოდგა და ისევ გარეთ გავიდა ... (ა. ყ ა ზ ბ.). გოგია დიდხანს იწვა გაუნძრევლად, ბოლოს მოიბრუნა სული და ძლივს გასაგონად წამოიძახა: „ნენავ მომეხმარე!“ (ე. ნ ი ნ ო შ.). (გოგიას) მოცლა აღარც-კი ჰქონდა, რომ ცოტა ხანს შეესვენა და სული მოებრუნებინა (შ. ა რ ა გ ვ.).

**სულის მოთქმა** შესვენება; ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. დაიცა, სული მოვითქვა და გეტყვი (მ. ჯ ა ვ ა ხ.). იგი ბოლივით იფანტებოდა, თითქოს კვდებოდა და, როცა სულს მოითქვამდა, მწარედ ნანობდა (მ. ჯ ა-

ვ ა ხ.). ... ჩემი საწყობი ისევ ჩემს ხელშია და მეც ისევ სული მოვითქვი ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**სულის მოპარვა** განაბვა, სულის გატვრენა, თავის მომკვდარუნება.

**სულის სიღრმეში ჩაწვდომა** გულის ნადების გაგება და მისი მოწონება, გულის სიღრმეში ჩაწვდომა. ... ლადოს სიტყვები მას სულის სიღრმეში ჩასწვდა და თუმცა ზოგი რამ ვერც კი გაიგო, მაგრამ არსებითს ჩახვდა და გულში ჩაიკენჭა (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**სულის სწორი** იხ. გულის სწორი. სულის სწორო, ვარდ-კოკორო, ... რად დამჭკნარხართ, რად?! (კ. მ ა ყ.).

**სულის ყელში მობჯენა** იხ. გულის ყელში მობჯენა. ესიკას სული ყელში მოებჯინა ჯავრით ... (ე. ნ ი ნ ო შ.). ზაქარას გულმა საათივით ჩამოჰკრა და სული ყელში მოებჯინა. — შესდეგ! — დაუძახა მტკიცე ხმით სოსიკასა. — ან შენ, ან მე! ... პირდაპირ შეგვყარა ღმერთმა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**სულის შთაბერვა** გასულდგმულება, სიცოცხლისუნარიანობის მინიჭება, სულის ჩადგმა. კვლავ შთაბერეს მაღალი სული (ი. მ ა ჩ ა ბ.).

**სულის ჩადგმა** სიცოცხლისუნარიანობის, ძალ-ღონის მომატება; დახმარება, ფეხის ადგმევინება; ფეხის ადგმა. ... ჩვენმა თეატრმა თავისით ჩაიდგა სული, გარედამ შემწეობა არავისგან ჰქონია (ი ლ ი ა). ამ თავნიერა დალოცვილმა მამულ-დედული ააყვავილა, ჩაუდგა სული; თითონ აცხოვრებს თავისსა მამულს (ვ. ბ ა რ ნ.).

**სულის წასვლა** მოუთმენლად, თავშეუკავებლად მოქცევა, სულწასულობა. ... რა სულის წასვლაა ... ჯერ კაცი არ გამეფებულა, ტახტი არ დაუპყრია ... შენ კი ფულს თხოულობ ... (შ. დ ა დ.).

**სულმა წასძლია** მოთმინება ვერ ეყო, ვერ მოითმინა, რისამე სურვილმა სძლია. ერთხელ რომელიღაც მოსწავლემ ხაჭაპურები მოიტანა კლასში და ლატარიაში ჩააგდო თითო კაპეიკად, ყველამ მოაწერა ხელი. წამძლია სულმა და მეც მოვაწერე ხელი (ა კ ა კ ი). ახლა იშვიათად დაინახავდით ქუჩაში მთვრალ სამხედრო პირს და, თუკი რომელიმეს მაინც წასძლევდა სული და მაგრად გადაჰკრავდა, იგი ქუჩაში გავლის დროს ცდილობდა ფხიზლად მოეჩვენებინა თავი ... (ა. ბ ე ლ.).

**სულს ებრძვის** კვდება, სულთმობრძავია, სიკვდილს ებრძვის.

**სულს უხუთავს** ავიწროებს, გასაქანს არ აძლევს, აწვალებს, ტანჯავს. ... არც მაძლევთ საშუალებას გამოვთქვა ჩემი გულის ნადები და

ამით მხოლოდ სულს მიხუთავთ, სიცოცხლეს მიმწარებთ ... (დ. კ ლ დ.). ცის კამარა რიხხვით და ქუშით უბღვერს მას ... ნიაღვრით, ტალახ-თოვლ-ჭყაპით სულს უხუთავს და თავს აბეზრებს ადამიანს (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**სულს ღაფავს** კვდება, სულთმობრძავია, უკანასკნელ დღეშია; თავისი დრო მოჭამა, ასპარეზიდან მიდის. ... იმათ ღმერთმა გადაუხადა. ჯერ ხალხმა და მეფემ გადააგდო, შემდეგ სნეულებით სიდატაკეში ერთი გარდაიცვალა, მეორე სადღაც სულსა ღაფავს (შ. დ ა დ.). თევზივით ნაპირზე გარიყული ნაადამიანევი სულს ძლივს-ღა ღაფავდა და წყალწაღებულ თავს უიმედო იმედით ინუგეშებდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... ირანის ლომი სულსა ღაფავს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**სულში ჩაძვრენა** მოალერსება; სიყვარული, პატივისცემა. დიდსა და პატარას, ვინც კი იცნობდა, ყველას უყვარდა (დიტო) და სულში იძვრენდა (ა კ ა კ ი). ... რაიკომის მდივანს ნუ აჰყვებიო და ლამისაა სულში ჩაიძვრინოს ჩალმაზი (კ. გ ა მ ს.).

**სულ-ხორცისაგან გაცლა** იხ. სულით ხორცამდე გაცლა. — შენ არ იცი იმ კაცის ამბავი? რასაც დაგიგულებს, სულ-ხორცისაგან გაგცლის. (გ. წ ე რ ე თ.).

**სუნგალის გაკვრა** გაჩუმება, სულის განაბვა, ხმის გაკმენდა. შვილის ნახვის სიამოვნებამ მამას თხების ამბავი იმ წუთას გადაავიწყა. დედამაც გაკრა სუნგალი, საკეცით გადმოდგა გახურებული კეცი ძირს და ზედ მჭადის გუნდა დააკრა (გ. წ ე რ ე თ.). მალე გავკრავდით სუნგალსა და მივეცემოდით ძილსა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**სქელი ჯიბე აქვს** მდიდარია, ბევრი ფული აქვს. წუნკალა ... ეძებდა ისეთ მოვაჭრეებს, რომელთაც ჯიბე სქელი ჰქონდათ (გ. წ ე რ ე თ.).

**სხვა გზა არა აქვს** იხ. მეტი რა გზა აქვს.— სტუმრობის მიზეზს ჰკითხავენ სტუმარს? თუმც მასპინძელი ხარ სასაცილო, სხვა რაღა გზა მაქვს, გეტყვი, ყმაწვილო (ხ. ბ ე რ.).

**სხვისი ხელით ნარის გლეჯა** სხვისი საშუალებით ძნელი ან სახიფათო საქმის კეთება. ... იქნება სხვა კი გააბრიყვონ, თვითონ სოროში შეძვრენ და ამ სახით სხვისის ხელით ნარი ჰგლიჯონ (ი ლ ი ა). (თქვენ) ისიც გინდათ, რომ სხვისი ხელით ნარი მოგლიჯოთ! ... (ვ. ლ ო მ თ.).

# ტ

**ტალახში ამოსვრა** შერცხვენა, სახელის გატეხა, ლაფში ამოსვრა. ... მაგათი წყალობით მომეჭრა თავი და მაგათ უნდათ ტალახში ამოსვარონ ჩემი თავმოყვარეობა! ... (დ. კ ლ დ.).

**ტანში ჟრუანტელის დავლა** იხ. ჟრუანტელის დავლა ტანში. ცოფიანი ძაღლის ხსენებაზე ხომ ტანში სულ ჟრუანტელმა დამიარა (შ. ა რ ა გ ვ.).

**ტაშს უკრავს (ვინმეს, რამეს)** იწონებს, აღტაცებით ხვდება (ვინმეს, რამეს). ახლა? ახლა ყველაფერი გათავებულია, ყველა მოგვისპო ამ ადამიანმა! ... თვითონ კი ცხოვრობს განცხრომით! საზოგადოებაც შეტრფის და ტაშს უკრავს! ... (ე. ნ ი ნ ო შ.). ... ბატონ-ყმობის მოსპობის დროს მანუჩარ ყმაწვილი კაცი იყო და, სხვების მიხედვით, ისიც ტაშს უკრავდა, რაც შეეძლო, ახალს ცვლილებას (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ტვინი აქვს ნაღრძობი** უკუღმართია, არანორმალურია, ახირებულია.

**ტვინის ადუღება** გაბრაზება, აღელვება, აღშფოთება, მოთმინებიდან გამოყვანა. მეხსიერებაც ყოველს ჩემს წარსულს ზარნაშოსავით რა ლავს დასძახის, ტვინსა მიდუღებს, მით მიშფოთებს სულს (ა კ ა კ ი). რომ არ ჩამწერე მე შენს გულში, ეს მიდუღებს ტვინს (რ. ე რ ი ს თ.).

**ტვინის ამორთმევა** შეწუხება, თავის მობეზრება, გულის გაწყალება. (მწყემსის) ქაქანმა ტვინი ამომართვა (გ. წ ე რ ე თ.).

**ტვინის ამოწოვა** გაწამება, შევიწროება, უკანასკნელი სახსრის წართმევა, გატყავება. (ჯორ-ზაქარას) წყეულმა ადვოკატებმა ხომ ბატონზე უარესად ამოსწოვეს ტვინი; გაურიგდებოდნენ, გამოართმევდნენ ნახევარს ხელფასისა წინდაწინ, რაღაც უბრალო ქაღალდს დაუწერდნენ; მერე ერთი ორი თვის შემდეგ ეუბნებოდნენ: ამ საქმეს ხელს ვერ მოვკიდებთო (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ტვინის არევა** შეწუხება; შეშლა, გადარევა. — იერემია რომ დაუხვიათ კატორღით, მე ამან ძალიან შემაწუხა, ტვინი ამირია. ის ჩემი ბიძის შვილიშვილია (გ. წ ე რ ე თ.). მეშინია ჰკუაზე არ შეირყას! რა ვიცი, გასაკვირველია, იმდონი ფიქრით ადამიანს ტვინი ეერიოს თუ! (ე. ნ ი ნ ო შ.). აი, კიდეც მაგათ აგირიეს ეგ ტვინი, მაგ კუდიანების დაწერილებმა (ი. ე კ ა ლ.).

**ტვინის გამოლაყება** გამოტვინება, გამოშტერება, გონების დაჩლუნგება. ... სად შემიძლია ახალ შრომაზე ვიზრუნო, როდესაც ტვინი გამოლაყებული მაქვს მოწაფეების რვეულების სწორებით (ა. ბ ე ლ.).

**ტვინის წაღება** შეწუხება, თავის მობეზრება, გულის გაწყალება. დამეკარგე, სულელო! ტვინი წაიღე ბევრის ყბედობით, — უთხრა კოლამ წყრომითა (ი ლ ი ა).

**ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია** ძალიან პატარაა (ასაკით), ბავშვია, გამოუცდელია, გუშინდელი ღლაპია. ბიჭო, მძინარეს ჯიბეები დამაჭრეს! ... მერე ვინა? ჯერ ტუჩებზედ დედის რძე არ ჰქონდათ შემშრალი ...

(ი ლ ი ა). რომელი გლეხი დაუჯერებს ბალანს . . . ; ჯერ ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია (ნ. ლ ო რ თ ქ.).

**ტუჩებზე რძე არ შეშრობია** იხ. ტუჩებზე დედის რძე არ შეშრობია. რაღა გვადის ცოლს დაემართა ასეთი საშინელი ჭირი, — ხუთი შვილის დედას, რომელთაგან ოთხს ჯერ რძე არ შეშრობია ტუჩებზე! (ლ. ქ ი ა ჩ.). ჯერ რა ვაჭრობის უნარი გაქვს შენ! ჯერ ტუჩებზე რძე არ შეგშრობია და შენ იმისთანა ძნელ საქმეს, როგორიც ვაჭრობა არის, როგორ გაუძღვები? (მ ე ლ ა ნ.).

**ტუჩ(ებ)ის აბზუება** არაფრად ჩაგდება, უკადრისობის გამოხატვა, დაწუნება. ეკვირინე ნამეტანს უბზუებდა ტუჩს უმეტესობას (დ. კ ლ დ.). — რა შვილია! ტუჩების აბზუებით ამბობდა ლიზა (ე. გ ა ბ.).

**ტუჩ(ებ)ის (ა)კვრა** იხ. ტუჩ(ებ)ის აბზუება. გონება კი უხატავდა . . . დედ-მამის რისხვას, ნათესავთა და სწორთაგან ტუჩების აკვრას (ვ. ბ ა რ ნ.). ვისაც შენ გსურს მიმცე . . . , შორიდან ტუჩი მკრეს და ნაძრახის შვილი მიწოდეს (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ტუჩ(ებ)ის აპრუწვა** იხ. ტუჩ(ებ)ის აბზუება. მე გახლავართ ერთი სომხის სოვდაგრის დახლიდარი. — დახლიდარიო! . . . თქვა და ტუჩები აიპრუწა (ი ლ ი ა). — ბატონი ბრძანდები! — ტუჩების აპრუწვით უპასუხა ნუცამ და გავარდა კარში (ა. ე რ.-ხ ო შ ტ.).

**ტყავიდან ძვრება** ყოველ ღონეს ხმარობს, შესაძლებლობას არ ზოგავს. სოსიკაც აფასებდა ბატონის სიყვარულსა: ტყავიდან ძვრებოდა, ოღონდ კი ბატონისათვის ესიამოვნებინა, შეემატნა რამე იმის ქონებისათვის . . . (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ტყავის გაშპობა** იხ. ტყავის გაძრობა. არა, აჯანყებას აპირებენ, სწორეთ აჯანყებას! ამათ ტყავი თუ არ გავაშპე, ისე არ იქნებაო, ამბობდა ბრაზმორეული უფროსი (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ტყავის გაძრობა** მკაცრად მოპყრობა, დატუქსვა, შავი დღის დაყრა; დაჩაგვრა, გაყვლეფა, მძიმე პირობებში ჩაყენება; ცემა; ძალიან ძვირად მიყიდვა (რისამე). ვინ მიგიშვებს, შე უბედურო, მეფესთან, სულ ტყავს გაგაძრობენ (ვ ა ჟ ა). შენ რომ ქალაქში იყავი და არაფერს ხედავდი, ეგ კაცი ჩვენ ტყავს გვაძრობდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). . . . საბატონო გადასახადს სამოურავო მიუმატაო და ტყავს გვაძრობსო. ჩვენი დანარბევით ოჯახი აივსოვო (ბ ა ნ.). როცა მოვიდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა (ი ლ ი ა) — დიდება შენდა, ღმერთო! ტყავი გაგვაძვრეს ამ სახლის ფასში და ახლა კარებთან ჯდომის უფლებაც არ გაქვენო, გვიჩივიან! — ჩაილაპარაკა ერთმა გლეხმა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ტყავის გაჭიმვა** სიკვდილი, ფეხების გაჭიმვა. ან იმ გაჭირვება-საცოდაობაში რომ დავჭლექდე და ერთი წლის შემდეგ ტყავი გავჭიმო, რას მარგებს შენი უმაღლესი ცოდნა (გ. ნ ა ხ უ ც რ.). ჩვენმა ნაცნობმა დიდი ხანია ტყავი გაჭიმა (თ. ს ა ხ.).

**ტყავში ძვრება** იხ. ტყავიდან ძვრება. ლილიმ იცოდა, რომ თავის დანაშაულს აგრე ადვილად ვერ გამოისყიდდა და ამიტომ ტყავში ძვრებოდა, რათა გაეცოცხლებინა პირვანდელი სიყვარულის გრძნობა (ა. ბ ე ლ.).

**ტყემალზე ზის** არაფერი გაეგება, არაფერი იცის (რისამე შესახებ). შენ, ჩემო ძმაო, ტყემალზედა ზიხარ! აბა საიდან გეცოდინება, რა ხდება ქვეყანაზედა ან შენს გარშემო! ... (თ. ს ა ხ.).

**ტყირპის გაგდებინება** დაქანცვა, ილაჯის გაწყვეტა; ცემა. ვისაც ტყირპის გაგდებინება უნდა, იმ კიბეს უნდა შეუყენონ, აი! (ა. ც ა გ ა რ.). ... თუ ხელში ჩამივარდა, ტყირპი ვერ გავაგდებინო, შენი ამირინდო აღარ ვიქნები (გ. ე რ ი ს თ.).

# უ

**უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული** უბედო, ბედუკუღმართი, შავ დღეზე გაჩენილი. გოგია ... უბედურ ვარსკვლავზე იყო დაბადებული (ე. ნ ი ნ ო შ).

**უზურში ჩადება** განზრახვა, გათვალისწინება. მას მოჰბეზრდა სულთანის და ფიქრიას დაღონება და უზურში ჩაედო, ეს საქმე გამოერკვია (მ. ჯ ავ ა ხ.).

**უზურში ჰყავს (აქვს)** ითვალისწინებს, ვარაუდობს, მხედველობაში ჰყავს (აქვს). კარგ მოურავს არ მისცემ (სალომეს)? მე უზურში მყავს კიდევაც ამნაირი კაცი (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**უკან დახევა** განზრახვაზე ხელის აღება. მას ეძნელებოდა ამგვარი ქალის დაკარგვა, როგორსაც ჰპირდებოდა პორფირი. იგი თავმოსაწონად უნდოდა მას და ამიტომ უკან აღარ იხევდა, თუმცა შიში ჰქონდა, რომ ერთხელინდელის არ იყოს, სირცხვილი არ ენახა (დ. კ ლ დ.). მე ასე მჩვევია, ბევრს ვყოყმანობ, მაგრამ თუ რამე ამოვიჩემე გულში, უკან არ დავიხევ, სანამ სიკვდილი გზას არ მომიჭრის ... (კ. გ ა მ ს .).

**უკანასკნელ სისხლის წვეთამდე** სანამ ცოცხალია, სიკვდილამდე, ვიდრე ძალ-ღონე შესწევს. მთავარმა ლაშქრის წინ ფიცი დადო, რომ მათთან ერთად, ვით ერთი მათგანი მეომარი, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდა (ბ ა ნ.).

**უკუნითი უკუნისამდე** მუდამ, სამარადისოდ. — იცოცხლე, იცოცხლე უკუნითი უკუნისამდე ჩვენისთანა საწყალი და მართალი გზაგოუგნებელი კაცისათვის ... (დ. კ ლ დ .). — ვინც ძმა არ გაიტანოს, იყოს წყეული უკუნითი უკუნისამდე! (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**უკუღმა დაბადებული** უკუღმართი, უხეირო, უხამსი, ბოროტი.

**ულვაშ(ებ)ის მოპარსვა** შერცხვენა, თავის მოჭრა. ქურდი გამოჩენილია . . . მთელმა ქვეყანამ იცის. ულვაშებს მოვიპარსავ, თუ ჩემი ეჭვი ტყუილი გამოდგება (ვ ა ჟ ა). მაგრამ ჩვენ, რაკი ამ კარებამდე მივედით, ქუდის მოხრა აღარ გვმართებს, ეს ხომ ულვაშის მოპარსვა იქნება (ბ ა ნ.).

**უფალმა მიიღო** მოკვდა, მიაბარა სული უფალს. — საკვირველება, სასწაული გვეუწყა, ბატონო! იმ ცხრა თავშემოვლებულ შენაწირთაგან ერთი, სწორედ საეკლესიოდ შეწირული, იმ დღესვე მიუღია უფალს (ბ ა ნ.).

**უფალს მიაბარა სული** იხ. მიაბარა სული უფალს.

**უფსკრულის კიდეზე დგომა** იხ. უფსკრულის პირას დგომა.— ერთ დროს სევდისაგან გარემოცულს და გულდანაღვლიანებულს, როდესაც უფსკრულის კიდეზე ვიდექ და ნუგეშს აღარავისგან ველოდი, ახალი გაზეთი მომიტანეს, სადაც სამკურნალო რამ სიტყვები ეწერა (ა კ ა კ ი).

**უფსკრულის პირას დგომა** საფრთხეში, განსაცდელში ყოფნა, დაღუპვის მოლოდინში ყოფნა. არც ერთმა არ იცოდა, რომელს უბნელდებოდა მზე. ყველანი უფსკრულის პირას იდგნენ (შ. დ ა დ.).

**უფსკრულისაკენ მიექანება** დაღუპვის გზაზე მიდის, ხიფათი მოელის. ცხოვრების ღელვისაგან გატაცებული, ის თანდათან მიექანებოდა უფსკრულისაკენ და ვერ ატყობდა, რომ მზად იყვნენ დედამიწასთან გაესწორებიათ ურჩი ქმნილება . . . (ა კ ა კ ი).

**უღელს უსწორებს** უტოლდება, უთანაბრდება, კვალში მიჰყვება, მხარს უსწორებს; მეგობრულ დახმარებას უწევს. (ფრიდონს) ჰყავდნენ იქ თანამებრძოლნი, რომელნიც იმედიანად უსწორებდნენ მას უღელს . . . (ვ. ბ ა რ ნ.). მარჯვე მეუღლე არაფერში არ ჩამოუვარდებოდა ქმარს და არამც თუ უსწორებდა უღელს, წინაც იწევდა (ვ. ბ ა რ ნ.).

**უღელს უწევს** იხ. უღელს უსწორებს. არა, ამ მხრით დოდო ვერასოდეს ვერ იქნება უტანდარის უღლის გამწევი, მისი ტოლი და ბადალი (შ. დ ა დ.). პაპასთან ერთად ის სამკალშია! მას უწევს უღელს (ს. შ ა ნ შ.).

**უღლის გადაგდება (კისრიდან)** ჩაგვრისაგან, ექსპლუატაციისაგან განთავისუფლება, თავისუფლების მოპოვება. . . . დადიანის მძიმე უღელი კისრიდან გადაიგდეს, ხუთი წლით თავი გაიაზატეს (ბ ა ნ.).

**უღლის გადმოგდება** იხ. უღლის გადაგდება (კისრიდან). (გლეხებს) ჰსურდათ გაეჩერებინათ (არსენა), გამოეკითხაფ, თავიანთიც ეთქვათ და ისიც გაეგოთ — დრო ხომ არ მოვიდა გავიჩეჩნეთ და უღელი გადმოვაგდოთო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**უღლის დადგმა (კისერზე)** დამონება, ჩაგვრა, დამორჩილება. რად მონებთ ძილანს, ჩერქეზნო, უღელს რად იდგამთ კისრადა?! . . (ვ ა ჟ ა).

**უღურს არ იტეხს** იხ. იხტიბარს არ იტეხს. (თურქ. **უღურ** ბედი, იღბალი, ბედნიერება). (ბუ) მაინც უღურს არ იტეხდა, არ უნდოდა გაეგო ვისმე მისი სიბეცე (თ. რ ა ზ ი კ.).

**უყარე კაკალი** რამდენიც უნდა ეცადო, ვერას გახდები, მდგომარეობას ველარ გამოასწორებ, გვიანღა იქნება. ამისთანას უფრო შეუძლია წყენა და ვნება: ჩაგიჯდება გზაში, გკრავს თოფს და გაგაგორებს! მერე მიდი და უყარე კაკალი! (ე. ნ ი ნ ო შ.). მარა ღმერთმა გააგო სამართალი, აღარ შეაწვევია საცოდავი ყაძახები! აწი მიდგენ ბატონებმა და უყარონ კაკალი (ე. ნ ი ნ ო შ.).

# ფ

**ფარდებს უკან** შეუმჩნეველ, არდასანახავ ადგილას, მალულად, ფარულად. გარეთ ერთს ლაპარაკობს და შინ-კი, ფარდებს უკან, სულ სხვას ფიქრობს (ი ლ ი ა).

**ფარდის ახდა** გამოაშკარავება, გამომჟღავნება, მხილება, დღის სინათლეზე გამოტანა. მე შენ უკვე აგხადე ფარდა, ყველგან გამოვფინე შენი ფლიდობის ამბავი (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ფარდის ჩამოფარება** დამალვა, დაფარვა. (იუდამ) უღალატა სინდისის ნაკარნახევს, ნამუსს ფარდა ჩამოაფარა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ფარ-ხმალის დაყრა** დამორჩილება, დანებება, წინააღმდეგობის შეწყვეტა. ოძელაშვილი მეორეჯერაც დამარცხდა, მაგრამ უჯიათი და მოუდრეკელი კაცი იყო და არ შეეძლო ასე მალე გამოტეხილიყო და ასე ადვილად დაეყარა ფარ-ხმალი (მ. ჯ ა ვ ა ხ.). უეცრად შინაგანმა ნათელმა გამომაფხიზლა, მიმახვედრა, — სულმოკლეობა ფარ-ხმალს მაყრევინებდა (კ. ლ ო რ თ ქ.).

**ფაფრის აშლა** განრისხება, გამძვინვარება. იმატებს ტანჯვა? — უწყოდე, ტრფობაც აიწევს მეტადა, აიშლის ფაფარს მრისხანედ, დგეს იალბუზის ქედადა (ვ ა ჟ ა).

**ფესვების გადგმა** განმტკიცება, გამაგრება, დამკვიდრება; გავრცელება. ყოველივე ავტორისაგან ნარჩევი — ცენტრალიზაციის მკვიდრად ფეხის მოკიდებას, მკვიდრად ფესვების გადგმას მოასწავებს (ი ლ ი ა). ახლად შემოღებულ წესებს ჯერ კიდევ ფესვები ვერ გაედგა, ვერ გამაგრებულიყო (ა. ყ ა ზ ბ.).

**ფეხებზე ჰკიდია (ვინმე, რამე)** არ ენაღვლება, არ აწუხებს (რამე); არაფრად აგდებს (ვინმეს, რამეს). . . . ეტყობოდა იმას, რაც შვილი იყო: დიდიკაცი, უფროსი, წირვა-ლოცვა ფეხებზედ ეკიდა! მის წინ რომ გუბერნატორს გაევლო, ქუდს არ მოუხდიდა (ე. ნ ი ნ ო შ.). — თუ ჯერ არ გაგიგია, მაშ

ეხლა გაიგე და დაიხსომე. სხვაფრივ კი ერმოლოვიც ფეხებზე მკიდია და შენი ბატონიც (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მაგრამ მას ფეხებზე ჰკიდია, როგორც ჩანს, ოჯახი და აღარც ის ახსოვს, რომ ძროხებსა და ცხენს წყალი მაინც უნდა დაალევინოს (კ. გ ა მ ს.).

**ფეხებზედაც არ ჰკიდია (ვინმე, რამე)** იხ. ფეხებზე ჰკიდია (ვინმე, რამე).

**ფეხები უკან რჩება** მისვლა ეზარება, სადმე წასვლა უჭირს, უმძიმს. (კაკო) ადგა, ტანთ ჩაიცვა და წავიდა. ფეხები უკანა რჩებოდა ... (ვ. ბ ა რ ნ.).

**ფეხების გაფშეკა** იხ. ფეხების გაჭიმვა. თუ ომი მალე არ გათავდა და ქალაქი ისევ მოქეიფე კნიაზებით არ გაივსო, მე საცაა ფეხებს გავფშეკავ (მ. ჯ ა ვ ა ხ). თქვენ რომ არა მყავდეთ, უღვინობით ფეხებს გავფშეკავდი—ვითარცა აქლემი უწყლობისაგან უდაბნოსა შინა დავარდნილი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ფეხების გაჭიმვა** სიკვდილი, სულის დალევა. (ფქიძი) მთელი ორი კვირა ასმევდა (წამალს) და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა (ი ლ ი ა).

**ფეხებში ებლანდება** აფერხებს, ხელს უშლის, ეჩხირება. ეგებ ამიტომ ებლანდებოდეს არზაყან მას ფეხებში? ეგებ ამიტომ გადაუდგება არზაყან მას, როგორც კი ქალისკენ გაიწევს თარაშის გული? (კ. გ ა მ ს.).

**ფეხზე დადგომა** მომაგრება, მოღონიერება, გაძლიერება, განვითარება, ფეხის მოკიდება; სამოქმედოდ, საბრძოლოდ მომზადება. ... ო, რას ჩადიან განუკითხველნი!.. სამშობლოვ ჭირ-ნახულო!.. ძლივს გამოკეთდა შენი საქმე, ძლივს ფეხზე დადექ ... ხალხი აღორძინებული, წელგამაგრებული ... მეფე ბრძენი და მოუწვდომელი. ორივენი კვლავ უნდათ განსაცდელში ჩააგდონ (შ. დ ა დ.). მთელი არლანების გვარი ფეხზე დადგა (კ. გ ა მ ს.).

**ფეხზე დაყენება** მომაგრება, მოღონიერება, გაძლიერება; სამოქმედოდ, საბრძოლოდ მომზადება, ამოძრავება, გამოცოცხლება. წელიწადში სამასი თუმანი სულ ფეხზე დააყენებს ჩვენს თეატრს ... (ი ლ ი ა). ... ასეთი ღატაკი ოჯახის ფეხზე დაყენება ადვილი არ არის (ე. ნ ი ნ ო შ). მთელი თბილისი ფეხზე დააყენა და გადმოაბრუნა, მაგრამ ვერც გაიოზის კვალს მიაგნო და ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ფეხზე წამოდგომა** მომაგრება, მოღონიერება. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს ..., მოგვსპეს, ამოგვჟლიტეს და მაინც ფეხზე წამოვდექით, მოვშენდით, გავსწორდით (ი ლ ი ა). — არა უშავს-რა, კიდევ წამოვდგები ფეხზე. თქვენ სიკეთეს არ დავივიწყებ და ერთს ათად გადაგიხდით (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ფეხზე წამოყენება** მომაგრება, მოღონიერება, ფეხზე დაყენება. ცოდვაათ ამისთანა ჭირში გაუტეხელი ... გულმტკიცე და გულმაგარი ერი ფეხზე არ წამოვაყენოთ და ჩვენის კულტურის დროშა ხელთ არ მივცეთ ... (ი ლ ი ა). დიახ, დაბერდა ქეთევან, მაგრამ წაქცეული ოჯახი კი ორჯერ წამოაყენა ფეხზე... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ფეხთა მტვერი (ვისიმე)** (ვისიმე) მონა-მორჩილი; უღირსი (ვინმესთან შედარებით). მე ვარ, მზეთა-მზე, მონა და ფეხთა მტვერი შენი (ვ. ბ ა რ ნ .). — ოჰ, ძენ შემოგევლოს, ვალიდა, ჩემი ცხოვრება, ჩემი სინდისიც შენ ფეხთა მტვრად გამიხდია (გ. წ ე რ ე თ.). ...ცაცა ხომ სრულიად არაფერს წარმოადგენს მათთან შედარებით, ცაცა ხომ მათი ფეხთა მტვერია, მიწაზე მცოცავი მწერი ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ფეხი დააჭირა** გაკერპდა, ერთხელ ნათქვამი ჯიუტად დაიცვა, არ დათმო. ...ისე იხვეწებოდნენ ცალყურაანი, რომ, თუ ფეხი დაგვეჭირებინა, თვითონ მოგვიტანდნენ საქორწილოსაო (ვ. ბ ა რ ნ.). ჩარჩმა არ დაუჯერა და დადებულ ფასს ფეხი დააჭირა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ფეხი წაიტეხა** მარცხი მოუვიდა; წავიდა. ქალებმა შენიშნეს, რომ ძველი დედები, უმეტესად, არას აკეთებდნენ და მხოლოდ კოპწიაობას უნდებოდნენ, პროტესტი გამოუცხადეს და თვითონ ხელი აიღეს კოპწიაობაზე, შეიკვეცეს თმები და გარეგანი უყურადღებობით უწმინდურობამდე მივიდნენ. მერე ამ გარეგნობას შინაურობაც მოჰყვა და წაიტეხეს ფეხი (ა კ ა კ ი). — აბა რაი ვქნა? ფეხი აღარ წაიტეხეს სტუმრებმა და ჯერ არც ვინ დაწოლილა (ა. ყ ა ზ ბ.).

**ფეხის ადგმა** სიარულის დაწყება, სიარულის სწავლა; ჩასახვა. მოქმედების დაწყება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც (ა კ ა კ ი). ლუკაიას თუ დავუჯერებთ, სამ დღეში ფეხი აუდგამს ხერიპსს (კ. გ ა მ ს.). ვინ არ იცის, რომ ჩვენმა თეატრმა ფეხი აიდგა ჩვენში დიდი მთავრის აქ ბრძანების დროს და მისივე დროს მკვიდრად გაიმართა წელში (ი ლ ი ა). აქ უპირველესი მოვალეობა ჟურნალ-გაზეთობისა სწავლისა და ცოდნის გავრცელება უნდა იყოს, მან უნდა ფეხი აუდგას თვითმოქმედების ძალასა ... (ი ლ ი ა).

**ფეხის ათრევა** განგებ დაგვიანება (რაიმე საქმიანობაში), განგებ ნელა მოქმედება. — თუ ირთავ, ძმაო, ქე შეირთე, რაღას ითრევ ფეხს (გ. შ ა რ ა შ.).

**ფეხის ალაგი** საპირფარეშო, საჭირო ოთახი. იმ დღეს ფეხის ალაგი არ გაუწმენდიათ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მაშინვე მივხვდი: ფეხის ალაგიდან თვლებზე დადგმული დიდი ყუთი გამოეგორებინათ, უწმინდურება ჭაში ჩაესხათ და უკანვე შეეგორებინათ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ფეხის ალოკვა** მლიქვნელობა, თვალთმაქცობით ფეხქვეშ გაგება. ...ის უყვარდათ, ვინც ფეხს აულოკავდა (ი. ე კ ა ლ.).

**ფეხის ამოკვეთა (საიდანმე)** სამუდამოდ წასვლა (საიდანმე); მოშორება, გაცლა, (სადმე) სიარულის, მისვლის შეწყვეტა. თუ ცრუპენტელობამ ... ჩვენი ლიტერატურიდან ფეხი ამოიკვეთა, იმათ საფანელი მოაკლდებათ (ი ლ ი ა). მან ფეხი ამოიკვეთა ზაალის ოჯახიდან და მის წევრებს გარეთაც კი ერიდებოდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ფეხის ამოკვეთინება (საიდანმე)** გაძევება, (სადმე) მისვლის აკრძალვა. ამ ერთი წლის წინათ ფოთში დიდი და პატარა სულ იერემიაზე ლაპარაკობდა. მგონია, ეს ექვსი თვეა, რაც დრუჟინიდან დაითხოვეს და ფოთიდან ფეხი ამოაკვეთინეს (გ. წ ე რ ე თ.). აქაურებისთვის კი ამოაკვეთინეს ფეხი აქაურს ენებს აქაური სასწავლებლებიდან (ი ლ ი ა).

**ფეხის გადაბრუნება** მარცხის, ხიფათის შემთხვევა. (მაყაშვილს) ერთ დროს დიდი ადგილიც ეჭირა სასახლის კარზე, მაგრამ ცოტა რამეზე გადაუბრუნდა ფეხი და შერისხული გამოისტუმრეს თავის ქვეყნისაკენ ... (ა კ ა კ ი). შენც გლეხკაცი ხარ და მეცა ... ოფლის ფასი ორივემ ვიცით, მაგრამ ფეხი ყველას გადაუბრუნდება (ა. ე რ.-ხ ო შ ტ.). ბათო... რამდენი წელიწადია უკვე საზოგადო საქმეებს მართავს და არსად ფეხი არ გადაბრუნებია (ს. შ ა ნ შ.).

**ფეხის გადგმა** განმტკიცება, დამკვიდრება; გავრცელება, ფეხის მოკიდება. დატრიალდნენ შეთქმულები, შეიძრა ქვეყანა და ღალატმა ნელნელა საიდუმლოდ გაიდგა ფეხი (ა კ ა კ ი). ცოდნა უძლეველი ფასია არსებობისათვის, ... თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ... ჩვენი ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს (ი ლ ი ა). ქარხანა და ელექტრონი ეშმაკის მოგონილიაო — სჩივოდა ხუცესი, — სადაც ქარხანა, ელექტრონი და მატარებელი გაჩნდება, უსჯულოებაც სწორედ იქ იდგამსო ფეხს (კ. გ ა მ ს.).

**ფეხის დაბიჯება** შეურაცხყოფის მიყენება, გაქელვა. ... ამ წმინდა ჩვეულებას მებატონეებმა დიდი ხანია ფეხი დააბიჯეს, უგულებელ ჰყვეს ... (ვ. ბ ა რ ნ.). ციცინო ასეთი ... ადამიანი არაა, თავის ქალობას აგრე ადვილად ფეხი დააბიჯოს (ბ. ჩ ხ.).

**ფეხის დადგმა** იხ. ფეხის დაბიჯება. ვინც არა მგონი, ყველა მე მადგამს ფეხსა, ყველა მე მჩაგრავს ... (თ. ს ა ხ.).

**ფეხის დაჭერა** იხ. ფეხის დაბიჯება.

**ფეხის მოდგმა** იხ. ფეხის მოკიდება. ბედნიერება... ვის შერჩენია, ...რომ სამანიშვილისას ფეხი მოედგა მჭიდროდ (დ. კ ლ დ.).

**ფეხის მოკიდება** დამკვიდრება, მომაგრება, განმტკიცება, გავრცელება, ფეხის გადგმა. ყოველივე ავტორისაგან ნარჩევი — ცენტრალიზაციის მკვიდრად ფეხის მოკიდებას, მკვიდრად ფესვების გადგმას მოასწავებს (ი ლ ი ა). ... რუსობანობამ მისის ნიჰილისტობით მაშინ ძალიან მოიკიდა ჩვენში

ფეხი (ა კ ა კ ი). შეიძლება როგორმე ფეხი მოვიკიდოთ სოფელში, თორემ აქ მშივრები დავიხოცებით (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ფეხის მომაგრება** განმტკიცება, გაძლიერება; გაფართოება, გავრცელება, დამკვიდრება. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, იგი დიდს ზემოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე აზიაში (ი ლ ი ა).

**ფეხის მოცვლა** წასვლა, დაძვრა (საიდანმე). ბიზანტიის ჯარი აღვილიდან ფეხს არ იცვლიდა (შ. დ ა დ.). ... ჩვენი რაზმი რომ უტევდა მათ წინა ხაზს, გერმანელები არც ფიქრობდნენ ფეხის მოცვლას, სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ (ა. ბ ე ლ.). ერთის სიტყვით, აქედან ფეხის მოცვლა არ შეიძლება... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ფეხის მტვერი (ვისიმე)** იხ. ფეხთა მტვერი (ვისიმე). ... დიდი მუხრანბატონის მეუღლის ჭირი მოსცეს ღმერთმა მის უკანასკნელ ფეხის მტვერს (დურმიშხან წამალაძეს) (დ. ჭ ო ნ ქ.).

**ფეხის ნატერფალი (ვისიმე)** (ვისიმე) მონა-მორჩილი, ფეხთა მტვერი. შეგირდობის დროს თითონ რომ ... უფროსის ფეხის ნატერფალნი... ყოფილან, დღეს ჯავრს... მოწაფეებზე იყრიან (ი. ე კ ა ლ.).

**ფეხის წაბორძიკება** მარცხის მოსვლა, ფეხის გადაბრუნება. ...სანამ ცოცხალი ხარ, გელამუნებიან, ფეხქვეშ გეგებიან. წაიქეცი, ფეხი წაგიბორძიკდა და ... აღარავის უნდიხარ (შ. დ ა დ.). ... დაანებე თავი მაგდენ ბოდიშებსა და სინანულს! ვის არ მოსვლია საფრთხე და არ წაბორძიკებია ფეხი! (მ ე ლ ა ნ.).

**ფეხის წასხლეტა** იხ. ფეხის გადაბრუნება. შემდეგ ნაპალავანს ფეხი წაუსხლტა და გაფუჭდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). შემდეგ მაიორსაც ფეხი წაუსხლტა და ამიტომ ზაალმა ხაზინას შეპირებული თანხის მეათედიც ძლივს გამოგლიჯა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ფეხის ხმას აჰყვა** დაუკვირვებლად, ანგარიშმიუცემლად წაბაძა, აჰყვა (ვინმეს), (ვისიმე) ქცევის მიხედვით იმოქმედა. ... ზოგი რას ფიქრობს და ზოგი რას! ზოგიც მარტო ფეხის ხმას აჰყოლია (ა კ ა კ ი). გზაზე ლაშქარს ბევრი მეომარი ემატებოდა. გუშინ რომ ბიაბროდ გახადა კაჭკაჭი, ის ძერაც აქ მოაფრატუნებდა მხრებსა, ფეხის ხმას აჰყვა ისიც (ვ ა ჟ ა).

**ფეხქვეშ გაგება** მლიქვნელობა, ლაქუცი; დამორჩილება, მონურად ქედის მოხრა. ... სანამ ცოცხალი ხარ, გელამუნებიან, ფეხქვეშ გეგებიან. წაიქეცი, ფეხი წაგიბორძიკდა და... აღარავის უნდიხარ (შ. დ ა დ.). შენ ისიც იცი: ჩვენ, აზნაურებს მუდამ გაყიდვაზე გვეჭირა თვალი და ყოველ გამვლელს ფეხქვეშ ვეგებოდით (კ. გ ა მ ს.).

**ფეხქვეშ გაგორება** იხ. ფეხქვეშ გაგება. გავუგორდები ფეხქვეშ, მუხლზე ვაკოცებ ძლიერსა (ვ ა ჟ ა).

**ფეხქვეშ გაფენა** იხ. ფეხქვეშ გაგება. ... იგი მზად იყო ნოხივით გაფენოდა ფეხქვეშ ჩირკოვსკის (ბ. ჩ ხ.).

**ფეხქვეშ გაშლა** იხ. ფეხქვეშ გაგება. მარგოს რომ თვალს მოკრავდა (ჯაყო), თოვლივით დადნებოდა, თეფშივით გაიბადრებოდა და ფეხქვეშ გაეშლებოდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ფეხქვეშ ფიანდაზად გაგება** ვისიმე ყოველგვარი სურვილის უსიტყვოდ შესრულება, მონურად დამორჩილება, ფეხქვეშ გაგება. ... თითქმის ყველა ახლო-მახლო ხანები ფიანდაზად ფეხ-ქვეშ ეგებოდნენ ძლევამოსილს მეფესა (ი ლ ი ა). დათვი კი ცამდე ასწიეს (მელიებმა), ფიანდაზად გაეგნენ ფეხთ-ქვეშ და დიდი ერთგულება აღუთქვეს (ვ ა ჟ ა).

**ფიანდაზად დაგება** იხ. ფეხქვეშ ფიანდაზად გაგება. (ეთერი) მეფენადირას ფიანდაზად დაგებას არც კი ამჩნევდა (შ. ა რ ა გ ვ.). გავლენიან ბატონს ყველა ფიანდაზად ეგებოდა იმ არეს (ვ. ბ ა რ ნ.).

**ფონი გასავალს არის** სიძნელე ჯერ არ არის დაძლეული, საქმე დაუმთავრებელია, მთავარი დაბრკოლება წინაა. ჯერ კიდევ მაინც ფონი გასავალს არის. ვინ იცის, უმაღლეს სასამართლოში საქმე როგორ დატრიალდება? (გ. წ ე რ ე თ.). არა, ჯერ ფონი გასავალსაა, ხელახლა უნდა მოხდეს გადარჩევა (ა. ბ ე ლ.).

**ფონს გასვლა** დაბრკოლების გადალახვა, საქმის მოგვარება, გადარჩენა, მიზნის მიღწევა. დღეს ისეთი დღეა, ოღონდ-კი ფონს გახვიდე, შენ შენი გაიყვანო, და მოტყუებით იქნება, თაღლითობით, თუ ოინბაზობით, ამას ვიღა იკითხავს (ი ლ ი ა). ... ახლა მაგისთანა ჟულიკობით ჩვენში კაცი ფონს ვეღარ გავა (ა. ბ ე ლ .).

**ფრთების გამოსხმა** აღფრთოვანება, გახარება, აღტაცება; გაძლიერება, ფრთების შესხმა. იმედმა ფრთები გამომასხა და სიშორე არაფრად ჩამიგდია (ა კ ა კ ი). ... მისმა ვექილმა, ახმედ-ფაშამ, ახალგაზრდობას სასიკვდილო კვერი დაჰკრა თავში და მით მის მტრებს ფრთები გამოასხა (ა კ ა კ ი). ცაცას ფრთები გამოესხა, — გაიოზი წინ მიდიოდა, მალე მინისტრი თუ არა, მინისტრის ამხანაგი მაინც გახდებოდა და ცაცაც ხელებს იფშვნეტდა ხითხითით (გ. ნ ახ უ ც რ.).

**ფრთ(ებ)ის გაშლა** გაძლიერება, გაფართოება, შეუზღუდავი მოქმედების დაწყება, გალაღება. ეს აზრი თანდათან ... ფრთასა შლის (ი ლ ი ა). (მღვდლის) მისწრაფება ფართედა შლიდა ფრთებს (ვ. ბ ა რ ნ.).

**ფრთების მოკვეცა** იხ. ფრთ(ებ)ის შეკვეცა. ხუთის წლის შემდეგ დამიპირეს ჩინზე წარდგენა და კიდეც იმედი მქონდა, რომ ერთს უხეირო შემთხვევას არ მოეკვეცა ფრთები ჩემი მომავალი ბედნიერებისათვის ... (ა კ ა კ ი).

**ფრთ(ებ)ის შეკვეცა** შემცირება, შეზღუდვა, შეწყვეტა, ბოლოს მოღება. ცოტა არ იყოს, ვერიდებოდი სიზმრის გამჟღავნებას, არ მინდოდა ძმების აღტაცებისათვის ფრთები შემეკვეცა (ვ ა ჟ ა). უკანასკნელ ... მკლავაძეების ძალმომრეობასაც, რასაკვირველია, შეეკვეცა ფრთა (ე. ნ ი ნ ო შ.). ჰგრძნობდა, რომ ... იმის ხითხითსა და თავისუფალ სეირნობას რაღაც მოულოდნელი, უცნაური და უხილავი ძალა შეუშლიდა ხელს, შეაჩერებდა და ფრთებს შეაკვეცავდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მაგრამ აქ თითქო შეეშინდაო ზანქანს . .აღფრთოვანებას ფრთა შეაკვეცა და ისევ უბრალო დარიგების კილოზე გადავიდა (შ. დ ა დ.).

**ფრთების შესხმა** აღფრთოვანება, გახარება, აღტაცება; გამხნევება, წახალისება; გაძლიერება, გაზრდა. ... ამ ბრძანებამ ფრთები შეასხა, მადა გაუღვიძა და სულის კაწკაწით ელოდნენ განავარდებას სოფლად სალაღოდ და საქლეტად (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ვინ იცის, რა განზრახვები, რა წარმოდგენები ასხამდენ ფრთებს მის მომავალ ბედნიერებას ... (გ. წ ე რ ე თ.). მაგდანასაც ბედნიერის დღისათვის მზადება უფრო უცხოველებდა შავ ფიქრებს, უფრო ფრთებს ასხამდა (შ. ა რ ა გ ვ.).

**ფუტის გაცივება** ოჯახის მოშლა; გაკოტრება, კერის გაცივება. (**ფუტი** კვამლი, ამჟამად მხოლოდ გურულში გვხვდება). კიდევ ეკუცია რომ ჩამოგვიყენონ, ფუტი გაგვიცივდეაა!— სთქვა გოგიამ და სახეზე დაღრეჯილობა დაეტყო (ე. ნ ი ნ ო შ.). იძულებული შეიქნა ხელახლა ყანაში ემუშავნა მოხუცებულობის დროს და ფუტი არ გაეცივებია ობლისათვის (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ფხის გამოჩენა** მარჯვედ, ყოჩაღად, მოხერხებულად მოქცევა. —თქვენ ფხა გამოიჩინეთ და მტერს მტრულად დაუხვდით! (შ. ა რ ა გ ვ.). (შვილი) იმისთანებში დიდ უნარსა და ფხას იჩენს (შ. ა რ ა გ ვ.).

# ქ

**ქადაგად დავარდნა** იხ. ქადაგად დაცემა. მეორე დღეს ქადაგად დავარდებოდა და „ამცნობდა“ ხალხს წმინდანის ნებას (კ. გ ა მ ს.).

**ქადაგად დაცემა** უაზრო ლაპარაკი, ბოდვა (ცრუმორწმუნეთა მიხედვით — წინასწარმეტყველება). (**ქადაგი** წარმართული ღვთაების მსახური, რომელსაც, ცრუმორწმუნეთა მიხედვით, თითქოს შეეძლო ღვთაებასთან ურთიერთობის დამყარება). ... ნეტა ჩემი ცოლისთვის გული არ გადმოეგდებინა ბუდიდამ! მას შემდეგ, რაც ეს ვერანა (დათვი) ენახა

ზღმარტლზე ყოფნის დროს, ძილში ბოდავს და ორჯელ ქადაგადაც დაეცა (ვ ა ჟ ა). (არლოვი) ახლა კი ჯერ გაოცდა, მერე გამწარდა და ქადაგად დაეცა ... დაიჭირეთ! გააციმბირეთ! ... გაროზგეთ! ... ჩამოახრჩეთ! (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ქანცის გამოლევა** დასუსტება, ძალ-ღონის გამოცლა, არაქათის გამოლევა. ბოლოს, უნაყოფო ოცნებით და გაუთავებელი მოლოდინით, თეიმურაზს ქანცი გამოელია და იმედი გადაუწყდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ქანცის გაწყვეტა** იხ. ილაჯის გაწყვეტა. ერი ამით ძალიან შეწუხებულია ... ამას უსათუოდ წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ, ლამის, ქანცი გაუწყდეს (ი ლ ი ა).

**ქარ-ბუქიააყენა** შედარებით უმნიშვნელო რამე გააზვიადა; დიდი ამბავი ატეხა. ქვეყანაზე ბევრი იმისთანა დიდი საქმეა, რომელიც თავისთავად ხმაურობს, ქარ-ბუქს აყენებს (ი ლ ი ა).

**ქარ-ბუქი ატეხა** იხ. ქარ-ბუქიააყენა. აქა მარხია ის განძი, რომლისთვისაც ატეხა ჩვენმა ავტორმა ასეთი უილაჯობის ქარ-ბუქი (ი ლ ი ა).

**ქარის ამოღება** შესვენება, სულის მოთქმა. დაიღალა (ლაპარაკით) და სიარულით ქარის ამოღება მოინდომა (ი ლ ი ა). კვირა დღე იყო და უღლიდან გამოშვებული ხალხი ენას ანძრევდა, ქარს იღებდა (ვ. ბ ა რ ნ.).

**ქაჯის შეძრომა** იხ. ეშმაკის შეჯდომა. რაღაც ქაჯი შემიძვრა, ჰკუა დავკარგე, აღარც თქვენი მამაშვილური დარიგება გავიგონე და წაველ (გ. ნ ათ უ ც რ.).

**ქედის მოდრეკა** იხ. ქედის მოხრა. — ესე იგი ქედი მოვიდრიკო? — ეს ქედის მოდრეკა არ არის. მხოლოდ გაჩუმდი და საცა არ გეკითხებიან, იქ ნუ ჩაერევი (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... ახლა იარაღით ხელში იმათაც ქედს მოადრეკინებს (შ. დ ა დ.).

**ქედის მოხრა** დამორჩილება, ქედის მოდრეკა, წინააღმდეგობის შეწყვეტა. თქვენ კარგად მყვანდეთ, თორემ მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე მე ი ჯორ-ზაქარა მოვტეხო და თქვენ წინ ქედი მოვახრევინო (ს. მ გ ა ლ ო ბ.). თვით მთელმა ნოვგოროდმაც ქედი მოიხარა მის წინაშე და ერთ დროს მთავრად ანდრეის ძმისწული მსტისლავი მოიწვია (შ. დ ა დ.).

**ქერის ორმოში ჩავარდნა** მდიდარ, უხვ, დოვლათიან, სარფიან ადგილას მოხვედრა. . . ეს კი დაგავიწყდა, სოფლიჭამია მოხელეები ... კი ჩაცვივიან ... წლეულ ქერის ორმოში (დ. მ ა ჩ ხ.).

**ქვა ააგდო და თავი შეუშვირა** დაიქინა რამე, გაჯიუტდა, გაკერპდა, უარზე დადგა. ქართველები კი (იტყვიან ხოლმე): ... ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო (ი ლ ი ა).

**ქვა ისროლა და თავი შეუშვირა** იხ. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ნახუცარმა ქვა ისროლა და თავი შეუშვირა... იმას როგორ შემოუშვებო სახლში (კ. გ ა მ ს.). ქორა მახვშმა ქვა ისროლა და თავი შეუშვირა..., მიკვირდა. რად არ უნდოდა ბერიკაცს საურის გატანება (კ. გ ა მ ს.).

**ქვა ქვაზე არ დატოვა** გაანადგურა, მოსპო, დაანგრია, ნაცარტუტად აქცია, მიწასთან გაასწორა. იცოდეს ... ქალი რომ სხვამ წეიყვანოს, ზალიკაის ოჯახში ქვას ქვაზე არ დატიებენ, ისე დააქცევენ (ე. ნ ი ნ ო შ.). ის წითური ალა-მაჰმადი ... მეტის-მეტად თავს გავიდა. თრიალეთს შემოესია და ქვას ქვაზე აღარა სტოვებს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ქვა ქვაზე დაადუღა** იხ. ქვა ქვაზე არ დატოვა. დადიანი ისეთ მუქარას გვითვლის ოდიშიდან, რომ თუ ვინმეს ჩემი განდგომა გაგიბედავთ, ქვას ქვაზე დავადუღებო (ბ ა ნ.).

**ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა** იხ. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მაგ დალოცვილმა თავისი არ დაიშალა ..., შეაგდო ქვა და თავი შეუშვირა (ი. ე ლ ე ფ თ.).

**ქვას გახეთქს** ყველაფერს შეძლებს, ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს, წინ ვერაფერი დაუდგება. ოჰ, რა არზა დავსწერე და!.... ქვას გახეთქამს, ქვასა! ... (რ. ე რ ი ს თ.).

**ქვასაც-კი წყალს გამოადენს** ყველაფერს მოახერხებს, შეუძლებელს შეძლებს, ნემსის ყუნწში გაძვრება. მცოდნე კაცი ... ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება (ი ლ ი ა).

**ქვაში გავარდება** ძალიან მოხერხებულია, ძნელი საქმეების გაკეთება შეუძლია, ნემსის ყუნწში გაძვრება.

**ქვევრში ჯდომა** იხ. ჰურში ჯდომა. უგაზეთოდ ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ქვევრში ვიჯდე (რ. გ ვ ე ტ.). როგორ თუ რა მოხდა! ქვევრში ხომ არ ზიხარ? ომია, ომი! (რ. გ ვ ე ტ.).

**ქვეყნის თვალი** ძალიან კარგი, ყველას მოსაწონი და სათაყვანებელი, ლამაზი, მშვენიერი. აგერ ქალი, ქვეყნის თვალი (რ. ე რ ი ს თ.).

**ქვის გამცივებელი** ბოროტი, ავის მოქმედი, ავაზაკი.

**ქვის გული აქვს** შეუბრალებელია, ულმობელია, გულქვაა. განა ჩვენ კი ქვის გული გვაქვს? (ა კ ა კ ი).

**ქვის მიგდება** დავიწყება, მიტოვება, თავის მინებება. კნეინამ „მდგომარეობა“ კონას ავადმყოფობას გადააბრალა და როგორც უნუგეშოს,

ქვა მიაგდო (ე. გ ა ბ.). — სულ დამივიწყე, კუზმა, ...რაც ის ახალგაზრდა ქალი შეირთე, სულ ქვა მომაგდე (შ. დ ა დ.).

**ქვიშაზე აშენებული** სიმტკიცეს მოკლებული, უსაფუძვლო, უნიადაგო. სხვაზედ მინდობა—ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა ... (ი ლ ი ა). ჩვენი აზრი უსაბუთო და ქვიშაზე აშენებული არ არის (ი ლ ი ა).

**ქია-ქია წაღება** გაცამტვერება, დანგრევა. შავი თვალით რომ გადმოხედოს ერემომ, მექი მის დუქანს სულ ქია-ქია წაიღებს (კ. ლ ო რ თ ქ.).

**ქოთნის საკეთებლად წასვლა** სიკვდილი, მარილზე წასვლა. გოგიტას ამბავს ნუღარ მკითხავ: ეს სამი თვეა, რაც ქოთნის საკეთებლად წავიდა და დაგვაობლა ყველანი (თ. ს ა ხ.).

**ქოქის ამოგდება** იხ. ქოქის ამოწყვეტა. აი, ამოაგდო ღმერთმა ავიკაცის ქოქი ... (ი ლ ი ა).

**ქოქის ამოწყვეტა** მოსპობა, გაწყვეტა, გადაშენება. (ქოქი ძირი). ...წამოეთრიე მეთქი, შე უდღეურო ბღარტო, შენა იიიჰ, შენი ქოქი კი ამოწყდეს აჰა! ადექი მეთქი! (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ქოქის გაწყვეტა** იხ. ქოქის ამოწყვეტა. უი, გაგიწყდეთ ეგ ქოქი, რომ ადამიანის ყადრიც არ იცით (ი ლ ი ა). თქვენი ქოქი გაწყდა, თქვენი! (ა. ც ა გ ა რ.).

**ქოქოლის დაყრა** დაწყევლა, გაკიცხვა (ხელების სავსავით). გამარჯვებულმა მევალემ კი ქოქოლა დააყარა თავზე ბახვა ფულავას (გ. წ ე რ ე თ.). ... სალდათებისა ეშინოდათ, თანაც უკან იხედებოდნენ, ჯარსა და ბატონებს ქოქოლას აყრიდნენ და ათსართულიან წყევლას უგზავნიდნენ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ქოქოლის მიყრა** იხ. ქოქოლის დაყრა. ფილადელფოსმა ყაჩაღს დედაბერივით მიაყარა ქოქოლა (მ. ჯ ა ვ ა ხ.) ...ნინომ ერთხელ კიდევ მიაყარა ქოქოლა მოჯახუნებულ კარებს (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ქოქოლის წაყრა** იხ. ქოქოლის დაყრა. — უი, მეხი კი დაგაყარე მაგ სულელს თავზედა, — წააყარა ქოქოლა თითიამ ... (ი ლ ი ა).

**ქოშებს ისვრის** იხ. ქოშებს ყრის. — (გამდელმა) აღარ იცის, რას სჩადის. — ქოშებს ისვრის? (ა კ ა კ ი).

**ქოშებს ყრის** ბრაზობს, გაცეცხლებულია, განრისხებულია. ეს რომ ზაალმა გაიგო, ქოში უკუღმა ყარაო (ხ ა ლ ხ.).

**ქრისტეს ფეხის მკვნეტელი** ავის მოქმედი, ბოროტი, ვერაგი; მოხერხებული, მოუსვენარი. ან გვანჯ აფაქიძე რას მოიმოქმედებს, გვანჯ აფა-

ქიძე — „ქრისტეს ფეხის მკვნეტელი“ (კ. გ ა მ ს.). მოურიდებლად კიცხავდა ხოლშევიკებს, რომ ამ „ქრისტეს ფეხის მკვნეტელებმა“ არც წისქვილები შეარჩინეს გვანჯ აფაქიძეს კოდორის ხეობაში, არც... (კ. გ ა მ ს.).

**ქუდბედი დაჰყვება** იღბლიანია, ბედი სწყალობს. ქუდბედი დაჰყოლოდა სელიმ-ხანს: ყოველთვის და ყველგან გამარჯვებული რჩებოდა (ვ. ბ ა რ ნ.).

**ქუდი ჰერსა ჰკრა** მხიარულობდა, სიხარული, აღფრთოვანება გამოხატა. გაჩაღდა ქორწილი . . . აღარც ვინ იყო სახლში გულჩათხრობილი გარდა ხუცესისა. პურობა იყო დიდად უხვი და ისიც უთუოდ გამხიარულდებოდა, ქუდს ჰერსა ჰკრავდა, რომ წარეხოცა ცუდი შთაბეჭდილება (ვ. ბ ა რ ნ.). ხვალე მარიამობაა ბოდბის-ხევში, დღეობას უნდა წავიდეთ ყველანი დიდედაშენის მაზლისწულთან და ქუდი ჰერსა ვკრათ (დ. მ ა ჩ ხ.).

**ქუდი ხურავს** იხ. ქუდი ხურავს თავზე. ... ვაჩვენოთ ჩვენც ქვეყანას, რომ კაცნი ვართ და ქუდი გვხურავს, რომ არც ისე ადვილია ჩვენი დაბრიყვება, როგორც ჰგონიათ (ს. მ გ ა ლ ო ბ.).—მუშა ყოფილხარ, ძმაო, და ქუდიც შენა გხურებია (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ქუდი ხურავს თავზე** ვაჟკაცური თვისებებით არის შემკული, მხნე და გაბედულია, უშიშარია; სინდისიერია. განა ამას შევარჩენ ქვეყანას, მინამ კაცი მქვიან, მინამ თავზე ქუდი მხურავს, მინამ პირში სული მიდგა! (ი ლ ი ა)... დედაკაცები ხომ არა ხართ, კაცები ხართ, თავზე ქუდები გხურავთ (ვ ა ჟ ა). — რაი სთქვი ეგა? — წამოხტა გაჯავრებით პაპა: — ფუი შენს ნამუსს! ქუდი აღარ გხურამს თავზედ? დიაცი ყოფილხარ, ონისე, დიაცი! . . . ძალამ ისე როგორ უნდა შეგაშინოს, რომ . . . (ა. ყ ა ზ ბ.).

**ქუდის მოხდა** შერცხვენა, თავის მოჭრა, თავს ლაფის დასხმა. უთხარ (მზაღვეს), ...თუ მიღალატე, თუ ქვეყანაში გამაწბილე, ქუდი მომხადე-თქო, . . . მაშინ ორი თვალის მეტი ვეღარა გიხსნის! (ა. ყ ა ზ ბ.). — უწინ როზგი მაინც არ ყოფილა, ახლა კი ვაჟკაცს ქუდი მოჰხადეს, საქვეყნოდ სცემენ . . . (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

## ღ

**ღამე გაუთენდა** ტანჯვას დააღწია თავი, გაბედნიერდა, გაიხარა, მზე ამოუვიდა. ხალხმა მაშინვე იცნო თედე. საბრალო ხალხს ღამე გაუთენდა, მზე ამოუვიდა (ვ ა ჟ ა).

**ღვთის ანაბარა(დ)** უპატრონოდ, ზრუნვა-პატრონობის გარეშე. როცა მატარებელი თეკლათის ქვის სატეხში დაბრუნდა, მზე ჩადიოდა, ბახვა გად-

მოსვეს ზესადგრიდან, მას მხოლოდ ახლა მოაგონდა ღვთის ანაბარად მიგდებული თხები, კოდალ-ბზეკალი და საგზალი (გ. წ ე რ ე თ.). ამ დღიდან დაწყებული ღვთის ანაბარა დარჩენილი ნატალია უპატრონო ძაღლივით წანწალებდა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ღვთის გარეგანი** დაუნდობელი, შეუბრალებელი, ვერაგი, უწყალო, ღვთის პირიდან გადავარდნილი. რა ღვთის გარეგანი ყოფილა, გენაცვათ, გველიც არ დატოვებს თავის წიწილას უმწეოდ და ეს რა ქნა ი შეჩვენებულმა (ვ. ბ ა რ ნ.).

**ღვთის გულისათვის** იხმარება თხოვნის გამოსახატავად, ნიშნავს დაახლოებით: თუ კაცი ხარ, თუ ძმა ხარ, თუ ღმერთი გწამს. — მოითმინე, ღვთის გულისათვის! — ეხვეწებოდნენ და აწყნარებდნენ გააფთრებულ ომანს გლეხები (დ. კ ლ დ.). — სვანთა თავადო, ბარის ყვავილი მთის ჰავას ვერ იტანს და ღვთის გულისათვის ბაღი არ გამიხმო... (ბ ა ნ.).

**ღვთის მონა** უსუსური, უძლური, მოუხერხებელი, უილაჯო. . . ქეთევან . . . ყოჩაღი და გაბედული დედაკაცი იყო, მაგრამ იმისთანა ღვთის მონა ქმრის ხელში რა სიყოჩაღე გამოადგებოდა? (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ღვთის პირიდან გადავარდნილი** დაუნდობელი, შეუბრალებელი, ვერაგი. — სულ, სულ, ბატონო, ყველაფერი მოსე მწერლის ბრალია, იმან დაგვღუპა . . . იმ ღვთის პირიდან გადავარდნილმა . . . (ე. ნ ი ნ ო შ.). — რად გაგაჩინათ ღმერთმა კაცები, ასეთი ღვთის პირისაგან გადავარდნილები, რად? (ა. ბ ე ლ.).

**ღვთის წინაშე** სიმართლე რომ ვთქვათ, ტყუილი რომ არა ვთქვათ; ნამდვილად. კარგად უთქვამს მაგის მთქმელს, ღვთის წინაშე (ი ლ ი ა). ღვთის წინაშე, ღვინო და სანოვაგე კარგი სცოდნიათ (ვ ა ჟ ა).

**ღმერთის შეხედვა** გონივრულად, კანონიერად, ადამიანურად მოქცევა. ივანე, ღმერთს შეხედე, ქრისტიანი კაცი ვარ, გიჩივი არა მაქვს-მეთქი, — თითქმის ტირილით უპასუხა გოგიამ (ე. ნ ი ნ ო შ.). ვინ იცის, იქნება დღეს მაინც მორჯულდეს. იქნება ღმერთს შეჰხედოს და კაცური პასუხი მომცეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ღმერთს მიაბარა სული** იხ. მიაბარა სული ღმერთს.

**ღობე-ყორეს მოდება** უთავბოლოდ, უგზოუკვლოდ, უაზროდ მოქმედება ან ლაპარაკი. რა ედები უბრალოდ რაღაც ღობე-ყორესო? ეგ ერთი დაგიკარგავს, უფრთხილდი მეორესო (ა კ ა კ ი). — ღობე-ყორეს ნუ ედები! რა გინდა ჩემგან, რას მეტანები? (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

# ყ

**ყაბული არის** იხ. ყაბულს არის. ეგ არ იქნება, მაგისი ყაბული არა ვარ (ილია).

**ყაბულს არის** თანახმაა. — როგორ, სხვაგვარად? გვითხარი, იქნება ყაბულსა ვართ (ვაჟა).

**ყავლის გასვლა** ვადის გასვლა; მოძველება, ფასის დაკარგვა. (არაბ. **კავლ** პირობა). მუცელას ნუგეში მიეცა: იქნება ღვთისაგან ტუსაღობის ყავლი გამივიდაო, და ... სიხარულმა გაურბინა გულში (ვაჟა). — კიდევაც რომ გიცნონ, ყავლი გასული გაქვს, ზაალის ყმად ითვლები და წერეთელი ვეღარ დაგაბრუნებს (მ. ჯავახ.) ... შეხედეს: უვნებელი მოხუცი გამხდარიყო, მის გენერლობას ყავლი გასვლოდა, მებორნედ — კიდევ ივარგებდა, ამიტომაც არ დახვრიტეს (კ. გამს.).

**ყალმით ნახატი** იხ. კალმით ნახატი. ახალგაზრდააო ჩვენი მეფე, ყალმით ნახატი (ვ. ბარნ.).

**ყალყზე შედგომა** უცებ აღელვება, აბობოქრება. ცოტა მომისმინე და შემდეგ გინდ ყალყზე შედექი (შ. არაგვ.).

**ყბად აღება (ვისიმე)** მუდმივი ლაპარაკის, ჭორაობის, გაკილვის საგნად გახდა (ვისიმე). ლუარსაბ! ცუდი საქმე დაგვემართა, ძმაო! მაგრამ როგორმე უნდა გავასწოროთ. სირცხვილია, ქვეყანა ყბად აგვიღებს, საქოლავს აგვიგებენ (ილია). ... რომ ქვეყანას ყბად არ ავეღეთ, მქირდავების თვალის ასაშორებლად, გამოვძებნიდით ხოლმე სადმე მიყრუებულ ადგილს, იქ ვისხედით და ტკბილად ვსაუბრობდით (აკაკი).

**ყბაში ჩავარდნა** (ვისიმე) მუდმივი ლაპარაკის, ჭორაობის, გაკილვის საგნად გახდომა. ჩემი მტერი ჩავარდეს აქაურობის ყბაში (აკაკი). შენს ყბაში არ ჩავვარდე, თორემ მირჩევნია თავი მოვიკლა (თ. სახ.).

**ყბის დადგმა** ათვალწუნება, ამოჩემება, ავად ხსენება (ვისიმე). ... და საქმე რომ გაუჭირეს, კიდევაც შეუტია (არსენამ): — ყბა ნუ დამადგით, დამეკარგენით აქედან! (მ. ჯავახ.).

**ყელზე დაადგება** ვითომდა ავნებს, აწყენს, ზედმეტი იქნება მისთვის. სწორედ გითხრათ, არც ეს შენი ოთხი თუმანი დამადგება ყელზედ (ილია).

**ყელი უშოვა** დამარცხებისათვის ხელსაყრელი მომენტი შეურჩია, სუსტი მხარე უპოვა. ხელახლა დამარცხებით გაბრაზებული ბაგრატა ეხლა მხოლოდ შემთხვევას უცდიდა: ვუშონი ყელს, რომ ჯავრი ამევიყაროო

(ე ნ ი ნ ო შ.). არ იცოდა, ვუშონიდი ყელს! ქთამით რომ გეიმარჯვა და მიწა წამართო! (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ყელის გამოჭრა** დაღუპვა; შერცხვენა, თავის მოჭრა. ... თვითონ თავისის ხელით ყელს იჭრის ... (ი ლ ი ა). იქნება მართლა გაუჭირდა რომელიმე საგანში ბავშვს. მიდი და უთხარი, არ გამომჭრათ ყელი-თქო (ა. ბ ე ლ.). ...არა, შეიძლება გაასწრეს და მერე ნახოს იმ ცოდვილიანმა ბესიკმა მისი სირცხვილი და ყელის გამოჭრა (ბ ა ნ .).

**ყელის გაშრობა** მოწყურება. ძმაო არსენ, მოდი ერთი ქორწილი გვაჭამე ... ყელი გაგვიშრა ... ჟანგი მოგვედო ... პირში ხავსი მოგვეკიდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ყელს უწევს** ეხვეწება, ევედრება. ვეხვეწებოდით, ყელს ვუწევდით, ეამბნა ალის ამბავი. იმანაც დაიწყო (ვ ა ჟ ა).

**ყელში ამოუვიდა (რამე)** მობეზრდა, მოყირჭდა (რამე).

**ყელში გვალვის ჩადგომა** მოწყურება, ყელის გაშრობა. — დაგვისხი, ზურავ, თორემ ყელში გოლვა ჩაგვიდგა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ყელში დანის დაჭერა** იხ. დანის ყელში დაჭერა.

**ყვავი ჩხიკვის მამიდა** ვითომდა ნათესავი, ძალიან შორეული ნათესავი. ... სადღაციდან გამონახა (ბიაშვილმა) ქამუშაძესთან ყვავი-ჩხიკვის მამიდობის მაგვარი ნათესაობა, რათა ბინა ჰქონებოდა მათთან... (დ. კ ლ დ.).

**ყინულზე გაცურება** მოტყუება, მშრალზე დატოვება. კმარა, რაც მოგვატყუა, ყინულზე გაგვაცურა (ა კ ა კ ი). მოდი ერთი ყინულზე გავაცუროთ ი ქოფაკი (ვ. ბ ა რ ნ).

**ყირამალა დაყენება** განადგურება, მიწასთან გასწორება. ეს კი ყირამალა აყენებსო იმ თეორიას, ვითომცდა პროფესია გავლენას ახდენსო ადამიანზე (კ. გ ა მ ს.).

**ყურად იღო** ყურადღება მიაქცია, შეისმინა, ანგარიში გაუწია. ყურად მიღია უფროსთა რჩევა (ი. გ რ ი შ.).

**ყურებზე ხახვი არ დააჭრას!** ვერაფერს უზამს, ვერაფერს დააკლებს, ვერაფერს ავნებს, ბუზსაც ვერ აუფრენს. (თედო სახოკიას განმარტებით, ძველად ტყვეებს მონობის ნიშნად (შესაძლოა, საერთოდ ქვეშევრდომებს — სასჯელადაც — ა. ო.) ყურს სჭრიდნენ, ხოლო სისხლის შესაჩერებლად და სადეზინფექციოდ ჭრილობაზე ხახვს აჭრიდნენ. ამ გარემოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული აღნიშნული იდიომი). ყურებზედ ხახვი არ დამაჭრათ ან შენ და ან შენმა

ცხვირმოკვნეტილმა დიამბეგმა (ი ლ ი ა). — მამა გიცხონდა, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! ... უთხრა მკვახედ ესტატემ ... — მამა რომ მიცხონდეს, ძალიან შესიამოვნება, ყურებზე ხახვის დაჭრისა კი რა მოგახსენო (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! ... მაშ დაგაჩაგვრინებ რაღა ჩემ დისწულს! ... (რ. ე რ ი ს თ.).

**ყურებზე ხახვს დააჭრის!** იხ. ყურებზე ხახვი არ დააჭრას! ... მე ვიცი, ყურებზედ ხახვს დამაჭრი, ბაიყუშის ბაიყუშო (ი ლ ი ა).

**ყურებიდან ბამბის გამოღება** შეგნება, გაგება (რისამე), საქმეში გარკვევა; ფხიზლად მოქცევა, სიფრთხილის გამოჩენა. ერთხელ და ერთხელ საჭიროა ყურებიდან ბამბა გამოვიღოთ, ერთხელ და ერთხელ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა (ი ლ ი ა).

**ყურების აცქვეტა** ყურადღების გამახვილება, სმენად გადაქცევა. პეტრემ თუმცა ყურები აცქვიტა, ფეხის თითებზეც შედგა, მაგრამ შორს იყო და ვერა გაიგო რა (ი ლ ი ა). შუაღამისას მუხის ქვეშ გაისმა ფაჩაფუჩი. ბექანამ აცქვიტა ყურები, მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ მუხის ქვეშ დადიოდა ტურა, რომლის გულისათვის ის ახლა თოფს არ დასცლიდა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ყურების გამობერტყვა** ფხიზლად, ყურადღებით მოქცევა; მიხვედრა, შეგნება, გაგება (რისამე).

**ყურების გამოჩიჩქნა** იხ. ყურების გამობერტყვა. კარგა გაიგე, ყურები კარგა გამოიჩიჩქნე, რომ შენ არ ეყოფი სოფელსა! ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.). გამოიჩიჩქნეთ ყურები, ძმებო, — ეჩიჩინებოდა წიპრია (თ. რ ა ზ ი კ.).

**ყურ(ებ)ის გამოჭედვა** ბევრი ლაპარაკით, ყბედობით შეწუხება, თავის მობეზრება, ყურთასმენის წაღება. (სხვებს) ცარიელი დიპლომებით თავი მოაქვთ, ქადულობენ და ყურებს გვიჭედავენ (ი ლ ი ა). ნანობდა გვანჯ აფაქიძე: არაბიას შეხედვამ იგი ისე მოხიბლა იმ დღეს, რომ ქებით ყური გამოუჭედა არზაყანს (კ. გ ა მ ს.).

**ყურების დაცქვეტა** იხ. ყურების აცქვეტა. სიხარულით გულაჩქერებული ცაცა კი გაინაბა და ყურები დაცქვიტა... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ყურების ჩამოყრა** დასევდიანება, მოწყენა; ქედის მოხრა. (დემეტრეს) დიდხანს არ შერჩა კოხტა ტანისამოსი, მალე შემოაცვდა და ყურები ჩამოყარა (ს. მ გ ა ლ ო ბ.). იურიმ ყურები ჩამოყარა და მოეშხამა სიხარული, მაგრამ იმდენი გონება კი მიაწვდინა, რომ ახლა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელიაო და ყოველივეზე თანხმობა განაცხადა (შ. დ ა დ.).

**ყურების ცქვეტა** იხ. ყურების აცქვეტა. (ციხელმა) ალი რომ ახსენა, ჩვენ ყველამ ყურები ვცქვიტეთ (ვ ა ჟ ა). ამ დროს დერეფნის კარმა ჭრიალი მოიღო; მაჭრით შეხურებულმა მობაასეებმა ყურები ცქვიტეს (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ზანქანის ხსენებაზე ყური ცქვიტა აბულ-ასანის მეუღლემ (შ. დ ა დ.).

**ყურების წაღება** ბევრი ლაპარაკით, ყბედობით თავის მობეზრება. . . . ერთი პარუსკობს ის იმერელი, ერთი პარუსკობს, რომ ყურები წაიღო! . . . (ა. ც ა გ ა რ.).

**ყურებში ბამბის დაცობა** წაყრუება, სითხიზლის მოდუნება. განა არ ვიცით, მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა, მაგრამ განა• ეს საბუთია თვალი დავიბრმავოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრათ . . . (ი ლ ი ა). თვითონ განგებ თვალებზე ხელი აუფარებია, განგებ ყურებში ბამბა დაუცმია და ჰგონია, რომ ყველანიც დაბრმავდებიან და ეშმაკობას, კუდიანობას ვერ მიუხვდებიან (ი ლ ი ა).

**ყურებში თითის დაცობა** იხ. ყურებში ბამბის დაცობა. ჩვენ-კი ყურებში თითი დაგვიცვია ამ სიდიდე ტყუილის წინაშე . . . (ი ლ ი ა).

**ყურთასმენის წაღება** იხ. ყურების წაღება. — არ წაიღო ყურთასმენა ამ ბულბულმა!.. (ა კ ა კ ი).

**ყური არ ათხოვა** ყურადღება არ მიაქცია, ანგარიში არ გაუწია, არ მოუსმინა (შდრ. ყურის თხოვება). ლუარსაბმა ყური არ ათხოვა, თუ ვერ გაიგონა —არ ვიცი, ეს კი ვიცი, რომ ამ წყევლამ დარეჯანს მშვიდობიანად ჩაუარა (ი ლ ი ა). მონადირემ სრულიად ყური არ ათხოვა ტრედებს, თავის გზას გაუდგა (ვ ა ჟ ა). ლამბალოს ნათქვამს მაშინ ყური არ ვათხოვე. ეხლა კი მისი სიტყვა გავიხსენე (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ყურით მოთრეული** მოჭორილი, მოგონილი, ნაძალადევი. ყურით მოთრეული საბუთი (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**ყურის (და)გდება** მოსმენა, ყურის მიპყრობა; ყურადღების მიქცევა. ამ მუსაიფს მოსამსახურეები ყურს უგდებდნენ (ა კ ა კ ი).— ეხლა ის სახლები დაქცეულები არიან; არ ვიცი რათა. პატრონები ყურს აღარ უგდებენ, გული აუცრუვდათ იმათზედ, მაგრამ მაგათაცა ჰქონდათ თავისი დრო (დ. ჭ ო ნ ქ.). ისვრიან, მერე რა, რომ ისვრიან! აგრე ყოველ ბაგა-ბუგს თუ ყური ვუგდეთ . . . (ა. ბ ე ლ .).

**ყურის თხოვება** მოსმენა, ყურის დაგდება, ყურადღების მიქცევა (შდრ. ყური არ ათხოვა). — მაშ ყური მათხოვე, რას გეტყვი... (ი ლ ი ა). — ერეკლევ, ყური მათხოვე და, რაც გითხრა, ზუსტად შემისრულე (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ყურის მოკვრა** გაგონება. კიდევ კარგი, რომ ყური მოვკარი იმათ თათბირს, თორემ ნამდვილად გაიპარებოდნენ (ვ ა ჟ ა). თუ რაიმე ჭორისათვის ყური

მოუკრავს ლუკაიას, ეს შიშის ზარსა სცემს ბაბუა ტარიელს... (კ. გ ა მ ს.). ...რამდენიმე დღის წინათ ყური მოჰკრა ერთ უსიამოვნო ამბავს . . . (ა. ბ ე ლ.).

**ყურის ცქვეტა** იხ. ყურების აცქვეტა. თარაშ ემხვარმა ყური სცქვიტა ერამხუტის ხსენებისას (კ. გ ა მ ს.).

**ყური(ც) არ გაანძრია** იხ. ყური(ც) არ გააპარტყუნა. . . . სახლი კიდამ დაგვექცა თავზე და ამას ყურიც არ გაუნძრევია (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ყური(ც) არ გააპანტურა** იხ. ყური(ც) არ გააპარტყუნა. ვინ ხარ, ამოიღე ხმა, თორემ გესვრი-თქო, შევჰყვირე; იმან ყურიც არ გააპანტურა (ა კ ა კ ი).

**ყური(ც) არ გააპარტყუნა** ყურადღება არ მიაქცია, არაფრად ჩააგდო, აინუნშიც არ ჩაიგდო. ბევრი ლანძღვა და მუქარა მოხვდა ყურში ბახვა ფულავას, მაგრამ იმას ყურიც არ გაუპარტყუნებია (გ. წ ე რ ე თ.).

**ყურმოჭრილი მონა** იხ. ყურმოჭრილი ყმა. (ტასო) თვითონ მოექცა შვილის გავლენის ქვეშ და მისი ყურმოჭრილი მონა შეიქნა (ა. ბ ე ლ.).

**ყურმოჭრილი ყმა** (ვისიმე) მონა-მორჩილი, ნება-სურვილის უსიტყვოდ შემსრულებელი. (როგორც თ. სახოკია განმარტავს, ეს იდიომი მომდინარეობს მონობის ნიშნად (ზოგჯერ ალბათ სასჯელადაც — ა. ო.) ყურის მოჭრის ჩვეულებიდან, რაც ყურმოჭრილს აიძულებდა ყოფილიყო მორჩილი და ერთგული). თუმცა ასეთი იყო გიორგი, მაგრამ თავისის დედის ყურმოჭრილი ყმა იყო თითქმის (ი ლ ი ა). ...მთელი ქვეყანა დაუმოწმებს, რომ ის ბავშვობიდანვე მათი ყურმოჭრილი ყმა იყო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ყურს(აც) არ იბერტყავს** ყურადღებას არ აქცევს, არაფრად აგდებს (რამეს); თავს არ იწუხებს. დაღონდნენ ილიას მომხრეები, მაგრამ შორმჭვრეტელი ილია კი ყურსაც არ იბერტყავდა (ა კ ა კ ი). ერემ-სერემ-სურემი ყურს არ იბერტყენ, თუმცა ჰხედავენ კარგად, რომ სანუკარი ეწვებათ . . . (ვა ჟ ა). (დათუნა) თავის მამის გულისთვის ზრუნავს და გლეხისთვინ კი ყურსაც არ იბერტყავს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ყურში ჩაწვეთება (რისამე)** ჩუმად, შემპარავად ჩასმენა, ჩაგონება (რისამე). აშკარაა; ან თითონ არწრუნი, ან ვიღაცა ცდილა ეს ამისთანა უცნაური ამბავი ჩაეწვეთებინა ყურში ამ ახალ მოსულ ფრანგისათვის . . . (ი ლ ი ა). ეს რომ ჩამეწვეთა ყურში, ჩემი თავი ველარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა (ა კ ა კ ი). (ივანე) ზოგჯერ ჩუმჩუმად თეიმურაზს ჯაყოს ოინბაზობას ყურში აწვეთებდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ყუჩი მოსტყდა** ძალა დაკარგა, დასუსტდა, ფრთები შეეკვეცა. ბატონის აურ-ზაურიანობასაც ცოტა ყუჩი მოსტყდა, ცოტა შეტკბა ბატონი, თუმცა გული მისი ბოროტებისაგან გაწმენდილი არ იყო (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

# შ

**შაბზე წასვლა** სიკვდილი, მარილზე წასვლა. (თ. სახოკიას განმარტებით, შაბი საქართველოში შორიდან შემოჰქონდათ, მგზავრობის დროს ხშირად ხდებოდა უბედური შემთხვევები, ამასთან დაკავშირებით გაჩნდა იდიომი. შდრ. მარილზე წავიდა). შენი ძმა ორი თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ შაბზე წავიდა (თ. ს ა ხ.).

**შავ დღეზე გაჩენილი** უბედური, ბედუკუღმართი, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული. უზიარებლად არ მოკვდეს ეს შავ დღეზე გაჩენილი (დ. კ ლ დ.).

**შავი დღე** უბედურების, გაჭირვების დრო. . . . დიდი ჭირი გადამხდა, ბევრი შავი დღეი გამევიარე, მარა სამაგიეროდ ბოლოს კი შევიქენი ბედნიერი (ე. ნ ი ნ ო შ.). ამ გაჭირვების დროს გამოხსნეს ქალებმა თუ სადმე ჰქონდათ ფარა გამოკრული და შავ დღისათვის მიგდებული (ვ. ბ ა რ ნ.). არსენამ თამარიანთ ვალი გადაიხადა და ნაშთი შავი დღისთვის შეინახა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**შავი დღის დაყენება** გამწარება, ცუდ დღეში ჩაგდება; დატუქსვა, გაწყრომა. თლათ შესაჭმელათ ნუ მომინდომებ, თუ არა, ერთი თუ თავზე ხელი ევილე, შავ დღეს დაგაყენებ (ე. ნ ი ნ ო შ.). . . . იასონ შენ რავა წაგიყვანს ცოლათო, მეტყვიან და შავ დღეს დამაყენებენ (ე. ნ ი ნ ო შ.). (გერა) მეც შავ დღეს დამაყენებს (ლ. ქ ი ა ჩ.).

**შავი დღის დაყრა** იხ. შავი დღის დაყენება.

**შავი კატის გარბენა (ვისიმე შუა)** ურთიერთობის გაფუჭება, უთანხმოების ჩამოვარდნა (ვინმეს შორის), გადაკიდება. (იდიომი მომდინარეობს ცრუ რწმენიდან, თითქოს კატის მიერ წინიდან გზის გადაჭრა (და, მაშასადამე, ვისიმე შორის გარბენაც) უბედურების, უსიამოვნების მომასწავებელია). გამოცდილი კახაბერი მიხვდა, რომ მისსა და აბულ-ასანის შუა შავ კატას გაერბინა (შ. დ ა დ.).

**შავმა მიწამ წაიღო** მოკვდა, წუთისოფელს გამოესალმა. წაიღო შავმა მიწამ ჩემი თევდორე (ი ლ ი ა).

**შანის მოგება** იხ. ნიშნის მოგება. ჩვენი მიწის შვილი, ვინც უნდა იყოს, განა ასე შემეტება, რომ მისი უბედურება ვინატრო და შანიც მოვუგო? (ა კ ა კ ი).

**შანის მოგებით** იხ. ნიშნის მოგებით. ჭკვიანი შედარება გცოდნია, ცოლი და ცხენი შენს თვალში ერთი ყოფილა! — მითხრა შანის მოგებით კიკოლიკმა (გ. წ ე რ ე თ.).

**შარავანდედით შემოსვა** განდიდება, დიდებით შემოსვა. რაკი ამისთანა შარავანდედით შემოსილა განსვენებული არწრუნი, აული და კუტული წაუყვანია . . . (ი ლ ი ა).

**შახს არ იტეხს** იხ. იხტიბარს არ იტეხს. (**შახი** ეშხი, ლაზათი). (აზნაური) შახს არ იტეხდა, თუმცა ტკივილს კარგად ვატყობდი ხმაშია (ვ ა ჟ ა).

**შენი ჭირი წაიღო** იხ. თქვენი ჭირი წაიღო. ერთი ბეჟან კალმახიძე იყო, იმან ეს რვა წელიწადია შენი ჭირი წაიღო, ორი შვილი დარჩა საწყალსა... (ი ლ ი ა). ...როდესაც შენს ჭირს წაიღებენ..., იმ სამსხვერპლო ადგილზე უნდა დავმარხოთ (ბ ა ნ.).

**შენი ხმალი და ჩემი კისერი!** რაც გსურდეს, ის მიყავი, ყველაფრის უფლებას გაძლევ; მზად ვარ გემსახურო. და თუ ქადილი არ აგისრულოთ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! (ი ლ ი ა). ფულზედ ამბობ? შენი ხმალი და ჩემი კისერი-მეთქი, აკი გითხარი (ი ლ ი ა).

**შენს პირს შაქარი!** გაიხარე! იცოცხლე! ნეტა მართლა ასე იყოს, როგორც თქვი! (ეტყვიან კარგი ამბის მთქმელს). შენს პირს შაქარი, ჩემო ფეფიკო, — ლოცავდნენ კარგის ახალი ამბის მოტანისათვის ქეთევანი და დარია (ე. ნ ი ნ ო შ.). — შენს პირს შაქარი! ახალგაზრდა ხარ და შეგფერის იმედიანობა (შ. დ ა დ.).

**შეხტა და შემოტრიალდა** ცივ უარზე დადგა; გაიკვირვა, გაიოცა. შეხტა და შემოტრიალდა... დევ-გმირი ზოილი (ი ლ ი ა). არ გეწყინოს, თორემ... შევხტები და შემოვტრიალდები (ა. ც ა გ ა რ.).

**შვიდი პარასკევი აქვს დღეში** იხ. შვიდი პარასკევი აქვს კვირაში. ერემოს დღეში შვიდი პარასკევი ჰქონდა (კ. ლ ო რ თ ქ.).

**შვიდი პარასკევი აქვს კვირაში** ცვალებადი ხასიათი აქვს, ხან ერთს ამბობს, ხან მეორეს, გადაწყვეტილებას ხშირად იცვლის.

**შორს დაიჭირა** არ დაეთანხმა, ცივი უარი უთხრა, არ მიიღო, ახლოს არ გაიკარა. ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიჭირა: „მე თუ დამარტყეს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?!“ (ა კ ა კ ი). თავადმა ესტატემ შორს დაიჭირა; ერთს მუჭსაც არ დავაკლებ, ერთს მუჭსაო; (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**შორს წასვლა** წარმატების მიღწევა, დაწინაურება. „შენ მაგ სიმდაბლით და უფროსის პატივისცემით შორს წახვალო“, ეტყოდა ხოლმე კეთილი სოვეტნიკი (ი ლ ი ა). ამ ჯაგლაგი თეორიით შორს ვერ წახვალ (ი ლ ი ა).

**შუაზე გასკდომა** გაბრაზება, გულზე გასკდომა. თუნდა რომ აქავ შუაზე გასკდე, ეგრეა (ი ლ ი ა).

**შუბლზე ბუზს(აც) არ ისვამს** იხ. თავზე ბუზს(აც) არ ისვამს.. (ის) ვითარცა დიდგულა მეცნიერი, შუბლზე ბუზსაც არ ისვამს . . . (ი ლ ი ა).

**შუბლის გახსნა** გამხიარულება, კარგ ხასიათზე დადგომა. დღეის ამბავი ქე მოვითმინოთ, ხვალინდელ დღეზე იმედით ვიყვეთ..., ღმერთი უკეთეს გაზაფხულს შეგვასწრებს და ყველას შუბლი გაგვეხსნება...“ ყველას გვეშვე-ლება ... (დ. კ ლ დ.). ... რეზომ უფრო გახსნა შუბლი, თითქოს სიმძიმილიც გადაიყარა (ო. ჩ ხ.).

**შუბლის შეკვრა** მოღუშვა, გაბრაზება, განრისხება. ოღონდაც, თუ ერეკლე მეფეს ბევრი ჰყავს შენისთანა ერთგულები, — სთქვა ხანმა და შუბლი შეიკრა (ვ. ბ ა რ ნ.). დავიწყოთ ძმურად ლხინი, ღრეობა, შუბლს ნუ შევიკრავთ, გავაღოთ გული (ვ ა ჟ ა).

**შური იძია** სამაგიერო გადაუხადა, ჯავრი ამოიყარა. (ისინი) არც უკან იხევდნენ, რადგან დები დაუხოცეს და შური უნდა ეძიათ (მ. ჯ ა ვ ა ხ.). თითქოს ბუნებაც კი განრისხდა კავკასიონის ამაყ ქედზე გადამთიელი მტრის შე-მოჭრით და თავისი მრისხანებით მათზე შური იძია (ა. ბ ე ლ.).

**შუქის მოფენა** გარკვევა, ნათელყოფა, გაშუქება, ცხადყოფა, ნათელის მოფენა. ახალგაზრდა მეცნიერს ჯერ ეგონა, ვითომ ... ზოგ ბუნ-დოვან ამბავს შუქი მოჰფინა და ძველის-ძველი ქრონიკების უძველესი ვარიან-ტები აღმოაჩინა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**შხამად ამოადენს (რამეს)** წაამწარებს, არ შეარგებს (რამეს); არ შეარჩენს (რამეს). თუ ზოგჯერ ერთს ჭიქა კახურს მეტს დავლევდი — სიდედრი შხამად ამომადენდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). რაც მე და შენ, ჩემო ძმაო, ცოდვები ჩაგვიდენია, მოგვიკრეფენ და სულ შხამად ამოგვადენენ! (ი ლ ი ა).

**შხამის (გადმო)ნთხევა** ღვარძლიანად, გესლიანად ლაპარაკი, მწა-რე სიტყვების თქმა. გარშემო შხამს ანთხევდა გადალენდია (ლ. ქ ი ა ჩ.).

**შხამს ასმევს** ამწარებს, აწამებს, გაჭირვებას განაცდევინებს. ბევრჯერ თავისი ამაგი შხამს ასმევს მოამაგესა (ვ ა ჟ ა).

# ჩ

**ჩაბარდა პატრონს** მოკვდა, გამოესალმა წუთისოფელს. (ლუარსა-ბი) ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰ-ბარდა პატრონს (ი ლ ი ა).

**ჩაილურის წყალი დალია** უკვალოდ გაქრა, უქმად ჩაიარა, დავი-წყებას მიეცა. (**ჩაილური** (ჩაილური) მდინარეა ქიზიყში. თ. სახო-კიას განმარტებით, თუ მოტაცებულ საქონელს ამ მდინარეს გაატა-

რებდნენ, შემდეგ ეს საქონელი პატრონისათვის საბოლოოდ დაკარგული იყო. ამ გარემოების განზოგადების საფუძველზეა მიღებული იდიომი). მას აქეთ, რაც მისმა ბანკის თავმჯდომარედ ყოფნის სურვილმა ფალია აილო და ჩაილურის წყალი დალია, ეს სატკივარი დასჩემდა (ი ლ ი ა). **ჩხუბსა** და ლანძღვა-გინებას ჩაილურის წყალი დაელია, მათ მიდამოს არ **იბადებოდა** შხამი და ბოროტება (ვ ა ჟ ა). ერობის შემოღებამ ჩაილურის **წყალი** დალია (დ. კ ლ დ.).

**ჩალის გამოვლება პირში** იხ. პირში ჩალის გამოვლება.

**ჩანგლის მოდება** ძალად გაკეთებინება რისამე (თავის დაპატიჟებინება...).

**ჩახმახზე შედგომა** გაჯავრება, აშრეზა, საჩხუბრად განწყობა. რამდენჯერმე კიდეც შედგა მეფე ჩახმახზედ, მაგრამ ისევ ამშვიდებდნენ, ევედრებოდნენ (ვ. ბ ა რ ნ.).

**ჩვარში გახვევა** დამცირება, სახელის გატეხა, გაბიაბრუება, აბუჩად აგდება. ... ვისაც თითონ თავისის ღვაწლით უკვლევია საბუთები ქართველების წინანდელ ცხოვრებისა, ისინი არც თუ ისე გვხვევენ მჩვარში... **(ი ლ ი ა).** მე, ბატონო, ასეც ჩვარში ნუ გამახვევთ! (ი ლ ი ა).

**ჩვრებში გახვევა** იხ. ჩვარში გახვევა. ზოგი ჩვრებში გაგვახვია, ზოგი ცამდის აიყვანა! (გ. ლ ე ო ნ.).

**ჩირქის მოცხება** შერცხვენა, სახელის გატეხა; შეურაცხყოფის მიყენება, ცილის დაწამება. ჩვენ წმინდა გულით ჩვენი ვალი გადავიხადეთ და იმათ ჩირქი მოგვცხეს (ი ლ ი ა). მაყვალასთან პირდაპირ სახლში მისვლას, შეიძლებოდა, ქალის სახელისათვის ჩირქი მოეცხო (ა. ყ ა ზ ბ.). ... ვიღაცას ბოროტი ენები არ ისვენებენ. ეს უნდათ: როგორმე ჩირქი მოსცხონ მის უმწიკვლო ოჯახს (კ. გ ა მ ს.). .. ჩემი შვილი დანაშაული არ არის!. ... ჩირქს ვერ მოსცხებენ (ე. ნ ი ნ ო შ.). უცებ მარგოს უცნაური რამ დაემართა. თითქოს უსაზღვრო შეურაცხყოფა მიაყენეს და წაუშლელი ჩირქი მოსცხეს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ჩიტსაც ვერ აუფრენს** ვერაფერს უზამს, ვერაფერს დააკლებს, ბუზსაც ვერ აუფრენს. — გასწი აქედან, გასწი! ... თორემ წითელ კვერცხივით შეგიღებავ მაგ გველაძუა თავ-პირსა. — ჩიტსაც ვერ ამიფრენ, **ჩიტსა!** — უთხრა ზაქარამ დინჯად, აუჩქარებლივ (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ჩიხში მომწყვდევა** გამოუვალ მდგომარეობაში მოქცევა.

**ჩრდილის მიდგომა** მნიშვნელობის, ღირსების შემცირება, დაჩრდილვა, გაუფასურება. ... თუ მშობელი, ან ნათესავი საყვარელი არსებისა არ მოგეწონება, რაღაც იდუმალი ჩრდილი ადგება შენი გულის მიჯნურსაც (კ. გ ა მ ს.). რომ ვაწყენიო, მანაც მაწყენიოს, ამით ხომ ჩვენ სათუთ განწყობილებას ჩრდილი მიადგება და დაჩრდილული ყვავილი ხომ ველარ ხარობს (ბ ა ნ.).

**ჩრდილის მიყენება** მნიშვნელობის, ღირსების შემცირება, ფასის დაკარგვინება, დაჩრდილვა, გაუფასურება. . . . თომა შადიშვილს უმწიკვლო სახელი აქვს ქალაქში და ერთი გავლისათვის ამ სახელს ჩრდილს არ მიაყენებს (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ასეთმა არასაპატიო საჩუქარმა სახლუცესის თავმოწონებას ჩრდილი მიაყენა (ბ ა ნ.).

**ჩრდილში დაყენება** იხ. ჩრდილში მიყენება. რამდენჯერ უნდოდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მაინც ესეთ სხვა დიდ ამბავთა დაგროვებამ უკუაგდო და ჩრდილში დააყენა პირადი ზრახვანი ჩახრუხაისძისა (შ. დ ა დ.).

**ჩრდილში მიყენება** მნიშვნელობის, ღირსების შემცირება, დაჩრდილვა; მიჩქმალვა, მიფუჩეჩება, ჩრდილის მიყენება. არანაკლები ცოდვაა ერთის ღვაწლი, თუ კია სადმე, მეორეს მიაკერო და მთლად ღვაწლდამდები ჩრდილში მიაყენო ... (ი ლ ი ა).

**ჩხირი კედელს!** იხ. ნახშირი კედელს! ახლა ყველაფერი გავიგე! ჩხირი კედელს! (ა. ც ა გ ა რ.). ჩხირი კედელს! სადა ხარ, კაცო, აქამდინ? (დ. მ ა ჩ ხ.).

**ჩხირის *ბოლოზე გატეხა** იხ. დანის ღორის კუდზე გა(და)ტეხა. ყოჩაღ, შენ კაცობას, ათანიავ, . . . ბოლოზე გატეხე ჩხირი . . . (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ჩხირის გატეხა** გაბედვა (რისამე თქმის . . .), გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, ნავსის გატეხა. ერთი ორ-სამჯერ კიდევ მოვუყოლებ ამბავს და ბოლოს გავუტეხ ჩხირს: მანაი ჩემია, მე უნდა შევირთო მეთქი (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ჩხირის მიტეხა** ბოლომდე არდასრულება (რისამე), თავის დანებება, ხელის აღება (რამეზე). აქეთ ზოგიერთმა მოკეთემაც ურჩია — ნულარ მიატეხ ჩხირს, რადგან კაი ნიჭი აქ, ბარემ ქალაქის სკოლაშიაც დაასრულებიე სწავლა . . . (ე. ნ ი ნ ო შ.). არც შენ უნდა მიგეტეხა ისე ჩხირი და არ უნდა გადაკარგულიყავ (ა კ ა კ ი).

# ც

**ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა — ქალამნად** არავის და არაფერს არ უწევს ანგარიშს, ძალიან თავისუფლად, უდარდელად, მოურიდებლად იქცევა, ზვიადია, არაფერი არ ადარდებს. მიწაზე ფეხს აღარ ვაკარებდი: ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად! გული გრძნობად და გონება ოცნებად გადაქცეული მეშვიდე ცაზე მიმაფრენდნენ (ა კ ა კ ი). (ბავშვი) ვიღაცისაგან მოცემულს ფეტვის მჭადსა ღეღნიდა და ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად . . . (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ცა ქუდად აქვს და დედამიწა—ქალამნად** იხ. ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა — ქალამნად. იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდად გაქვს და დედამიწა ქალამნადა (ი ლ ი ა). დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლია თქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო (ი ლ ი ა).

**ცაზე ვარსკვლავების მოწყვეტა** მიუწვდომელის მიწვდომა, შეუძლებლის შეძლება. — ჭკუა აკლდა ცხონებულს და მით მოუვიდა ყველაფერი, თორემ მას რომ ჭკუა ჰქონოდა, როგორ იფიქრებდა, მზია წამყვებაო, ანდა მთავარს ვინ გაუბედავდა ამის თქმას. მაგრამ რაკი მოშაირედ მოჰქონდა თავი, ცაზე ვარსკვლავების მოწყვეტასაც ლამობდა საცოდავი ... (ბ ა ნ.).

**ცალი ფეხი სამარეში უდგას** სიკვდილის პირზეა მისული, დიდხანს ვერ იცოცხლებს (ჩვეულებრივ, მოხუცზე იტყვიან). ...ჩემი დრო, ავად იყო თუ კარგად, მოვჭამე, ცალი ფეხი სამარეში მიდგია, ჩემი გულისათვის შვილს გზას არ დავუხშავ ... (ე. ნ ი ნ ო შ.). შვილო, ან ცოლი შეირთე, ან სხვა რამე ხელობას შეუდექი და შენი ბედნიერება მაჩვენე, თორემ მე ცალი ფეხი სამარეში მიდგას და შენ კი მგონი უდედაკაცოდ აპირებ დაბერდე (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ცალი ყბით** უგულოდ, ყასიდად. ცალი ყბით დაპატიჟება (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.). ბოლოს, ეტლში რომ ჩავსხედით, (პეტრემ) ცალის ყბით დაუმატა: — სადილად მაინც დარჩებოდით, თქვე კაი კაცებო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ცამ ჩაყლაპა** ანაზდეულად გაუჩინარდა, უკვალოდ დაიკარგა, მიწამ ჩაყლაპა. ... ხუთი დღის განმავლობაში ველარსად შევხვდი თინათინს, თითქოს ცამ ჩაყლაპაო (ა კ ა კ ი).

**ცამდე აყვანა** ხოტბის შესხმა, ქება-დიდებით მოხსენიება, გადაჭარბებული ქება. (მომღერალთ) ცამდინ აჰყავდათ გულადნი, თავგადადებულნი ვაჟკაცნი, მაშინ, როდესაც მასხრად იგდებდნენ მშიშარებს და ლაჩრებს (ა. ყ ა ზ ბ.). როგორც ეს ხშირად სჭირს ხალხს, რომ ერთ ვინმე ადამიანს ტყუილუბრალოდ აიჩემებენ, ცამდი აიყვანენ და გაალმერთებენ, გურულ ხალხსაც ეგრე მოუვიდა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ცამდე აწევა** იხ. ცამდე აყვანა. — „ბასკუვიჩი ისკანდერზე უფრო ძლიერი სარდალია“ — გულმოდგინედ ჰბერავენ ოსმალები ... პასკევიჩს, რათა თავიანთი მომავალი გამარჯვება ცამდე ასწიონ და უცაბედი დამარცხების საბაბიც შეიმზადონ (მ. ჯ ა ვ ა ხ.). პირველად ძალიან ფეხს აჭერდნენ, მაგრამ, მე რომ ცამდის აგწიეთ, ისინიც დარბილდნენ (ა. ც ა გ ა რ.).

**ცარიელზე დარჩენა** ყველაფრის დაკარგვა, არაფრის შერჩენა, გაღარიბება, გაღატაკება, მშრალზე დარჩენა. მოხუცებული თავისი ცოლ-შვილით სულ ცარიელზე დარჩენილიყო (გ. წ ე რ ე თ.). ვაშლს სამი ტოტი

ჰქონდა; მოვიდოდა ეშმაკი, ჯერ ერთს გაჰხლეჩდა, ახლა მეორეს, ახლა მესამეს და ძმანი კი ცარიელზედ რჩებოდნენ (თ. რ ა ზ ი კ .).

**ცარიელზე დასმა** ყველაფრის წართმევა, არაფრის შერჩენა, პირში ჩალაგამოვლებული დატოვება. რაც მამისაგან დედულ-მამული გვქონდა . . . სულ მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზე დაგვსვა (ი ლ ი ა). ამისთანა თვისებით და ხერხით დიდძალი მამულები შეიძინა ქაიხოსრომ — თითქმის მთელი საგვარეულო ცარიელზედ დასვა (მ ე- ლ ა ნ.).

**ცას დაეწევა (სიხარულით)** იხ. ცას ეწევა (სიხარულით). ბალღი. . . მამიდასთან მოვიყვანე. ცას დაეწია საწყალი, აღარ იცოდა, რა ექნა და როგორ დაგვხვედროდა (ვ ა ჟ ა). თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ცას ეწევა (სიხარულით)** ძალიან უხარია, აღფრთოვანებულია. ბაგრატა და მისი ცოლ-შვილი სიხარულით ცას ეწეოდნენ, როცა უნათლოშვილის ქვრივ-ობლებს მტირალს ხედავდნენ (ე. ნ ი ნ ო შ.). სოხუმის მოქალაქენი, რაკი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ „შმიდტის" მეზღვაურებმა მათ შიში არ გაუმართლეს, რომ ყველას მეტად წესიერად ეჭირა თავი, . . . სიხარულისაგან ცას ეწეოდნენ (ლ. ქ ი ა ჩ.).

**ცეცხლზე ნავთის დასხმა** გამწვავებული მდგომარეობის (ან ურთიერთდამოკიდებულების) კიდევ უფრო გამწვავება (რაიმე საშუალებით). . . . ბობოლები სატევარს ლესავენ. ახლა ჩვენ ნავთი უნდა დავასხათ ცეცხლზე. რას დავკარგავთ . . .შეაკვდნენ თუნდაც ერთმანეთს. უნდა შევაგულიანოთ ბობოლები (კ. გ ა მ ს.). ალადის გაუხარდა, ცეცხლზე ნავთი დაასხა (ს. შ ა ნ შ.).

**ცეცხლზე ცეცხლის შეკეთება** იხ. ცეცხლზე ნავთის დასხმა. გოდერძიმ კვლავ შეაწყვეტინა, თითქო ართობს ბატონიშვილის სიცხარე და განგებ ცეცხლზე ცეცხლს უკეთებსო (შ. დ ა დ.).

**ცეცხლზე წყლის დასხმა** დაღუპვა, საქმის წახდენა. — ნუ დამღუპავთ, თქვენი ჭირიმე, ნუ დამისხამთ ცეცხლზე წყალსა! — მოისმა ნინიკას მომტირალი ხმა (ნ. ლ ო მ.). გგონავ, არ მიჭრის ხმალია? შენ რაზედ უნდა მწუნობდე, ცეცხლზე დამისხა წყალია? (ვ ა ჟ ა). ავად არ გამიხდე და ცეცხლზე წყალი არ დამისხა (თ. რ ა ზ ი კ.).

**ცეცხლთან თამაში** თავის თავისთვის სახიფათო მოქმედება; თავის ხიფათში ჩაგდება. მათ უფიქრიათ ცეცხლთან თამაში, თუ ვარ ბრძოლებში რისმე გამგები (ი. ა ბ ა შ.).

**ცეცხლი უკიდია (რამეს)** ძალიან ძვირია (რამე).

**ცეცხლის ალში გატარება** გაწვალება, გამწარება, ცუდ დღეში ჩაგდება. (დედინაცვალმა) მოგვყო ხელი და სულ ცეცხლის ალში გაგვატარა (რ. ე რ ი ს თ.).

**ცეცხლის მოდება** გამწარება, გატანჯვა, შეწუხება; გაბრაზება, აღშფოთება, ცეცხლის მოკიდება. ... მომედვა ცეცხლი: გავგიჟდებოდი, რომ მწყალობელი ბატონის იმედი არ მქონოდა (ა კ ა კ ი). მე ვიტანჯებოდი, ცეცხლი მედებოდა და შენ-კი „არხალალოს“ და „მრავალჟამიერსა“ ჰყვიროდი (ვ ა ჟ ა). ... დედას ... ცეცხლი ედებოდა და ვერა მოეფიქრებია-რა, როგორ გამოსულიყო ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან (გ. წ ე რ ე თ.).

**ცეცხლის მოკიდება** გაჯავრება, გაბრაზება, აღელვება, გულზე ცეცხლის მოკიდება; შეწუხება, გამწარება, ცეცხლის მოდება. ამ ლაპარაკის გაგონებაზე სულ ცეცხლი მომეკიდა, სირცხვილმა დამწვა, გონდაკარგული წამოვხტი და გარეთ გამოვვარდი (შ. ა რ ა გ ვ.). გზაში ისიც გავიგე, რომ ჩემი სამყოფელი ვსევოლოდის კაცებს გაენადგურებინათ. ცეცხლი მომეკიდა, მაგრამ სამაგიეროზე ფიქრი მეტი იყო (შ. დ ა დ.). ცეცხლი ეკიდებოდა მის შემხედვარე მამას, მორიდებულს მასთან, მზადმყოფს შეესრულებინა ყოველივე მისი სურვილი... (დ. კ ლ დ.). თავმოყვარე გურის ცეცხლი მოეკიდა, სამსახურის დამთავრებამდის თავის მაგიდას უჯდა და სახეალეწილი უაზროდ დაჰყურებდა რაღაც ქაღალდს (გ. ნ ა ხ უ ც რ).

**ცეცხლის შეკეთება** გახელება, გაღიზიანება, წაქეზება; ჩაციება, შეწუხება. გიორგი მაშინვე წამოჯდა, თითქო ცეცხლი შეუკეთესო, პირველი მაგალითი იყო, რომ მისმა გულგატეხილმა დედამ თავი შეაბრალა (ი ლ ი ა). ცოლმა ცეცხლი შეუკეთა პავლიას: „კაცო ადე, ჩადი ქალაქში, ბავშვის ამბავი მოიტანეო“ (ბ. ჩ ხ.).

**ცეცხლს აკვესებს თვალებიდან** იხ. პირიდან ცეცხლს ყრის. (თევდორას) ალმური ასდიოდა, ცეცხლს აკვესებდა თვალებიდან (ვ. ბ ა რ ნ.).— ოო, ბატონო, დედა-შვილი ერთიერთმანეთზე უკეთესია. ცეცხლს აკვესებს იმ ბიჭის თვალები. დედაც, ეტყობა, მშრომელი დედაკაცია (ბ ა ნ.).

**ცეცხლს აფრქვევს** ბრაზობს, გაცეცხლებულია, გაშმაგებულია, გაათრებულია. ის უჯიშო, იმას ვაჩვენებ, ჩემი ასეთი დამცირებისათვის სეირს! რავა გაბედა?! ცეცხლს აფრქვევდა მირიანი (რ. გ ვ ე ტ.).

**ცეცხლს ყრის პირიდან** იხ. პირიდან ცეცხლს ყრის.

**ცეცხლში ჩაგდება** განსაცდელში, სახიფათო მდგომარეობაში ჩაყენება, გაწამება, ცუდ დღეში ჩაგდება. თითქოს იმის თქმა უნდოდაო: „შენი ოჯახი დააქციოს ღმერთმა, რომ ამ ცეცხლში ჩამაგდეო!“ (შ. ა რ ა გ ვ.). ...ოხ, ვამეხ, რა ჰქენი ეს. კვლავ რა ცეცხლში ჩამაგდე, ერთხელ რომ რაიმე ეჭვი აფათურდეს, მერე ხომ იცი, მზისახარ, ცხოვრება ჯოჯოხეთად გადამექცევა (ბ ა ნ.).

**ცეცხლში ჩავარდნა** განსაცდელში, ცუდ დღეში ჩავარდნა, წამება. უწინ გმირობა იყო მამულისათვის ცეცხლში ჩავარდნა, ჯვარცმა, წამება ... (ე. გ ა ბ.).

**ცეცხლში ჩაყენება** იხ. ცეცხლში ჩაგდება. თავის მუშებს ხან სცემდა, ხან ლანძღავდა, ერთის სიტყვით, ცეცხლში აყენებდა (თ. რ ა ზ ი კ.).

**ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი** ძალიან ლამაზი, მშვენიერი (უმთავრესად — ქალი). ვინც კი ამ დროს მის (ესმას) ლერწამს ტანს და ჯეირნის თავ-კისერს თვალს შეასწრებდა, უნებურად წამოიძახებდა: „ნეტავი შენს დედ-მამას, რომ ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი ჩამოსვლიხარო!“ (გ. წ ე რ ე თ.). ვინა? მაყვალა? ციდგან მოწყვეტილი ვარსკვლავია, ღვთის მადლმა (ა. ყ ა ზ ბ.).

**ცივ ნიავს(აც) არ აკარებს** განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევს, ძალიან უფრთხილდება, სათუთად ექცევა, დილის სიოს არ აკარებს. ... თუ სადმე სამართალი გაქვსთ, თქვენ, ჩემს ძმებსა, ცივი ნიავიც არ უნდა მოაკაროთ (ვ ა ჟ ა). ... ბროლის სასახლეში ჩასვეს მზეთუნახავი, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, ყველაფერი უზრუნველი ჰქონდა მზამზარეულად, დუგმის შესაკრავადაც კი მოახლე ადგა თავს (ვ. ბ ა რ ნ.).

**ცივ ქვაზე დაასახლებს (ვინმეს)** სიღარიბიდან გამოიყვანს, გაამდიდრებს (ვინმეს) (მარჯვე და მუყაითი შრომით). იმისთანა რძალი შემხთა, რომ ცივ ქვაზე დაასახლებს კაცს,—იტყოდა ხოლმე ქეთევანი (ე. ნ ი ნ ო შ.). (ელისაბედი) იმისთანა ჭკუიანი და მეოჯახე ციცაია, რომ ცივ ქვაზე დაასახლებს კაცს (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ცივ ქვაზე დარჩენა** ყველაფრის დაკარგვა, არაფრის შერჩენა, გაღარიბება, გაღატაკება, ცარიელზე დარჩენა. ... ორმოცი გორო სიმინდი მომივიდა და ათი ძაგათ წაიღეს და დანარჩენი რამერუმე გადასახადებში, მეტი რომ ვერაფერი მონახეს, ერთი დეკეული მყავდა, ახსნეს და წაიყვანეს და დავრჩით მთელი ოჯახი ცივ ქვაზე (ბ ა ნ.).

**ცივი წყლის გადავლება** იხ. ცივი წყლის გადასხმა (თავზე). ცივი წყალი გადაევლო ჩემს აღტაცებას (ჭ. ლ ო მ თ.).

**ცივი წყლის გადასხმა (თავზე)** გაწბილება, იმედის გაცრუება. ბოლოს, იცით, კიდევ რა მოხდა? ისა, რომ შემოვიდა მოხუცებული დედაჩვენი და ცივი წყალი გადმოგვასხა თავზე ... (ვ ა ჟ ა). ამ სიტყვებმა ჩვენ ცივი წყალი გადაგვასხეს თავზე (ნ. ლ ო მ.).

**ცივმა ოფლმა დაასხა** შეშინდა, შეძრწუნდა. შვილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა. — მე რა შუაში ვარო! — დაიძახა კვნესით და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა (ი ლ ი ა).

**ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი** იხ. ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი. ნაზიბროლა — სახელია, სამეგრელოს ასულია, მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი ედემს ალვად ასულია!.. (ა კ ა კ ი).

**ცილის დაწამება** ტყუილის მოგონება, განზრახ დაბრალება (რაიმე ცუდის, ბოროტების . . .). შენ შენი სახლ-კარის გადაწვა გამწარებს და ალარავის ჰზოგავ!.. ქვეყანას ცილსა სწამებ! (ა კ ა კ ი). ტყუილ-უბრალოდ ცილს მწამებ, ალბათ, სისხლისღვრა მოგინდა (ლ. ა ს ა თ.).

**ცილის შეწამება** იხ. ცილის დაწამება. მოვიდოდა ვინმე, ერთს რასმეს ცილს შეგწამებდა..., გამოძიებაში არ შევიდოდა და დაიჯერებდა (ი ლ ი ა). ...ქვირად ნახავდი მისთანა ახალგაზრდას, რომ ჩემზე ძვირი არ ეთქვას და ცილი არ შეეწამებიოს (ა კ ა კ ი).

**ცის გახსნა** გახარება, ალტაცებაში მოსვლა, ბედნიერების განცდა. მაშინ, ნეტარებით გაბრუებულს, მაღლით ცა ეხსნებოდა (ა კ ა კ ი). თეოფილეს ცა გაეხსნა და სიხარულის ცრემლები დიდხანს არ შეშრობია (რ. ჯ ვ ე ტ.).

**ცის თავზე დანგრევა** იხ. ცის თავზე დაქცევა. ესეც ცა დამენგრა თავზე (ა. ც ა გ ა რ.).

**ცის თავზე დაქცევა** დიდი უბედურების შემთხვევა, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა. რას გაჩუმებულხართ, კაცები არა ხართ? ცა თავზედ გვექცევა (ი ლ ი ა).

**ცის კარის გაღება** გახარება, ალტაცებაში მოსვლა, ბედნიერების განცდა, ცის გახსნა.

**ცოდვის კითხვა** უბედურება, საშინელება; ვითომც სასჯელი ჩადენილ ცოდვათათვის. — რა ამბავია, კაცო? რაზე გვიძახით და რისი საყვირია? — უბედურების და ცოდვის კითხვის (ბ ა ნ.). ეს რაღა ცოდვის კითხვაა?! (ვ. ბ ა რ ნ.).

**ცოტა არ იყოს** თითქმის, კინაღამ; საკმაოდ. ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გულში ჩამახედეს (ა კ ა კ ი). ხალხი, ცოტა არ იყოს, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა ამ მარცხის გამო, იმედი შეუსუსტდა გულში (ვ ა ჟ ა). სოხუმის არისტოკრატიას კი, ცოტა არ იყოს, განზე ეჭირა თავი და საქმეში პირდაპირ არ ერეოდა (ლ. ქ ი ა ჩ.). ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, მალამო მოსცხეს მის გაფიცხებულ გულს (გ. წ ე რ ე თ.).

**ცოფებს ყრის** იხ. ცოფებს ყრის პირიდან. ისეთია ეს დედაკაცი, სულ ცოფებსა ჰყრის. მიუხტა ქმარს,.. იძახოდა, შე აძაღლებულო, შენა! (თ. რ აზ ი კ.).

**ცოფებს ყრის პირიდან** გაანჩხლებულია, განრისხებულია, გააფთრებულია, პირიდან ცეცხლს ყრის. გაწყრა თავადი ესტატე; გაწყრა, ისე გაწყრა, რომ სულ ცოფები ჰყარა პირიდან (ს. მ გ ა ლ ო ბ.). წამოჯდა გმირისეული პირგაქუშული, გამეხებული... პირიდან ცოფებს ყრიდა (ს. მ გ ა ლ ო ბ.). (ვეშაპი) პირიდან დორბლებს, ცოფებს ჰყრიდა, ხვნეშოდა, კვნესოდა და უგემურად ილანძღებოდა (ვ ა ჟ ა).

**ცოცხლად დამარხვა** საქვეყნოდ შერცხვენა, თავის მოჭრა, მორალურად განადგურება. ცოცხლად საფლავში ვიმარხვი, ზედ შავი ლოდი მედება (ვ ა ჟ ა). რა ჰქმნას ამ უბედურმა, რომელიც ამ გაიძვერა, სინდისგარეცხილმა განათლებულმა ცოცხლივ დამარხა? სად წავიდეს? (ა. ც ა გ ა რ.).

**ცოცხლად მკვდარი** უნიათო, უძლური. უილაჯო, დავრდომილი; უუნარო, უგერგილო, მოუხერხებელი.

**ცუდ თვალზე დაინახა** იხ. ცუდი თვალით უყურებს. დედა აღარა მყავს, დედინაცვალს ჭირივით ვეჯავრები ... პირველ დღესვე რაღაც ცუდ თვალზე დამინახა, ამიჩემა. მწყევლიდა, მაგინებდა, მერე ცემაც დამიწყო (ნ. ლ ო მ.).

**ცუდი თვალი დაადგა** იხ. ცუდი თვალით უყურებს. (ბასილამ) მარინესაც რაცხა ცუდი თვალი დაადგა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ცუდი თვალით უყურებს** მტრულად ექცევა, სძულს. ახლა იყო და მამაჩვენმა — ცუდი თვალით გვიყურებს, დაგვწვავსო — აიყვანა და ქურდობის „პრიგავორში“ ჩააწერინა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ცხელ გულზე** რაიმე გრძნობის ან აფექტის (აღელვების, განრისხების, აღტაცების, ნდომის ...) დროს. (ის) ტურასავით ტყეში იმალებოდა, ვერ დაენახვებოდა ქალის პატრონებს „ცხელ გულზე“, რადგან ცოცხალი არ გადაურჩებოდა (ვ ა ჟ ა).

**ცხვირიდან ძმარი ადინა** გაამწარა, შავი დღე აყარა; სცემა. ჭეშმარიტი ლიბერალობა ის არის, რომ ჭეშმარიტება არავის წააწყმედინო, არავინ გააქელვინო, ბოროტს ბოროტი ამხილო, მსჯავრ-დაუდებლად არ შეარჩინო და, თუ საიმისოა, ცხვირიდამაც ძმარი ადინო (ი ლ ი ა). ცხვირიდამ უნდა ვადინოთ ზვიადაურსა ძმარია (ვ ა ჟ ა). ... ხომ გითხარი, ბატონის შვიდი წლის ნაწვართნია ის მამაძაღლო ბიჭი და ამ წვრთნაში თუ რამე შეეშლებოდა, ბევრი ძმარიც სდენია ცხვირიდან ... (ბ ა ნ.).

**ცხვირის აწევა** უკადრისობა, ამპარტავნობა, მედიდურობა, კუდაბზიკობა. (ყველამ) პატივი სცა საქართველოს სახელოვანი მეფის სახელს ... და მარტო თ. გ. თუმანოვის ამქრის წარმომადგენლებმა ცხვირი ზევით ასწიეს, აინუნშიაც არ გაიტარეს (ი ლ ი ა).

**ცხვირის ჩამოშვება** მოწყენა, დაღონება, მოღუშვა. . . . ბახვამ ცხვირი ჩამოუშვა. თითოეული სალომეს სიტყვა ეკალივით ესობოდა გულზე. სრულებითაც არ მოსწონდა ესმას შეამხანაგება მადამ სალისთან . . . (გ. წ ე რ ე თ.). რა აქვს მეუფის სახლში დასაღონებელი, რომ ცხვირი ჩამოუშვას? . . . (ვ. ბ ა რ ნ.).

**ცხვირში ძმარი ჩააწურა** იხ. ცხვირიდან ძმარი ადინა. აბეზარსა ვარ მოსული . . . ძმარს მაწურებს ცხვირში! სხვა არა იყოს-რა, უფროსი ძმა ვარ! (ი ლ ი ა).

**ცხრა ენა გამოიბა** გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა დაიწყო. რაკი ერთი დაიწყო მოშლილი წისქვილივით ლაპარაკი, კაცი ვერ გააჩერებს! . . . ცხრა ენა გამოიბა სწორედ! . . . (თ. ს ა ხ.).

**ცხრა თოკში გამძვრალი** გაქნილი, ცბიერი, ეშმაკი, მოხერხებული. მკითხავი ერთი მოქნილი თათრის მოლა იყო და, როგორც იტყვიან, ცხრა თოკში გამძვრალი (რ. ე რ ი ს თ.).

**ცხრა მთას იქით** ძალიან შორს. . . . ცხრა მთას იქით ხომ არ მისტუმრებ, რომ მაგოდენა ბარგ-ბარხანას თან 'მატან (ი ლ ი ა). . . . ცხრა მთას იქითაც, თუკი ფეხი დადგა ნადირმა, იგი გუმანით მიუხვდება, ვით გულთმისანი! (ხ. ბ ე რ.).

# ძ

**ძარღვების აშლა** იხ. ნერვების აშლა.

**ძაფზე ჰკიდია** საფრთხეშია, განსაცდელშია, ბეწვზე ჰკიდია. ჰოო, თუ ჭკუა აქვს, ასე იზამსო, თორემ ისე, ძაფზე კიდია მისი საქმეო (ბ ა ნ.).

**ძაღლად ჩააგდო** იხ. ძაღლად(აც) არ ჩააგდო. გოგიავ, ძაღლათ ჩამაგდე თუ რა არის აგი! . . (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ძაღლად(აც) არ ჩააგდო** არაფრად ჩააგდო, დაამცირა, აბუჩად აიგდო. (სახლი) მაგრა დგას და ყოველ ზეციურ მრისხანებას—წვიმას, თოვლს, ქარიშხალს—ძაღლადაც არ აგდებს (ე. გ ა ბ.). . . . თუ ამათთანა ხალხს თავი არ ვაჩვენე, ძაღლადაც არავინ ჩამაგდებს (ა. ც ა გ ა რ.).

**ძაღლი გარეთ არ გაიგდება** ძალიან სიცივეა, ცუდი ამინდია. ქარი ჰქროდა, საშინლად ციოდა, ნამქერმა ამოყორა თითქმის სახლის კარები. ძაღლი გარეთ არ გაიგდებაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი დრო იყო (ვ ა ჟ ა). ისეთი უქმური დილა იყო, რომ გარეთ ძაღლი არ გაიგდებოდა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ძაღლი პატრონს ვერა სცნობს** არეულობაა, უწესრიგობაა, უთავ-ბოლობაა. ... ეს რომ მოხდეს, ხომ აირია მონასტერი თ. გ. თუმანოვის ამქ-რისა, ხომ დაეფანტათ დავთრებს და ძაღლმა პატრონი ვეღარ იცნო! (ი ლ ი ა).

**ძაღლის ფეხის გამობმა** ბევრი სიარული, წანწალი. რა ძაღლის ფეხი გამოიბი, რომ ამდენს დადიხარ?! (თ. ს ა ხ.).

**ძაღლის ყბის გამობმა** გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა. (სოლო-მანმა) ძაღლის ყბა გამოიბა (დ. კ ლ დ.).

**ძაღლი(ც) არ დაჰყეფს (ვისიმე) ბედს** ბედნიერი იქნება, საქმე კარგად ექნება. მე რომ მაშინ წიგნი მცოდნოდა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა (ი ლ ი ა). თავადებიც კი ამბობენ, არსენა რომ თავადი ყოფილიყო, ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდაო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ძე ღვთისა** იხ. ძე ხორციელი. აბა, გარსი, ისე უნდა წახვიდე, რომ ძე ღვთისამ არ დაგინახოს (მ. ჯ ა ვ ა ხ.). — ახლა აქ ძე ღვთისაც არ შემოიხე-დავს (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ძე ხორციელი** ადამიანი, ადამის შვილი; ვინმე. ონისე, სრულიად გაგარეულებული, მთებში დადიოდა და ძე ხორციელს არ ეკარებოდა (ა. ყ ა ზ ბ.). ... ამოდენა ღრიალზე ძე ხორციელი არსად გაჩნდა და ზედ არავინ შემოგვხედა (შ. ა რ ა გ ვ.). ... მერე სად დახვედრია და! აი გარდაკვეთილთან ... იქ ძე ხორციელი ადამიანი ვერ ნახავდა ..., ყორნებისა და არწივების მეტი სხვა არა მოიპოვება-რა (ს. მ გ ა ლ ო ბ.). (გვანჯი) ყოველთვის ისე იქცეოდა, ძე ხორციელი ვერ მიუხვდებოდა გულში გავლებულ ზრახვას (კ. გ ა მ ს.).

**ძვალ-რბილში გაჯდომა (რისამე)** იხ. სისხლ-ხორცში გაჯდომა (რისამე). (ყაზარას) ეს ზნე დასჩემდა მაშინ, როცა სოფელში მეწვრილმანის დუქანი ჰქონდა და, ისე გაუჯდა ძვალ-რბილში, რომ ცოლ-შვილობის დროსაც ვეღარ ითმენდა (მ ე ლ ა ნ.).

**ძირიანად მოთხრა** მოსპობა, განადგურება. ... ქართველებს ... არა გვზოგავს, ძირიანად გვთხრის და ქართველების სახელგანთქმულს ვაჟკაცობა-საც-კი თითქმის უარობს (ი ლ ი ა). სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრებდა ხოლმე. ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა (ი ლ ი ა).

**ძირის გამოთხრა** საფუძვლის გამოცლა, აღმოფხვრა, მოსპობა, განადგურება. ისინი ცდილობენ გასტეხონ ჩვენი რკინისებური ნებისყოფა ..., ძირი გამოუთხარონ საბჭოთა კავშირის ძლიერებას (ა. ბ ე ლ.). ... ეს რკინის ხელი გურიისა ემუქრებოდა, ძირს უთხრიდა მის უზრუნველ ცხოვრებას და თვით-

არსებობასაც, თუ იგი ალღოს არ აუღებდა ახალ დროს ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.). ლოთობა ძირს უთხრის ადამიანის კეთილდღეობას (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.).

**ძირფესვიანად მოთხრა** იხ. ძირიანად მოთხრა.

## წ

**წამწამზე უზის (ვინმე)** სულ ახსოვს, მუდამ თვალწინ უდგას (ვინმე). შენმა მზემ, სულ წამწამზე მიზიხარ, აი! ... (თ. ს ა ხ.).

**წარბ(ებ)ის მოხრა** მოღუშვა. გაბრაზება, წარბის შეკვრა. — რა არის, ქალო, რომ მოხარე წარბები! ქმრის შიში და რიდი აღარ გაქ მაინც! — ეტყოდა დედამთილი ახ მული რძალს, თუ ამ უკანასკნელს რამე ეწყინებოდა .. (ე. ნ ი ნ ო შ).

**წარბის გახსნა** გამხიარულება, კარგ ხასიათზე დადგომა, შუბლის გახსნა. უმცროსს წარბი გაეხსნა, მოღრუბლულს სახეზედ რაღაც სიამოვნების ფერმა გადაჰკრა (ი ლ ი ა). — რა არის, ქრისტინე, სულ ზიხარ და ზიხარ აქანაო კვდრის ჭირისუფალსავით მგლოვიარეთ! მოკვდები, ქალო, ასე! ერთი წარბი გახსენი! (ე. ნ ი ნ ო შ).

**წარბის შეკვრა** მოღუშვა, გაბრაზება, შუბლის შეკვრა. უმცროსმა უფრო წარბი შეიკრა და რისხვამ ელვასავით გაურბინა სახეზე (ი ლ ი ა). მოხუცმა წარბი შეიკრა, თავი აიღო მაღლა და მრისხანებით გადახედა ამ სიტყვების მთქმელს (ნ. ლ ო მ.).

**წარბი(ც) არ გაანძრია** იხ. წარბი(ც) არ შეიხარა. ... ლევანიკას წარბიც არ გაუნძრევია იმ ცემაზე (ე. ნ ი ნ ო შ.).

**წარბი(ც) არ შეიხარა** არ შეშინდა, არ შედრკა; არაფრად ჩააგდო (განსაცდელი, მძიმე საქმე). ... მტრის კარს ისეთი სანახავი, ჩვენ რომ იქ ვნახეთ, მაგრამ ჩვენ მაინც წარბი არ შევიხარეთ (ვ ა ჟ ა). ... ლევანტია გრძნობდა, რომ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია ... ამიტომ თავისებურად უშიშრად და მკვირცხლად იყურებოდა და წარბსაც არ იხრიდა მამის წყრომაზე (ე. ნ ი ნ ო შ.). ჰაკი უჯუშისათვის ათსაც მოჰკლავდა და წარბს არ შეიხრიდა (ლ. ქ ი ა ჩ.). აი ფიქრიაც. „ყოჩაღ ქალო! ყველაფერში არსენობა გეტყობა". წარბიც არ შეუხრია. თავის დედა მკლავით უჭირავს და ალბათ სიარულშიც ჰშველოდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**წელებზე ფეხს იდგამს** თავგამოდებით შრომობს, მძიმე ჯაფაშია. ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს! (ი ლ ი ა). .. ამდენი

სამუშევარია, ამდენი საქნარი ... სად შეგვიძლია დასვენებაზე ვიფიქროთ! ... წელზე ფეხს ვიდგამთ, მა ხრ გაჯახირებაში ვართ, დასვენებაზე ფიქრს რომ მივეცეთ, სულ არ ამოვწყდებით? ... (დ. კ ლ დ.). აი ეხლაც სისხლის ოფლს ვაწვიმებთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ, მოსავალი მოგვყავს, თქვენ მიგაქვთ, ჩვენ მშრალზე ვრჩებით თევზივით და მშიერი კუჭით დავწოწავთ ქვეყნად ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**წელები ეხლართება** იტანჯება, მწარედ განიცდის (რამეს). ბარემ წელები მეხლართება, რომ ასე გადადებულ შვილს ვუცქერი ..., მაგრამ რა ვქნა (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**წელის მომაგრება** იხ. წელში გამართვა. ორიოდე წელიწადში წელს მოიმაგრებ და ერთ ლამაზ „ყიზის“ კიდევ იშოვნი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**წელის მოწყვეტა** დაქანცვა, ილაჯის გაწყვეტა, ძალის გამოლევა; შეშინება, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა. — რას მელაპარაკები, სალომე? მაგას შენგან არ მოველოდი; სადაური ქალბატონი, კერვით უდროვოდ წელი მოიწყვიტოს, ხელები ნემსით დაიჩხვლიტოს... (გ. წ ე რ ე თ.). წლევანდელმა მოუსავლობამ ხომ (ოტიას) სრულიად წელი მოსწყვიტა (დ. კ ლ დ.). დამარცხებამ კი არ მოსწყვიტა ხალხს წელი: დამარცხება და გამარჯვება ძმები არიან (ვ. ბ ა რ ნ.). — გაეთრიე მეთქი აქედან! ... რას დაეხეტები ამ ეზოში! გადადგი ეგ ფეხები! ... წელი ნუ გწყდება! ... აბა, კარგად მოუსვი ეგ ცოცხი... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**წელში გამართვა** მოღონიერება, გაძლიერება, განმტკიცება, ძალის მომატება. თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა — ეს იმის მეფობის დროს გაიმართა (ი ლ ი ა). ვერ მოასწრო ერთი კარგად წელში გამართვა და აქ კი დიდრიცხვიანი წვრილშვილის რჩენა დააწვა კისრად (ე. ნ ი ნ ო შ.).

**წელში გასწორება** იხ. წელში გამართვა. არსენას მოკვლამ, გაცოცხლებამ და გაქცევამ დიდხანს აცინა ქალაქი და მაიორის წარჩინებაც შეაფერხა, მაგრამ ის მალე გასწორდა წელში და კიდევ ორიოდე ნაბიჯით დაწინაურდა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... მამაჩემსაც ჩემი კვების ვალდებულება მოეხსნება და ეს საცოდავი კაციც წელში გასწორდება-მეთქი (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**წელში გატეხა** ძლიერ დასუსტება, დაუძლურება, ძალ-ღონის გამოცლა, წელში გაწყვეტა. გამოიცვალა ჯორ-ზაქარა, სახეზე შეიშალა, ოჯახი წელში გატყდა, ნელ-ნელა ვალებში ჩაჯდა (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ამ ბევრ სანადელო მიწებს მოჰყვა დიდი გადასახადი, რომელიც ქვრივ-ობოლს კი არა, მოწიფულს ვაჟკაცსაც გასტეხდა წელში (ე. ნ ი ნ ო შ.).

**წელში გაშლა** იხ. წელში გამართვა. გავიშლები თუ არა წელში ..., სარგებლით მოგცემ შენს ვალს (ვ. ბ ა რ ნ.).

**წელში გაწყვეტა** იხ. წელში გატეხა. მოთმინების ფიალა აივსო, ამხანაგებო, — დაიწყო აწ მოხუცებულმა ჯორ-ზაქარამ, — წელში გაგვწყვიტეს, მამულ-დედული გაგვიოხრეს, ნაშრომ-ნაჭირნახულევი წაგვართვეს (ს. მ გ ა ლ ო ბ.). — რა ვქნა, ბატონო, აქ წელში გავწყდი, ვერაფერს ვეწიე, ახლა ცოტ-ცოტას რაიმეს ვშოულობ..., თავი გამომაქვს მაინც (დ. კ ლ დ.). ხალხი წელში გაწყდა და სული უნდა მოითქვას (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**წერას აუტანია** ისე იქცევა, რომ შეიძლება დაიღუპოს, ცუდი რამე შეემთხვას. ... მაგრამ კაცის წერა რაც იქნება ის არის, — უპასუხა მეორე დედაკაცმა, — საცოდავი წერას აუტანია (ი ლ ი ა). — ... შვილო, ეს ერთი თვეა მე შენ ველარ გცნობ ..., რა წერას აუტანიხარ ..., დაგიჭერენ, შვილო... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**წერილი წაიღო** მოკვდა, გამოესალმა წუთისოფელს.

**წერტილის დასმა** რისამე (თხრობის, ამბის...) გათავება, შეწყვეტა. აქ წერტილი დავსვათ და ცოტა შორიახლოდან დავიწყოთ ამ საგანზე ლაპარაკი (რ. ე რ ი ს თ.).

**წესის აგება** განადგურება, მოსპობა, ბოლოს მოღება, ანდერძის აგება. ... ძლივს გასჭრა ბოლოს ღვთისა და კაცის სამართალმა. ბოროტმოქმედს აწ კი აუგებენ წესს (გ. წ ე რ ე თ.). ჩემ ჯორს შეეძლო მთის ბილიკებზე ჩემი წესის აგება (გ. წ ე რ ე თ.).

**წვა და დაგვა** ტანჯვა-წვალება. როგორც მოგეხსენებათ საზოგადოდ ქვრივის მდგომარეობა, ეს დედაკაცი დიდს წვასა და დაგვაში იყო. ზოგი მეზობლის შემწეობით, ზოგიც თავის მხნეობით უვლიდა სახლს ... (ა. ყ ა ზ ბ.). —იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი!—დაუმატა მეორემ,—თუ გაგვაჩინე, მოგვიმართე კიდეც ცოტა რამ ხელი, თუ არა და ბარემ სულ ერთ დღეს მიიბარე ჩვენი სული და მოგვარჩინე ამ წვა და დაგვასა! (ნ. ლ ო მ.).

**წვეთი ზღვაში** სულ ცოტა, სულ მცირე (რამესთან შედარებით).

**წითელ კვერცხს უგორებს** ელოლიავება, ცდილობს ასიამოვნოს, ყველაფერში უთმობს, მისი გულის მოგებას ცდილობს. ეს ისეთი ადამიანია, თუ სულ წითელი კვერცხი არ უგორე, მასთან ვერას გახდები (თ. ს ა ხ.).

**წითელი კოჭი** ვითომც ყველაზე უკეთესი, განსაკუთრებული, გამორჩეული. — თქვენ რა ბოლნისი გაგიწყრათ! რა წითელი კოჭები ბრძანდებით! გამოდით და თქვენც დარეკეთ (მ. ჯ ა ვ ა ხ.). საქართველოში კაცი არ დარჩა, რომ არა თუ შვილი, თვითონ მამებიც არ გაეწვიათ ჯარში და ახლა მიდი შენ და ითხოვე, ჩემ შვილს ფრონტზე ნუ გაუშვებთ, რადგან ის წითელი კოჭი არისთქო (ა. ბ ე ლ.).

**წინ აღუდგა** წინააღმდეგობა გაუწია, რისამე ნება არ მისცა, გზაზე გადაეღობა. მე მალაპარაკებს ... გრძნობა პატიოსანი კაცისა, რომლის მოვალეობაც არის გამოესარჩლოს ყველა დაჩაგრულს, წინა აღუდგეს ყოველ უსამართლობას (ა. ყ ა ზ ბ.). ... ვინც წინა აღუდგეს ჩვენს ახლანდელსა განცხადებულსა, იყოსმცა წყეულ და შეჩვენებულ უკუნითი უკუნისამდე (შ. დ ა დ.).

**წინ დადგომა** წინააღმდეგობის გაწევა, გზაზე გადაღობვა; ჯობნა. — ფეფელო ჩემია მეთქი, მორჩა და გათავდა! ვნახავ ვინ დამიდგება წინ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).— სადაც შენი ნება-სურვილი წინამძღვრად მეყოლება, ბატონო, მე მგონია, იქ ვერაფერი ველარ დამიდგეს წინ (ბ ა ნ.). გურიაში ყაძახის შვილი ჩემ შვილებს წინ ვერ დაუდგება!— ამბობდა სიხარულით ბაბალე (ე. ნ ი ნ ო შ.).

**წინ წაწევა** დაწინაურება, წარმატების მიღწევა, უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა. პარტია უთუოდ დაეხმარებოდა არზაყანს და წინ წასწევდა (კ. გ ა მ ს.).

**წისქვილის ქვის დატრიალება თავზე** ბევრი გაჭირვების, ტანჯვაწვალების გამოვლა, თავზე კევრის დატრიალება. რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან ..., რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე (ი ლ ი ა).

**წიხლის დაჭერა** დაჩაგვრა, შევიწროება, გაქელვა. ... ი ერთ კაცს მუჭაში უჭერიხართ და როცა ჩემისთანას მოასწრებთ, წიხლს აჭერთ! ... რატომ იმაზე ხმას არ იღებ, ჰა, მითხარ ერთი! ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**წკიპზე შემდგარი** გაფიცხებული, ჩხუბის ხასიათზე მოსული. ოტიას ბიძაშვილი, ბესარიონი უკვე ვიღაცას წალაპარაკებოდა და წკიპზე იყო შემდგარი — ჩხუბის დაწყებას ეპირებოდა (დ. კ ლ დ.).

**წმინდა წყლის** წესიერი, სინდისიერი, პატიოსანი; ნამდვილი, აშკარა. ღმერთმა ჰქნას ... იმისთანა წმინდა წყლის კაცი, როგორიც კორესპონდენტია, ამისებრ დანაშაულის მეტს სხვას არასა გრძნობდეს წინაშე ადამიანისა ... (ი ლ ი ა). შუათანა ძმამ უთხრა: ჩემი ცოლი ცოტა უკეთესიაო, მაგრამ წმინდა წყლისა არც ის არისო; არც ის მაყრის ხეირსო (თ. რ ა ზ ი კ.). თვითონ კი, ჩახრუხაისძე, ეს ხომ წმინდა წყლის პიიტიკოსია. ამას სულ არ ემარჯვება მშრალი მატიანის წერა (შ. დ ა დ.).

**წრეს გადასვლა** გადაჭარბება, ზომიერების ფარგლებიდან გამოსვლა, საზღვარს გადასვლა. ... თქვენ უნდა ჩაგვაგდოთ ჩვენა გულისხმაში, როცა ... წრეს გადავალთ და დავაშავებთ რასმე (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**წრეს გადასული** გადაჭარბებული, საზღვარს გადასული. აქ მარტო შესანიშნავია წრეს გადასული თვითნებობა კაცისა ... (ი ლ ი ა).

**წუთისოფლის გამოსალმება** მოკვლა, სიკვდილი, სიცოცხლის გამოსალმება. ... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გვკრავ ტყვიას და

გამოგვასალმებ წუთისოფელს ... (ვ ა ჟ ა). ... ძინდორმა შემიქცია ნადირობით, ერთი მელა გამოვასალმე წუთისოფელსა და ორი კურდღელი (ს. მ გ ა ლ ო ბ.). შიშისაგან ტანში ჟრუანტელმა დაუარა, იფიქრა, ეგ არის, უნდა გამოვესალმო წუთისოფელსაო. (ვ ა ჟ ა).

**წყალი არ გაუვა (რამეს)** უდავოა, უეჭველია, ნამდვილია (რამე).

**წყალი შეუდგა (ვინმეს, რამეს)** სიმტკიცე მოაკლდა, საფუძველი შეერყა (ვინმეს, რამეს).

**წყალს ასხამს (ვისიმე) წისქვილზე** ეხმარება (ვისმე), (ვისიმე) სასარგებლოდ მოქმედებს. ეს, ჩემო ძმაო, ისეთი ვინმეა, რომ თავისიანები ავიწყდება და სხვის წისქვილზე ასხამს წყალს (თ. ს ა ხ.).

**წყალში გადაყრა (რისამე)** უსარგებლოდ დაკარგვა, დაღუპვა. (რისამე); არდაფასება (ამაგისა, სიკეთისა ...). ამდენი შრომა წყალში გადაყარა (გ ა ნ მ. ლ ე ქ ს.). რამდენ ომში ვასახელე, რამდენი ვაჟკაცობა გამოვიჩინე, თვითონაც როგორ პირში მაქებდნენ და ახლა კი ესე წყალში გადამიყარეს ყოველი ჩემი ნაამაგარიო? (შ. დ ა დ.).

**წყლიდან მშრალი (გა)ამოსვლა** თავის გამართლება, თავის მოხერხებულად დაძვრენა (გაჭირვებიდან, ჩადენილი დანაშაულიდან). (თევდორა) შეუდგა ისევ იმის ფიქრს, რომ გოგოც ხელში ჩაეგდო და წყლიდანაც მშრალი გამოსულიყო, ხოხობიც დაეჭირა და ბარდებიდანაც დაუკაწრავი გამომძვრალიყო (ვ. ბ ა რ ნ.).

**წყლის ამღვრევა** განზრახ შფოთის, არეულობის გამოწვევა, მდგომარეობის გამწვავება. ვითომ შუაკაცობენ და საქმით კი წყალს ამღვრევენ (ა. ყ ა ზ ბ.). ზურაბი გულში ამბობდა: ახლა კი ვიცი, წყალს ვინ ამღვრევს! (ს. შ ა ნ შ.).

**წყლის ნაყვა** უსარგებლო რისამე კეთება, უაზრო, ფუჭი შრომა. ამაებზე საუბარი წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი (ი ლ ი ა). — შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვაა სწორედ ..., შენ რასაც გეუბნებიან, უნდა გაიგონო ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.). — მაშ ეხლა წყლის ნაყვა გამოდის, რაღა? თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე, — გაიფიქრა მან და მოიღუშა ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

## ჭ

**ჭირი მოგ(ვ)ჭამა** დაიღუპა, მოკვდა, გაქრა, აღარ არსებობს, თქვენი ჭირი წაიღო. „ბორანი თუ მუშაობს“ — იკითხა მხედარმა ყასიდად, თუმცა იქვე ეგდო გაწყვეტილი ჯაჭვი ბორნისა. „ბორანმა მოგვჭამა ჭირი“, სთქვა მებორნემ (კ. გ ა მ ს.). ზამთარმა ჭირი მოგჭამათ, ფერი ცემს გაზაფხულისა (შ. მ ღ ვ ი მ.).

**ჭკუაში დაჯდომა (რისამე)** მოწონება, დასაშვებად მიჩნევა (რისამე). ოტიას ჭკუაში დაუჯდა ეს სიტყვა და იამა მისი კარგად ხსენებაც (დ. კ ლ დ.). ... ჩემი აზრები ჭკუაში არ დაუჯდა ქორა მახვშს (კ. გ ა მ ს.). — მადლობა ღმერთსა! ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაგჯდომია, გაიღიმა ივანემ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ჭკუაში მოსვლა (რისამე)** იხ. ჭკუაში დაჯდომა (რისამე). (ბახვას) ამდენს აუარება გასაყიდ მამულებში არც ერთი არ მოსდიოდა ჭკუაში (გ. წ ე რ ე თ.). ... ქვეყნის საქმე ქვეყანას რომ ჭკუაში მოუვა, ისე უნდა წავიდეს (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ჭკუის დანაყვა** უჭკუოდ, უგუნურად მოქცევა, ჭკუის წაგება. ეგ-კი ჭკუასა ჰნაყავს, გამოიქცა სოფელში მასწავლებლად და ცხრამჭადაანთ საბას მეგობრად ... გაუხდა (მ ე ლ ა ნ.).

**ჭკუის დაფქვა** იხ. ჭკუის დანაყვა. მგელმა იფიქრა: ... რა ჭკუა დავფქვი, რომ არც არაფერი მოზვერს ვუყავი და არც არაფერი ერკემლებსა და ვირსაო (თ. რ ა ზ ი კ.).

**ჭკუის კოლოფი** ჭკვიანი ადამიანი; უჭკუო, სულელი. საერთოდ ჩალმაზი ჭკუის კოლოფია. არზაყანს რომ ჩალმაზის ამხანაგური რჩევა გაეზიარებინა, მას სიყვარულის საქმეებშიაც არ შეხვდებოდა ამდენი დავიდარაბა (კ. გ ა მ ს.). ... გაგიგონიათ სადმე ... ასე თავზე ხელაღებული ბოდვა! ჭკუის კოლოფს რომ იტყვიან, სწორედ ეს არის, თუ არ დაგიშლიათ! (ი ლ ი ა).

**ჭკუის წაგება** უჭკუოდ, უგუნურად მოქცევა. ... მაგრამ მე ის უფრო მტანჯავდა, რომ ჭკუა წავაგე და ორი „ლინეიკა“ დამკრეს (ა კ ა კ ი). ვაჭრობისთანა მომგებიანი არაფერია, დამიჯერე და ჭკუას არ წააგებ ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ჭურში ჯდომა** ჩამორჩენილობა, უვიცობა, უმეცრება, კარჩაკეტილობა. აქამდე თითქო ჭურში მჯდარიყოს. სულ არაფერი არ სცოდნია ამ ქვეყნისა (შ. დ ა დ.).

# ხ

**ხაზი და ლარი არ უნდა** იხ. ლარი და ხაზი არ უნდა.

**ხაზის გადასმა** უარყოფა, დავიწყება (რისამე), კავშირის გაწყვეტა (ვინმესთან, რამესთან).

**ხაზის გასმა** განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, ყურადღების გამახვილება, გახაზვა. გინდა ხაზი გაუსვა, რომ ჩემისთანა განაზებული

ინტელიგენტი მშიშარაა და სისხლის დანახვაზე გული მისდის?... (გ. ნახუცრ.).

**ხარის ნავალი** იხ. ირმის ნახტომი. უხვად მობნეული ვარსკვლავები უფრო მკაფიოდ მოკრთოდნენ, ციმციმებდნენ და ჩვენს თვალს აცეცებდნენ ..., სარტყლად გადავლებული „ხარის ნავალი“ გადაჰჭიმოდა ზედ შუაზე ცას ... (შ. არაგვ.).

**ხარკს უხდის (ვინმეს, რამეს)** (ვისიმე, რისამე) გავლენით მოქმედებს ან აკეთებს რამეს, ჭნგარიშს უწევს (ვინმეს, რამეს). ზოგი იჭვნეულად იღიმებოდა, გლეხურად ჩაუცვამსო. ეს ახალ დროს ხარკს უხდისო ნათავადარი (კ. გამს.).

**ხაფანგის დაგება** იხ. მახის დაგება. მღვდელი ... უთუოდ რაიმე ხაფანგის დაგებას მიპირებს, თორემ ისიც ... არც ერთ მატარებელს არ გაუშვებდა უნახავად-მეთქი (შ. არაგვ.).

**ხახამშრალი დატოვება** მოტყუება, გაწბილებული, პირში ჩალაგამოვლებული დატოვება, ცარიელზე დასმა. ყმარი მალე უნდა მოვიტაცოთ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, თორემ სხვები მოგვტაცებენ და ხახამშრალს დაგვტოვებენ (მ. ჯავახ.). ყველანი წივილ-კივილით გაიფანტნენ და გაცრუებული მეომრები ხახამშრალი დატოვეს (მ. ჯავახ.).

**ხახის დალბობა** ქრთამის მიცემა, მოქრთამვა. ერთი ოციოდ თუმანი მოგინდება, რომ იმისი მახლობელნი შევისყიდოთ. ერთი კაცია იქ, იმისი სიტყვა გრძელაძიანთ მოსესათვის ბეჭედია, ფირმანია სწორედ. იმას უნდა ხახა დავულბოთ (ილია).

**ხელები ექავება** საქმის გაკეთების სურვილი აქვს; ვისიმე ცემა სურს. ... ჯარის საქმე მალე დავისწავლე და მერე სულ ხელები მექავებოდა ჩვენებური საქმისათვისო (ვ. ბარნ.). ვინ იტყვის, თუ არ ბრიყვი, თავხედი, — ცხოვრებას კისერში ხელსა ვსტაცებ და თავს, საითაც მინდა, იქით ვუზამო? ეცადოს, ვისაც ტვინი და ხელები ექავება (ვაჟა).

**ხელ(ებ)ის ლოკვა** მლიქვნელობა, ფარისევლობა, ლაქუცი. ყური მოვკარ ამ დილით, ვითომ დიდ ადგილს უნდა გაძლევდნენ, ვითომ მლიქვნელობით და ხელის ლოკვით მიგეღოს (ს. მგალობ.).

**ხელ(ებ)ის შეკვრა** მოქმედების საშუალების მოსპობა, შეზღუდვა, შებოჭვა. გიორგის სახეს რაღაც სხვა ჩრდილი გადაჰკროდა ..., ეს აშინებდა ნატოსა და ხელებს უკრავდა (მ. მრევლ.).

**ხელებში უყურებს (ვისმე)** იხ. ხელებში უცქერის (ვისმე).

**ხელებში უცქერის (ვისმე)** სარგებელს, გამორჩენას, სარფას მოელის (ვინმესგან).

**ხელზე დახვევა (რისამე)** რისამე ამოჩემება და საბაბად, საბუთად გამოყენება, თითზე დახვევა (რისამე). მარტო მხდალი და ლაჩარი ამისთანა ლათაიებს მიზეზად დაიხვევს ხოლმე ხელზე, როცა ... სხვის ლანძღვათრევას ხმაამოუღებლივ იტანს ... (ი ლ ი ა). მაშ ფრანგისტანში ისევ ბატონყმობა დარჩა? — ეს მაგალითი ხელზე დაიხვია და რამდენჯერმე იკითხა დაჟინებით: — ისევ დარჩა მეთქი? (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ქაა, რა ხელზე დაიხვია ე უთანასწორობა :.. უსწორო და უფარდი არ იყავი შენი ქმრისათვის!? მერე რა დაშავდა ამითი?! (ო. ჩ ხ.).

**ხელზე დახვევა (ვისიმე)** დამორჩილება, თავისი ნების შემსრულებლად გახდა (ვისიმე). ბატონი რომ თითო ადლს უთმობდა, ცალთვალა თითო გოჯსაც არ იმეტებდა. ბოლოს ყმამ მაინც მოდრიკა ბატონი და ხელზე დაიხვია (მ. ჯ ა ვ ა ხ.). მხოლოდ უკვირდა რაღად იხვევდა ხელზედ ვაჟკაცსა (ვ. ბ ა რ ნ.).

**ხელთ იგდო** მოიპოვა, შეიპყრო, დაეუფლა, დაისაკუთრა, დაიპყრო, იხელთა, ხელში ჩაიგდო. თავადაზნაურობამ... ხელთ იგდო დრო (ი ლ ი ა). მე სხვა დროს ხელთ ვერ ვიგდებდი უკეთესს (ა კ ა კ ი). მათ ხელთ იგდეს ჯვარედინი გზები, მიუვალი ციხეები ... (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ხელი არა აქვს (ვინმესთან, რამესთან)** უფლება არა აქვს, არაფერი ესაქმება (ვინმესთან, რამესთან), არ ეკუთვნის (ვინმე, რამე) (იხ. რა ხელი აქვს). ... მიწაწყალი თქვენია, საკომლოს რაც გნებავთ, ის უყავით, მაგრამ ობოლზე-კი ხელი არა გაქვთ და დაგვიბრუნეთ (ა კ ა კ ი). ... გთხოვ ჩემთან მას ნუ ახსენებ ... ირინესთან იმას ხელი არა აქვს დღეიდან, არა, ასე მოახსენე ... — როგორ თუ ხელი არა აქვს? რა გინდა ამით თქვა? — იხ, რომ ირინეს საუკუნოდ გამოეთხოვოს... (დ. კ ლ დ.).

**ხელი გამოჰკრა (რამეს)** იშოვა, შეიძინა (რამე). სამი წლის განმავლობაში ბახვამ ათას თუმანს გამოკრა ხელი პორტში მუშაობით (გ. წ ე რ ე თ.).

**ხელი მიჰყო (რამეს)** დაიწყო (რამე), ხელი მოჰკიდა (რამეს). ამიერიდან მუცელას ცხოვრება ჩვეულებრივ მიმდინარეობდა: მიჰყო ხელი წინანდებურად სმა-ჭამას ... (ვ ა ჟ ა). სარდიონ ქველიძემ, როგორც იქნა, გაიმართლა თავი მმართველობის წინაშე, ისევ ვექილობას მიჰყო ხელი და გლეხებიც მასვე დაუბრუნდნენ ... (დ. კ ლ დ.). ... დავითმა დაანება თავი ხის ვაჭრობას და ხიმინდის ვაჭრობას მიჰყო ხელი (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ხელი შეაწია (ვინმეს)** დაეხმარა, უშველა, შეეწია, ხელი მოუმართა (ვინმეს). მისცა ათი თუმანი ფული, სხვითაც ყველაფრით ხელი შეაწია ... (თ. რ ა ზ ი კ.).

**ხელი ხელს მისცეს** შეკავშირდნენ, ერთმანეთის დახმარება, მხარის დაჭერა გადაწყვიტეს. ... ანგლიის და ფრანციის კონსულები დანამდვილებით ამბობენ, თუ რუსეთმა და ოსმალეთმა ხელი ხელს მისცეს, ჩვენც ჩავერევით და რუსეთს ოსმალეთზე უარეს დღეს დავაყრითო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ხელიდან გამოცლა (ვისიმე, რისამე)** წართმევა, დაკარგვა, დაღუპვა (ვისიმე, რისამე). რა ანგარიშია, რომ ჰლამის ხელიდამ გამოგვაცალოს ჩვენ ჩვენი საუნჯე ... (ი ლ ი ა). რაკი მუქთი გლეხები და შინაყმები დიდებულ მებატონეს ხელიდან გამოეცალნენ, იმან სოფელში ველარ გასძლო ცხოვრება (გ. წ ე რ ე თ.). ... ისედაც სიკვდილის პირზე მისული უბედური ქალი წუხელ კინაღამ ხელიდან გამომეცალა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... თქვენსავით ამ ტალახში ველარ ვიცხოვრებ, ... მე მალე გამოგეცლებით ხელიდან და თქვენს უბედურ თავებს თქვენვე მიხედეთ (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ხელიდან წასვლა** დაღუპვა, უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნა; გაფუჭება, გადაგვარება, ზნეობრივად დაცემა, სწორი გზიდან გადაცდენა. — შენ ისე ლაპარაკობ, ასე გგონია თითქო საქმე მართლა ხელიდამ წასულიყოს (ი ლ ი ა). აი რას ნიშნავს ცუდი მშობლები. ყურადღება არ მიაქციეს (ქორას) და წავიდა ხელიდან (ა. ბ ე ლ.). — დავღუპულვართ! მთლად წასულა ხელიდან. — იჰ, ასეა. კარგადყოფნის დროს რომ ფეთიანია კაცი, ავადმყოფი რაღა იქნება (ბ ა ნ.).

**ხელიდან წასული** გაფუჭებული, გადაგვარებული, ზნეობრივად დაცემული, სწორი გზიდან აცდენილი. ამ სულელებს რაც გინდა, უთხარი, ღმერთმან იცის, გააგებინებენ?! ამათ ქალებზედ ელაპარაკე, მაშინ თუნდ სალამომდინ ყურს დაგიგდებენ, ხელიდან წასულები არიან (ი ლ ი ა).

**ხელის აღება (ვინმეზე, რამეზე)** თავის მინებება, მიტოვება; გაწირვა. მას აქეთ, რაც ის ხიფათი შეემთხვა, ხელი აიღო მეურნეობაზედ ... (ი ლ ი ა). განა ღმერთმა რომ კაცს ჭკუა მისცეს, ასე ოხრად უნდა მიანებოს თავი, როგორც თქვენ აიღეთ ჩემზე ხელი? (ვ ა ჟ ა). ... კნეინა რუსუდანს ოჯახის უფროსობაზე ხელის აღება არ უნდოდა ... (ე. ჩ ი ნ ო შ.). თუ ღმერთმაც აიღო ჩვენზე ხელი, ე ჩვენ მაინც ნუ ვახდენთ ერთმანეთსა (ნ. ლ ო მ.).

**ხელის აშვება** მიტოვება, თავის დანებება. ერვანდს უკმეხად ჰკითხა ბახუტომ: — ყმაწვილო! ხელი რად აუშვი ჩემს სამუშაოს? (ს. შ ა ნ შ.).

**ხელის გამართვა** დახმარების გაწევა, შეწევნა, ხელის შეწყობა, ხელის მომართვა. ეხლა არც ფული გვაქვს, არც არაფერი, ორი დღის უჭმელები ვართ; თუ ღმერთი გწამს ხელი გაგვიმართეთ და ქალაქში ჩაგვიყვანეთ ... (ი ლ ი ა). ... მეზობლის სტუმრები სათემო სტუმრად ითვლებოდნენ და ვისაც რით შეეძლო, ცდილობდნენ მეზობლის ხელის გამართვას, შემწეობას (ა. ყ ა ზ ბ.). — ვინ მოსთვლის რამდენი მრუდე საქმე გაუსწორა ჯაყომ ჩვენს სოფელს და რამდენ გაჭირვებულ ქვრივ-ობოლს გაუმართა ხელი! — ქლესაობდა ივანე (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ხელის გამოღება** გააქტიურება, ენერგიული მოქმედების დაწყება (შრომაში, ბრძოლაში ...). ... დღესაც რომ მისთანა დღე ადგეს ჩვენს ქვეყანას, შენც გამოიღებდი ხელს თუ არა? გამოიმეტებდი თავს მტერთან შესაკლავად? (ა კ ა კ ი). თითოეულმა თქვენგანმა ხელი უნდა გამოიღოს. აბა, ვინც ვარგა ... ახლა გამოჩნდება (ლ. ქ ი ა ჩ.).

**ხელის გა(მო)წოდება** დახმარების გაწევა, შველა. მაგრამ ვერ ვნახე ამ ქვეყნად ეს ჩემი შემჭმელ-შემსმელი, რომ ერთხელ გაჭირების დროს გამომიწოდოს მე ხელი (შ. მ ღ ვ ი მ.).

**ხელის განძრევა** შრომა, გარჯა, საქმიანობა. ჩაუცვამს რაღაც ქაჯურად, იპრანჭება და სამუდამოდ ხელს აღარ ანძრევსო (ა კ ა კ ი).... ახლა ღარიბები ვართ, მარა ხელს გავანძრევთ, გავირჯებით და ჩვენც ტკბილი ცხოვრება გვექნება (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ხელის გასვრა** არასაკადრისი, შეუფერებელი მოქმედება, უღირსი საქმის ჩადენა. უი, ჩემ თვალებს! ქა, როგორ იქნება? უბრალო კაცის შვილები ხომ არ არიან, ათ-ათ თუმანში ხელი გაისვარონ? (ი ლ ი ა). ნუ იკადრებ, ბატონო, უგუნურობით მოუვიდა! იმაზე ხელის გასვრა რა თქვენი საქმეა (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ხელის გაწყობა** იხ. ხელის გამართვა. ... გაჭირვების დროს რამდენჯერმე მიირბინა ჯერანმა სიმამრთან ფულის სასესხებლად, მაგრამ ვერც ერთ დროს ერთი გროშითაც ვერ გაუწყო ხელი (ე. ნ ი ნ ო შ.). (მხლებლებს) ვახტანგისაგან ... დახმარება და ხელის გაწყობა ... ათასჯერ უნახავთ (ნ. ლ ო რ თ ქ.):

**ხელის გულზე გაგორება** იხ. ფეხქვეშ გაგება. როცა იტალია ბისმარკის მოსაწონად იქცევა, მაშინ ბისმარკი რომის პაპს ზურგს შეაქცევს და როცა თავს არ აწონებს, ბისმარკი ზურგს იტალიას შეაქცევს და რომის პაპს ხელის გულზედ გაუგორდება ხოლმე (ი ლ ი ა).

**ხელის გულზე დასმა (ვისიმე)** იხ. ხელის გულზე ტარება (ვისიმე). ხელის გულზე დაგისვამ და სულ ისე გატარებ (ა. ც ა გ ა რ.).

**ხელის გულზე ტარება (ვისიმე)** დიდ პატივში, ფუფუნებაში ყოლა (ვისიმე), დიდად პატივისცემა; მზრუნველობა, მოვლა. (გელა) პატარაობიდანვე ძიძასავით მივლიდა, ხელის გულზე მატარებდა (ა. ჭ უ მ ბ.).

**ხელის გულის მოპოხვა** ქრთამის მიცემა. (მამასახლისი) მოწმობას აღარ აძლევდა ... და, როცა ხელის გული მოუპოხეს, მაშინ მოწმობაც მისცა და „ფეჩატიც დაუკრა“ (ვ ა ჟ ა).

**ხელის დაბანა** პასუხისმგებლობის მოხსნა თავიდან; საქმეში არ ჩარევა, განზე გადგომა. ... მე მაგ ცოდვაში არ ჩავდგები. აი, შენი ბეედ

**მოცემული** ხუთი თუმანი, მე კი ხელი დამიბანია (ი ლ ი ა) —არა ვეთაყვა, მე მაგ საქმეში ხელი დამიბანია, მე მაგას არა ვიქ, ეხლავ გეუბნები (ი ლ ი ა). — ჯიბრში კი არ გიდგები. ხელს ვიბან მეთქი. თუ ჩვენი საქმე უარესად წავიდა, მე ნუღარაფერს ნუ დამაბრალებ მეთქი (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ხელის დადება** დაბრალება (რაიმე დანაშაულისა), დამნაშავედ გამოცხადება. — კეთილი და პატიოსანი, აბდულ ქერიმ ოღლი! გაძარცულმა მალაკნებმა გიცნეს და ხელი დაგადეს. ამაზე რაღას იტყვი? (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... შეიპყრეს ჯოტო გვასალია. იგი მყისვე გამოტყდა, თავის სიმამრს გვანჯ აფაქიძეს დაადო ხელი (კ. გ ა მ ს.).

**ხელის დამშვენება** ფასეული საჩუქრის მირთმევა.

**ხელის დარევა** ჯობნა, მორევა, დაუფლება. დიდხანს ყოყმანობდა წერეთელი: მისი ნაერთგულარი ბაქარას შვილები დასაკარგავად არ ემეტებოდა, მაგრამ აბაშიძის მეშურნეობამ დაჰრია ხელი (ა კ ა კ ი). ... მე წინდაწინვე დავემადე და უკვე შევეჩვიე ჩემს ხვედრს, ჩემს ავს ბედს, რომელმაც ასე ულვთოდ დამრია ხელი და გამთელა (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... ძარღვებმოშლილ ცაცას უკვე მოუთმენლობამ და ბრაზმა დაჰრია ხელი (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ხელის დაფარება** ვისიმე დანაშაულის დამალვა, მიჩქმალვა, დანაშაულის დაფარვაში დახმარება, დაცვა. ალბათ მღვდელს იმიტომ დააფარა ხელი ოქრუა უნათლოშვილმა, რომ რამე ხათრი და კავშირი არის მათ შორის და ამიტომაც ცდილობს ყალბი მოწმობის მიმცემი მღვდელი წყლიდან მშრალი ამოიყვანოს ... (ე. ნ ი ნ ო შ). ... რამდენჯერ მყავდა (კვვორქი) ხელში მომწყვდეული, მაგრამ დადიანი და აბულ-ასანი ხელს აფარებდნენ და ვერა გავაწყე რა (შ. დ ა დ.).

**ხელის მიცემა** შეკავშირება, პირობის შეკვრა ვინმესთან. ამ ბოლო ხანებში ბისმარკს სულ ერთი საზარელი ლანდი ელანდებაო: ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა ერთმანეთს ხელი არ მისცენო (ი ლ ი ა). მტრები ხელს მისცემდნენ ერთმანეთს სპარსეთის სანადგურებლად (ვ. ბ ა რ ნ.).

**ხელის მოთავება** რაიმე საქმის ბოლომდე მიყვანა; დაღუპვა, ბოლოს მოღება. ... ნაძვის კვარს ვანთებ და მინდა თხუნელების ღმერთს შევევედრო, იმ სახეძაღლს. ამ დევის ქვაბში მომითავოს ეგების ხელი (კ. გ ა მ ს.).

**ხელის მოთბობა** სარგებლის, სარფის მიღება (ჩვეულებრივ, უპატიოსნო გზით). თამარმა აკრძალა (ტყვეებით ვაჭრობა), ... მაგრამ რას იზამ, როდესაც აბულ-ასანისთანა გავლენიანი კაცი ჩუმად მხარს უჭერს ზორაბაბელის აღვირახსნილ მადას ... უთუოდ თვითონაც კარგა ხელს ითბობს ... (შ. დ ა დ.). ეს იყო მოსახლეობის ის უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ... ან სულ არ მუშაობდა, ან ისეთი თანამდებობა ეჭირა, რომ ადვილად შეეძლო ხელის მოთბობა (ა. ბ ე ლ.).

**ხელის მოკიდება (რისამე)** რისამე გაკეთების დაწყება, საქმის შედგომა, წამოწყება; მისაკუთრება, დაუფლება. პეტრე დიდმა ამ ვითარებას საქმისას ხელი მოჰკიდა ... (ი ლ ი ა). ბრალდებულთ დამცველი არა ჰყავდათ. ფული ვერ გაიღეს დამცველისათვის და უფულოდ არავინ მოჰკიდა ხელი (ე. ნ ი ნ ო შ.). ... მხოლოდ ოდას კი არავინ ჰკიდებდა ხელს, რადგანაც ჭლექიანი ... მოკვდა შიგ (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ხელის მოკლება** შესუსტება, მოკლება (ზრუნვისა, ყურადღებისა...).—ჩემი აზრით, თითო-თითოდ უნდა წავიდნენ საძებრად, ბატონო, თორემ როდესაც ორი კაცი ერთად არის, ერთმანეთის იმედი აქვთ, ერთმანეთსაც იქცევენ და გულდასმით ძებნა-თვალიერს ორივე ხელს აკლებს (ბ ა ნ.). — აქ, ბატონო სამსონ, განა ხელს აკლებთ? ... (ა. ბ ე ლ.).

**ხელის მომართვა** დახმარების გაწევა, შეწევნა, ხელის შეწყობა, ხელის გამართვა. — იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი!— დაუმატა მეორემ, — თუ გაგვაჩინე, მოგვიმართე კიდეც ცოტა რამ ხელი (ნ. ლ ო მ.). ... შენს გამოსახსნელად წამოვედი; თორღამ ციხის ამბავი იცოდა, და წმინდა გივარგიმ კი ხელი მოგვიმართა (ა. ყ ა ზ ბ.).

**ხელის მონაცვლება** დახმარების მიღება, უცებ ფულის შოვნა სესხად. თქვენცა გყავთ ... ნათესავები, ..., იმათგან ხელს მოინაცვლებთ (ნ. ლ ო მ.).

**ხელის მოცარვა** დაბრკოლება, ხელის შეშლა, იმედგაცრუებული დარჩენა. ყველგან რომ ხელი მოეცარა: ბიზანტია არ იკარებს, აბუბექარი აღარ ენდობა. თვით საქართველოში მისი მომხრე თითქმის აღარავინ არის ... პატივაყრილი ... აზიაში დაძრწის (შ. დ ა დ.). ხელი მომეცარა სიყვარულში, სამეცნიერო ასპარეზზე ხელი მომეცარა. ერთ რამეში არ მომეცარება მგონია ხელი და ამას ჩემი ბრაუნინგი გადასჭრის უკეთ ... (კ. გ ა მ ს.).

**ხელის მოწყობა** იხ. ხელის შეწყობა. ... ი გოგო ფუსუტია მომიყვანე, ხელს მომიწყობს ... (დ. კ ლ დ.). „ღმერთმა ისე მომიწყო ხელი, რომ ფრჩხილიც არ წატეხია, ისე გამოვზარდეო“ — სიხარულით ამბობდა პეტრე (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ხელის შეშვება** მიტოვება, თავის მინებება, ხელის აღება. ერთიორი თვის განმავლობაში ეს განკარგულება სასტიკად სრულდებოდა, შემდეგ კი, რადგანაც მეტად საძნელო იყო, შეუშვეს ხელი (ე. ნ ი ნ ო შ.). ხელის შეშვება არ ვარგა, თორემ ბატონობას ბოლო არ მოეღება ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.).

**ხელის შეშლა** შეფერხება, დაბრკოლება. ქვეყანასა ჰშურს ჩვენი ბჭობა, კარგი საქმე არა დავიწყოთ-რა და ხელის შეშლა სწადიანო (ვ ა ჟ ა). იყვნენ ისეთებიც, რომელნიც, თავისი ყოფაქცევით, უმსგავსო საქმეებით ხელს უშლიდნენ სახელმწიფოს კეთილდღეობას (ა. ბ ე ლ.).

**ხელის შეწყობა** დახმარების გაწევა, შეწევნა, შველა, ხელის გამართვა. ეს ორი ოჯახი იყო, რომ მამხნევებდა, ხელს მიწყობდა, გულს მიკე-

თებდა (აკაკი). ... ოტიას ამ შემთხვევაში გარემოებაც ხელს **უწყობდა,** რომ ჩვეულებაც უკუეგდო და საქმეც გაეადვილებინა (დ. კლდ.).

**ხელის ჩაქნევა** იმედის დაკარგვა, გულის გატეხა, ყველაფერზე ხელის აღება. გული მიკვდება ასე რომ გხედავ, — რომ ყველაფერზე ხელი ჩაიქნიე (გ. ნახუცრ.). ამ მხრივ გული ჩამიკვდა, ხელი ჩავიქნიე და სრული სიცარიელე გამეფდა ჩემს ჩამობნელებულ სულში (გ. ნახუცრ.).

**ხელს არ აძლევს** ხელსაყრელი, სასარგებლო არ არის მისთვის (იხ. ხელს არ მისცემს). ბევრმა ხელი აიღო ხვნა-თესვაზე, რადგანაც ხელს არ აძლევდა (ილია).

**ხელს არ დააკლებს** არ მოერიდება, გააკეთებს, ჩაიდენს (რამეს ვისიმე მიმართ). ქვრივ-ობოლს ვინ არა სჩაგრავს, და, რასაკვირველია, შეძენის სურვილით გატაცებული სახუცესიც არ დააკლებდა ხელს (აკაკი). მართალია, ჯერ დიდიზა ვერ შეუბედავს, ვინცხაა, მარა რომ გამეიცდება, იმასაც არ დააკლებს ხელს (ე. ნინოშ.).

**ხელს არ დაიწვავს** არ წააგებს, მისთვის უსარგებლო არ იქნება. ეგ ქალი კაი მზითვიანსა ჰგავს: ვინც მაგას წაიყვანს, ხელს არ დაიწვამს (ა. ერ.-ხოშტ.).

**ხელს არ მისცემს** ხელსაყრელი, სასარგებლო არ იქნება მისთვის. ... მე, მართალია, სამხედრო სამსახური მსურს, მაგრამ მისთანა ადგილს მინდა შევიდე, სადაც სწავლის გაგრძობა შესაძლებელი იქნება ... და თქვენი კანვოობა კი ხელს არ **მომცემს-მეთქი** (აკაკი). „არა, დედავ, მე თითონ უფრო ძვირათ მიყიდნია, ხელს არ მომცემს", წარმოიდგენდა ის, ვითომც ყიდდა (დ. ჭონქ.).

**ხელსა და ხელს შუა** იხ. თვალსა და ხელს შუა. კიდეც ეგ არის საწუხარი, რომ არც არა გაცვია და მოსავალი ხელსა და ხელს შუა გიქრება (ა. ერ-ხოშტ.).

**ხელ-ფეხის გახსნა** თავისუფალი მოქმედების საშუალების მიცემა. ეხლა კი პირობა დარღვეულია და მეც ხელ-ფეხი გამეხსნა (მ. ჯავახ.). კოლა სიამოვნებით დნებოდა, მას ხელ-ფეხი გაეხსნა, გული დაუმშვიდდა — სახლში და საწყობში ძალლივით ერთგული, საქმის საუკეთესოდ მცოდნე კაცი ეგულებოდა (გ. ნახუცრ.).

**ხელ-ფეხის შებოჭვა** იხ. ხელ-ფეხის შეკვრა. რას ჩამციებია ეს დალოცვილი უსურვაზი, რომ მიბოჭავს ხელ-ფეხს (ვაჟა).

**ხელ-ფეხის შეკვრა** შეზღუდვა, დაბრკოლების შექმნა, შებოჭვა, შევიწროება. ამით წესდებამ **ხელ-ფეხი** შეუკრა სოფლის მმართველობასა (ილია).

**ხელში დაჭერა (რისამე)** თავის განკარგულებაში, თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა, დამორჩილება, დაპყრობა (რისამე). ... ავადმყოფის ბედ-იღბალი და ექიმობა. დედაბრეზს და მკითხავებს უჭირავთ ხელში ... (ე. ნ ი ნ ო შ.). საჭირო იყო ამ ხიდწინა სიმაგრის ხელში დაჭერა (ა. ბ ე ლ.).

**ხელში მოგდება (ვისიმე, რისამე)** იხ. ხელში ჩაგდება (ვისიმე, რისამე). — თუ ყაზახებს არ ჩავაყენებთ, შენი ჭირიმე, ის მოკეთეებისას დაიმალებიან და ხელში ვეღარ მოვიგდებთ (ა. ყ ა ზ ბ.). თინათინის შერთვას აპირებდნენ ისეთი კაცები, რომლებიც რაკი მდიდარ მზითევს მოიგდებდნენ ხელში, შემდეგ იმის მეცადინეობაში იქნებოდნენ, როგორმე თინათინი ადრე ჩაძაღლებულიყო (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ხელში უკვდება (ვისმე)** ელაქუცება, ეპირფერება, მლიქვნელურად ექცევა (ვისმე).

**ხელში შეიკლა (ვინმე)** გააწამა, გატანჯა, გული გაუწყალა. ... იმ ბავშვებთან ენახა თვალხუჭია დედოფალა და შეგვიკლა ხელში ... იმისთანა მიყიდეთ და მიყიდეთო (ა. ბ ე ლ.).

**ხელში ჩაგდება (ვისიმე, რისამე)** მისაკუთრება, დაპყრობა, დაუფლება, შოვნა, ხელში მოგდება (ვისიმე, რისამე). (ბახვა) მხიარულებისაგან აღარ იყო, რომ ამისთანა კარგი მიწაწყალი, ერთი სათავადიშვილო მამული, ხელში ჩაიგდო (გ. წ ე რ ე თ.). ... თუკი ძვირფასი ლალი იაფ ფასად იშოვება და მაინც კი ვერ ახერხებ ხელში ჩაგდებას, გული დაგწყდება ... (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ხელში ჩავარდნა** (ვისიმე) მფლობელობაში გადასვლა, (ვისიმე) საკუთრებად ან ტყვედ გახდომა. ენის უცოდნელობის გამო ხალხი უნდა გამდლეტ-გამცვეთლებს ჩავარდნოდა ხელში? (ა კ ა კ ი). ... ამას იმისთვის კი არ ვამბობ, რომ სიკვდილის მეშინოდეს, მტერს არ მინდა ხელში ჩავუვარდე (ა. ბ ე ლ.).

**ხმა აქვს გავარდნილი** სახელი აქვს განთქმული, ცნობილია, სახელმოხვეჭილია. ეგეც ხომ, მაგრამ ხმაც დიდი აქვს სოფელში გავარდნილი (ი ლ ი ა).

**ხმის გავარდნა** რაიმე ამბის გავრცელება, ხმის დარხევა. მეორე თუ მესამე დღეს ფოთში გავარდებოდა ხმა: წუხელის კონტრაბანდი შემოიტანესო ... (გ. წ ე რ ე თ.). ერთ დღეს ხმა გავარდა, რომ ... პავლია მერაბიძე ისე გამწარდა, რომ თავის ჩამოხრჩობა მოინდომა შიმშილის გამოო ... (დ. კ ლ დ.): რვა წლის წინათ ხმა გავარდა, ზოგმა თავად-აზნაურმა ყალბი სიგელი წარმოადგინაო (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ხმის დაგდება** რაიმე ამბის გავრცელება, ხმის დარხევა. ერთი თვის შემდეგ შარდინ ალშიბაიამ და გვანჯ აფაქიძემ ხმა დააგდეს ოქუმში: კაც ზვამბაია, თარაში და არზაყანი ტყეში შემოაკვდათო ტარბებს (კ. გ ა მ ს.).

**ხმის დარხევა** იხ. ხმის გავარდნა. მთელ საქართველოში ხმა დაირხა, ვითომ ახპატის სისხლიან საქმეში დუცალის სახელიც გამოჩენილიყო .. (მ. ჯ ა ვ ა ხ.). თბილისიდან დაურეკიათ, რაიონი დაცალეთო, მერე ხალხში ხმა დარხეულა, უღელტეხილზე გერმანელები არიანო (ა. ბ ე ლ.). ხმა იარმუკაში დარხეულიყო, საყდრის ეზოს მოსდებოდა და მთელი ქალაქი მიევლ-მოევლო (ბ. ჩ ხ.).

**ხმის დაყრა** იხ. ხმის დაგდება. მანას და სიმონს ეშინოდათ, — დღისით ვისიმე ბოროტი თვალი შემოგვესწრება, ხალხში ცუდ ხმას დაგვიყრისო (ე. ნ ი ნ ო შ.).

**ხორცის შესხმა** სინამდვილედ ქცევა, განხორციელება, სრულყოფა. გამოვა ახალი გაზეთი თუ არა, მისი რედაქცია უცილო ვალად ჰრაცხს ... აღნუსხოს ყოველი ის, რითაც უპირობნ გაზეთს სულის ჩადგმას და ხორცის შესხმასა (ი ლ ი ა). ... მანამ კი, სანამ სინამდვილეს ხორცი არ შეუსხამს ..., ხმები მიმოქრის? ... რა ვუყოთ მერე ... ეს ბუნებრივია ... (შ. დ ა დ.).

## ჯ

**ჯანდაბამდის(აც) გზა ჰქონია!** რაც უნდა, ისა ქნას! როგორც უნდა, ისე მოიქცეს! თავში ქვა იხალოს! (არაბ. **ჯაჰან-ნამ** ჯოჯოხეთი; მოუსავლეთი; უბედურება). ჯანდაბამდისაც გზა აქვს, ვინც უნდა წაიყვანოს! (რ. ე რ ი ს თ.).

**ჯანდაბას წავიდეს!** იხ. ჯანდაბამდის(აც) გზა ჰქონია! — გიჟი ხომ არა ხარ, ბებერო!— დაიძახა ერთმა მაღალმა ... დედაკაცმა, — აუმსო, რაა, იჯარით აგიღია შენ ე წყარო ... აიმსე შენა და წადი ჯანაბასა (ნ. ლ ო მ.). ჯანდაბას წასულა მათი თავიცა და გურიელის ქალიც! (ბ ა ნ.).

**ჯანი გავარდეს** რაც უნდა, ის მოხდეს; ჯანდაბას, არ მენაღვლება. — ერთი ასეთი ბუზმენტიანი ჩოხა გაიყოლია თან ჩემი, რომ ხუთ თუმნადა ღირდა, — დაიწყო ისევ უფროსმა, — ჩოხას ჯანი გავარდეს, ის ძველი და სხვა ახალი: მამა-ჩვენი შეძლებული კაცია ... (ი ლ ი ა). ... ჯანი გავარდეს, ამ უმამულობასაც როდისმე მოუვლით ... (ს. მ გ ა ლ ო ბ.). ჯანი გავარდეს, წამოვალ, მაგრამ იცოდე, ამაღამ უნდა გავაკეთოთ საქმე, თორემ ... (გ. ნ ა ხ უ ც რ.).

**ჯვარზე აცვა** იხ. ჯვარს აცვა. ჩემს სამშობლოსა ღალატი შავ ნისლივით ჩამოაწვა: ძმამ ძმას საფრთხე გაუთხარა, შვილმა მამა ჯვარზე აცვა (ა კ ა კ ი).

**ჯვარი ეწეროს!** ცუდი აშოროს, ყოველგვარი უბედურება ასცდეს. — ... ღმერთმა დაგიფაროს ჰლექიანი ცოლისაგან. ჯვარი გეწეროს, გენაცვალოს დედა! (მ. ჯ ა ვ ა ხ.). ... თქვენი მტერი და დუშმანი დაიღუპოს და თქვენ ჯვარი გეწეროთ (ბ ა ნ.).

**ჯვარს აცვა** გააწამა, გატანჯა, გააწვალა. აბა გიორგის ამბავი წიგნში ამოგვეკითხნა, რა პრტყელ-პრტყელ ლაპარაკს მოვყვებოდით მე და შენ და ჯვართ ვაცვამდით ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია (ი ლ ი ა). . . . დამტანჯე, ჯვარს მაცვი, არასოდეს ჩემთვის საზრდო არ მოგიწოდებია (ვ ა ჟ ა).

**ჯიბე(ებ)ს ისქელებს** მდიდრდება, ბევრ ფულს შოულობს (ჩვეულებრივ, უპატიოსნო გზით). ზოგი . . . ქვეყნის ნაწვავ-ნადაგით, ნაოფლარით ჯიბეებს ისქელებს (გ. წ ე რ ე თ.).

**ჯიბეში თაგვები უთამაშებენ** ფული არა აქვს, ღარიბია. ჩაივლის ბაზარზედ . . . ვითომ და სასყიდელი აქვს რამე,—ჯიბეში კი თაგვები უთამაშებენ. ბაზრის ბიჭებმაც იციან ესა და უყვირიან განგებ: ყმაწვილო, აქ შემობრუნდი, რა გნებავს? (მ ე ლ ა ნ.).

**ჯიბეში ჩაისვამს (ვინმეს)** ყველაფერში აჯობებს, გაცილებით მეტი წონა და ავტორიტეტი აქვს.

**ჯიბიდან გავარდნილი** გამოქექილი, მოხერხებული, გამოქნილი, ეშმაკი.

**ჯორზე შეჯდომა** გაჯიუტება, გაკერპება, ვირზე შეჯდომა. ჩემი მეგობარი ერთი თვითნება რამ კაცია, რაკი ერთი ჯორზე შეჯდა, რასაც იტყვის, ვეღარ გადაათქმევინებ (თ. ს ა ხ.).

**ჯოჯოხეთის მაშხალა** ძალიან უშნო, მახინჯი, ცუდი გარეგნობის ადამიანი. ჩემმა ბრძანების კილომ ძალიან შეაშინა ეს რუხი და ჯოჯოხეთის მაშხალა დედაკაცი (შ. ა რ ა გ ვ.). ავო ბატონო, ჯოჯოხეთის მაშხალავ და ურჯულოვ (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

## ჰ

**ჰა ბურთი და ჰა მოედანი** იხ. ეს ბურთი და ეს მოედანი. ჰა ბურთი, ჰა მოედანი, მობრძანდი და გავსწორდეთო (ა კ ა კ ი). თუ მინდორ-მინდორ სიარული დედ-მამას გიჯობს, ჰა ბურთი და ჰა მოედანი (მ. მ რ ე ვ ლ.).

**ჰაერში დაკიდება** საფუძვლის გამოცლა, უნიადაგოდ, უსაფუძვლოდ დარჩენა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნა.

**ჰაერში ჩამოკიდება** იხ. ჰაერში დაკიდება. მარგომ მწვავე ტკივილი იგრძნო იმის გამო, რომ ისედაც მინგრეული ბუდე საბოლოოდ მოშალა, **ხოლო** თვითონ **ჰაერში ჩამოეკიდა** . . . (მ. ჯ ა ვ ა ხ.).

**ჰაშას კვრა** იხ. აშას კვრა. უარმყოფელობა „არას“ თქმაა, ანუ მდაბიოდ რომ მოგახსენოთ, ჩვენებურად, ქართულად—ჰაშას კვრაა და სხვა არაფერი (ი ლ ი ა).

**Ониани Александр Лаврентьевич**

ГРУЗИНСКИЕ ИДИОМЫ

(На грузинском языке)

Детюниздат Грузинской ССР
„Накадули"
Тбилиси
1966

რედაქტორი გ. ახვლედიანი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. გოგოხია
მხატვარი ჯ. ყავლაშვილი
მხატვ. რედაქტორი ი. ქლიბაძე
ტექრედაქტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი თ. ჯიჯეიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IX-66 წ.
ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_{16}$.
ნაბეჭდი თაბახი 12,25.
საგამომცემლო თაბახი 10,97.
უე 11915. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 1438.
**ფასი 50 კაპ.**

გამომცემლობა „ნაკადული", მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили, № 5

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.